მართლმადიდებელი ეკონომისტისა
და ბიზნესმენის ბიბლიოთეკა

თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო
ინსტიტუტის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსები

საქართველოს მართლმადიდებელ ეკონომისტთა და
ბიზნესმენთა ასოციაცია „რწმენა და საქმე“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“

საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის საფუძვლები

(სასწავლო-სამეცნიერო კრებული – ლექციების კურსი
და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები)

Basics of Management of Ecclesiastic-Monasterial Economy

თბილისი
„რწმენა და საქმე“. 2009 წ.

საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის საფუძვლები

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტთან 2007 წლის მაისში შეიქმნა სპეც-კურსები სახელწოდებით: „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა".

სპეცკურსების მიზანია – თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს საქართველოს ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკური ბაზის აღორძინება-განმტკიცებას, საეკლესიო-სამონასტრო ეკონომოსების მომზადებასა და ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

წინამდებარე კრებულში გადმოცემულია ლექციების კურსი საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვაში (ცალკეული სასწავლო დისციპლინების მიხედვით) და მასალები სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008".

ნაშრომი განკუთვნილია „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეცკურსების მსმენელების, საეკლესიო-სამონასტრო ეკონომოსების, სასულიერო პირების, თეოლოგების, მეცნიერების, პროფესორების, ეკონომისტების, ბიზნესმენების, მენეჯერების, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისა და ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის.

მთავარი რედაქტორი: ბოლნისის ეპისკოპოსი ეფრემი (ბამრეკელიძე)

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ე. ბარათაშვილი

სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი:

დეკანოზი მიქაელ ბალდავა, დეკანოზი ბასილ ახვლედიანი, ბ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი, რ. ლორთქიფანიძე, ნ. სამხარაძე, ა. ნაკანი, ნ. რეხვიაშვილი, ბ. თოდუა, ზ. კახნიაშვილი.

რეცენზენტები: დეკანოზი ღვთისო შალიკაშვილი,
თბილისის ქვაშვეთის ტაძრის მღვდელმსახური.

რევაზ გოგოხია,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი.

ინეზა ბაბნიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი.

გარეკანის პირველ გვერდზე:
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცხოველეობის ფერმაში
გარეკანის ბოლო გვერდზე:
საკალმახე მეურნეობა სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში, სოფელი სნო.

კრებული გამოიცა „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეცკურსების
ლექტორთა და მსმენელთა თვითდაფინანსებით.
ღმერთმა დალოცოს თანადგომისათვის ხვიჩა კოპალიანი და თეა კვერნაძე.

© „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეცკურსები, 2009.
ISBN 978-9941-0-1788-9

მართლმადიდებლური მოძღვრება სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის სინერგიულობის შესახებ გვასნავლის

„უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავ. 2, 6);

„სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს“ (ეკლ. 7, 12);

„კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა“ (ეკლ. 5, 18);

„შენია უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად. სიმდიდრე და დიდება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელშია ყოველივეს განდიდება და განმტკიცება“ (1 ნეშტ. 29,11-12);

„გამაგრდი, მთელო ქვეყნის ერო! ამბობს უფალი, და იშრომეთ, რადგან თქვენთანა ვარ, ამბობს ცაბაოთ უფალი. ჩემია ვერცხლი და ჩემია ოქრო, ამბობს ცაბაოთ უფალი“ (ანგ. 2,4,8);

„თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს (2 თეს. 3, 10);

„ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა“ (ლუკ. 10,7);

„იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ“ (იოან. 6,27);

„ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან“ (მათ. 5,7);

„ეს ხელები შეელოდნენ ჩემს გასაჭირს და მათსასაც ვინც იყენენ ჩემთან. ყოველნაირად გიჩვენეთ თქვენ, რომ ამნაირი შრომით უნდა შეეწიოთ სნეულთ, და გახსოვდეთ უფლის იესოს სიტყვები, რადგანაც თავად თქვა: უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო“ (საქმე 20, 34-35);

„ჩვენი ბეღლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით. ცხვარნი ჩვენნი ათასობდნენ, ათიათასობდნენ ჩვენს საძოვრებზე“ (ფსალმ. 143, 13);

„მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან“ (ლევ. 25,23);

„მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ (მათ. 22,21);

„არც ერთ მღვდელს და ლევიანს, არც მგალობელს და შეწირულ კარისკაცს ამ ღვთის სახლში მომსახურეს, არ დაეკისროს არც ხარკი, არც გადასახადი და არც ბეგარა“ (1 ეზრ. 7,24);

„ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა“ (1 ტიმ. 6,10);

„საზოგადოებრივი კეთილდღეობა სულიერი და ხორციელი საზრდოს ერთიანობით არის განპირობებული“ (წმ. ილია მართალი);

„მოპმადლე ნაყოფიერებაი მიწასა ჩვენსა; მასაზრდოებელო ჩვენო და ჩვენთა პურთა და ყანათათვის ბარაქის მომცემელო“ (ღვთისმშობლის „ბარაქის“ ხატის დაუჯდომელი, კონდაკი 1).

საეკლესიო და საერო სამართალი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის სინერგიულობის შესახებ

„ეპისკოპოსი იმას უნდა აკეთებდეს, რაც სასარგებლოა მისი ეკლესიისთვის და მისთვის დაქვემდებარებული სოფლებისათვის“ (დიდი სჯულის კანონი: წმ. მოციქულთა კანონები, 34);

„თითოეული ეკლესიის კუთვნილი სახნავ-სათესი ადგილისა და სოფლის შემოსავალი მტკიცედ და უცვლელად უნდა ჰქონდეს ამ ეკლესიის მპყრობელ ეპისკოპოსს“ (დიდი სჯულის კანონი: IV, 17);

„მღვდლები და დიაკვნები ნურაფერს ნუ გააკეთებენ ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე, რადგან იგია, ვისაც აბარია ერი ღვთისა და ვისაც მოეკითხება პასუხი მათი სულებისათვის“ (წმ. მოციქულთა კანონები, 39);

„ყველა ეკლესიას, რომელსაც ეპისკოპოსი ჰყავს, უნდა ჰყავდეს ეკონომოსიც, არნეული სასულიერო პირთაგან, რომელიც უნდა განაგებდეს საეკლესიო საქმეებს ეპისკოპოსთან შეთანხმებით, რათა საეკლესიო ქონება მოწმის გარეშე არ იყოს დახარჯული და განაწილებული. ეს აღკვეთს საეკლესიო ქონების გაბნევას, რაც გამოიწვევდა სამღვდელოების გაკიცხვა-დაგმობას. ვინც ასე არ მოიქცევა, იგი საღვთო კანონთა მიერ დაისჯება“ (დიდი სჯულის კანონი: IV, 26);

„საეპისკოპოსოებში და მონასტრებში აუცილებლად უნდა იყოს ეკონომოსი. ვინაიდან ვალად გვაწევს ყველა საღვთო კანონის შესრულება, უცვლელად უნდა დავიცვათ აგრეთვე კანონიც, რომელიც ამბობს, რომ ეკონომოსის ყოფნა ყოველ ეკლესიაში არის საჭირო“ (დიდი სჯულის კანონი: VII 11);

„სიმართლით შეძენილი და სიკეთისათვის დახარჯული სიმდიდრე არ უნდა დავამციროთ“ (დიდი სჯულის კანონი: ღანგრ., 21);

„საჭიროა და ღირსეული, რომ მთელი წლის მანძილზე მონასტრის დიდი ეკონომოსი უმოწმებდეს ანგარიშს ქვეეკონომოსებსა და სხვადასხვა ხელისუფლების მქონე მსახურებს, ერთხელ სექტემბრის თვეში, და კვლავ წმინდა პასექის (ე. ი. აღდგომის) დღეებში, ღვთის შიშით; და თუ აღმოჩნდებიან ჩამორჩენილნი, დიდმა ეკონომოსმა უნდა აიღოს მათგან საბუთი. დიდი ეკონომოსი უნდა იქნეს ანგარიშდებული წინამძღვრის მიერ, და მისგან ანგარიშდებულმა უნდა მიიღოს მისგან საბუთი. ხოლო წინამძღვარმა, შიშითა ღვთისათა, დანარჩენ ძმებთან შეთანხმებით, შემოსავალი უნდა ხარჯოს ეკლესიისა და მონასტრის საჭიროებათათვის და, რაც გადარჩება დაუხარჯავი, უნდა გადაეცეს მონასტრის სასარგებლოდ და საჭიროებათათვის მეჯურჭლეს და მისგან მიიღონ საბუთი. და ყოველ აღდგომის დღეებში წინამძღვარი ანგარიშდებულ იქნეს ეკონომოსთა, მეჯურჭლისა და ძმების მიერ. აგრეთვე მეჯურჭლე უნდა ანგარიშდებულ იქნეს ორჯერ წელიწადში წინამძღვრის მიერ და ძმების მიერ“ (გრიგოლ ბაკურიანისძის პეტრიწონის მონასტრის წესდება, 26; 1,2,3,4);

„სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები“ (კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, მ. 1,4).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვმოძღვრავს

„განსაცდელში ჩავარდნილ ხალხს დღეს პირველ რიგში ეკლესია უნდა დაუდგეს გვერდით, ეკლესიამ უნდა იზრუნოს მისთვის";

„თქვენ იცით, რომ ეკლესიას დიდი მამულები ჰქონდა, ნაწილი მას დაუბრუნდა, ნაწილსაც ალბათ მალე გადმოგეცემენ. მრეველს შეუძლია იგი დაამუშაოს და კარგი მოსავალიც მოიწიოს, რომელსაც შემდეგ ყველა თანაბრად გაინაწილებს";

„ისრაელში მონასტრული წყობის სოფლებში – კიბუცებში ეწვიან მეურნეობას. ჩვენთან დიდი რეგიონებია დაცარიელებული. შეიძლებოდა, რომ აქ ასეთი სოფლები შექმნილიყო, რომლებიც გაერთიანდებოდა, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოებით და ეროვნული თვითშეგნებით. ახალგაზრდები დასახლდებოდნენ ჩვენს მიწა-წყალზე და აღორძინდებოდა ბედნიერი ცხოვრება. ჩვენი სურვილია, ისეთი სოფლები შეიქმნას, სადაც რწმენითა და სიყვარულით გაერთიანდება ხალხი და აღდგება ძველი ნასოფლარები";

„შრომა და განსაკუთრებით კი ერთად შრომა, მრეველში სულიერობასაც აამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია";

„მიხედეთ მიწას; მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამაღლდეს ზნეობა, ამუშავდეს ჩვენი წარმოებები, ქარხნები, ფაბრიკები, აყვავდეს მეურნეობები";

„კარგი იქნება, თუ ყველა ტაძართან მეურნეობა შეიქმნება. ტაძარს უნდა ჰქონდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მრეველი დაამუშავებს. ასევე შესაძლებელია პირუტყვის მოშენებაც";

„ფუტკრის მოშენება ძალიან სასარგებლო საქმეა. ვისაც ფუტკარი ჰყავს, არასდროს არის გაჭირვებული, მუდამ ბარაქით სავსეა";

„ჩვენში უამრავი მდინარეა. რამდენი თევზის საშენი შეიძლება გაკეთდეს აქ?"

„საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ჩვენი წინაპრებისთვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა და, ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს";

„ჩვენთან ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც";

„ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით უნდა გადაეწყვიტოთ, საჭიროა ეკონომიკური საქმიანობის და სათანადო განათლების მოწესრიგება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ამასთან, ეკონომიკა განვითარდება, თუ საქართველო შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს";

„განათლების სფეროში „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეციკურსების შექმნა და საქმიანობა მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. მომავალში ამის ბაზაზე უნდა მოვამზადოთ პროფესიონალი საეკლესიო ეკონომოსები";

„აუცილებელია, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა";

„საშუალო ფენა არის სახელმწიფოს დასაყრდენი, ამიტომაც მეწარმეობის განვითარება დროის მოთხოვნა და ჩვენი გადარჩენის გარანტიაა".

შინაარსი

მართლმადიდებლური მოძღვრება სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის სინერგიულობის შესახებ გვასწავლის 3

საეკლესიო და საერო სამართალი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის სინერგიულობის შესახებ 4

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვმოძღვრავს 5

თავი I. „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების საქმიანობა (გიორგი შიხაშვილი, ალექსი ნაკანი) 10

„საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების შექმნა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 10

სპეცკურსების მიერ ორგანიზებული კონფერენციები 14

- სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“ 14
- სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2008“ 15
- სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“ 16

კურსების მსმენელთა მოსაზრებები „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების საჭიროებისა და საქმიანობის შესახებ 18

თავი II. ლექციების კურსი „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვა“ – ცალკეული სასწავლო დისციპლინების მიხედვით 22

1. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები (დეკანოზი ბასილ ახვლედიანი, გიორგი შიხაშვილი) 22

- ბიბლია, ეკონომიკა, მეცნიერება 22
- ეკონომიკური თეორია და მართლმადიდებლობა 26
- თეოლოგიური ეკონომიკა – სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა 38
- ლიტერატურა 42
- საგამოცდო საკითხები 43

2. წმ. ილია მართალი (ჩავჩავაძე) ეკონომიკის შესახებ და თანამედროვე საქართველო (მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია), გიორგი შიხაშვილი) 44

- ლიტერატურა 50
- საგამოცდო საკითხები 50

3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ (დეკანოზი ბასილ ახვლედიანი, გიორგი შიხაშვილი) 51

- ლიტერატურა 59
- საგამოცდო საკითხები 60

4. ბიზნესის საფუძვლები (ეკატერინე გულუა) 61

❖ ნაწილი I. ბიზნესის თეორიული ასპექტები 61

- პიროვნება, საზოგადოება, ეკონომიკა, ბიზნესი 61
- ბიზნესის სახეობები და კლასიფიკაცია 63

❖ **ნაწილი II. ბიზნესის განხორციელების სტადიები** — 69
- ბიზნეს იდეა და მისი ფორმირება — 69
- ბიზნეს გარემო და მისი გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე, SWOT ანალიზი — 70
- ბიზნესის მენეჯმენტი — 71
- ბიზნესის დაგეგმვა — 72
- ბიზნესის უზრუნველყოფა რესურსებით — 73
- საწარმოო პროცესების ორგანიზაცია ბიზნესში — 75
- პროდუქციის რეალიზაცია, გასაღების ორგანიზება ბიზნესში — 75
- საქმიანობის შედეგები და მათი შეფასების სისტემები ბიზნესში — 76
- ლიტერატურა — 77
- საგამოცდო საკითხები — 77

5. ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა (ნუგზარ სამხარაძე) — 78
- სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ძირითადი პრინციპები ადრექრისტიანულ საზოგადოებაში — 78
- საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება — 80
- ეკლესია-მონასტრებში არსებული ფინანსური ანგარიშგების მოკლე განმარტებები — 82
- ეკლესია-მონასტრებში ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციული სისტემა — 85
- ლიტერატურა — 87
- საგამოცდო საკითხები — 87

6. საერო სამართალი, საეკლესიო სამართალი და მისი სამეურნეო-მმართველობითი ასპექტები (დავით ჩიკვაიძე) — 88
❖ **საერო სამართალი** — 88
- სამართლის არსი — 88
- ქართული სამართლის მოკლე ისტორია — 89
- საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია — 90
- ხელისუფლების სამი შტო — 90
- სისხლის სამართალი — 91
- სამოქალაქო სამართალი — 91
- ადმინისტრაციული სამართალი — 91

❖ **საეკლესიო სამართალი** — 92
- ეკლესია და ქრისტიანული თემი. საეკლესიო სამართლის არსი — 92
- მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია. ავტოკეფალია, ავტონომია — 93
- საეკლესიო სამართლის წყაროები — 94
- ეკლესიის წევრობა. საერო და სამონაზვნო დასები — 94
- საეკლესიო მმართველობა — 95
- საეკლესიო მსახურებები. ხელდასხმა, ხელდება — 96
- საეკლესიო დანაშაულები — 96
- საეკლესიო სასჯელები და მოძღვრება მათ შესახებ — 97
- საეკლესიო სასამართლო — 98
- ჯვრისწერა — 99
- ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა. კონსტიტუციური შეთანხმება — 99

❖ **საეკლესიო სამართლის სამეურნეო-მმართველობითი ასპექტები** — 100
- ლიტერატურა — 102
- საგამოცდო საკითხები — 102

7. **სამეწარმეო სამართლის საფუძვლები** (როინ მიგრიაული) 104
- **ძართული სამეწარმეო სამართლის განვითარება** 104
- „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" 1991 წ. კანონი 104
- „მეწარმეთა შესახებ" 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონი 104
- 2003 წლის 15 მარტის ცვლილებები „მეწარმეთა შესახებ" კანონში 105
- სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობა 106
- რას გულისხმობს სამეწარმეო საქმიანობა 106
- საქმიანობის რა სახეები ითვლება არასამეწარმეო საქმიანობად 106
- **სამეწარმეო სამართლის სუბიექტების სამართლებრივი ფორმები** 107
- ინდივიდუალური მეწარმე 107
- სამეწარმეო ამხანაგობა 107
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) 107
- კომანდიტური საზოგადოება 107
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 108
- სააქციო საზოგადოება 108
- კოოპერატივი 108
- **სამეწარმეო სუბიექტის დაარსება** 108
- **სამეწარმეო სუბიექტების რეგისტრაცია** 109
- სარეგისტრაციო დოკუმენტები 109
- სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია 110
- **სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები** 110
- იურიდიული პირი, როგორც პარტნიორი 110
- ფიზიკური პირი, როგორც პარტნიორი 110
- **სამეწარმეო საზოგადოების პასუხისმგებლობის შესახებ** 111
- **საზოგადოების სტრუქტურა და მართვის ორგანოები** 111
- სამეწარმეო საზოგადოებათა ხელმძღვანელი პირები 111
- მართვის ორსაფეხურიანი (გერმანული) სისტემა კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე შექმნილ საზოგადოებებში 112
  სამეწარმეო საზოგადოების გაუქმება (ლიქვიდაცია) 112
- საწარმოს ლიკვიდაციის საფუძვლები „მეწარმეთა შესახებ" კანონის თანახმად 112
- საწარმოს გაუქმების საფუძვლები სამეცნიერო ლიტერატურაში 113
- ლიტერატურა 114
- საგამოცდო საკითხები 114

8. **ეკოლოგიური აბრეშუმმოება** (ლერი ჯალაბაძე) 115
- ეკოლოგიური წარმოება და ლოცვა 115
- მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები 116
- მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდის არსი და მისი უპირატესობა ქიმიურთან შედარებით 117
- ფუნგიციდები 118
- ინსექტიციდები 119
- მცენარეთა ზრდის ბიოლოგიური რეგულატორი 120
- ატრაქტანტები 121
- რეპელენტები 121
- სტერილიზატორები 122
- ნიტრატები და ნიტრიტები 122
- გენმოდიფიცირებული პროდუქცია (გმპ) და მისი არსი 123
- ეკოლოგიური წარმოების ორგანიზაციისა და მართვისათვის 125
- მავნეობის ეკოლოგიური და ეკონომიკური ზღვრები 126

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიოპროდუქტიულობის შეფასება ნიადაგის, კლიმატის, წარმოების საშუალებებისა და მეურნეობის გაძღოლის ფორმების საფუძველზე ... 127
- ნიადაგის ბიოპროდუქტიულობის შეფასებისათვის ... 128
- კლიმატის პროდუქტიულობის შეფასებისათვის ... 128
- წარმოების საშუალებების პროდუქტიულობის შეფასებისათვის ... 128
- ეკოლოგიური წარმოების გაძღოლა ... 129
- მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემა ... 130
- საქართველოს კანონი ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ ... 131
- ლიტერატურა ... 137
- საგამოცდო საკითხები ... 137

9. პროექტისა და მისი პერსონალის მენეჯმენტი
(გიორგი შიხაშვილი) ... 138
- პროექტების არსი ... 138
- პროექტის პერსონალის მენეჯმენტი ... 139
- პროექტების მართვის უმთავრესი მომენტები ... 141
- სასწავლო პროექტების შედგენის ტექნოლოგია ... 144
- საპროექტო განაცხადის მომზადების ტექნოლოგია ... 147
- საპროექტო წინადადება – „ქრისტიანული თემის დაარსება წულრუღაშვილის მონასტერთან“ (ებრაული კიბუცის ქართული ეარიანტი) ... 149
- ლიტერატურა ... 153
- საგამოცდო საკითხები ... 153

თავი III. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“ (მოხსენებათა კრებული) ... 154

1. ეპისკოპოსი ილარიონი (ქიტიაშვილი). მისალმების სიტყვა ... 154
2. ჯამლეტ ჯანჯღავა. „ქრისტიანობა და ეკონომიკა: უნიეერსიტეტისა და
3. ეკლესიის თანამშრომლობა“ ... 155
4. იღუმენი ეგნატე (კურტანიძე). „მეურნეობის განეითარება მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში“ ... 159
5. გიორგი შიხაშვილი. „ხუდონეესის მშენებლობის პერიპეტიები საქართველოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური ისტორიის ფონზე“ ... 160
6. ინეზა გაგნიძე. „ალტერნატიული ღირებულების პრინციპი ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება“ ... 164
7. ეთერ ხარაიშვილი. „სვანეთის რეგიონის ეკონომიკური განეითარების პერსპექტივები“ ... 168
8. ნაზი რეხვიაშვილი. „ევრეა-მოდელირებისა და ხელსაქმის სწავლების ორგანიზაცია სამრეველო სკოლებში“ ... 171
9. გიორგი ამუზაშვილი. „საეკლესიო თემის (კიბუცის) როლი სოფლის მეურნეობის განეითარებაში“ ... 172
10. ნინო ტარყაშვილი. „მცირე საოჯახო ბიზნესი – ქვეყნის ეკონომიკური განეითარების წინა პირობა“ ... 176
11. გიორგი თოდუა, ზურაბ კახნიაშვილი. „სვანეთის ეკონომიკის განეითარების პერსპექტივები: სოფლის მეურნეობა და ტურიზმი“ ... 179
12. ლია ჩილინდრიშვილი. „მართლმადიდებელი მრეველის ოჯახის ეკონომიკური გაძლიერების გზები“ ... 183
13. ემზარ (გიორგი) კუპრაძე. „ქრისტიანობა და სოციალური საკითხები“ ... 186

ლიტერატურა და წყაროები ფთელი კრებულისათვის ... 192

სპეცკურსების საქმიანობის ფოტომატიანე ... 200

თავი I. „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების საქმიანობა

(გიორგი შიხაშვილი, ალექსი ნაკანი)

„საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების შექმნა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტთან 2007 წლის მაისში შეიქმნა სპეცკურსები სახელწოდებით: „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“.[1]

სპეცკურსების მიზანია თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს საქართველოს ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკური ბაზის აღორძინება-განმტკიცებას, საეკლესიო-სამონასტრო ეკონომოსების მომზადებასა და ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, კურსების მსმენელებს, ეკონომიკურ პრაქტიკაში დანერგვაზე გათვლით, შევასწავლოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- ქრისტიანული მოძღვრება და საერო ეკონომიკური მეცნიერება სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ;

  ეკლესიის სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები სახელმწიფო ორგანოებთან, სამეწარმეო და არასამთავრობო სექტორებთან;

  საეკლესიო-სამონასტრო და საერო ეკონომიკის სამართლებრივი ბაზა;

  ბიზნეს-გეგმებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროექტების შემუშავება, პრეზენტაცია და სათანადო ფინანსების მოძიება;

  ეკლესია-მონასტრების სოციალურ-ეკონომიკური ბაზის აღორძინება-განმტკიცების და ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ამოცანები და უმთავრესი მიმართულებები;

  ეკლესიის მსახურთა და მრევლის შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურება, სოციალური უზრუნველყოფა და დაზღვევა;

  ცალკეულ ეკლესია-მონასტრებთან და სამრეველოებთან სამეურნეო ობიექტების შექმნა-ფუნქციონირება.

სპეც-კურსების გავლა შეუძლიათ როგორც თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის, მისი ფაკულტეტების სტუდენტებსა და თანამშრომლებს, ასევე ცალკეული ეკლესია-მონასტრების მსახურებს (მოძღვრები, დიაკვნები, ბერები, მნათეები, მორჩილები, გამგებლები, ეკონომოსები, მნეები), აგრეთვე ნებისმიერ სხვა მსურველს. კურსების ხანგრძლივობა 8-10 თვეა. სასწავლო საგნები და ერთჯერადი ლექციები მიჰყავთ მოძღვრებს, ღვთისმეტყველებს, ცნობილ მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, პრაქტიკოს ეკონომისტებს და იურისტებს, სპეციალისტებს და წარმატებულ ბიზნესმენებს. ტარდება პრაქტიკული გასვლითი მეცადინეობები და ხდება დახმარების გაწევა საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობებში და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ, სამეცნიერო, ეკონომიკურ და ბიზნეს ორგანიზაციებში საქართველოს მასშტაბით. აგრეთვე, ტარდება კურსების ლექტორთა ლექცია-კონსულტაციები სხვადასხვა ეპარქიებსა და რაიონებში.

---

[1] შესაბამისი ინფორმაცია იხ.: გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“ 2007 წლის №№16,17,18,26,35,36 და 2008 წლის №№14,16,21; გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“ 2008 წლის №№6,9; ჟურნ. „დედაეკლესია“ №8, 2007 წ. და ინტერნეტის ვებ-გვერდი: www. orthodoxy.ge/info/2007-05-18.htm.

კურსების დამთავრებისას გაიცემა სათანადო მოწმობები მსმენელთათვის.

2007 წლის ნოემბრისათვის ფორმირებულ იქნა 1 სასწავლო ჯგუფი 50 ადამიანის შემადგენლობით.

მეცადინეობა დაიწყო 2007 წლის 1 დეკემბერს. ლექციები ტარდებოდა ყოველ შაბათს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ლავრაში 10.00 საათიდან 14.00 საათამდე.

სასწავლო წელი (სააუდიტორიო და პრაქტიკული მეცადინეობები) დამთავრდა 2008 წლის სექტემბერში.

2009 წლის ნოემბერში მეცადინეობას შეუდგება ახალი ჯგუფი, რომელშიც აქცენტი გაკეთებული იქნება საეკლესიო-სამონასტრო ეკონომოსების მომზადებაზე.

განვლილ პერიოდში მეცადინეობები ჩატარდა შემდეგი სასწავლო დისციპლინების (სდ) და პროფესიონალის ერთჯერადი ლექციების (პლ) მიხედვით:

1. **მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები (სდ).** ლექტორი – **გიორგი შიხაშვილი,** ეკონომიკის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი. თბილისის ქვაშვეთის ტაძრის სტიქაროსანი;
2. **წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) ეკონომიკის შესახებ და თანამედროვე საქართველო (სდ).** ლექტორი – **გიორგი შიხაშვილი;**
3. **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ (სდ).** ლექტორი – **გიორგი შიხაშვილი;**
4. **ბიზნესის საფუძვლები (სდ).** ლექტორი – **ეკატერინე გულუა,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი. თბილისის ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის მრევლი;
5. **ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა (სდ).** ლექტორი – **ნუგზარ სამხარაძე,** თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის ლექტორი, ეკონომისტი, თბილისის ქვაშვეთის ტაძრის ეკონომოსი;
6. **საერო სამართალი, საეკლესიო სამართალი და მისი სამეურნეო-მმართველობითი ასპექტები (სდ).** ლექტორი – **დავით ჩიკვაიძე,** საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, თბილისის ვაკის ყოვლადწმიდა სამების ტაძრის მედავითნე;
7. **სამეწარმეო სამართლის საფუძვლები (სდ).** ლექტორი – **როინ მიგრიაული,** სამართლის დოქტორი, საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორები"-ს ხელმძღვანელი პარტნიორი;
8. **ეკოლოგიური აგროწარმოება (სდ).** ლექტორი – **ლერი ჯალაბაძე,** ეკონომიკის დოქტორი, შპს „სანდო"-ს დირექტორი, „აგროსისტემის განვითარების ხელშეწყობის კავშირი"-ს აღმასრულებელი დირექტორი;
9. **პროექტისა და მისი პერსონალის მენეჯმენტი (სდ).** ლექტორი – **გიორგი შიხაშვილი,** ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი;
10. **საბუღალტრო აღრიცხვა (სდ).** ლექტორი – ვასილ კაციაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი. თბილისის ყოველადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძრის სტიქაროსანი.

სასწავლო გეგმის მიხედვით ჩატარდა ცალკეული საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობების და მნიშვნელოვანი საერო ეკონომიკური და ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლების ლექცია-კონსულტაციები (პლ – პროფესიონალის ლექცია):

- **საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები.** ლექტორი – **ვლადიმერ პაპავა,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კელეეის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
- **დემოგრაფიული სიტუაცია და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები საქართველოში.** ლექტორი – **ლეო ჩიქავა,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- **ეკონომიკური პრობლემები და ქართული დიასპორა.** ლექტორი – **იულონ გაგოშიძე,** დიასპორის საქმეთა მინისტრი;
- **წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) სარწმუნოებისა და ეკონომიკის შესახებ.** ლექტორი – **მღვდელ-მონაზონი იოანე კალანდია,** სოფ. სნოს წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვარი;
- **გარემოსდაცვითი საქმიანობის საფუძვლები.** ლექტორი – **გოჩა არონიშიძე,** გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, თბილისის ქვაშვეთის ტაძრის სტიქაროსანი;
- **საოჯახო მეურნეობრიობა და ხელსაქმე.** ლექტორი – **ნაზი რეხვიაშვილი,** თბილისის სიონის ტაძრის სამრევლო სკოლის კერვა-მოდელირების სასწავლო-საწარმოო ცენტრის ხელმძღვანელი;
- **ჯანდაცვის პრობლემები და ჰომეოპათია.** ლექტორი – **ლელა ხარაზოვა,** ექიმი.

კურსების მსმენელებისათვის პერიოდულად ეწყობა პრაქტიკული გასვლითი მეცადინეობები და ხდება დახმარების გაწევა საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობებში და მნიშვნელოვან საერო ეკონომიკურ და ბიზნეს ობიექტებზე.

ამ მიზნით, გურჯაანის და ველისციხის ეპისკოპოს ექვთიმესთან (ლეჟავა) შეთანხმებით კურსების ლექტორთა და მსმენელთა 30-კაციანი ჯგუფი 2007 წლის 24 ივნისს დასახმარებლად ეწვია ვეჯინის ლავრას, სადაც საჭირო იყო ტყეში მეწყერის შედეგად დაზიანებული წყლის სათავო ნაგებობის გაწმენდა ჩამოწოლილი მიწისაგან, სავალი გზის გაკაფვა და ლავრისათვის სასმელი წყლის მიწოდების მოწესრიგება. ჩვენმა მამაკაცებმა მთელი დღე ამ საქმეზე წარმატებით იმუშავეს, ხოლო დედაკაცები ლავრის დედათა მონასტერს დაეხმარნენ შიდასამეურნეო საქმიანობაში.

აგრეთვე, ხდება კურსების ლექტორთა ლექცია-კონსულტაციების ჩატარება სხვადასხვა რეგიონში. ამ მიზნით, ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოს სერფიმესთან (ჯოჯუა) შეთანხმებით კურსების ლექტორთა 5-კაციანი ჯგუფი 2007 წლის 1 ივლისს გასვლითი ლექციის და კონსულტაციების ჩასატარებლად ეწვია ბორჯომის ეპარქიას, სადაც 3 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ლექცია და საქმიანი საუბარი იქაურ სამღვდელოებასთან და მრევლთან, მოხდა მსმენელთა ჩაწერა კურსებზე და შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელიც ‘ბეისწაელის რაიონში საეკლესიო-სამონასტრო და საერო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს. **კერძოდ, 11 ივლისს წაღვერში ჩასვლისას მამა ზოსიმე გიორგაძესთან და მის სამრევლოსთან საუბრების შედეგად გადაწყდა:** 1) გაიშალოს მუშაობა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად რაიონში აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მიზნით და 2) კურსების პედაგოგმა ნაზი რეხვიაშვილმა წაღვერში შეასწავლოს მრევლს თექის მოთელვა და სხვა ხელსაქმე.

რამდენიმე გასვლითი ლექცია-კონსულტაცია ჩატარდა, აგრეთვე ხევისა და სტეფანწმინდის ეპარქიაში 2007-2008 წლებში.

კურსების საქმიანობის პირველი წარმატებული ნაბიჯებიდან და სამომავლო გეგმებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- ვითარდება შემოქმედებითი და საქმიანი ურთიერთობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფა-

კულტეტთან, საქართველოს საპატრიარქოს ჭყონდიდის, ბოლნისის, ხევისა და სტეფანწმინდის, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიებთან;

- 2008 წლის 13 აპრილს ბოლნისში მოეწყო ერთობლიეი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008";
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2008 წლის 30 მაისს მოეწყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 30 წლის და დაბადებიდან 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ერთობლიეი სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2008";
- 2008 წლის 25-30 იელისს მესტიაში მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008";
- მომავალში განზრახულია მოეწყოს ანალოგიური კონფერენციები საქართველოს სხვა ეპარქიებსა და რეგიონებში;
- დაწყებულია საქმიანი ურთიერთობა საქართველოს საზოგადოებრიე საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მესეეურებთან და „აგროსისტემის განვითარების ხელშეწყობის კაეშირთან";
- მიმდინარეობს მუშაობა საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს უნიეერსიტეტთან;
- მიმდინარეობს მუშაობა ეკლესია-მონასტრებისათვის ეკონომოსთა მომზადების სპეციალური საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშაებისათეის;
- მიმდინარეობს მოლაპარაკება მოძღერებთან, ღვთისმეტყველებთან, ცნობილ მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, იურისტებთან და წარმატებულ ბიზნესმენებთან მათს ორგანიზაციებში მსმენელებისათვის პრაქტიკული გასელითი მეცადინეობების და/ან მათ მიერ ჩეენს კურსებზე ერთჯერადი ლექციების ჩატარების მიზნით;
- მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა საქართველოს რაიონებში აგროსამეურნეო და სხვა საწარმოო ობიექტებზე მსმენელთა პრაქტიკული მეცადინეობებისათეის გაყვანის მიზნით;
- გამოსაცემად მზადდება სპეციალური ლიტერატურა კურსების მსმენელთათვის;
- განზრახულია მომზადდეს დოკუმენტური ფილმი, ფოტოალბომი, ეიდეოთეკა და სხვა მასალები, რომლებშიც აისახება კურსების საქმიანობა;
- მომავალში განზრახულია შეიქმნას: 1) კურსების საკონსულტაციო და ბიზნეს-ტრეინინგ ცენტრი, 2) კურსების რეგიონული ფილიალები, 3) მიტოეებულ სოფლებში კიბუცების მსგავსი სასოფლო-სამეურნეო დასახლებები (ქრისტიანული თემები);
- დაგეგმილია გამოიცეს ჟურნალი „რწმენა და საქმე".

მთლიანობაში, განვლილი პერიოდი და სამომავლო გეგმები გვიჩვენებენ წამოწყებული საქმის პირველ წარმატებებს და პერსპექტიულობას. კურსების მუშაობის შესახებ შემდგომი ინფორმაციების და მასალების გაცნობა დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაზეთების „საპატრიარქოს უწყებანის", „თბილისის უნიეერსიტეტის" ნომრებში და სხვა წყაროებში.

სპეცკურსების მიერ ორგანიზებული კონფერენციები

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“

„საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების ინიციატივით, თსუ რექტორის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საქართველოს საპატრიარქოს ბოლნისის ეპარქიისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრაქტიკული მხარდაჭერით, 2008 წლის 13 აპრილს, ბოლნისის კულტურის სახლში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“.

თავდაპირველად კონფერენციის მონაწილეები ბოლნისის წმ. გიორგის სახ. ტაძარში საკვირაო წირვას დაესწრნენ. ღვთისმსახურებას ეპარქიის მღვდელმსახური, მღვდელი ბასილ ახვლედიანი აღასრულებდა. აღსანიშნავია, რომ მამა ბასილი ეკონომიკის დოქტორია თეოლოგიური ეკონომიკის სფეროში (2009 წლის 14 მაისს მან დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება საქართველოში“). მოგვიანებით სტუმრებმა ბოლნისის კულტურის სახლის ფოიეში გამართული ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა დაათვალიერეს. ამის შემდეგ კონფერენციის სამეცნიერო ნაწილიც გაიხსნა.

მონაწილეები დალოცა და მიესალმა ბოლნისის ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). კონფერენციის მნიშვნელობასა და მიზნებზე ისაუბრა მამა ბასილ ახვლედიანმა, შემდეგ კი შესავალი სიტყვა – „სახელმწიფო და ეკლესია“ წარმოთქვა ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი დაუშვილმა; საზოგადოებას სიტყვით მიმართა ბოლნისის მაჟორიტარმა დეპუტატმა სოფიო ლარცულიანმაც. შემდეგ მოხსენება წაიკითხა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ჯამლეტ ჯანჯღავამ თემაზე: „ქრისტიანობა, უნივერსიტეტი, ეკონომიკა“. „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების შესახებ საზოგადოებას ერცლად ესაუბრა კურსების ხელმძღვანელი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი გიორგი შიხაშვილი; ხოლო თბილისის სასულიერო აკადემიის ლექტორმა ნუგზარ სამხარაძემ ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ წაიკითხა მოხსენება. საინტერესო გახლდათ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ ეთერ ხარაიშვილის მოხსენება – „აგრობიზნესის საფუძვლები“. ამავე ფაკულტეტის პროფესორმა ინეზა გაგნიძემ ისაუბრა კლასტერების როლზე საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. საეკლესიო სამართლის სამეურნეო-მმართველობით ასპექტებს ეხებოდა თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტის, დავით ჩიკვაიძის მოხსენება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პრობლემები განიხილა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორმა ეკატერინე გულუამ, ხოლო ამავე ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ აკაკი მიქაბერიძემ საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის განვითარებაში სტუდენტების როლზე წაიკითხა მოხსენება. დასასრულ საზოგადოებას შემაჯამებელი სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა ეფრემმა. სხვა მნიშვნელოვან მომენტებთან ერთად მან აღნიშნა, რომ „ეპარქიისა და კონფერენციის მონაწილეთა ერთობლივი ინიციატივის საფუძველზე დაგეგმილია წუღრუღაშენის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართული ქრისტიანული სოფლის (თემის) დაარსება, ეს იქნება საუკეთესო მაგალითი ქრისტიანული თანაცხოვრებისა და ეკონომიკური საქმიანობისა, ამავდროულად სოფლის მოსახლეობა გახდება ამ მონასტრის მრევლი და მათი ერთობლივი მოღვაწეობა ნიმუში იქნება იმისა, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს საქართველოს სოფლის მეურნეობა. ის იდეები და მოწოდებები, რაც დღეევანდელ კონფერენციაზე დაისახა, პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს ჩვენს მონასტრებში“.**

კონფერენციის სამეცნიერო განყოფილების დასრულების შემდეგ პრაქტიკული ნაწილის ჩატარების დროც დადგა. სტუმრებმა და მასპინძლებმა წუდრუღაშენის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე დარგეს ნერგები, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ცნობილი ლოცვა-კურთხევისამებრ, მიცვალებულთა და ახლობელთა სახელზე. შემდეგ, იქვე, მიტოვებულ დასახლებაზე შეირჩა ადგილი და დაიგეგმა ღონისძიებები ქრისტიანული სოფლის შესაქმნელად, რაც ასევე გამომდინარეობს პატრიარქის ლოცვა-კურთხევიდან.

დღის ბოლოს ეპისკოპოსმა ეფრემმა წუდრუღაშენის მონასტერში სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა. ამგვარად, ლოცვით დაწყებული, საეკლესიო და სამეცნიერო მოღვაწეთა ერთობლივი საქმე ისევ ლოცვით განსრულდა.

სამეცნიერო კონფერენცია
„ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2008“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობის ფარგლებში 2008 წლის 30 მაისს თსუ მაღლივ კორპუსში ჩატარდა **სამეცნიერო კონფერენცია** თემაზე: **„ქრისტიანობა და ეკონომიკა“**.

კონფერენციის ორგანიზატორებად მოგვევლინენ: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სპეციკურსები „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“. კონფერენციის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა, აგრეთვე, მიიღეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის წევრმა სტუდენტებმა.

კონფერენცია გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა **პროფ. ჯ. ჯანჯღავამ**. მან აღნიშნა: „უკვე ტრადიციად დამკვიდრდა თანამშრომლობა ფაკულტეტსა და თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიასთან არსებულ საღვთისმეტყველო ინსტიტუტს შორის. კერძოდ, მათი და საქართველოს საპატრიარქოს ბოლნისის ეპარქიის ძალებით ანალოგიური კონფერენცია ჩატარდა მიმდინარე წლის 13 აპრილს ბოლნისის კულტურის სახლში. მღვდელი ბასილ ახვლედიანი, ბოლნისის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მღვდელმსახური, ეპარქიის ეკონომოსი – თსუ დოქტორანტია. ფაკულტეტის პროფესორები კითხულობენ ლექციებს ზემოაღნიშნულ კურსებზე. მომავალში დაგემილია ანალოგიური კონფერენციების ჩატარება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა) თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია“.

დალოცვით და მისალმებებით დამსწრე საზოგადოებას მიმართეს სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა იეგუდიელმა (ტაბატაძე) **და ბოლნისის ეპისკოპოსმა ეფრემმა** (გამრეკელიძე). მათ ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობას და ისაუბრეს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: მეცნიერება, რელიგია, ეკონომიკა, შრომა, მოწყალება, საზოგადოებრივი სიკეთეები, ეკლესია-მონასტრების სამეურნეო საქმიანობა, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის როლი ეკლესია-მონასტრების სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანი წარმართვის საქმეში და სხვ.

პლენარულ სხდომაზე წაკითხულ იქნა შემდეგი საინტერესო და აქტუალური მოხსენებები:

„წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) ეკონომიკის შესახებ“ – მღვდელმონაზონი იოანე (კალანდია), სოფ. სნოს წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვარი; **„განათლების ორგანიზაცია საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის სფეროში“ – გ. შიხაშვი-**

ლი, თსუ ასოცირებული პროფესორი; „სამეურნეო საქმიანობის განვითარება სტეფან-წმინდისა და ხევის ეპარქიაში“ – არქიმანდრიტი იაკობი (იაკობიშვილი), აჩხოტის წმ. ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, ეპარქიის კეთილმოწესე; „საქართველოს ეკლესიის როლი მიგრაციის უსაფრთხოებაში“ – მ. ტუხაშვილი, თსუ პროფესორი; „ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები ბოლნისის ეპარქიაში“ – მღვდელი ბასილ ახვლედიანი, ბოლნისის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მღვდელმსახური, ეპარქიის ეკონომოსი, თსუ დოქტორანტი; „ზღვრული არჩევანის პრინციპი ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება“ – ი. გაგნიძე, თსუ პროფესორი; „ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა“ – ნ. სამხარაძე, თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის ლექტორი, თბილისის ქეაშვეთის ტაძრის ეკონომოსი; „ქრისტიანობა და ქველმოქმედება“ – გ. ერქომაიშვილი, თსუ პროფესორი; „რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ – მ. მეტრეველი, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომისიის წამყვანი სპეციალისტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი; „სასულიერო პირები ბუღალტრული აღრიცხვის სათავეებთან“ – ა. ჩეჩელაშვილი, თსუ მაგისტრანტი.

შესვენების დროს კონფერენციის მონაწილეები ეწვივნენ მაღლივ კორპუსში არსებულ წმ. გიორგის სახელობის სამლოცველოს. ამის შემდეგ დაიწყო კონფერენციის მეორე ნაწილი, რომლის დროსაც მომხსენებლებმა განსახილველად გამოიტანეს უაღრესად საინტერესო თემები, რომელთაგან აღსანიშნავია: „სასულიერო პირები ბუღალტრული აღრიცხვის სათავეებთან“, „რელიგიის გავლენა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე“, „ქველმოქმედება: სიკეთე თუ უკეთურება“, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ნაციონალური ეკონომიკური ინტერესების ფორმირებაში“, „ქრისტიანობა და ფიტომრეწველობის განვითარება საქართველოში“, „ეკონომიკის კონცეპტუალური საფუძვლები და ქრისტიანობა“ „რელიგიური სისტემები და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია“, „საქართველოს მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურის ცვლილება მე-20 საუკუნეში“, „ფულად-საკრედიტო სისტემა სარგებლის გარეშე“, „განათლება, ეკონომიკა, მეცნიერება და მართლმადიდებელი სარწმუნოება“, „ზნეობრივი ეკონომიკა – თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი მიმართულება“, „ქრისტიანობა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება საქართველოში“, „ეკონომიკა და ქრისტიანული მსოფლმხედველობა“, „ქრისტიანული მორალი და ბიზნესი“, „ქრისტიანობა და საქმიანი ურთიერთობები თანამედროვე ბიზნესში“. საკონფერენციო თემების ეს ჩამონათვალი ნათლად მიუთითებს განსახილველი პრობლემების დიდ აქტუალობაზე თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის.

კონფერენციის მუშაობაში, გარდა თსუ-ს მეცნიერებისა, მონაწილეობა მიიღეს ისეთი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, როგორიცაა: საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომისია, ჯანდაცვის სამინისტრო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“ მოეწყო 2008 წლის 25-30 ივლისს მესტიაში შემდეგი პროგრამის მიხედვით: ენგურჰესის დათვალიერება, ხუდონჰესის ტერიტორიის დათვალიერება, სოფ. ლატალის წმინდა ადგილების მოლოცვა და მესტიის მუზეუმების დათვალიერება, წირვა-ლოცვაზე

დასწრება მესტიაში საკათედრო ტაძარში, კონფერენციის სამეცნიერო სხდომა მესტიის კულტურის სახლში და საზეიმო კონცერტი, წირვაზე დასწრება კალაში და კვირიკობის დღესასწაულში მონაწილეობა, იფარის წმიდა ადგილების მოლოცვა, პრაქტიკული სამუშაოები ეპარქიის რეზიდენციაში და წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის მშენებლობაზე.

კონფერენციის გახსნისას მონაწილეებს მიესალმა და დალოცა მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა ილარიონმა (ქიტიაშვილი). შესავალი სიტყვით საზოგადოებას მიმართა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნინო ჯაფარიძემ.

განსახილველად წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები:

1. **„ქრისტიანობა და ეკონომიკა: უნივერსიტეტისა და ეკლესიის თანამშრომლობა“ – ჯამლეტ ჯანჯღავა,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
2. **„სამეურნეო საქმიანობის განვითარება მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში“ – ოღუმენი ეგნატე,** სოფ ლატალი;
3. **„ხუდონჰესის მშენებლობის პერიპეტიები საქართველოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური ისტორიის ფონზე“ – გიორგი შიხაშვილი,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების ხელმძღვანელი;
4. **„ქრისტიანობის მნიშვნელობა სვანეთის ეკონომიკისათვის“ – ერეკლე საღლიანი,** პოეტი, საზოგადო მოღვაწე;
5. **„ალტერნატიული ღირებულების პრინციპი ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება“ – ინეზა გაგნიძე,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების ლექტორი;
6. **„განათლება საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის სფეროში და „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ კონფერენციების მნიშვნელობა“. – ალექსი ნაკანი,** თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების მენეჯერი, ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალის PR-მენეჯერი, თბილისის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე;
7. **„სვანეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“ – ეთერ ხარაიშვილი,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების ლექტორი;
8. **„კერვა-მოდელირებისა და ხელსაქმის სწავლების ორგანიზაცია სამრევლო სკოლებში“ – ნაზი რეხვიაშვილი,** სიონის ტაძრის სამრეველო სკოლის კერვა-მოდელირების ცენტრის ხელმძღვანელი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების ლექტორი;
9. **„პროფესიული და სახელობო განათლება და ეკლესია“ – შორენა მიქავა,** პ. გუგუშვილის სახ. კოლეჯის დირექტორი;
10. **„ბიზნესის განვითარების პერსპექტივები მაღალმთიან რეგიონებში“ – ეკატერინე გულუა,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების ლექტორი;

11. „საეკლესიო თემის (კობუცის) როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში" – გიორგი ამუზაშვილი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეცკურსების მსმენელი;
12. „მცირე საოჯახო ბიზნესი – ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინა პირობა" – ნინო ტარყაშილი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეცკურსების მსმენელი;
13. „სვანეთის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები: სოფლის მეურნეობა და ტურიზმი" – გიორგი თოდუა, ზურაბ კახნიაშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კელეეებისა და პროექტების ცენტრის მენეჯერები, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეცკურსების მსმენელები;
14. „მართლმადიდებელი მრევლის ოჯახის ეკონომიკური გაძლიერების გზები და საშუალებები." – ლია ჩილინდრიშვილი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეცკურსების მსმენელი.

მთლიანობაში, კონფერენციებმა ხალხმრავლობისა და საზოგადოების დიდი დაინტერესების ვითარებაში ჩაიარა.

განზრახულია გვაქვს მომავალში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს ძალებით კვლავ ჩავატაროთ ანალოგიური კონფერენციები, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდება მეცნიერებისა და რელიგიის, უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშვილიშვილო საქმეში.

კურსების მსმენელთა მოსაზრებები „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეცკურსების საჭიროებისა და საქმიანობის შესახებ

ალეშანდრე საყვარელიძე:

ამ კურსებზე ჩემი მოსვლის მიზანია – დავიწყო ეკლესიური ცხოვრება. აქ მოსელამდე პრაქტიკულად არ დავდიოდი ეკლესიაში და თუ მიეაღწევ ჩემს მიზანს – დიდ მადლობას გადაეუხდი სპეცკურსების ხელმძღვანელს ბატონ გიორგი შიხაშვილს.

ზურაბ ჭინჭარაძე:

მე ვარ ინდმეწარმე და არ ვიყენებ დაქირაველებულ შრომას. მინდა გავხსნა სამუშაო ადგილები, მაგრამ არ ვიცი – როგორ. ვფიქრობ, რომ სათანდო განათლების მიღება შესაძლებელია ამ კურსებზე. განსაკუთრებით მაინტერესებს სამონასტრო ეკონომიკა. ძლიერი ოჯახი, ძლიერი ეკლესიაა.

ემზარ ძუპარაძე:

კურსებიდან მოველი, რომ მან პრაქტიკულად ხელი შეუწყოს ქრისტიანული მეურნეობის აღორძინებას, მრევლის სოციალური პრობლემების დაძლევას, ახალი სისტემის შექმნას ჩვენი ქვეყნის აგროსისტემის აღდგენა-განვითარებაში.

სასურველია დაფუძნდეს საზოგადოება, რომელიც კოორდინაციას გაუწევს აღნიშნული სფეროს განვითარებას.

ნათია არზიანი:

ჩემი სურვილია გაეცნო და შევისწავლო ქრისტიანული სწავლება შრომისა და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ და შესაბამისად მომავალში ამ მიმართულებით დასაქმება.

მზია ოძრომბელიშვილი:

მაინტერესებს საეკლესიო მეურნეობისა და მიწებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, ასევე, ეკლესიასთან ახალგაზრდების მოზიდვა და დასაქმების განხორციელება.

ნუნუ ტორონჯაძე:

მაინტერესებს სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის შესახებ ყველაფერი. ამ კუთხით ველოდები ახალი პროფესიის შეძენას და დასაქმებას.

თამთა დადეშელი:

ამ კურსებიდან მოველი ჩემი ცოდნის გაღრმავებას ეკონომიკის, ბიზნესის, მენეჯმენტის სფეროში. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ამ კურსებიდან მიღებული ცოდნით შეეძლებ ქართული საეკლესიო მეურნეობის განვითარების სფეროში ჩემი მცირეოდენი წვლილი შეეიტანო და სასიკეთო საქმე გავაკეთო.

გიორგი შაშიშვილი:

მადლობა უფალს, მადლობა პატრიარქს და მადლობა თქვენ, ასეთი შესანიშნავი გადაწყვეტილების მიღებისათვის. დიდად მოხარული ვარ ამ კურსებზე სწავლის უფლების მონიჭებისათვის.

ჩემი მიზანია: შეეიძინო იურიდიული, ეკონომიკური და მმართველობითი განათლება და გამოცდილება, სამონასტრო-სამეურნეო კომპლექსების მართვისა და აღორძინებისათვის. დარწმუნებული ვარ, ღვთის წყალობით, პატრიარქის წინამძღვრობით და თქვენი თანადგომით ჩემი და თქვენი საქმიანი ურთიერთობა შედეგიანად დასრულდება.

ირაკლი ოჩიბავა:

მაქვს სურვილი, მივიღო მონაწილეობა საქართველოს ეკლესიის სამეურნეო აღორძინება-გაძლიერების საქმეში. მივიღო ცოდნა და გარკვეულ წილად გამოცდილებაც ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობისა, საგადასახადო და სამართლებლივი აქტების შესწავლაში, ასევე საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობის შექმნა-განვითარების სფეროში. შესაბამისი საგნების კარგად შესწავლის შემთხვევაში, მაქვს სურვილი დავსაქმდე და გარკვეული ფორმით მონაწილეობა მივიღო ამ კეთილ საქმეში.

დავით აბულაძე:

მე აღფრთოვანებული და სიხარულით აღსავსე დაერჩი დღევანდელი შეხვედრით. უღრმესი მადლობა საპატრიარქოს, სასულიერო აკადემიას და ყველას, ვინც ამ პროექტისათვის იღწვის.

რაც შეეხება სასწავლო საგნებს, მე პირადად ძალიან მაინტერესებს მეფუტკრეობა, აგრეთვე ეკოლოგიური აგროწარმოება, ბიზნესის და სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა, პროექტების შედგენა და გრანტების მოპოვება.

ანასტასია (ნათია) ფარღანია:

მადლობა ღმერთს, რომ უწმინდესის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა ეს კურსები. იგი ხელს შეუწყობს ეკლესია-მონასტრების სამეურნეო განვითარებას, ვინაიდან იმედი მაქვს, ამ კურსებიდან გამოსული პროფესიონალები (და იმედია მათ შორის მეც ვიქნები) სათავეში ჩაუდგებიან ჩვენი ერის საყრდენ ეკლესია-მონასტრების აღორძინებას.

სამწუხაროდ, დღესდღეობით არის მონასტრები, რომლებსაც ასეთი პროფესიონალების არყოლის გამო არასახარბიელო სამეურნეო-ფინანსური მდგომარეობა აქვთ. ჩემი დიდი სურვილია, ჩემი სწავლით მცირეოდენი წელილი შევიტანო ამ ღვთისათვის სათნო საქმეში.

ეთერ ბურდული-დოლიძისა:

ჩემი ასაკის ადამიანს (58 წლის) მასულდგმულებს ტაძარი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ უმოქმედოდ ყოფნა არ ეგების. მინდა ვისწავლო თქვენთან, როგორ შეიძლება გაეაკეთო მცირე ბიზნესი, როგორ დავწერო პროექტი და კიდეე – შევძლო ადამიანების დახმარება.

ლია არეშიძე:

ვინაიდან ჩემი თაობა მოკლებული იყო იმ ცოდნას, რასაც ბიზნესი და მისი გაძღოლა ჰქვია, ამიტომ, სურვილი მაქვს მივიღო ამ სფეროში განათლება და მოველოდე ამ კუთხით დასაქმებასაც.

გულნარა თევზაძე:

როდესაც წავიკითხე განცხადება გაზ. „საპატრიარქოს უწყებანში", რომ სასულიერო აკადემიაში იხსნება კურსები ეკლესია-მონასტრების ეკონომიკის შესახებ, დიდი სურვილი გამიჩნდა მესწავლა ამ კურსებზე. საიდანაც მოველი შევისწავლო რაღაც ახალი, რაც დროს შეესაბამება. ანუ, კერძოდ – ბიზნესის შესახებ. მინდა გავხსნა „ერთგული მეგობრობის სახლი", რომლის მოგების 20% ქველმოქმედებას მოვახმარო.

ასმათ ძაპანაძე:

სურვილი მაქვს კურსების დახმარებით ხელი შეეწყოს ბიზნესის განვითარებას აპიტოთერაპიისა და ფიტოთერაპიის სფეროში.

ალეძსი ნაძანი:

უაღრესად საჭიროდ მიმაჩნია სპეცკურსებმა მოაგვაროს საეკლესიო-სამონასტრო ეკონომოსების მომზადება.

თემურ კობახიძე:

სკულის კანონის მიხედვით საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობებს უნდა უძღვებოდნენ ეკონომოსები, რომელთა მომზადება შეიძლება ჩვენს სპეცკურსებზე.

ცოდნის აკვანი

ზურაბ ჭინჭარაძე

ოდითგან ასე ეყრებოდა საფუძველი ყველა კეთილ საქმეს. ასე დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილმა დააარსა „ბუნებისმეტყველების“ ფაკულტეტი. დღეს არსებულ სასწავლებელთა უმრავლესობა ხომ აქედან გადაკიდებული სანთლებია.

„ერთს სანთელზე, რომ ათას სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე, პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა“ – წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისის სასულიერო აკადემია–სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტში ასეთი აკვანი დადგა პროფესორმა გიორგი შიხაშვილმა – სპეცკურსებისა „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“. წმ. ილია მართლის სიტყვებით რომ ვთქვათ – „აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია“.

ჩვენს კურსებზე ლექციებს კითხულობდნენ გამოცდილი ლექტორები და პრაქტიკოსი მუშაკები:

1. თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. გიორგი შიხაშვილი.
2. ბიზნესის საფუძვლები. ეკატერინე გულუა.
3. ეკოლოგიური აგროწარმოება. ლერი ჯალაბაძე.
4. საეკლესიო სამართლის სამეურნეო მმართველობითი ასპექტები. დაეით ჩიკვაიძე.
5. სამეწარმეო სამართლის საფუძვლები. როინ მიგრიაული.
6. პროექტისა და მისი პერსონალის მენეჯმენტი. გიორგი შიხაშვილი.
7. ეკლესია-მონასტრების სამეურნეო მმართველობითი საქმიანობა. ნუგზარ სამხარაძე და სხვა პროფესიონალები.

მართლმადიდებლობის წიაღში აღმოცენებული ეკონომიკური აზროვნება მომავალში უთუოდ კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

მაშ, გაუმარჯოს ამ ცოდნის აკვანს. დალოცვილი და ბედნიერი ყოფილიყოს ამ აკვანის დამდგმელი გიორგი შიხაშვილი, ლექტორები, პრაქტიკოსი მუშაკები, მოწვეული სტუმრები. სამშობლოს საკეთილდღეოდ აქ აღზრდილი, ცოდნით გამდიდრებული, განათლებული მამულიშვილები, ქრისტესმიერი სიყვარულით შეერთებულნი, თაეიანთ უფროს კოლეგებთან ერთად სამშობლოს სამსახურში მდგარიყვნენ, შთამომაელობას ეამაყოს და მიებაძოს მათთვის.

თავი II. ლექციების კურსი „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვა“ – ცალკეული სასწავლო დისციპლინების მიხედვით

1. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები

(დეკანოზი ბასილ ახელედიანი, გიორგი შიხაშვილი)

ბიბლია, ეკონომიკა, მეცნიერება

ბიბლიის სამეცნიერო-ეკონომიკური მოძღვრება გვასწავლის:[1]

1. „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავ. 2, 6);
2. „სიბრძნეც დაიფარაეს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს“ (ეკლ. 7, 12);
3. „იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ“ (იოან. 6, 27);
4. „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (2 თეს. 3, 10);
5. „ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა“ (1 ტიმ. 6, 10).

ზოგადსაკაცობრიო სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა საგანძურში ზეაღმატებული ადგილი უკავია ბიბლიას, რომელშიც ასახულია მთელი სამყაროს და მისი ყოველი შემადგენელი ნაწილის (მათ შორის, ეკონომიკის) საწყისი, ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი, საზოგადოებრივი განვითარების, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობისა და ყოველი ინდივიდის არსებობის ზოგადი კონცეპტუალური საფუძველი და პრაქტიკული მოქმედების მეთოდოლოგია.

წმ. იოანე ოქროპირი ბიბლიის შესახებ ამბობს: „საღმრთო წერილის სულ მოკლე გამონთქვამებშიც კი შეგვიძლია უდიდესი ძალა მოვიძიოთ და აზრთა გამოუთქმელი სიმდიდრეც“.[2]

წმინდა წერილის სიბრძნე „ხსნის ჩვენი სულის უფაქიზეს შრეებს, თვალნათლიე გვიჩვენებს შედეგს ცოდვისა და ბოროტებისა, შედეგს სიყვარულისა და სიკეთისა, გვიჩვენებს მარადიულ და წარმავალ ღირებულებებს, – განგვიმარტავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მოგვიწოდებს ყველას: „თქვენი ყოველდღიური თანამგზავრი უნდა გახდეს წიგნი და მათ შორის უპირველესი წიგნი – ბიბლია“.[3]

ბიბლიის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება უფლისმიერად დადგენილ-მოწოდებულია – თეორიულ-მეთოდოლოგიურად და პრაქტიკულად უზრუნველყოს საზოგადოების ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

---

[1] ბიბლიური ტექსტები და ციტატები (მრგვალ ფრჩხილებში – წიგნების, თავებისა და მუხლების მითითებით) წინამდებარე ნაშრომის ყველა ტექსტში მოტანილია წიგნებიდან: 1) ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბ., 1989; 2) ახალი აღთქმა. დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგეაძემ. მთ. რედ. ლ. ნადარეიშვილი. თბ., 2004; 3) ბიბლია. მცხეთური ხელნაწერი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. დოჩანაშვილმა. რედ. ზ. სარჯველაძე. ტ. 1-5, თბ., „მეცნიერება“, 1981, 1982, 1983, 1985, 1986; 4) ახალი აღთქუმაი. დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. შემდგენელ-გამომცემელი მღვდელი გიორგი სამსონიძე. თბ., 2003 .

[2] ციტირებულია წიგნიდან: ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია. ეკლესიის მამათა გამონათქვამები. შემდგენელი გ. კალანდაძე. თბ., 2007, გვ. 79-80.

[3] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბ., „გეოკერია“, 2004, გვ.13.

წმინდა წერილის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრებისა და მისგან გამომდინარე თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სისტემა ბიბლიური პარადიგმების, კონცეფციებისა და პრინციპებისა, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. „ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1,1);
2. „უფლისა არის ქეყნიერება და საესება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი“ (ფს. 23,1-2);
3. „შენია უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთაერად. სიმდიდრე და დიდება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელშია ყოველივეს განდიდება და განმტკიცება“ (1 ნეშტ. 29,11-12);
4. „გახარებთ, რათა ...ცრუ ღვთაებებიდან ცოცხალი ღმერთის მიმართ მიიქცეთ, რომელმაც შექმნა ცა, მიწა, ზღვა და ყოველივე ის, რაც მათშია, და რომელმაც გარდასულ თაობებში ნება უბოძა ყველა ხალხს, თავიანთი გზით ეელოთ“ (საქმე 14, 15-16);
5. ღმერთი, სამყაროსა და ყოველივე სამყაროულის შემოქმედი, ცისა და მიწის უფალი, ხელთქმნილ ტაძრებში როდი მკვიდრობს. და არ მოითხოვს მსახურებას კაცთა ხელით, თითქოს რაიმე სჭირდებოდეს, არამედ ყველას თვითონ ანიჭებს სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს. ერთი სისხლისაგან შექმნა მან კაცთა მთელი მოდგმა, რათა დამკვიდრებულიყვნენ მთელი დედამიწის ზურგზე, და დააწესა მათი დამკვიდრების უამნი და ზღვარნი. რათა ეძიათ ღმერთი, იქნებ როგორმე შევიგრძნოთ ან მიეაკვლიოთო, თუმცა შორს როდია თვითეული ჩვენგანისაგან. ვინაიდან მასში ეცოცხლობთ, ვიძერით და ვარსებობთ“ (საქმე 17, 24-28);
6. „უფალი იძლეეა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავ.2,6);
7. „სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს“ (ეკლ. 7, 12);
8. „კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა“ (ეკლ. 5, 18);
9. „აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეულობას ადამიანის სამსახურებლად, რათა გამოიღოს პური მიწისაგან“ (ფსალმ. 103, 14);
10. „გაეა ადამიანი, რათა იშრომოს და იმუშაკოს მწუხრის ჟამამდე“ (ფსალმ. 103, 23);
11. „ჩვენი ბეღლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით. ცხვარნი ჩვენნი ათასობდნენ, ათიათასობდნენ ჩვენს საძოვრებზე“ (ფსალმ. 143, 13);
12. „ბედნიერია ის კაცი, ვინც ჰპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა! რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი – ხალას ოქროს“ (იგავ. 3, 13, 14);
13. „გამაგრდი, მთელო ქეყნის ერო! ამბობს უფალი, და იშრომეთ, რადგან თქვენთანა ვარ, ამბობს ცაბაოთ უფალი. ჩემია ვერცხლი და ჩემია ოქრო, ამბობს ცაბაოთ უფალი“ (ანგ. 2,4,8);
14. „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ (მათ. 22,21);
15. ეს ხელები შეელოდნენ ჩემს გასაჭირს და მათსასაც ვინც იყვნენ ჩემთან. ყოველნაირად გიჩვენეთ თქვენ, რომ ამნაირი შრომით უნდა შეეწიოთ სნეულთ, და გახსოვდეთ უფლის იესოს სიტყვები, რადგანაც თავად თქვა: უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო“ (საქმე 20, 34-35);
16. „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (2 თეს. 3,10);
17. „ღირსია მაშერალი თავისი საზღაურისა“ (ლუკ. 10,7);
18. „იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ“ (იოან. 6,27);
19. „ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდია სარგო. ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე ეერაფერი დამიმონებს.

საჭმელი მუცლისათვის და მუცელი საჭმლისათვის, მაგრამ ღმერთი ერთსაც შემუსრავს და მეორესაც. სხეული კი არა სიძვისათვის, არამედ უფლისათვის, ხოლო უფალი – სხეულისათვის" (1 კორ. 6, 12-13);

20. „ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა" (1 ტიმ. 6,10);
21. „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან" (ლევ. 25,23);
22. „არც ერთ მღვდელს და ლევიანს, არც მგალობელს და შეწირულ კარისკაცს ამ ღვთის სახლში მომსახურეს, არ დაეკისროს არც ხარკი, არც გადასახადი და არც ბეგარა" (1 ეზრ. 7,24);
23. „როცა ისრაელიანთაგან აიღებთ მეათედს, რომელიც თქვენთვის მაქვს მათგან მოცემული თქვენს სამკვიდროდ, უფალს გადაუხადეთ მისგან ღალა – მეათედი მეათედიდან; ...მისგან გადაუხდით საუფლო ღალას აარონ მღვდელს" (რიცხ. 18,26,28);
24. „ნუ დაჩაგრავ მოჯამაგირეს და ღარიბ-ღატაკს, შენი მოძმე იქნება ის თუ შენს ქეყანაში, შენს კარზე მცხოვრები მდგმური. თავის დროზე გადაუხადე გასამრჯელო და ნუ დაუცდი მზის ჩასვლას, რადგან ღარიბია იგი და შენი იმედი აქვს; არ გიჩივლოს უფალთან და ცოდვა არ დაგედოს"(რჯლ. 24,14,15);
25. „ღარიბს ნუ წაართმევ, რადგან ღარიბია იგი; ბეჩავს კარიბჭესთან ნუ დაჩაგრავ; რადგან უფალი გამოესარჩლება მათ და მის მძარცველთა სულს გასძარცვავს" (იგავ. 22,22-23);
26. „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან" (მათ. 5,7);
27. „უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო" (საქმე. 20,35);
28. „მძლეველს სვეტად აღვმართავ ჩემი ღვთის ტაძარში, და აღარ გავა გარეთ; და დავაწერ მას სახელს ჩემი ღვთისას, სახელს ჩემი ღვთის ქალაქის – ახალი იერუსალიმისას, ზეცით რომ ჩამოდის ჩემი ღვთისაგან, და ჩემს ახალ სახელს" (გამოცხ. 3, 12).

ეს ბიბლიური სიბრძნე ნათლად გვიჩვენებს, რომ ადამიანის ცხოველქმედების პროცესში გამორჩეული ადგილი სამეურნეო-მმართველობით საქმიანობას უკავია, იგი საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ბიბლიური სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრების მიხედვით, კაცობრიობა და საარსებო გარემო, ეკონომიკური პოტენციალის ჩათვლით, ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა პროცესი, მათ შორის, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობაც, საღვთო ნების, განმგებლობის, ზრუნვის, განჩინებებისა და დაშვების საფუძველზე მიმდინარეობს.

ბიბლიის სოციალურ-ეკონომიკური თემატიკა და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის საფუძვლები ასახულია მიმდინარე ამბებსა და მოვლენებში, ღმერთის ქმედებებსა და სასწაულებში, იესო ქრისტეს ქადაგებებში, საუბრებში და იგავებში.

ბიბლიის მიხედვით მთელი სამყაროს, დედამიწის, გლობალური და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პროცესების, ყოველი ცალკეული სახელმწიფოს, ორგანიზაციის, საწარმოს, ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის შემოქმედი, განმგებელი და მმართველი არის უფალი ღმერთი.

ბიბლიაში გადმოცემულია ღვთაებრივი მმართველობის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც უმთავრესი თეოლოგიური სამეურნეო-მმართველობითი პრინციპი არის ის, რომ ეკონომიკურ პროცესებს (გლობალურ, რეგიონულ, მაკრო და მიკროეკონომიკურ დონეებზე) მართავს უზენაესი განმგებელი, უფალი-ყოვლისამპყრობელი.

რუსი მეცნიერ-ეკონომისტი ვ. კანდალინცევი წერს, რომ ღმერთი სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს მართავს ისეთი მეთოდებით, როგორიცაა:[1]

[1] Кандалинцев В. Политическая экономия Библии. М.,«Инком Полиграф», 1999, с.7.

ბიბლიური კანონი, ანუ ადამიანების ნებისმიერი საქმიანობის, მათ შორის, სამეურნეო-მმართველობით ქმედებათა ღვთივგამოცხადებული წესების საუალდებულო კრებული;

ლოცვა-კურთხევა, – ღმერთის მიერ ადამიანისთვის ბოძებული განსაკუთრებული უნარი და შესაძლებლობები, რაც აუცილებელია სამეურნეო-მმართველობითი მიზნების მისაღწევად;

დახმარება, – შეგონების, სწავლების, ხელმძღვანელობის მეშვეობით;

იმპერატიული ზემოქმედება, – ადამიანში მიზნის მიღწევისა და სათანადო ქმედებისადმი მისწრაფების წარმოქმნის სახით;

- შეკავება, – შიგა და გარე რესურსების მოკლება-ჩამორთმევის საფუძველზე.

ბიბლიაში სიღრმისეულად არის ასახული მრავალფეროვანი სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა, სახელდობრ: ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების გზები, წარმოების და მართვის აუცილებლობა, საკუთრება, შრომა, ეკონომიკის ცალკეული დარგები (მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ეაჭრობა, განათლება და სხვა.), მოგება, გადასახადები, ფული და სარგებელი, სიმდიდრე, მართვა, დაგეგმვა, აღრიცხვა, ეფექტიანობა, ეკონომიკურ-მმართველობითი ურთიერთობები ოჯახში, ეკონომიკა და ეკლესია, წარმოება და ბუნებრივი გარემო, ეკონომიკა და ომები, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და სხვა.

აღნიშნული თემატიკა გადმოცემულია სამეცნიერო კვლევისათვის მიღებული და აუცილებელი ისეთი ფორმებით, როგორიცაა:

- დოგმატურ-საღეთისმეტყველო დებულებები და საღმრთო განჩინებები;
- საღვთო და საერო აზროვნება-მოქმედებათა სინერგია;
- ზოგადიურიდიული და სამეურნეო სამართლის ნორმები;
- მეცნიერული კვლევა და მსჯელობა;
- სოციალურ-ეკონომიკური აზრის და სამეურნეო ცხოვრების ისტორია;
- ცალკეული მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მოვლენები;

სამეურნეო-პრაქტიკული და მმართველობითი საქმიანობის მეთოდები.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვასწავლის: „მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას“.[1]

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს ბიბლიის უზენაეს თეორიულ-მეთოდოლოგიურ ღირებულებას და მისი მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობა-აუცილებლობას სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო პროფილის მკვლევართათვის.

ბიბლიის გავლენით საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის საფუძვლები – ეკონომიკა, სამართალი, მეცნიერება, განათლება, კულტურა, დემოკრატიული იდეალები, ადამიანის უფლებათა კონცეფციები. ევროპის უდიდესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მოღვაწეების საქმიანობა ბიბლიური იდეებით იყო განმსჭვალულ-შთაგონებული.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური წინსვლის ეპოქამ თითქოს ჩრდილში მოაქცია რწმენა, ბიბლია და მისი იდეალები, მაგრამ ცივილიზებული მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, მეწარმეები და სახელმწიფო მოღვაწეები თვალნათლივ

---

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბილისი, „ბეოკერია“, 2004, გვ. 4.

გვირჩევენენ ასეთი გარემოების მორჩენებითობას და მცდარობას. მოვიხმოთ ზოგიერთი მათგანის გამონათქვამები ამის შესახებ.

ალბერტ აინშტაინი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი: „რაც უფრო მეტ აღმოჩენებს აკეთებს მეცნიერება ფიზიკურ სამყაროში, მით უფრო მეტად მივდივართ დასკვნებამდე, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რწმენით".[1]

მაქს ბორნი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი: „მეცნიერება სწავლულს ბევრ მორალურ და ეთიკურ მოთხოვნას უყენებს. თუ მეცნიერს სწამს ღმერთი, ეს მას უადვილებს პრობლემას. მეცნიერს უნდა ჰქონდეს დიდი მოთმინება და მორჩილება, ამ თვისებებს კი მას რელიგია აძლევს".[2]

ალფ ბიერკე, ნორვეგიის ბიერკეს საღებავების კორპორაციის პრეზიდენტი: „თანამედროვე მეცნიერებამ ვერ მოკლა ბიბლიის ფუნდამენტური ჭეშმარიტებები. მე მწამს ღმერთი, იესო ქრისტე, მე მწამს ბიბლია".[3]

ჯორჯ ვაშინგტონი, ამერიკის 1-ლი პრეზიდენტი: „შეუძლებელია მართო ქვეყანა და მსოფლიო ღმერთის და ბიბლიის გარეშე".[4] **ამ აზრს ანვითარებს უილიამ მაკკინლი, ამერიკის 25-ე პრეზიდენტი:** „ჩვენ ვალდებული ვართ შევისწავლოთ ბიბლია, ოღონდ არ უნდა შემოვიფარგლოთ ამით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იგი ცხოვრებაში",[5] **ხოლო თეოდორ რუზველტი ამბობდა:** „თითქმის ყველა ადამიანი, რომელთა საქმიანობას შედეგი მოჰქონდა, თავის ცხოვრებისეულ გზას ბიბლიურ სწავლებაზე ამყარებდა".[6]

როგორი საზომებითაც არ უნდა მივუდგეთ ბიბლიას, იგი სრულიად უნიკალური წიგნია. ბიბლიური თხრობა იწყება სამყაროს შექმნით, პირველი ადამიანების ყოფა-ცხოვრებით და მთავრდება რომაული კულტურის ეპოქით. ბიბლიის ყველაზე გვიანდელი წიგნებიც კი თითქმის ორი ათასი წლისაა. **მიუხედავად ასეთი სიძველისა, ბიბლია** დღესაც უაღრესად აქტუალურია. ასეულობით მილიონი ადამიანი დღევანდელ ეპოქაშიც ეწაფება და ცხოვრებაში იყენებს ბიბლიურ სიბრძნეს. ამას საფუძვლად უდევს ღვთაებრივი მოძღვრების ჭეშმარიტება, სიწმინდე, უბერებლობა და ყოვლისმომცველობა.

ეკონომიკური თეორია და მართლმადიდებლობა

თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყ-ნებში ოფიციალურად მიღებულ ეკონომიკურ თეორიებსა და პრაქტიკულ სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში თითქმის სრულიად არის უგულებელყოფილი უფალი ღმერთი, ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები. ამის გამო დღევანდელი საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანს უმეტესად ამქვეყნიური სიამოვნების (ჰედონიზმი), ბედნიერების (ევდემონიზმი), მატერიალური დოვლათისა და მაქსიმალური ფულადი მოგების ნებისმიერი საშუალებით მიღება წარმოადგენს. **ასეთ საფუძველს დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირება კი სიმდიდრის გაღმერთებას, ცოდვების საყოველთაო გაბატონებას და საზოგადოების სულიერ დაცემას იწვევს, რაც იმქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანთა საბოლოო წარწყმედას განაპირობებს.**

საზოგადოების ნაწილის, მათ შორის, ეკონომისტების მორწმუნეობა განაპირობებს ადამიანის სამეურნეო საქმიანობის თეოლოგიური (ქრისტიანული) გააზრების მოთხოვნი-ლებას და სათანადო თეორიულ-პრაქტიკული საკითხების დამუშავება-განხორციელების შესაძლებლობას. **დღის წესრიგში დგება ქრისტიანული სარწმუნოების და ეკონომიკის**

---

[1] Мы верим. Говорят современные учёные о вере в Бога. 1988, с. 41.
[2] იქვე. გვ. 35.
[3] იქვე. გვ 14.
[4] Библия опережает науку на тысячи лет. Ред. В. Губанов. М., 1996, с. 130.
[5] იქვე. გვ 131.
[6] Библия и наука. Ред. П. Харчлаа. Ашфорд. США, с. 97.

ღვთიეადგენილი კავშირურთიერთობების შესწავლა-გამოყენების აქტუალური საკითხი. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში თავისი წვლილის შეტანა ქრისტიან ეკონომისტებთან ერთად ყველა დაინტერესებულ და კომპეტენტურ ადამიანს შეუძლია.

საზოგადოებრიეი წარმოების უღმერთობა (ათეიტური გააზრება) დღეისათვის თითქმის მთელი კაცობრიობისათვის არის დამახასიათებელი. ამიტომ აუცილებელია ასეთი სიტუაციის ღვთივსულიერი მეცნიერული ანალიზი და ეკონომიკური განვითარების ქრისტიანული გზების ძიება როგორც მთელი მსოფლიოს, ასევე ცალკეული ქვეყნების მასშტაბით. სოციალიზმის პერიოდში ქრისტიანული სარწმუნოების საყოველთაო დევნა-დამცირების ეპოქამ ადამიანებს საღვთო ჭეშმარიტების გააზრების სურვილი, უნარი და საშუალება დააკარგვინა. საბჭოთა საქართველოს ეკონომისტები ულეთო კატეგორიებით აზროვნებას და მხოლოდ ამქვეყნიურზე ფიქრს მიაჩვიეს. შესაბამისად ფუნქციონირებდა ეკონომიკაც.

დღეისათვის, დემოკრატიზაციის პირობებში, უკვე შესაძლებელი და აუცილებელია ტრადიციული, ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება, ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღდგენა-განვითარება.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ქრისტიანული გააზრებისა და ამ საფუძველზე საქართველოს ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვა-გამგეობის კონკრეტული გზების განსაზღვრის საკითხებს.

ეკონომიკა ამქვეყნიური ცხოვრების მატერიალური საფუძველი და უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის უფლისათვის სათნოდ წარმართვა უზრუნველყოფს ჩვენთვის მიწიერ სიხარულს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ზეციური ნეტარების მოპოვებას.

სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში პირდაპირ თუ ირიბად ჩაბმული არიან ცალკეული ადამიანები, ყოველი ოჯახი და ნებისმიერი ორგანიზაცია. ეკონომიკის ავკარგიანობაზე არის დამოკიდებული საზოგადოების ყველა ფენის და მთელი სახელმწიფოს არსებობა, სამეურნეო საკითხებით დაინტერესებულია ეკლესიაც. **ამიტომ ნაშრომში ასახული მოსაზრებები და დებულებები თანაბრად არის განკუთვნილი თეოლოგების, სასულიერო პირების, ეკონომისტების, ბიზნესმენების, მენეჯერების, მეცნიერების, პროფესორების, სტუდენტებისა და ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის, მიუხედავად პროფესიისა და სოციალური მდგომარეობისა.** ამავე დროს, თემატიკის ეკონომიკური ორიენტაცია თავისთავად გულისხმობს მისდამი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ეკონომისტების მომეტებული ყურადღების გამახვილების საჭიროებას.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის თეორიული საფუძვლების მართლმადიდებლური გააზრებისათვის აუცილებელია ქრისტიანულ ლიტერატურაში ასახული სამეურნეო-მმართველობითი თემატიკის სათანადო შესწავლა.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ყოველი ადამიანისათვის ღმერთს დადგენილი აქვს ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების ეტაპები. ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის, აქედან გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულება და მისი მიწიერი ცხოვრების მიზანი. მართმადიდებლური კატეხიზმო გვასწავლის: „კაცის დანიშნულება ის არის, რომ განაეითაროს ღვთისაგან მონიჭებული ძალი და ნიჭი და, რაოდენადაც შესაძლებელია შეზღუდულის არსებისათვის, მიაღწიოს სისრულეს და ღვთის მსგავსებას, მიიღოს რაოდენადაც შეიძლება, მეტი მონაწილეობა საუკუნო საღმრთო ნეტარებაში. სულ უკანასკნელი მისწრაფება კაცისა არის ღმერთი, ერთობა ანუ ცხოველი კავშირი ღმერთთან. მაგრამ კაცი შესდგება არა მარტო სულისაგან, არამედ ხორცისაგანაც. აქედან ცხადია, რომ თავის დანიშნულებას

კაცმა უნდა მიაღწიოს მიწის და ქვეყნის დახმარებით. ხილული ქვეყანა ასწავლის კაცს სულის ამაღლებას ღვთისადმი".[1]

მიწიერი ცხოვრების განმავლობაში ადამიანი მუდმივად უნდა ადიდებდეს ღმერთს და ზრუნავდეს სულიერი სრულყოფისათვის: „...იყავით თქვენ სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი" (მათ. 5,48) — გვმოძღვრავს მაცხოვარი. პაველ მოციქული ამბობს: „მი

ნაც ვიცით, რომ თუ ეს ჩვენი მიწიერი სახლი, თუ ეს კარაეი დაინგრევა, ღმერთის მიერ გვაქვს სასახლე ცაში, ხელთუქმნელი და მარადიული" (2 კორ. 5,1) — წერს პავლე მოციქული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის საბოლოო მიზანს ადამიანის ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნა უნდა წარმოადგენდეს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც გამუდმებული სულიერი სრულყოფის მეშვეობით ცათა სასუფეველში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს.

ეკონომიკურ საქმიანობა'ში სარწმუნოებრივი საფუძვლების გაუთვალისწინებლობა იწვევს სულისმომაკედინებელი ანგარების და მისგან გამომდინარე ვერცხლისმოყვარეობის აღზევებას, რომელიც პავლე მოციქულის თქმით, ყოველგვარი ბოროტების ფესვს წარმოადგენს (1 ტიმ. 6, 10). ამის გამო გამრავლდება და გაბატონდება სხვა ისეთი დამღუპველი ცოდვები, როგორიცაა: ამპარტავნება, დიდებისმოყვარება, სიძეა-სიბილწე, ნაყროვანება, მემთვრალეობა, შური, მრისხანება და სხვ. ასეთი გარემოება კი ადამიანებს ცოდვის მონებად გადააქცევს, საზოგადოებას დაასნეულებს და ქვეყნის დაღუპვას გამოიწვევს.

იციან რა ანგარებისა და ვერცხლისმოყვარეობისათვის დამახასიათებელი ყოვლისწამბილწველობის უნარი, გლობალიზაციის პროცესების წარმმართველი ზოგიერთი ანტიქრისტიანული და ანტიუმანური ძალები თავის არაკეთილსინდისიერ საქმეებში სწორედ ეკონომიკურ მეთოდებს და ფულს იყენებენ მათსავე მიერ გეგმაზომიერად გალატაკებული მასების დასათრგუნავად. შედეგად, დღევანდელ ცივილიზებულ თუ არაცივილიზებულ მსოფლიოში თითქმის სრულიად გამეფდა მამონას, ანუ ფულისა და სიმდიდრის წარმართული ღვთაების კერპი, რომლის თაყვანისცემის გამოც მრავალი ადამიანი, როგორც ღარიბი, ასევე მდიდარი, ცოდვის მონად და შურიან, ბოროტ არსებად გადაიქცა. ამასთან დაკავშირებით პავლე მოციქული გვეუბნება, რომ უკეთური გზით „გამდიდრების მოსურნენი საცდურის მახეში ებმებიან, და მრავალი შლეგური, მაენე და კაცთა დამღუპველი და წარმწყმედი გულისთქმის ტყვენი ხდებიან" (1 ტიმ. 6, 9). ამასთან, ცოდვილთა გონს მოყვანის მიზნით იგივე მოციქული ადამიანებს აფრთხილებს, რომ ყველანი უნდა წარვსდგეთ უფლის სამსჯავროს წინაშე, რათა უზენაესმა „თვითეულს მიაგოს კუთვნილი იმის მიხედვით, თუ რას იქმოდა, სხეულში მყოფი, კეთილს თუ ბოროტს" (2 კორ. 5, 10). სამსჯავროს შემდეგ კი უფლის განგებით წაველენ ცოდვილნი „საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი — საუკუნო სიცოცხლეში" (მათ. 25, 46).

ყოველივე ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ საქართველოს ჯვშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისაკენ შემობრუნება. საჭიროა ეკონომიკის ფუნქციონირების ამქვეყნიურად აუცილებელი, მართლმადიდებლური ზნეობით დასაშვები ფორმების, მიმართულებების და მასშტაბების განსაზღვრა, ამ სფეროში ცოდვა-დანაშაულთა აღკვეთის გზების დადგენა და ამით ადამიანთა და ერის სულიერი გადარჩენის პერსპექტივების გააზრება. დღის წესრიგში დგება სხვადასხვა ათეისტური, მამონას კერპზე და ფულზე ორიენტირებული ეკონომიკური თეორიების ღვთივსულიერი, ადამიანის სიყვარულზე ორიენტირებული ქრისტიანული ეკონომიკური თეორიით კანონზომიერი და აუცილებელი შეცვლის აქტუალური საკითხი.

ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლები ღვთივდადგენილად არის გადმოცემული ბიბლიაში.

ადამისა და ევას კურთხევისას ღმერთმა უთხრა მათ: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, ააესეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს" (დაბ. 1,28). ჯერ კიდევ ევას შექმნამდე „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშაებლად და დასაცავად" (დაბ. 2,15). ღმერთის მცნების დარღვევისთვის ადამი და ევა დაისაჯა;

უფალი ეუბნება ადამს: „ ...მიწა დაიწყეველოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ...პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე" (დაბ. 3,17,19). ადამის და ევას პირველი შვილი კაენი მიწის მუშაკი იყო, ხოლო მეორე შვილი აბელი – მეცხვარე (დაბ. 4,2).

აქედან ჩანს, რომ უკვე პირველ ადამიანებს ამქვეყნიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად დმერთმა შრომა, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა დაუწესა. შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ისე სხვა ადამიანების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. პავლე მოციქულის თქმით „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს" (2 თეს. 3,10).

მარადმადიდებლური სარწმუნეობის მიხედვით, შრომა, გარდა მიწიერი ცხოვრების უზრუნველყოფის საშუალებისა, საუკუნო სიცოცხლის მოპოვების პირობაცაა, ეინაიდან ცნობილია რომ უქნარები ვერ მოიპოვებენ ცათა სასუფეველს. **მიტროპოლიტი ინოკენტი გვასწავლის:** „ზეციურ სასუფეველში არის ყველაზე დიდი ნეტარება, უმაღლესი დიდება და ღირსება, ულევი სიმდიდრე და ამიტომ თუ მცირე და მწირი წარმავალი მიწიერი სიმდიდრისათვის დიდი შრომა და გარჯაა საჭირო, მაშ როგორ შეიძლება მიიღო შრომის გარეშე ულევი სიმდიდრე?

ზეციური სასუფეველი არის უმაღლესი ჯილდო და სად იძლევიან ჯილდოს უბრალოდ და არაფრისათვის? ამიტომ თუ მიწიერი და დროებითი ჯილდოსათვის საჭიროა შრომა და მოღვაწეობა, მითუმეტეს საჭიროა გარჯა ზეციური და საუკუნო წყალობის მისაღებად".[1]

სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეოლოგიურ-მართლმადიდებლური გააზრების საქმეში მნიშვნელოვანია XX საუკუნის დასაწყისში რუსი სასულიერო პირების, მეცნიერებისა და ღვთისმეტყველების შემოქმედება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოლიტიკური ეკონომიის დოქტორის, პროფესორის, დეკანოზ სერგი ბულგაკოვის (1871-1944) 1912 წელს გამოქვეყნებული ფუნდამენტური ნაშრომი „მეურნეობის ფილოსოფია".[2] მასში თეოლოგიურ ჭრილში განხილულია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: მეურნეობრიობის ფილოსოფიის პრობლემები; თანამედროვე ეკონომიზმი; მეურნეობის თეორიის ნატურფილოსოფიური საფუძვლები; ძირითადი სამეურნეო ფუნქციების მნიშვნელობა; მეურნეობის ტრანსცენდენტული სუბიექტის შესახებ; მეურნეობის სოფიურობა; სოციალური პოლიტიკის პრობლემა; მეურნეობის სული; პიროვნება მეურნეობაში; მეურნეობის ფენომენოლოგია; სიმდიდრის ცნების პირობითობა; პოლიტიკური ეკონომიის პრობლემა; ეკონომიკური მატერიალიზმი, როგორც მეურნეობის ფილოსოფია და სხვ.

დეკანოზი სერგი ბულგაკოვი ითვლება მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკის, როგორც მეცნიერული მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლად. მის ნაშრომებს, სამწუხაროდ, ნაკლებად იცნობენ ჩვენი სწავლული ეკონომისტები. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ამ საკითხით დაინტერესებული მეცნიერთათვის მეტად საჭიროა სათანადოდ იქნეს გამოკვლეული მეცნიერ-ეკონომისტის, ღვთისმეტყველისა და სასულიერო პირის – სერგი ბულგაკოვის მდიდარი შემოქმედება.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, სარწმუნოების უმკაცრესი დევნის პირობებში, ფიქრიც კი შეუძლებელი იყო საბჭოურ ათეისტურ სივრცეში მოქცეულ მართლმადიდებელ ქვეყნებში ზოგადად ღვთისმეტყველებისა და, კერძოდ, თეოლოგიური ეკონომიკის განვითარების შესახებ.

უღმერთო სოციალისტურ თეორიაზე აგებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სისტემამ კანონზომიერი დაცემა განიცადა. კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით დღე-

---

[1] მიტროპოლიტი ინოკენტი. გზა ცათა სასუფეველისა. წილკნის ეპარქიის გამოცემა, თბილისი, 1994, გვ. 17.

[2] Булгаков С. Н. Философия хозяйства. В книге: Булгаков С. Н. Сочинения в двух томах. Т. 1, М., «Наука», 1993, с. 49-308.

საც, ფულისა და სიმდიდრის, ანუ მამონას თაყვანისმცემელ, ათეისტურ საბაზრო ეკონომიკაზე ბრმა ორიენტაციის პირობებში.

სოციალისტური სისტემა გამორჩეულ პიროვნებებს აღმერთებს, კაპიტალისტური — მამონას. ორივე სისტემა უგულებელყოფს ჭეშმარიტ ღმერთს, ღვთივდადგენილ ზნეობას, ცათა სასუფევლის პერსპექტივას და წარმოების მიზნად მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის (ჰედონიზმი, ევდემონიზმი) ზრუნვას აღიარებს, ზნეობისა და ეკონომიკის ასეთი ორიენტაცია კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ცოდვა-ბოროტების საყოველთაო აღზევებას და ადამიანთა საუკუნო სულიერ წარწყმედას გამოიწვევს.

ამავე დროს, მეურნეობრიობის ორივე ფორმა ეყრდნობა ღვთივდადგენილ, ისტორიულად ადაპტირებულ საფუძველს, რომელიც ადამიანთა მიერ ამ ჭეშმარიტების აღიარება-გათვალისწინების შემთხვევაში უზრუნველყოფს საზოგადოების რეალურ სულიერ-მატერიალურ პროგრესს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მატერიალური და სულიერი წინსვლისათვის აუცილებელია ქრისტიანული აზროვნებისაკენ შემობრუნება და მართლმადიდებლური ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბება, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მეურნეობრიობის ტრადიციული და თანამედროვე მაღალეფექტიანი მიმართულებების განვითარება.

დღის წესრიგში დგას წართმეულ-მივიწყებული ქრისტიანული აზროვნების აღდგენა-განვითარების, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ჭეშმარიტ, ღვთიურ გზაზე დაყენების უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც თეოლოგებთან ერთად მეცნიერ-ეკონომისტებმა და ბიზნესმენებმაც უნდა გადაწყვიტონ.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის, რომელშიც ეკონომიკა აღარ იარსებებს. ამიტომ ქრისტეს მოძღვრება სამეურნეო საქმიანობას განიხილავს როგორც დროებით, ესქატოლოგიურ პროცესს, რომლის მიზანს ადამიანის ამქვეყნიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი უნდა შეიქმნას ღვთივდადგენილი ზნეობრივი მოთხოვნების იმ ჩარჩოებში, რომელთა დარღვევა ადამიანის სულის წარწყმედას გამოიწვევს. ასეთ საფუძველს ეყრდნობა ბიბლიური, და კერძოდ, იესო ქრისტეს სწავლება, რომლის უმთავრესი მიზანია ცათა სასუფეველის მიღწევა.

საზოდაგოებაში გავრცელებულია დილეტანტური აზრი, თითქოს ქრისტიანული სარწმუნოება განიკითხავს ადამიანთა ამქვეყნიურ მოთხოვნილებებს, მიწიერ სიხარულს, შრომას, ეკონომიკურ საქმინობას, სიმდიდრეს. **ასეთი შეხედულების უსაფუძვლობას გვიდასტურებს ბიბლია, რომლის სწავლების მიხედვით, ყოველივე ამქვეყნიური დასაშვებია, თუ კი იგი სიმართლეს, სიკეთეს, სიყვარულს ეფუძნება და ემსახურება.**

ყოველივე ადამიანურისადმი პატივისცემას გამოხატავს იესო ქრისტეს მიერ მოხდენილი პირველი სასწაული გალილეის ქალაქ კანაში, სადაც მაცხოვარი, მისი დედა და მოწაფეები ქორწილში იყვნენ მიწვეულნი. ხელმოკლე მასპინძლებს ღვინო შემოაკლდათ. იესომ დედამისის თხოვნით თვრამეტ საწყაულამდე წყალი გადააქცია საუკეთესო ღვინოდ, იგი მიართვეს თამადას, რითაც მას ლხინის გაგრძელების საშუალება მიეცა. „ასე დაუდო დასაბამი იესომ სასწაულებს გალილეის კანაში და გამოავლინა დიდება თვისი. და იწამეს იგი მისმა მოწაფეებმა“ (იოან. 2,11). ეს მოვლენა გამოხატავს მაცხოვრის დამოკიდებულებას ადამიანთა ამქვეყნიური მოთხოვნილებებისადმი, რომელთა დაკმაყოფილების აუცილებლობა შრომის, სამეურნეო საქმიანობის და ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს.

სამეურნეო საქმიანობის უფლისმიერი კურთხევა არის ასახული სასწაულებრივ თევზჭერაში, რომელიც მაცხოვარმა მოახდინა გენესარეთის ტბაში. მთელი ღამის უნაყოფო შრომით დამაშვრალმა სიმონ პეტრემ და მისმა ამხანაგებმა ამჯერად „დაიჭირეს იმდენი თევზი, რომ ბადე ეხეოდათ“ (ლუკ. 5,6). ამ მოვლენას, გარდა შრომის პროცესის წახალისებისა, სხვა უდიდესი მნიშვნელობაც ენიჭება. ეს იყო სიმბოლური მოქმედება,

რომლითაც სიმონ პეტრეს, იაკობს და იოანეს მიეთითათ მათს მომავალ დიდ წარმატებებზე მრავალი ადამიანის ქრისტიანობაზე მოქცეეის საქმეში.

გალილეის, ანუ ტიბერიის ზღვის გაღმა იესომ სასწაულებრივად დააპურა ხუთი ათასი მშიერი ადამიანი. ამ სასწაულის მხილველმა ხალხმა თქვა: „ჭეშმარიტად ეს არის წინასწარმეტყველი, რომელიც უნდა მოსულიყო ქვეყნად" (იოანე 6,14). ეს შემთხვევა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ დაპურების შემდეგ იესომ „თავის მოწაფეებს უთხრა, აეკრიფათ ნარჩენები, რომ არაფერი დაკარგულიყო" (იოან. 6,12), რითაც რაციონალური, უნარჩენო ბუნებათსარგებლობის აუცილებლობა იქნა ხაზგასმული. უფლის ამ სწაელების **უგულებელყოფის და ბუნების მაექსპლუატირებელი წარმოების განვითარების შედეგია** დღეისათვის თითქმის მთელს მსოფლიოში გამეფებული ეკოლოგიურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც იოანე მოციქულის წინასწარმეტყველების მიხედვით, აპოკალიფსურ პერიოდში კაცობრიობის დაღუპვის ერთ-ერთი ნიშანია.

სამეურნეო საქმიანობაში კომპეტენტურობის აუცილებლობაზე მიგვითითებს იგავი გონიერ და უგონო მშენებლების შესახებ (მათ. 7,24-27; ლუკ. 6,47-49). მასში ლაპარაკია კეთილგონიერ კაცზე, რომელმაც მყარ ნიადაგზე აიშენა სახლი. ასეთ ნაგებობას, უგუნური კაცის მიერ აშენებული სახლისაგან განსხვავებით, ვერ ანგრევს სტიქიური ძალები.

მშენებლობის ეფექტიანი დაგეგმვა-დაფინანსების პრინციპი არის გადმოცემული იგავში კოშკის მშენებლის შესახებ. აქ მაცხოვარი გვეუბნება: „თუ რომელიმე თქვენგანი მოისურვებს კოშკის აგებას, განა თავდაპირველად არ დაჯდება და გამოთვლის ხარჯს, რაც დასჭირდება მის დასრულებას? რათა, საძირკველს თუ ჩაყრის, მაგრამ ვერ შესძლებს დაასრულოს, მნახველებმა არ დაუწყონ დაცინვა და თქვან: აი, კაცი, რომელმაც დაიწყო შენება და დასრულება კი ვერ შესძლოო" (ლუკ. 14,28-30).

ვაჭრობა-მოგების უფლისმიერ წახალისებას ასახავს იგავი ტალანტებზე (მათ. 25,14-30). მასში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ერთმა ბატონმა შორს გამგზაურებისას თავისი ქონება მსახურებს ჩააბარა. ორმა მათგანმა კომერციის მეშვეობით გააორმაგა დატოვებული თანხა, ხოლო მესამემ ეს არ გააკეთა. დაბრუნებულმა ბატონმა ეს უკანასკნელი დასაჯა, რადგან მან ჩაბარებული ვერცხლი მოეაჯრეს არ მისცა და ბატონს სარგებლითურთ არ დაუბრუნა.

პროდუქციის წარმოების სრული პროცესი არის გადმოცემული იგავში ხორბლისა და ღვარძლის შესახებ (მათ 13,24-30). მასში აღწერილია ხორბლის დათესვა. გარე ფაქტორების მაენე ზეგაელენა ყანის მდგომარეობაზე, ჯეჯილის მოელა-გაფრთხილება, მოსავლის აღება-დაბინავება, ხელმძღვანელისა და ხელქვეითების ურთიერთობა.

მათეს სახარებაში უფალი გვასწავლის: „მსგავსია ცათა სასუფეველი ყანაში დაფლული განძისა, რომელიც იპოვა კაცმა, დამალა და გახარებული წავიდა; გაყიდა ყველაფერი, რაც ებადა, და იყიდა ის ყანა. და მერე, მსგავსია ცათა სასუფეველი ვაჭარი კაცისა, რომელიც ეძებს ლამაზ მარგალიტს. და როცა იპოვის ძვირფას მარგალიტს, წავა, გაჰყიდის ყველაფერს, რაც აბადია, და იყიდის მას" (მათ. 13,44-46). ამ მაგალითებით ნაჩვენებია ცათა სასუფეველის უპირატესობა ყოველგვარ მიწიერ სიმდიდრესთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ იგავები იესო ქრისტეს ქადაგების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. იგავებით საუბარი გვხდება ძველ აღთქმაშიც, მაგრამ საოცარ სრულყოფილებას და სილამაზეს მან მაცხოვრის მეტყველებაში მიაღწია. **სწავლების ასეთი ფორმა იმისათვის იყო საჭირო, რომ ადამიანებს ადვილად გაეგოთ ახალი აღთქმის სიბრძნის საფუძვლები. სახარების იგავებში საყოფაცხოვრებო-ეკონომიკური მაგალითების განხილვის საფუძველზე აღწერილია ცათა სასუფეველი და ნაჩვენებია მასში ადამიანის მოხვედრის გზები.**

ზემოთ აღწერილთა გარდა, ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი იგავები: უმოწყალო გამსესხებელზე; ვენახის მუშებზე; ორ მოვალეზე; ერთგულ სახლმმართ-

ველზე; გულმოწყალე სამარიტელზე; ფხიზელ მონებზე; მთესველზე; მდიდარსა და ლაზარეზე; მებაღესა და ფარისეველზე; ბოროტ მეენახეებზე და სხვ.

ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ზოგიერთ ადამიანს დიდძალი ქონება უგროვდება. ბიბლიაში უხვად არის მაგალითები მდიდარი და ამასთან, მართალი, კეთილი და ღმერთისათვის სათნო ადამიანებისა. ასეთები არიან: აბრაამი, ისააკი, იაკობი, იოსები, დავითი, სოლომონი, იოსაფატი, იობი, იოსეს არიმათიელი, ზაქე და სხვ.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, მდიდარი ადამიანი თავის ქონებას უნდა უყურებდეს როგორც სხვებისთვის დახმარების გაწევის საშუალებას. მაპარაეიც „ნუღარ მოიპარაეს, არამედ იშრომოს და თავისი ხელით კეთილი საქმე აკეთოს, რათა შეეძლოს გაიკითხოს გაჭირვებული" (ეფეს. 4,28). სხვა შემთხვევაში „გამდიდრების მოსურნენი საცდურის მახეში ებმებიან და ბევრი შლეგური, მავნე და კაცთა წარმწყმედ-დამღუპველი გულისთქმის ტყვენი ხდებიან" (1 ტიმ. 6,9).

მაცხოვარი გვეუბნება: „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან" (მათ. 5,7). სიმდიდრის კეთილად გამოყენებით ადამიანს შეუძლია ცათა სასუფეველს მიაღწიოს, უკეთური მდიდარი კი ჯოჯოხეთში ხვდება.

მაგალითად, იგავში მდიდარი კაცისა და ლაზარეს შესახებ (ლუკ. 16, 19-31) მოთხრობილია თუ როგორ დაიმონა ადამიანი მოხვეჭილმა ქონებამ და ფულმა. ამ მდიდარს არ ებრალებოდა მის ჭიშკართან მწოლიარე გლახაკი, ავადმყოფი ლაზარე. სიკვდილის შემდეგ ლაზარე ხვდება სამოთხეში, ხოლო მდიდარი — ჯოჯოხეთში. ამ იგავის მიხედვით, მდიდარი ისჯება არა სიმდიდრის, არამედ გაუმაძღრობის, უკეთურობის და გლახაკთა შეუბრალებლობის გამო.

ბიბლიის მიხედვით შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ასევე სხვა ადამიანების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. პავლე მოციქული გვასწავლის: „გულმოდგინედ ეცადეთ, რომ იცხოვროთ მშვიდად, აკეთოთ თქვენი საქმე, და იშრომოთ თქვენი ხელით, როგორც გამცნო თქვენ, რათა ღირსეულად იქცეოდეთ გარეშეთა მიმართ, და არაფერი გაკლდეთ" (1 თეს. 4, 11-12). ადამიანი ვალდებულია მიატოვოს უკეთური საქმე, „იშრომოს და კეთილი საქმე აკეთოს თავისი ხელით, რათა შეეძლოს გაიკითხოს გაჭირვებული" (ეფეს. 4, 28). პავლე მოციქული თავად იძლეოდა ასეთ მაგალითს და ეუბნებოდა მოწაფეებს: „თქვენ თვითონ იცით, რომ აი, ეს ხელები შეეწყობოდნენ ჩემს გასაჭირს და მათსასაც ვინც იყვნენ ჩემთან. ყოველნაირად გიჩვენეთ თქვენ, რომ ამნაირი შრომით უნდა შეეწიოთ სნეულთ, და გახსოვდეთ უფლის იესოს სიტყვები, რადგანაც თავად თქვა: უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო" (საქმე 20, 34-35).

ღმერთი თავისი არსით — სრულყოფილებაა (მათ. 5, 48), მისი ნებაც ასევე კეთილი, სათნო და სრულყოფილია (რომ. 12, 2). ასეთივე თვისობრივი მდგომარეობისაკენ მოუწოდებს უფალი ყოველ ადამიანს, ყველა ერს: „იყავით თქვენ სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი" (მათ. 5, 48). ასეთი მდგომარეობის მიღწევა უნდა იყოს ყველა ჩვენგანის და მთელი ქვეყნის უმთავრესი მიზანი ჩვენი ნებისმიერი საქმიანობის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა „განწმინდოთ ჩვენი თავი ხორცისა და სულის ყოველგვარი ბიწისაგან" (2 კორ. 7,1).

ბიბლიური სწავლებით ადამიანის სხეული ტაძარია მასში დამკვიდრებული სულიწმიდისა, რომელიც ღმერთისგან გვაქვს და არ გვეკუთვნის ჩვენ, ამიტომ უნდა ვადიდოთ ღმერთი ჩვენი სხეულით და ჩვენი სულით, რომელნიც არიან ღმრთისა (1 კორ. 6,19, 20).

ჩვენს მიზანსწრაფვათა უზენაეს კრიტერიუმად უნდა იქცეს პავლე მოციქულისეული მოწოდება: „სხეული — უფლისათვის და უფალი — სხეულისათვის" (1 კორ. 6, 13).

ეკონომიკური საქმიანობის თეოლოგიურ-ზნეობრივი და ღვთაებრივ-ჰუმანისტ
აღქმა მიგვითითებს ფულის, გადასახადებისა და ფინანსების ტრადიციული ფუნქციე
სარწმუნოებრივი პოზიციებიდან გააზრების აუცილებლობაზე. სახელდობრ, ყოვ
მათგანის უმთავრესი ფუნქცია, ჩვენი აზრით, უნდა მდგომარეობდეს მათ მიერ სა

რულის და ზნეობრიობის საზომის განხორციელებასა და ხორციელი და სულიერი საწ-ყისების ღვთივსულიერი ჰარმონიული (სინერგიული) ურთიერთშეხამების მოგვარებაში.

წმინდა წერილიდან ნათლად სჩანს, რომ სამეურნეო საქმიანობა თვით ღმერთის მიერ არის დადგენილ-წახალისებული და გვევლინება როგორც ქრისტიანული სწავლე-ბის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, სავსებით მართე-ბულად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეოლოგიური გააზრების შესაძლებლობასა და აუცილებლობაზე. მით უფრო, რომ უცხოეთში უკვე ჩამოყალიბდა ისეთი სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინები როგორი-ცაა: თეოლოგიური ეკონომიკა, თეოლოგიური სამეურნეო ეთიკა, ქრისტიანული ეკონომიკა, ქრისტიანული ბიზნესი, ეკლესიის მენეჯმენტი და სხვ.

თავისი მოძღვრების ზნეობრივი საფუძველის შესახებ იესო ქრისტე გვეუბნება: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, აი, უპირველესი მცნება. და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. არ არსებობს ამათზე დი-ადი მცნება" (მარ. 12,30-31).

ეს სწავლება უზენაეს ზნეობრივ ნორმას უნდა წარმოადგენდეს ყოველი ადა-მიანისათვის მისი ცხოველქმედების ნებისმიერ სფეროში.

ამ მცნებათა დაცვა-შესრულება ყოველ ადამიანს განსაკუთრებით მოეთხოვება და ესაჭიროება ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში, სადაც ესოდენ ძალუმალ ზემოქმედებენ ჩვენზე ბნელი ძალები ვერცხლისმოყვარეობის მეშვეობით, რომელიც ყოველგვარი ბოროტების ფესვს წარმოადგენს. **ბოროტების ძლევა კი მხოლოდ ქრისტე-სმიერი სიყვარულით და მართლმადიდებლური ზნეობით არის შესაძლებელი.**

მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით ადამიანი წარმოადგენს სხეულის (ხორცის), სამშვინველისა და სულის ერთიანობას. „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად" (დაბ. 2,7). ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსებად (დაბ. 1,26), რაც ადამიანის უმაღლესი ღირსების მიმანიშნებელია. **მართლმა-დიდებელი ეკლესიის კატეხიზმოში წერია:** „ღმერთმა შექმნა ხორცი პირველ კაცის ადამისა მიწისაგან, შთაბერა მას შინა სამშვინველი ცხოვრებისა, ე.ი. სული უკვდავი, გონიერი, თავისუფალი და წმიდა; ყველა ამით კაცი მსგავსია, – თუმცა კი ძალიან სუს-ტად, – ღვთის სისრულისა. ხორცი კაცისა ღმერთმა შექმნა მიწისაგან, როგორც ხორცი ყველა სხვა ცხოველთა, სული კი შექმნილია ღვთის ყოვლადშემძლებელის ძალით, რო-გორც სრულიად ახალი ქმნილება, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ნივთიერ ქვე-ყანასთან"[1]. ფიზიკური სიკვდილის შემდეგ ადამიანის სხეული მიწად მიიქცევა (დაბ. 3,19), ხოლო სული უბრუნდება ღმერთს, რომელმაც შთაბერა (ეკლ. 12,7).

კაცი ამ ქვეყანაზე განსაკუთრებული არსებაა, რომელსაც აქვს გონიერი, თავი-სუფალი და უკვდავი სული, რითაც ადამიანი ღვთის ხატს (სახეს) წარმოადგენს. ღვთის მსგავსებაში კი იგულისხმება ადამიანის უნარი და მისწრაფება გამუდმებული სულიერი მოღვაწეობის შედეგად მიაღწიოს სისრულეს და ღვთის მსგავსებას. სულ უკანასკნელი მისწრაფება „კაცისა არის ღმერთი, ერთობა ანუ ცხოველი კავშირი ღმერთთან. რო-გორც ღვთის სახედ და მსგავსად შექმნილს არსებას, კაცს არ შეუძლიან არ ეძიოს ერთობა ღმერთთან"[2]

ადამიანი წარმოადგენს სულის, სამშვინველის და სხეულის სრულ ჰარმონიულ ერ-თობას. სული მიისწრაფვის ღმერთისაკენ, სამშვინველი შეერთებულია და ემორჩილება სულს, ხოლო სხეული სამშვინველს.

---

[1] სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1989, გვ., 121.
[2] იქვე, გვ. 123.

ადამიანის ხორციელი სიცოცხლე არ განირჩეა სხვა არსებებისაგან და მდგომარეობს სხეულის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, რომლებიც ერთიანდება ორ ძირითად ინსტიქტში: თვითშენარჩუნების ინსტიქტში და გამრავლების ინსტიქტში.

სამშვინველი არის სასიცოცხლო ძალა, რომელიც მოცემული აქვს ადამიანს ღმერთისაგან სხეულის სამართავად. სამშვინველის ყველა მოძრაობა და მოქმედება ერთიანდება სამ ჯგუფად: აზრები, გრძნობები და სურვილები. სულიერი (სამშვინველისეული) ცხოვრება გულისხმობს გონების, გრძნობის და ნების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

სხეულსა და სამშვინველს ზემოთ არის სული, რომელიც ადამიანში ვლინდება სამი სახით: ღმერთის შიში, სინდისი და ღმერთის წყურვილი. სული ხშირად გეველინება, როგორც სამშვინველისა და სხეულის მსაჯული და ყოველიეს აფასებს განსაკუთრებული, უმაღლესი პოზიციებიდან. **ადამიანი თავისი სულით მუდმივად (შეგნებულად და შეუგნებლად) მიისწრაფვის ღმერთისაკენ, სურს შეასრულოს თავისი დანიშნულება და დაიმკვიდროს საუკუნო სიცოცხლე.**

ადამმა და ევამ ღვთის მცნების უგულებელყოფით ჩაიდინეს უდიდესი ცოდვა, რითაც დაარღვიეს ადამიანში არსებული ჰარმონიული ერთობა სულს, სამშვინველსა და სხეულს შორის. ამ დროიდან მოყოლობული ადამიანმა თავის „დანიშნულებას უნდა მიაღწიოს ცოდვასთან ბრძოლის, სიკეთილის, ხრწნილების და აღდგომის გზით“.[1]

სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთმა მას დაუწესა ღვთითდადგენილი გეგმით და კანონებით არსებობა, ამავე დროს, იგი გამუდმებით ზრუნავს ქვეყნიერებისათვის (საღვთო განგებულება). ადამიანი სხვა ქმნილებებთან ერთად არის საშუალება უფლის ხელში საღვთო განგებულების მიზნების განხორციელებისათვის. „უფალმა ყოველიეე საკუთარი მიზნისთვის შეჰქმნა“ (იგავ. 16,4), ამიტომ „მისით ვცოცხლობთ და ვმოძრაობთ და ვართ“ (საქ. 17,28), „რადგანაც მისგან და მის მიერ და მის მიმართაა ყოველი“ (რომ 11,36).

კაცის ღვთივდადგენილი დანიშნულების, როლის და მისწრაფებების მართლმადიდებლური არსი ადამიანის უმაღლესი ღირსების მაჩვენებელია და მიუთითებს მისი სულიერი (საბოლოო ჯამში – ცათა სასუფეველის) მოთხოვნილების უზენაესობაზე.

მიწიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება საზოგადოებრივი წარმოების საშუალებით, რომელიც მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრების დროს არის დაშვებული და წუთისოფლის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს.

თანამედროვე პირობებში „ხორცი მეტ ნაწილად მშვინვიერია; კაცის სულსა და ხორცს შორის ბრძოლაა; ხორცი იმორჩილებს სულს და ბატონობს იმაზედ; აღდგომის შემდეგ კი ხორცი ჩვენი იქნება სულიერი, უკვდავი, უვნებელი; ხორცი შეიქმნება სულის მორჩილ იარაღად“.[2] **ჰავლე მოციქული გვასწავლის:** „სულიერად იარეთ და ნუ ცდილობთ აღასრულოთ ხორცის სურვილი, რადგან ხორცს სულის საპირისპიროდ სურს, სულს კი – ხორცის საპირისპიროდ; ისინი ერთმანეთს ეურჩებიან, რათა ვერ აღასრულოთ ის, რაცა გსურთ. ...ხორცის საქმენი აშკარაა: სიძვა, უწმინდურება, აღვირახსნილობა, კერპთმსახურება, ჯადოქრობა, მტრობა, შუღლი, შური, რისხვა, აშლილობა, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, მემთვრალეობა, ღორმუცელობა და სხვა მისთანანი. ...ამის მოქმედნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს. ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება; ...ხოლო მათ, ვინც არიან ქრისტესნი, ჯვარს აცვეს ხორცი მისი სურვილებით და ვნებებითურთ. თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ“ (გალ. 5,16-25), ...ვინც რას დასთესს, მასვე მოიმკის. ვინც ხორცისთვის თესავს, ხორცისგან

---

[1] იქვე, გვ. 124.
[2] იქვე, გვ. 170.

მოიმკის ხრწნილებას, ხოლო ვინც სულისთვის თესავს, სულისგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს" (გალ. 6.7-8).

ადამიანს ამქვეყნიური დოვლათის შექმნა-გამოყენება წუთისოფელში ცხოვრების დროს უხდება, ხოლო ყოველივე რაც წუთისოფელშია: ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და სიამაყე ცხოვრებისა არ არის უფლისაგან და წარმავალია, მასთან ერთად წარმავალია უფლის უარმყოფელი და ამქვეყნიურის თაყვანისმცემელი ადამიანიც, „ხოლო ღმრთის ნებისმყოფელი წარუვალია უკუნისამდე" (1 იოან. 2,15-17).

ქრისტიანული მოძღვრება გვასწავლის, რომ მიწიერი ცხოვრება არის დაუცხრომელი შრომის, სულიერი სრულყოფის და ზნეობრივი გმირობის დრო, მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის ადამიანის თვითშემზადების პერიოდი.

აქედან გამომდინარე, ადამიანმა ამქვეყნად უნდა მოახდინოს სხეულის, სამშვინველის და სულის მოთხოვნილებათა ღმერთისათვის მოსაწონი ურთიერთშეხამება მოციქულისეული დევიზით: „სხეული — უფლისათვის, ხოლო უფალი — სხეულისათვის" (1 კორ. 6,13), ხოლო ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელების მიზნით ადამიანმა, **მისთვის ღვთივბოძებული თავისუფალი ნებისა და გონიერების მეშვეობით უნდა ამოირჩიოს აზროვნებისა და მოქმედების, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობის ისეთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მის მოხედრას ცათა სასუფეველში.** ასეთი საზოგადოებრივი წარმოებისათვის უმთავრესია ღვთის სასუფეველის ძიება, ხოლო დანარჩენი მიეცემათ ადამიანებს (შდრ. ლუკ. 12,13). ამავე დროს, მორწმუნე და ღვთისათვის სათნო ადამიანი წუთისოფელში გადატანილი ყველა გაჭირვებისათვის „სამოცდაათჯერ და მეტად დაჯილდოვდება ამქვეყნიური ცხოვრების დროსაც".[1]

თეოლოგიურ საფუძველზე დამყარებული ქრისტიანული საზოგადოებრივი წარმოების პროცესში სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და ტექნიკა-ტექნოლოგიის მეშვეობით უნდა შეიქმნას ისეთი ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი (ქრისტიანული ფასეულობა), რომელიც მოემსახურება სულის ნეტარების უზრუნველმყოფი ზნეობრივი კანონის განხორციელებას და არ გამოიწვევს ღმერთის გმობას, მამონას გაკერპებას და მომაკვდინებელ ცოდვათა წარმოშობა-გაბატონებას.

ქრისტიანული ცხოვრების (რომელშიც შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობაც უნდა ვიგულისხმოთ) მიღწევა-მოწესრიგების გზას გვასწავლის მაცხოვარი, რომელიც ამბობს: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე; ვერავინ მივა მამასთან, თუ არა ჩემს მიერ" (იოან. 14,6). უფალი აქ ლაპარაკობს მამა-ღმერთზე, როგორც ყველა ადამიანურ მისწრაფებათა ჭეშმარიტ მიზანზე. ადამიანები ესწრაფვიან საუკუნო დიდებას, რომელშიც სუფევს მამა, ხოლო ქრისტე არის ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა.

ღირსი იუსტინე პოპოვიჩი წერს: „ნებისმიერი ადამიანური საქმიანობა — ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოსნობა, ხელოვნება, განათლება, კულტურა — თავის წარუვალ ღირებულებას მხოლოდ მაშინ იძენს, როცა განათლდება და გაიაზრება ღმერთკაცში — ჩვენს უფალსა და ღმერთში იესო ქრისტეში".[2]

ასეთი აზროვნების და მოქმედების საფუძველი კი სიყვარულია, სიყვარული უფლისა და მოყვასის მიმართ (შდრ. მარ. 12,30-31). ამ უდიდეს მცნებას უნდა ემყარებოდეს ადამიანის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობაც, ხოლო თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკის, როგორც მეცნიერული მიმართულების, საფუძველს და კვლევის მიზანსაც სწორედ სიყვარულზე დამყარებული მეურნეობა უნდა წარმოადგენდეს.

სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე) აღნიშნავს: „როგორც მარხვა არ არის ქრისტიანისთვის თვითმიზანი და იგი არის ადამიანის სულის ცხოვნების საშუალება, ასევე ეკონომიკური წინსვლა არ უნდა იყოს თვითმიზანი, რა-

---

[1] მიტროპოლიტი ინოკენტი. გზა ცათა სასუფეველისა. თბილისი, 1994, გვ. 33.

[2] ღირსი იუსტინე პოპოვიჩი. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი. წიგნში: სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა. თბ., 1995, ტ. 5, გვ. 158.

მეთუ წმინდა წერილი გვეუბნება: „რაიცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს. რამეთუ რომელმან სთესოს ხორცთა შინა თვისთა, ხორცთა მიერ თვისთა მოიმკოს ხრწნილებაი; ხოლო რომელმან სთესოს სულსა თვისსა, სულისაგან თვისისა მოიმკოს ცხორებაი საუკუნოი" (გალ. 6,7-8).

ლოცვა-კურთხეეთ შესრულება საქმისა, საწინდარია შრომის კეთილად წარმართვისა, რომელიც სიმდაბლითა და ღვთისადმი მორჩილებით სრულდება.

ვერანაირ ეკონომიკურ პრობლემებს დადებითად ვერ გადავწვეტთ, თუ რა თქმა უნდა, არ გვექნება ღვთისადმი და მოყვასისადმი სიყვარული, რომელსაც დედაეკლესია ქადაგებს."[1]

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე წარმოების პრინციპები და მეთოდები ძირითადად ქრისტიანობის საფუძველზე და მის წიაღში არის ჩასახულ-განვითარებული და მხოლოდ უღვთო საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემების პირობებში მოხდა მათი ღვთივსულიერების უარყოფა. ქრისტიანული მეურნეობრიობა თავიდანვე ეფუძნებოდა საკუთრების ნებისმიერ ფორმას, მართვის სხვადასხვა მეთოდებს, გეგმურ თუ საბაზრო ურთიერთობებს, პრიორიტეტულობას და გათანაბრებას მოტივაციაში და სხვ. ამიტომ ქრისტიანული წარმოებისათვის საჭიროა არა რაიმე ახალი ეკონომიკურ-მმართველობითი პარადიგმების, პრინციპებისა და ფორმების აღმოჩენა-შემოღება, არამედ დიდი ხნის აპრობირებულის ღვთივსულიერ შინაარსობრივ საფუძველზე აღორძინება და საყოველთაო გამოყენება.

ამავე დროს, აუცილებლად უნდა ითქვას იმ დიამეტრული თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული განსხვავების შესახებ, რომელიც არსებობს თანამედროვე წარმოებასა და ქრისტიანულ მეურნეობრიობას შორის: **თანამედროვე ათეისტური ეკონომიკა მხოლოდ მიწიერი ცხოვრების გაარზებით შემოიფარგლება და ამიტომაც შეზღუდულია და ცოდვიანი, ქრისტიანული წარმოება კი ზეციური, საუკუნო ნეტარი ცხოვრების პერსპექტივაზეა დამყარებული** და ამიტომაც **ყოვლისმომცველია** და **უფლისათვის სათნო.**

ქრისტიანული ეკონომიკური საქმიანობის აღდგენა-დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი გზა იმ ღვთივდადგენილი ზნეობრივი ნორმების დაცვაა, რომელთა უარყოფა ყოველთვის წარმოშობდა და კელავაც გამოიწვევს უმწვავეს სულიერ, სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს.

ქრისტიანული ზნეობის დარღვევა დიდ **ცოდვიანობას, ღმერთის გმობას** და **მის განდევნას ნიშნავს, ხოლო ღმერთის გარეშე დარჩენილი ადამიანი** „ ...ეშმაკს მივემსგავსება, რადგანაც ცოდეა ეშმაკის ძალაც არის და სახეც ერთსა და იმავე დროს. და როცა უღმერთაცოდ დარჩენილი ადამიანი ცოდეას ემუშაკება და ემონება, იგი თავისი ნებითვე ხდება ეშმაკის მსგავსი, თავისიანად შეექნება ბოროტ სულს", ეშმაკის მიზანიც სწორედ ეს არის: „უღმერთო გახადოს ადამიანი, მოაკლოს მას ღვთისმსგავსება, მოსწყვიტოს იგი ღმერთკაც იესო ქრისტეს და, ამგვარად, თავის მსგავს ბოროტ არსებად გადააქციოს".[2] თანამედროვე ვითარება ამის ნათელი დადასტურებაა — „ჭეშმარიტად, უღმერთობის მიზეზით დაბნელდა სულიც და გონებაც ჩვენი. ადამიანმა დაკარგა უნარი თეთრის და შავის, სიკეთის და ბოროტების გარჩევისა და იქცა იარაღად ეშმაკისა".[3]

ღმერთმა ადამიანის სულს დაუწესა ზნეობრივი კანონი, რომლის მეშვეობით ხელმძღვანელობს ადამიანის ცხოვრებას და **საქმიანობას. ადამიანის ამქვეყნიური ზნეობ-**

---

[1] ეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე). მისალმების სიტყვა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009, გვ. 12.
[2] ღირსი იუსტინე პოპოვიჩი. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი.
წიგნში: სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა. თბ., 1995, ტ. 5, გვ. 162.
[3] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II 1994 წლის საშობაო ეპისტოლე.
წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1994, გვ. 8.

რიგი მოვალეობები ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა: საკუთარი თავის მიმართ, მოყვასის მიმართ, გარესამყაროს მიმართ და უმაღლესი მოვალეობანი ღმერთის მიმართ.

სამწუხაროდ, დღეკანდელ საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა უდიდესი ნაწილი მხოლოდ ეგოისტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ესწრაფვის აღნიშნულ მოვალეობათა შეუგრძნობლად. ფაქტობრივად უარყოფილია ქრისტიანული ზნეობრიობა, რაც უღმერთობის შედეგი და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის მიზეზია. ამიტომ დღეისათვის უმთავრესი მიზანი მართმადიდებლური მსოფლმხედველობისა და ზნეობის აღდგენა უნდა იყოს. ამის გარეშე საქართველოს წინსვლა და განვითარება არ უწერია. ათეისტურ საფუძველზე შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციები და პროგრამები ვერ მოგვიტანს სასურველ შედეგებს, უზნეობა ამქვეყნიურ განსაცდელებს, ცოდვიანობას და იმქვეყნიურ ჯოჯოხეთს გვიმზადებს, ქრისტიანული ზნეობის გამარჯვება კი – ზესვლას და საუკუნო სიცოცხლეს. თითოეულ ქართველს და სრულიად საქართველოს სულიერი შობა-აღორძინება სჭირდება, ხელახალი შობის გარეშე ჩვენ ვერ ვიხილავთ ცათა სასუფეველს (შდრ. იოან. 3,3).

ცათა სასუფეველში (ღვთის სასუფეველი, ქრისტეს სასუფეველი) მხოლოდ ქრისტეს ჭეშმარიტი მორწმუნენი, ზნეობრივი და ცოდვების მონანული ადამიანები მოხვდებიან ფიზიკური სიკვდილის შემდეგ. სასუფეველში ადამიანის სულის საუკუნო ნეტარება იქნება უზრუნველყოფილი ამავე დროს, მართალი ადამიანები, სულიერ ნეტარებას, ღმერთის შემწეობით, ამქვეყნიური ცხოვრების დროსაც შეიგრძნობენ.

თეოლოგიური ეკონომიკა – სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა

ადამიანის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის საფუძველია საღმრთო ნება და განგებულება. ასეთ საქმიანობას აქვს თავისი ღვთივსულიერი თეორიული (თეოლოგიური) საწყისი და პრაქტიკული გამოვლენა.

სარწმუნოებრივ საფუძველზე დამყარებულ სამეურნეო-მმართველობით საქმიანობას შეისწავლის და წარმართავს სათანადო სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა – თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკა, რომელსაც აქვს თავისი კელევის საგანი, მიზანი, ამოცანები, პრინციპები, პარადიგმები, მეთოდები და ა.შ.

თეოლოგიური ეკონომიკა ღვთისმეტყველურ-ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო-პრაქტიკული დისციპლინაა. იგი შეისწავლის სამეურნეო-მმართველობით პროცესებში ადამიანის და საზოგადოების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ადამიანის და ერის საუკუნო ნეტარებას უზრუნველყოფს.

თეოლოგიური ეკონომიკა არის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ღვთივდადგენილი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, საზოგადოების, ერის, სახელმწიფოს და კაცობრიობის ღვთივსულიერ ჰარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.[1]

ბიბლიური ეკონომიკური მოძღვრებიდან და დიდი სჯულის კანონის დებულებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი პრინციპი – ფასეულობათა (მათ შორის – ფულის, ქონების, სიმდიდრის) სიმართ-

---

[1] თეოლოგიური ეკონომიკის არსის, ძირითადი ცნებებისა და პარადიგმების შესახებ იხილეთ მონოგრაფიაში: მღვდელი ბასილ ახვლედიანი, გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი. მართმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. მთ. რედაქტორი ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). თბ., „ჩერიდიანი", 2009.

ლით (ღვთივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება.[1] სიმართლე, ზნეობა და სიკეთე კი სიყვარულია — სიყვარული ღმერთის, მოყვასის და უფლის ქმნილების მიმართ, ამიტომაც ქრისტიანული ეკონომიკა სიყვარულს ეფუძნება და სიყვარულის კვლავწარმოებას ისახავს უზენაეს მიზნად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2008 წლის მაისში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე — „ქრისტიანობა და ეკონომიკა" ბოლნისის ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე) აღნიშნავდა: „ქრისტიანული ეკონომიკა, როგორც თეორიულ-პრაქტიკული მოძღვრება, უნდა ეფუძნებოდეს, უპირველეს ყოვლისა, წმიდა წერილს, ბიბლიას, როგორც უტყუარ და უალტერნატიულ ჭეშმარიტებას, აგრეთვე, ჩვენი ეკლესიის, განსაკუთრებით სამონასტრო მოღვაწეობის მდიდარ ისტორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას. ასევე გლეხაცობის, ჰატიოსან მიწათმოქმედთა ბუნებრივ მოვლენათა დაკვირვების შედეგად დაგროვილ სამეურნეოდ საჭირო უნარ-ჩვევებს, დაბოლოს, რა თქმა უნდა, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უნიკალურ მიღწევებს. გაეიმეორებ, რომ ჩვენი წარსულში ცნობილი სამონასტრო კომპლექსები ამ მიმართებით ჩვენთვის ძალზედ დიდი მაგალითია, ვინაიდან იქ მყოფი მამები გარდა ღვთივსულიერი ცხოვრებისა, უაღრესად გამოცდილი პრაქტიკოსი მეურნე და გამგებელნი იყვნენ. ამ მხრივ კი დღეს ბევრი რამ შესასწავლი და გამოსაყენებელია. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მეცნიერ-მუშაკები სტუდენტებთან ერთად თავიანთ ნააზრევსა და მიგნებებს პერიოდულად საერთო სახელმძღვანელო ნაშრომებად აქცევენ, რაც აღმავლობისა და აღორძინების მდგომარეობაში მყოფი თანამედროვე ეკლესია-მონასტრებისათვის სასარგებლო თანადგომა იქნება".[2]

ბოლო პერიოდში თეოლოგიური ეკონომიკა გვევლინება როგორც სასწავლო დისციპლინა, რომელიც ინერგება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ეკონომიკური საქმიანობის მხოლოდ ღვთივსულიერი სამეცნიერო-პრაქტიკული გააზრება მოგვიტანს რეალურ სასურველ შედეგებს, ვინაიდან მარტოოდენ „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება, მასთან არის მართალთა შეწევნა, ის არის ფარი უმწიკლოთათვის, იცავს სამართლის გზებს და მადლიანთა სავალს იფარავს... ბედნიერია ის კაცი, ვინც ჰპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა! რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი ხალას ოქროს" (იგავ. 2,6-8; 3,13,14).

საქართველოს მართლმადიდებელი და სხვა დაინტერესებული ეკონომისტების გადაუდებელი ამოცანაა ქრისტიანული ეკონომიკის, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინის წარმოჩენა, ეკონომიკის ფუნქციონირების ამქვეყნიურად აუცილებელი და უფლისათვის სათანადო ფორმების, მიმართულებების და მასშტაბების, ამ სფეროში ცოდვიანობის სიღრმისეულობის განსაზღვრა და ცოდვათა მაქსიმალური აღკვეთის გზების დადგენა, საქართველოს ეკონომიკის მართვის მაკრო და მიკრო დონეებზე შესაბამისი გამოკვლევა-ანალიზის ჩატარება და ამის საფუძველზე ქვეყნის ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სათანადო კონცეფციისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ამასთან დაკავშირებით პროფესორი ი. გაგნიძე წერს, რომ „მთელი ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური საქმიანობის წარმატების საფუძველი მართლმადიდებლური ცნებებით ცხოერებაში უნდა ვეძებით. მხოლოდ იგი წარმოადგენს ერის „სულიერ საკვებს", თითოეული მოქალაქისა და მთლიანად ქვეყნის ინტერესების ერთ მთლიან ჯაჭვში, ერთმანეთისადმი დაპირისპირების გარეშე, ჰარმონიულ იერარქიაში სინერგიული ეფექტით შემკრებსა და გამაერთიანებელს".[3]

---

[1] დიდი სჯულის კანონი. ღანგრის კრების კანონები. მუხლი 21. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1987. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1987, გვ. 194, 536.

[2] ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). მისალმების სიტყვა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009, გვ. 13.

[3] გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა. თბ., „უნივერსალი", 2007, გვ. 35.

უდიდესი ცოდვა, ჩვენს მიერ ჩადენილი, უფლის განგებულებისა და ერის წინაშე არის საქართველოსათვის ღვთივმიმადლებული გეორგიანელობის — სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაკნინება-მივიწყება.

მომადლებულის გმობისათვის უკვე ვისჯებით: მიწები გაყიდულ-გაპარტახებულია, სასოფლო-სამეურნეო საკარგულები არ მუშავდება, სოფლები უსახურ და უფუნქციო დაბა-ქალაქებად გადაიქცა, ტყეები გაიჩეხა, მდინარეები დაშრა, კეების პროდუქტებს ველარ ვაწარმოებთ და სხვა. მიწის ბარაქა დაეკარგეთ და ვერც ინდუსტრიამ მოგვიტანა სიკეთე, დამშეულ და მათხოვარ ქვეყნად ვიქეცით...

ტრადიციული მიწათმოქმედების (გეორგიანელობის) აღორძინებისაკენ მოგვიწოდებდა უწმინდესი და უნეტარესი ილია II ჯერ კიდევ 1995 წელს: „ ...ჩვენც გემართებს გამოვიძიოთ, რას საქმიანობდნენ ჩვენი წინაპრები. დღეს, როცა ნედლეულისა და მანქანა-დანადგარების ნაკლებობა ასე მწვავედ იგრძნობა, ფაბრიკა-ქარხნები ერთ დღეში ვერ ამუშავდება. კრიზისიდან გამოსვლისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დამუშავდეს მიწა, ჩვენი მარჩენალი. ხალხი ჯერ შიმშილისგან უნდა ვიხსნათ, შემდეგ კი შეგვეძლება წარმოების თანდათანობით აღდგენასა და განვითარებაზეც ვიფიქროთ. ამის უგულებელყოფა შეუძლებელია".[1]

აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია საეკლესიო ეკონომოსების, საერო ეკონომისტებისა და ბიზნესმენების მომზადებისათვის განათლების სათანადო სისტემის ორგანიზება.

ასეთი სპეციალისტების მომზადება შეიძლება მოგვარდეს საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტში (სადაც 2007 წლიდან უკვე მოქმედებს სპეცკურსები „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა"), იე. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

1997-2006 წლებში თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიაში და 2002-2004 წლებში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში ერთ-ერთი ავტორის, გ. შიხაშვილის მიერ იკითხებოდა კურსი „თეოლოგიური ეკონომიკა", დღეისათვის, იმავე ფაკულტეტზე ზოგადი მენეჯმენტის სპეციალობისათვის მის მიერვე დანერგილია საგანი „საეკლესიო მეურნეობის მენეჯმენტი", ვამზადებთ, აგრეთვე, პროგრამას დოქტორანტურისათვის სახელწოდებით: „თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები".

მთლიანობაში, თეოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის დისციპლინების პროგრამებს, ჩვენი აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს ქრისტიანული გააზრება და მისგან გამომდინარე თემატიკა, რომლის ძირითადი საკითხები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. **ადამიანის ცხოვრების ქრისტიანული აღქმა**
   - 1.1. ადამიანი, როგორც ღმერთის ქმნილება, მისი ხორციელი და სულიერი საწყისები;
   - 1.2. ადამიანის ღვთიეადგენილი დანიშნულება და ცხოვრების მიზანი; ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრება;
   - 1.3. ოჯახი, როგორც ამქვეყნიური ცხოვრების ძირითადი საფუძველი.

---

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლე. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1995, გვ. IX.

2. **ეკონომიკისა და მართვის ქრისტიანული გააზრება**
   2.1. ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილება. მოხმარების არსი;
   2.2. შრომის, წარმოების და მართვის აუცილებლობა;
   2.3. ეკონომიკის და მართვის ადგილი და როლი ამქვეყნიურ ცხოვრებაში
   2.4. საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა;
   2.5. ცოდვიანობა ეკონომიკასა და მართვაში, ეკონომიკური მომენტები მომაკვდინებელ ცოდვებში.

3. **ეკონომიკურ-მმართველობითი საკითხები ბიბლიასა და ქრისტიანულ ლიტერატურაში.**
   3.1. ეკონომიკა და მართვა ძველსა და ახალ აღთქმაში;
   3.2. სამეურნეო-მმართველობითი საკითხები კანონიკურ მართლმადიდებლურ ლიტერატურაში, ეკლესიის მამების, ღვთისმეტყველებისა და წმინდანების შემოქმედებასა და ცხოვრებაში;
   3.3. თანამედროვე ქრისტიანობა ეკონომიკისა და მართვის შესახებ;
   3.4. საეკლესიო და სახელმწიფო მმართველობის სიმფონია, მონარქიის ინსტიტუტი.

4. **ეკონომიკური აზროვნების განვითარება ქრისტიანული სარწმუნოების შუქზე**
   4.1. ეკონომიკური აზრის ქრისტიანული ნიმუშები ისტორიული პერიოდების და ცალკეული ქვეყნების მიხედვით;
   4.2. ათეისტური და არაქრისტიანული თეოლოგიური სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრებები.

5. **თანამედროვე ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობა ქრისტიანული ზნეობის მოთხოვნათა ფონზე**
   5.1. თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სისტემების დახასიათება;
   5.2. ეკონომიკა, ბიზნესი და მართვა გლობალიზაციის პირობებში;
   5.3. საკუთრება, შრომა, წარმოება, ეაჯრობა, კონკურენცია, მონოპოლია, ფული, ფინანსები, დაგროვება და სიმდიდრე დღევანდელ პირობებში;
   5.4. ეკონომიკურ-მმართველობითი ურთიერთობები ცალკეულ ადამიანებსა და ოჯახის წევრებს შორის;
   5.5. ეკონომიკა და გარემოს დაცვა;
   5.6. ეკონომიკა და ომები, სამხედრო წარმოება;
   5.7. სახელმწიფო და ეკლესია;
   5.8. საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობრიობა;
   5.9. ქრისტიანული თემის ეკონომიკა;
   5.10. ეკონომიკურ-მმართველობითი ცოდვიანობის მაქსიმალური აღკვეთა – გადარჩენის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება;
   5.11. ცალკეული ადამიანის, ერის, სახელმწიფოს და კაცობრიობის გადარჩენის ღვთივედადგენილი აუცილებლობა და ეკონომიკურ-მმართველობითი წინამძღვრები;
   5.12. სამყაროს დასასრული და ეკონომიკის ესქატოლოგიურობა;
   5.13. ღვთივესულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარდიგმები, კონცეფციები და მოდელები.

6. **თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა**
   6.1. ეკონომიკური თეორიის ქრისტიანული საფუძვლები;
   6.2. ქრისტიანული ეკონომიკა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა;
   6.3. ქრისტიანული ეკონომიკის სწავლების საკითხები საერო და სასულიერო სასწავლებელში.

7. **საქართველოს მატერიალური და სულიერი პროგრესის მართლმადიდებლური პრინციპები.**
   7.1. საქართველოს ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფცია;
   7.2. საქართველოს ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები და პროგრამები.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო დანიშნულებასთან ერთად, ჩამოთვლილი საკითხები ატარებენ სამეცნიერო ხასიათს, რის საფუძველზეც შესაძლებელია გაიშალოს სათანადო კვლევითი სამუშაოები.

ლიტერატურა

1. არქიმანდრიტი იაკობი (იაკობიშვილი). მეცხვარეობის განვითარება სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
2. გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა. თბ., „უნივერსალი", 2007.
3. ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). შემაჯამებელი სიტყვა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე: „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008". გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი", 2008, №14.
4. ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). მისალმების სიტყვა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
5. ეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე). მისალმების სიტყვა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
6. მღვდელი ბასილ ახვლედიანი. ბიბლიის სოფლისმეურნეობრივი თემატიკა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", №4, 2006.
7. მღვდელი ბასილ ახვლედიანი. საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება საქართველოში. ეკონომიკის დოქტორის დისერტაცია. ხელმძღვანელები: გ. შიხაშვილი, ე. ხარაიშვილი. თბ., 2008.
8. მღვდელი ბასილ ახვლედიანი, გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. მთ. რედაქტორი ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). თბ., „მერიდიანი", 2009.
9. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი. თბილისი. „გეოკერია", 2004.
10. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბილისი, „გეოკერია", 2004.
11. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2008, 30 აპრილი, სპეციალური გამოშვება.

12. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008/2009 წლის საშობაო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2009, №1.
13. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2009 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2009, №14.
14. სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1989.
15. ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ.„ თსუ გამომცემლობა, 2009.
16. ღვთივ-შეენიერი სწავლანი, რომელსა ეწოდება ოქროს წყარო, თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირის მიერ. თბ.„ 1905.
17. შიხაშვილი გ. ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი. თბ., „ხედაშე", 1996.
18. შიხაშვილი გ. ახალი აღთქმის სამეურნეო მოძღვრება და თანამედროვეობა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2003, №6.
19. შიხაშვილი გ. ეკონომიკისა და მართვის ბიბლიური გააზრება. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი". IV, 2007.
20. შიხაშვილი გ. მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ეროვნული კონცეფციის ბიბლიური საფუძვლები. ჟურნ. „ახალი ეკონომისტი". 2007, №5 და №6.
21. შიხაშვილი გ. განათლების ორგანიზაცია საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის სფეროში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
22. ჯანჯღავა ჯ. რელიგია, უნივერსიტეტი, მეცნიერება. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
23. Hay D. A. Economics today. A Christian critique.Grand Rapids, Michigan, 1991.
24. Библия и наука. Ред. П. Харчлаа. Ашфорд. США.
25. Библия опережает науку на тысячи лет. Ред. В. Губанов. М., 1996.
26. Булгаков С. Н. Философия хозяйства. В книге: Булгаков С. Н. Сочинения в двух томах. Т. 1, М., «Наука», 1993.
27. Вебер М. Протестантская этика и дух капитализма. В кн.: Вебер М. Избр. произведения. Пер. с немецкого. Общая редакция Давыдова Ю. Н. М., «Прогресс», 1990.
28. Зейпель И. Хозяйственно-этические взгляды Отцов Церкви. Пер. с немецкого с предисловием С. Н. Булгакова. М., 1913.
29. Кандалинцев В. Политическая экономия Библии. М.,«Инком Полиграф», 1999.
30. Климент Александрийский. Кто из богатых спасется. Ясенево, 2000.
31. Мы верим. Говорят современные учёные о вере в Бога. 1988.
32. Нейхауз Р. Бизнес и евангелие. Пер. с англ. Кротова Я. М., 1994.
33. Рих А. Хозяйственная этика. Пер. с нем. Е.Довгань. Франкфурт на майне. Москва, Посев, 1996.
34. Шведов О. Энциклопедия церковного хозяйства. М., 2003.
35. Шихашвили Г., Священник Василий Ахледиани. Церковь и проблемы устойчивого эколого-экономического развития общества. В книге: Экономическая эффективность развития России /Под ред. проф. К. В. Папенова. _ М.: Экономический ф-т МГУ, ТЕИС, 2007.
36. Экземплярский В. Евангелие и общественная жизнь. Киев, 1913.

საბამოცდო საკითხები

1. ბიბლია, ეკონომიკა, მეცნიერება
2. ეკონომიკური თეორია და მართლმადიდებლობა
3. თეოლოგიური ეკონომიკა – სამეცნიერო-პრაქტიკული
   და სასწავლო დისციპლინა

2. წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) ეკონომიკის შესახებ და თანამედროვე საქართველო

(მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია), გიორგი შიხაშვილი)

საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შეხამებული ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-განვითარება.

სწორედ ასეთ საძირკველს ეფუძნებოდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ყოფა, რამაც ისტორიულ ქარტეხილებში ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად, თავის დროზე, მსოფლიოში მოწინავე და თვითმყოფადი ეკონომიკური კულტურის ერადაც წარმოგვაჩინა.

ამის შესახებ წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) წერდა: „უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვეცეს ვინმე, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“,[1] „ ...წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ...ეს სამთა უამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი. ...აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან“,[2] „ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს – სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, – გვამი ერისა მკედარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩიოვის და ჰღაღადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღწვოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი“.[3]

ადამიანის ცხოველქმედების პროცესში გამორჩეული ადგილი სამეურნეო-მმართველობით საქმიანობას უკავია, იგი საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

კაცობრიობა და საარსებო გარემო, ეკონომიკური პოტენციალის ჩათვლით, ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს შემადგენელი ნაწილებია. საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა პროცესი, მათ შორის, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობაც, საღეთო ნების, განმგებლობის, ზრუნვის, განჩინებებისა და დაშვების საფუძველზე მიმდინარეობს.

სარწმუნოებრივ საფუძველზე დამყარებულ სამეურნეო-მმართველობით საქმიანობას შეისწავლის და წარმართავს სათანადო სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა – თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკა, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი, მიზანი, ამოცანები, პრინციპები, პარადიგმები, მეთოდები და ა.შ.

---

[1] ი. ჭავჭავაძე. ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955. გვ. 176.
[2] ი. ჭავჭავაძე. ერი და ისტორია. თხზ., ტ. 4, თბ., 1955. გვ. 200, 204.
[3] ი. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა 1895 წლისა. თხზ., ტ. 5, თბ., 1955. გვ. 342.

თეოლოგიური ეკონომიკა ღვთისმეტყველურ-ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო დისციპლინაა. იგი შეისწავლის სამეურნეო პროცესებში ადამიანის და საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნის და გამოყენების გონივრულ გზებს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ადამიანის და ერის საუკუნო ნეტარებას უზრუნველყოფს. თეოლოგიური ეკონომიკა არის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, საზოგადოების, ერის, სახელმწიფოს და კაცობრიობის ღვთივსულიერ ჰარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

დიდი სჯულის კანონის დებულებებიდან გამომდინარე, ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია – ფასეულობათა (მათ შორის – ფულის, ქონების, სიმდიდრის) სიმართლით (ღვთივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება.[1]

თეოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის მეცნიერული კვლევებისათვის მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია წმინდანების ცხოვრებასა და შემოქმედებაში ასახული სამეურნეო-მმართველობითი საკითხების შესწავლა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეოლოგიურ-მართლმადიდებლური გააზრების საფუძველები, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური პარადიგმები, კონცეფციები და პრინციპები, შესაბამისი პრაქტიკის ანალიზი, სამეცნიერო-ეკონომიკური კვლევის მეთოდიკის საკითხები და, მთლიანობაში, წმ. ილია მართლის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება გადმოცემულ-ჩამოყალიბებულია ქართველი ერის ამ სათაყვანებელი წმინდანის, მეცნიერის და პრაქტიკოსი ეკონომისტის (ბანკირის) მრავალ ნაშრომში, რომელთაგან აღსანიშნავია: „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ", „ერი და ისტორია", „სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ", „წინამძღვრიანთ-კარის ქართული სამეურნეო სკოლა", „ხილნარობისა და მეეენახეობის სასწავლებელთა შესახებ", „ოძისის სამეურნეო სკოლის შესახებ", „სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ", „მეცხრამეტე საუკუნე", „რა გითხრათ?, რით გაგახაროთ?", სხვადასხვა წლების შინაური მიმოხილვები, „ცხოვრება და კანონი", „ხიზნების საქმე", „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა", „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები", „პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან", „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი", „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა", „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ", „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საქმე", „ძვირფასი საღებმიცემო ჭირნახულის საქმე", „მელიორაციის საქმე", „მეეენახეობის და მეღვინეობის საქმე", „მებამბეობის საქმე", „პურეულის საქმე", „მესაქონლეობის საქმე", „ჩვენი მეურნეობა და გზებისა და ბაზრის საკითხი", „მრეწველობის საქმე", „წერილები საქართველოს საბანკო-საკრედიტო და საფინანსო საქმეებზე", „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ", „ჩვენი გლეხობა და ტყით სარგებლობის საქმე", „სოფლის მოხელეთა არჩევანი", „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხზე", „გაზეთი „მეურნე" და სხვ.

ბიბლიური მოძღვრების საფუძველზე წმ. ილია მართალი მიიჩნევს, რომ „სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც". ხორციელ ღონეს იგი „საეკონომიო მოქმედებასაც" უწოდებს. ყოველი ადამიანის, ერის და ქვეყნის ჭეშმარიტი, ღვთივსულიერი პროგრესი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ეს ორი ძალ-ღონე ჰარმონიულად შეერთდება და „ერთად და განუყრელად" გვექნება. წმინდანი წერს: „მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარ-და მხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი

---

[1] ღანგრის კრების კანონები. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1987. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1987, გვ. 194, 536.

აკლია, ან მეორე. ცალფეხა კაცსა ჰგავს. და, როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმალით ვერ გაიელის. ისეც ერი, ქვეყანა ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყვეარში ეს ორი უღლადი, ყოველთ-შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად".[1]

წმინდანი გვასწავლის თუ როგორ უნდა მივადწიოთ წარმატებებს ახალ დროში: „–ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაეკაცობა ომისა „ი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაეკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდეე ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს... ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. –ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, – შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხეანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დაეახვედრეთ, წინ არ დაეუყენეთ".[2]

წმ. ილია მართლის აზრით, ქართული საზოგადოება საერთო-ეროვნული ეკონომიკური კეთილდღეობის ბუნებისა და პოტენციალის მატარებელია, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად დასტურდება იმით, რომ საქართველოში არ ყოფილა მწვავე წოდებრივ-ქონებრივი დაპირისპირება, „ეკონომიური ძალი კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწისმფლობელობიდან წარმოსდგება, და, ყოველიეე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, ჩვენში ეერც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ გაისაკუთრა და დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია; დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველ გლეხს მამა-პაპით დაჩემებული აქვს. თითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ...რაკი ესენი იყო, რაკი უფლება ქვეყნის გამგეობისა მარტო ხელმწიფეს ჰქონდა და არაეის სხვას, – ერთსა რა უნდა შეეშურებოდა მეორეში, ერთი იმისთანას რას დაეხარბებოდა მეორეს, რომ ამით ერთი წყობა მეორეს განზედ გასდგომოდა და ჩაენერგა ის განთვითეულების, განცალკეეების გრძნობა წოდებათა შორის, რომელიც ეხლანდელის ეეროპის მწვავს ტკივილს შეადგენს. ...ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს; რომ ერთმანეთს არამც თუ ეუცხოვებიან, არამედ ერთმანეთისკენ მიიზიდებიან"[3].

იურიდიულ-ეკონომიკური, წოდებრივ-ქონებრივი, ორგანიზაციულ-მმართველობითი და სასოფლო-სამეურნეო საკითხების თეოლოგიურ-ისტორიული ანალიზის საფუძველზე წმ. ილია მართალი მიიჩნევს, რომ „...ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და შეეხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ემტრობდეთ. ამას ხელის შეწყობა ჰმართთებს და არა ხელის შემართვა".[4]

ასეთი გარემოებების გათვალისწინებით წმინდანი დაასკვნის, რომ საყოველთაო სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა მხოლოდ საერთო, შეერთებული ძალისხმევით არის შესაძლებელი.

ყოველგვარი გაჭირვების, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის საშუალებად წმინდანს სწავლა, ცოდნა და მეცნიერება მიაჩნია. საზოგადოების „უმთავრეს სენად" იგი უმეცრებას, გაუნათლებლობას ასახელებს და აღნიშნავს, რომ

---

[1] ი. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა 1892 წლისა. თხზ., ტ. 5, თბ., 1955. გვ. 337.
[2] ი. ჭავჭავაძე. რა გითხრათ? რით გაგიხაროთ?. თხზ., ტ. 5, თბ., 1955. გვ. 12-13.
[3] ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი. თხზ., ტ. 6, თბ., 1956. გვ. 55-56.
[4] ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი. თხზ., ტ. 6, თბ., 1956. გვ. 56.

იმისათვის, რომ სხვას არ შეეყურებდეთ ხელში და ჩვენს თავს ჩვენვე ვირჩენდეთ, სწავლა-განათლებაა საჭირო, ამისათვის არაფერი არ უნდა დავზოგოთ — „ღარიბნი თუ ეართ, სწავლა-განათლების უქონლობის მიზეზია. **სწავლა-განათლება თითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდამ სიმდიდრის წყარო მოვადინოთ“.**[1]

წმ. ილია მართლის სოციალურ-ეკონომიკური **კვლევა, მისი აზროვნება ეყრდნობა ობიექტური ისტორიზმისა და ისტორიის ღვთისმეტყველების კანონზომიერებებსა და პრინციპებს. დღევანდელი მოვლენების ანალიზს იგი იწყებს წარსულის შეფასებით, საიდანაც გამოკვეთს სათანადო პარადიგმას, კონცეფციას, მაგისტრალურ გზას, რომელიც აწმყოს წაიყვანს წინ მომავლისაკენ.** წმინდანი გვისაბუთებს, რომ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველოს სწორი გზებით უელია, საკუთარი რწმენით და იმედით უცხოერია. ჩვენი საზოგადოებრივი მოწყობის მრავალი მხარე, მათ შორის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა დიდი ხნის ნაცადი და შემოწმებულია. ეს არის ფასდაუდებელი განძი, განუზომელი სულიერ-ხორციელი ფასეულობა, რომელსაც აუცილებლად უნდა ეუწეედეთ ანგარიშს. საჭიროა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვენი არსებობა ყოველმხრივ „გამოვიძიოთ“, „გამოვიკელიოთ“, „მეცნიერებამდე აკიყვანოთ“, კონცეპტუალურ საფუძველად დაეისახოთ და წინ წაეიმძღვაროთ სამომავლო წარმატებების მოსაპოვებლად.

საზოგადოებრივი ცხოერების განვითარების კანონზომიერებათა ობიექტური კვლევის შედეგად წმ. ილია მართალმა **გამოკვეთა სოფლის მეურნეობის უპირატესი როლი ქეეყნის ეკონომიკური აღორძინება-გაძლიერებისა და სულიერ-ხორციელი წინსვლის საქმეში: „სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით.** იმიტომ, რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული. **...ხალხის სიმდიდრეზედ კიდევ დაფუძნებულია ყოველის მთავრობის სულიერი და ხორციელი კეთილდღეობა.** აქედამ ადვილად მისახდომია, რომ მთელს ეეროპაში ყოველის ხალხის მთაურობას დიდი ყურადღება, დიდი ზრუნეა აქვს მიქცეული თვისის ხალხის სოფლის მეურნეობაზედ და დიდ ფულსაც ხარჯეენ, რომ მაგ უმთავრესს წყაროს ხალხის სიმდიდრისას ფართო, რიგიანი და შეუფერხებელი დენა ჰქონდეს“.[2] საზოგადოების უპირველესი ზრუნვისა და დაცვის ობიექტად წმინდანმა სოფლის მეურნეობა და, კერძოდ, მიწათმოქმედება აღიარა, რადგან ხედავდა, რომ **„ერთადერთი ღონე ჩვენის ქონების გაძლიერებისა ჯერ ხანად მარტო მოწათმოქმედებაა ჩვენში“.** „...თელავის **თავად-აზნაურობას ეს საჭიროება** უგრძვნია და საგნად **შემდგარ ამხანაგობისა** დაუდვია **განკარგება და გაძლიერება მიწათმოქმედებისა.** განკარგება და გაძლიერება სწორედ იმ მხარეს უნდა მიექცეს, რომ მიწათმოქმედებას ჩვენში სხვა გზა და მიმართულება აუჩინონ, გაუმრავალგვარონ კულტურა ჰავისა და მიწის შესაფერად, ყოველიეე ახლად შემოსაღები საჭირნახულო შეუწონონ საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებას, ძვირფასი რამ ჭირნახული დაუდვან საგნად მიწისმომქმედს და იეფის ფასის ჭირნახულზე ხელი ააღებინონ, ან გაუადვილონ ხარჯი და მუშაობა“.[3]

წმინდანი ხაზგასმით აღნიშნავდა: „...ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და **ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი** და **უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე** და **სიმდიდრე,** — **მიწა** და **გუთანია.** რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში. თხზ., ტ. 4, თბ., 1955. გვ. 357.

[2] ი. ჭავჭავაძე. კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ. თხზ., ტ. 7, თბ., 1956. გვ. 257-258.

[3] ი. ჭავჭავაძე. კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი. თხზ., ტ. 7, თბ., 1956. გვ. 40,42.

იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავიმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი. ვერც ერის ეინაობას დაედება საძირკვლად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის. საქმე მიწაა და გუთანი. **ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უკლია. თავდაპირველი შემომქმედი ეროვნობისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც.** რადგანაც ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს, ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინ წადგმული ბიჯი ამ ორ საგნის მიმართ, ჩვენთვის დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს".[1]

სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში წარმოების (კერძოდ, მიწათმოქმედების) და ვაჭრობის სფეროების მნიშვნელობის გააზრება-ანალიზის საფუძველზე წმ. ილია მართალი ასკვნის: „ვაჭრობაც, რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდამ, საცა მეტია, იქ, — საცა უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან. ხოლო ვაჭრობა, წესიერადაც გაწყობილი, ამის მეტს სამსახურს ვერ გაუწევს ადამიანსა და ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს; საცა გამორჩომაა და ხვირი, იქ არის იმისი მამული, იმისი მიწა-წყალი. ამიტომაც **ერი, მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული, დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული. –ამისთანა ერს აუცილებელ ბედად ის უწერია, რომ სხვის კედლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს, სხვისით იცხოვროს.** ამიტომაც საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი ღონე-მოკლებულია, ერად ყოფნობისათვის ნიადაგი არა აქვს და ხელცარიელია, თუნდაც ჯიბეები ოქროებით ჰქონდეს გატენილი. **ამისთანა ერის ეკონომიური ყოფა-ცხოვრებაც იმ ერზედ არის დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი, იმიტომ — რომ ვაჭრობა არა ჰქმნის სიმდიდრესა;** მას მარტო ერთის ადგილიდამ მოჭარბებული სიმდიდრე გადააქვს მეორე ადგილას, საცა ნაკლებია, და ამ გადატან-გადმოტანაში თავის გასამრჯელოდ დოიაქს იღებს იქიდამაც — საიდამაც გადააქვს და იქიდამაც — საცა მიაქვს. ამ სახით, ვაჭრობა არც ერის სიმდიდრის გაძლიერებაში არის თვითმომქმედი მონაწილე, მაშასადამე, იგი, როგორც საპოლიტიკო, ისეც საეკონომიო საქმეებში, მუდამ სხვის მაყურებელია, სხვის პირში მაცქერალი, და ნამდვილ განათლებულ ვაჭარს ყოველთვის წინ გამოსახული ისა აქვს, რომ მისი კეთილდღეობა იმ ერის ბედთან არის შეხორცებული, რომელსაც შეჰხიზნებია. ამიტომაც იგი არ ერიდება და თავისად მიაჩნია იმ ერის ჭირიცა და ლხინიცა".[2]

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის სამეურნეო-მმართველობითი ურთიერთობების ჰარმონიზაციის მიზნით წმინდანი გვირჩევს: „მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით, თავის ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელს საჭიროებას დღემუდამ ჰსცნობდეს, და მეორეს გზით — მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გასწვდება";[3] ამავე დროს, საჭიროა უშუალო მწარმოებლები გავერთიანდეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კოოპერატივებში და „...ვეცადოთ, რომ რაც თვითეულ ცალკე კაცისათვის მიუწდომელია, ის ერთიანის შეკრულ-შებოჭვილ ღონით ვიმოქმედოთ: თვითეულის

---

[1] ი. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა. 1882 წელი, ივლისი-აგვისტო. თხზ., ტ. 5, თბ., 1955. გვ. 173, 176.

[2] ი. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა. 1882 წელი, ივლისი-აგვისტო. თხზ., ტ. 5, თბ., 1955. გვ. 174-175.

[3] ი. ჭავჭავაძე. კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ. თხზ., ტ. 7, თბ., 1956. გვ. 258.

ცალკე გროში ერთად შეეაგროეოთ, ღონე ღონეს შეეაკეცოთ, შრომა შრომას მიეუყენოთ და ამ გზით ბევრნი ერთად შეეებნეთ უღელში ცხოვრების ავკარგიანობის საწევლად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნაღვაწი ჩვენვე გერჩებოდეს, ჩვენვე გერგებოდეს".[1] ასეთი ორგანიზაციების მაგალითად წმინდანს მოჰყავს: „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოება", „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი", „ხილისა და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება", ჭირნახულის მომყვანთა ამხანაგობები, საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებები და სხვ.

წმ. ილია მართლის მემკვიდრეობა საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ყოფიერების ყველა სფეროს მოიცავს, რომელთა შორის უმთავრესია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკა. წმინდანმა და მეცნიერმა, პირველმა ქართველ მკვლევარებს შორის, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკური საფუძვლების გამორკვევა აღიარა საქმიანობის ძირეულ მიზნად. მან თავისი შემოქმედებითა და შრომით დაგვანახა, თუ რა უნდა გაკეთოთ ქვეყნის საზოგადოებრივი კეთილდღეობის აღორძინებისა და შემდგომი სრულყოფისათვის.[2]

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეროვნულ კონცეფციას საფუძვლად უნდა დაედოს წმ. ილია მართლისეული, ქრისტიანული მოძღვრებიდან გამომდინარე პარადიგმების ერთიანობა: „ბამული, ენა, სარწმუნოება", „წარსული, აწმყო, მომავალი", „სულიერი და ხორციელი პური", „სულიერი და ხორციელი ღონის ერთიანობა", „წოდებრივ-ქონებრივი თანასწორობა", „საერთო-ეროვნული ეკონომიკური კეთილდღეობა", „შრომა, გარჯა, ცოდნა და ხერხი", „სწავლა, ცოდნა და მეცნიერება", „ღონე — ღონეს, შრომა — შრომას", „სოფლის მეურნეობის უპირატესობა", „მიწა და გუთანი", „ეკონომიკური სიძლიერე — საადგილმამულო მრეწველობა", „მონარქიის როლი ეკონომიკაში", „ჰარმონია: მთავრობა, ხალხი, მეურნეობა", „ურთიერთსიყვარული".[3]

ბიბლიური სწავლებით ნასაზრდოები, წმ. ილია მართლისეული სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება დღევანდელი საქართველოს ძირითად საჭიროებებს ესადაგება და გვაძლევს სწორ გეზს ქვეყნის ჰარმონიული ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, გლობალურ სისტემაში მისი ჭეშმარიტი მისიის დადგენისა და ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

ეს ღვთაებრივი სიბრძნე უნდა დაედოს საფუძვლად ყოველი ადამიანის, საზოგადოებისა და ერის საქმიანობას ცხოველქმედების ყველა სფეროში, მათ შორის, უპირველესად, სამეურნეო-მმართველობით პრაქტიკაში.

---

[1] ი. ჭავჭავაძე. ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოერებისა. თხზ., ტ. 7, თბ., 1956. გვ. 13.
[2] მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია). სოციალურ-ეკონომიკური საკითხები წმ. ილია მართლის შემოქმედებაში. სადიპლომო ნაშრომი. თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია, 2000, გვ. 87.
[3] გ.შიხაშვილი, მ.შიხაშვილი. წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) ეკონომიკური მოძღვრება — საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის საფუძველი. საერთაშორისო კონფერენცია „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა". თეზისების კრებული. საიუბილეო ღონისძიებათა სამთავრობო კომისია. თბ., 2007, გვ. 112.

ლიტერატურა

1. მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია). სოციალურ-ეკონომიკური საკითხები წმ. ილია მართლის შემოქმედებაში. სადიპლომო ნაშრომი. ხელმძღვანელი გ. შიხაშვილი. თბილისის სასულიერო სემინარია, 2000.
2. მღვდელი ბასილ ახვლედიანი, გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. მთ. რედაქტორი ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). თბ., „მერიდიანი", 2009.
3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი. თბილისი. „გეოკერია", 2004.
4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბილისი, „გეოკერია", 2004.
5. ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ.,, თსუ გამომცემლობა, 2009.
6. შ. ვეშაპიძე. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კელევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები. თბილისი, 1999.

საგამოცდო საკითხები

1. წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) ეკონომიკის შესახებ და თანამედროვე საქართველო

3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ

(დეკანოზი ბასილ ახვლედიანი, გიორგი შიხაშვილი)

სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებაში და, აქედან გამომდინარე, კათოლიკოს-პატრიარქის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში.

მართლმადიდებელი ეკლესია მოუწოდებს ყოველ ადამიანს, მთელ საზოგადოებას, სრულიად კაცობრიობას საღვთო ზნეობრივი კანონის დაცვა-განხორციელებისაკენ საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროში (ეკონომიკა, ბიზნესი, მართვა, სამართალი, ეკოლოგია, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ოჯახი, ჯანდაცვა, მასმედია და სხვ.).

ეკლესია იღწვის იმისათვის, რომ ყოველ ინდივიდს, ერს, სახელმწიფოსა და კაცობრიობას დაანახოს კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების რეალური მიზეზები და დაუსახოს ღვთივსულიერი, ჰარმონიული განვითარების გზები.

ერთიანი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში საქართველოს ავტოკეფალურ, სამოციქულო ეკლესიას ისტორიულად თვალსაჩინო მისია აკისრია. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ცხოვრების სინერგიული მოწესრიგების საღვთო საქმეში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

დღიდან აღსაყდრებისა (1977 წლის 25 დეკემბერი) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დიდი რუდუნებით იღწვის ეკლესიის მისიის განხორციელებისათვის, საზოგადოების ზნეობრივი განწმენდისათვის და ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ეკლესიის უმთავრეს იარაღს სიტყვა წარმოადგენს. ჩვენი პატრიარქიც ლოცვით, ეპისტოლეებით, ქადაგებით, შეგონებებით, პირადი მოღვაწეობით აღასრულებს მისთვის ღვთივბოძებულ მისიას.

ეკლესია და მისი საგეთმპყრობელი დღენიადაგ იღწვიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გააზრება-მოგვარებისათვის, როგორიცაა:

- ცალკეული ადამიანის, ოჯახის, ერის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, სახელმწიფოს და მთელი კაცობრიობის ღვთივდადგენილი დანიშნულება, მიზანი და ჰარმონიული განვითარების გზები;

  ეკლესიის მისია, ადგილი და როლი კომპლექსურ საზოგადოებრივ განვითარებაში; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური დოქტრინა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია;

  მეცნიერ-ეკონომისტების როლი საქართველოს ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოწესრიგების საქმეში;

  ეკონომიკა, შრომა, წარმოება, სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია, ბიზნესი, მართვა, ეკონომიკური და ბიზნეს-განათლება.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უკვე მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკური დოქტრინის (კონცეფციის) შექმნისათვის. ამ სფეროში საქმიანობის ეფექტიანი წარმართვის წანამძღვრებია ბიბლიის სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრება; ეკლესიის სწავლება ამ სფეროში; საეკლესიო სამართლის დოკუმენტები; წმიდანების, პატრიარქების, თანამედროვე ღვთისმეტყველების და მეცნიერების შემოქმედება; კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის; ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების გამოცდილება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია 2002 წლის 14 ოქტომბერს მიღებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რომლის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ სახელმწიფომ და ეკლესიამ უნდა ითანამშრომლონ ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ასეთი მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია ეკონომიკის განვითარება და ეკონომიკური განათლების სრულყოფა, რასაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ხშირად ხაზგასმით აღნიშნავს. ამის შესახებ იგი საუბრობდა სწავლულ ეკონომისტებთან შეხვედრაზე საქართველოს საპატრიარქოში 2004 წლის 30 იანვარს, სადაც მან აღნიშნა, რომ ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით უნდა გადავწყვიტოთ. საჭიროა ეკონომიკური საქმიანობის და სათანადო განათლების მოწესრიგება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ამასთან, ეკონომიკა განვითარდება, თუ საქართველო შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს.[1]

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტთან 2007 წლის მაისიდან მოქმედება დაიწყო სპეც-კურსებმა სახელწოდებით: „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“, ხოლო 2008 წლის 12 ოქტომბერს გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი, სადაც მოხდება თეოლოგიური ორიენტაციის მქონე მაღალკვალიფიციური ეკონომისტებისა და ბიზნესმენების მოზადება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და მისთვის სათანადო სამართლებრივი გარემოს შექმნას.

1999 წლის საშობაო ეპისტოლეში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავდა: „ჩვენი ყოფა დადებითისკენ რომ შეიცვალოს აუცილებელია, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა. ყველა კარგად ხედავს, რომ დღეს ქვეყანა ძირითადად ორი ნაწილისაგან – უკიდურესად ღარიბთა და მდიდართა ფენისაგან შედგება, რომელთა შორის უფსკრული სულ უფრო ღრმავდება. საშუალო ფენა არის სახელმწიფოს დასაყრდენი, ამიტომაც მეწარმეობის განვითარება დროის მოთხოვნა და ჩვენი გადარჩენის გარანტიაა.

მე ვთხოვ ჩვენს ხელისუფლებას, ყველას, ვისზეც არის დამოკიდებული ამ მიმართულების განვითარება, იქნებ როგორმე გამოიძებნოს საშუალება, რომ დამწყები მეწარმენი დროებით მაინც განთავისუფლდნენ გადასახადისაგან. ეს მოუხსნის მათ წარუმატებლობის კომპლექსს და გაუღვივებს საქმის ინტერესს. სახელმწიფომ უნდა დააარსოს მცირე ბიზნესის შემსწავლელი სკოლებიც და თუ იქ უცხოეთიდან მოწვეული გამოცდილი სპეციალისტები წაიკითხავენ ლექციებს, ეს მალე დიდ შედეგს მოგვცემს“.[2]

2003 წლის 27 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან მაღლივ კორპუსში შეხვედრისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საზოგადოების განვითარების პროცესში აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ეკონომიკაზე. დღეისათვის ჩვენში ორი სოციალური ფენაა – მდიდრები და ღარიბები. საშუალო ფენა არ არის. ერთი მილიონი ადამიანი გასულია ქვეყნის გარეთ საშოვარზე. როგორც კი გაჩნდება სამუშაო ადგი-

---

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბილისი, „ზეკერია“, 2004, გვ. 294.

[2] იქვე, გვ. 160.

ლები, ისინი დაბრუნდებიან. ეს მე მითქვამს ქვეყნის პრეზიდენტისათვის. აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. კომუნისტები გრანდომანიით იყვნენ შეპყრობილი, რაც დღესაც შემოგვრჩა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან სათანადო მფარველობა, რაც, პირველ რიგში ხელშემწყობ საგადასახადო პოლიტიკაში უნდა გამოიხატოს".[1]

იგივე საკითხზე პატრიარქი ილია II ხელისუფლების ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომაზე 1999 წლის 27 აპრილს: „ _ძალიან ხშირად ჩემთან მოდიან საქმიანი ადამიანები, მეწარმეები, რომელნიც ამბობენ, რომ თუ არ განვითარდება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი, არაფერი არ ეშველება უმუშევარ ხალხს. არადა ამის საშუალება არის.

ბ-ნო თავმჯდომარეე, მე მინდა თქვენი და პარლამენტარების ყურადღება მივაქციო იმას, რომ თუ ეს დამწყები წარმოებები არ განთავისუფლდებიან მძიმე გადასახადებისაგან, ვერაფერი ვერ გაიხარებს, ეერაფერი ვერ მოიკიდებს ფეხს. ჩვენ ვერ შევძლებთ უმუშეევართა არმიის დასაქმებას...

...მრავალი საშუალება არსებობს იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს მცირე და საშუალო წარმოებები, თუ ისინი პირველ საწყის ეტაპზე განთავისუფლდებიან მძიმე გადასახადებისაგან". [2]

1992 წლის 1 ნოემბერს, სიონის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას, პატრიარქმა თქვა: „ხშირად გაიგონებთ, რომ ჩვენ შიმშილი და კატასტროფა გველის, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ არ არსებობს მდგომარეობა, რომლისაგანაც გამოსელა არ შეიძლებოდეს. მთავარია ადამიანმა იმედი არ დაკარგოს, რადგან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნას შედეგად დაღუპვა მოსდევს.

განსაცდელში ჩავარდნილ ხალხს დღეს პირველ რიგში ეკლესია უნდა დაუდგეს გვერდით, ეკლესიამ უნდა იზრუნოს მისთვის. მე ვფიქრობ, რომ კარგი იქნება, თუ ყველა ტაძართან მეურნეობა შეიქმნება. ტაძარს უნდა ჰქონდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მრევლი დაამუშავებს. ასევე შესაძლებელია პირუტყვის მოშენებაც. პირველ რიგში საჭიროა, ყველა ტაძარმა აღრიცხოს თავისი მრევლი, როგორც ეს მიღებულია საერთოდ ყველა ცივილიზებულსა და დემოკრატიულ ქვეყანაში. შემდეგ უნდა შეიქმნეს ჯგუფები, რომელშიც შესაძლებელია 7, 9 ან 12 მორწმუნე გაერთიანდეს. ამ ჯგუფებმა უნდა გადაწყვიტონ კერძოდ რომელ საქმეს მოჰკიდებენ ხელს. ზოგი შეიძლება ფარდაგების ქსოვას შეუდგეს, ზოგმაც ხატწერა აირჩიოს, ზოგმაც კიდევ ხეზე ჭრა, მაგალითად ჯვრებისა. როგორც ცნობილია, დღეს დიდი მოთხოვნილებაა ხის, განსაკუთრებით კი ბზისგან გამოჭრილ ჯვრებზე. რამდენიმე ჯგუფმა შეიძლება კერამიკის წარმოებასაც კი ჩაუყაროს საფუძველი. ამ ჯგუფებს აუცილებლად უნდა ჰყავდეთ მოძღვრები.

თქვენ იცით, რომ ეკლესიას დიდი მამულები ჰქონდა, ნაწილი მას დაუბრუნდა, ნაწილსაც ალბათ მალე გადმოგვცემენ. მრევლს შეუძლია იგი დაამუშაოს და კარგი მოსავალიც მოიწიოს, რომელსაც შემდეგ ყველა თანაბრად გაინაწილებს. საპატრიარქოს პირუტყვიც ჰყავს, მათ შორის ასზე მეტი თხა, რომელთაგან ზოგი ძალიან ძვირფასი ჯიშისაა, მაგალითად თივთიკისა. ახლო მომავალში შეეიცარიიდან ასოციაცია „საქართველოს მეგობრები" იმგვარი ჯიშის თხების გამოგზავნას გეპირდებიან, რომელნიც დღეში 6—7 ლიტრა რძეს იწველებიან. თუ ეს მეურნეობანი ჩამოყალიბდება, შეიძლება ეს თხები თქვენ გადმოგცეთ და შემოსავლის მშვენიერი წყარო გაგიჩნდებათ. შრომა და განსაკუთრებით კი ერთად შრომა, მრევლში სულიერობასაც აამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია".[3]

---

[1] იქვე, გვ. 265.
[2] იქვე, გვ. 167-168.
[3] იქვე, გვ. 117-118.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, 1994 წლის საადგომო ეპისტოლეში, პატრიარქი წერს: „მიხედეთ მიწას; მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამაღლდეს ზნეობა, ამუშავდეს ჩვენი წარმოებები, ქარხნები, ფაბრიკები, აყვავდეს მეურნეობები".[1]

იმავე წლის საშობაო ეპისტოლეში პატრიარქი აღნიშნავს, რომ სამეურნეო საქმიანობა არასოდეს არ არის ინდივიდუალური. ცალკეული ადამიანი, როგორც გენეტიკური არსება მემკვიდრეა მასზე წინ არსებულ თაობათა სამეურნეო გამოცდილებისა და, ამავე დროს, მუშაობისას თანამედროვე კაცობრიობის გავლენასაც განიცდის, აქედან გამომდინარე, „ჩვენც გვმართებს გამოვიძიოთ, რას საქმიანობდნენ ჩვენი წინაპრები. დღეს, როცა ნედლეულისა და მანქანა-დანადგარების ნაკლებობა ასე მწვავედ იგრძნობა, ფაბრიკა-ქარხნები ერთ დღეში ვერ ამუშავდება. კრიზისიდან გამოსვლისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დამუშავდეს მიწა, ჩვენი მარჩენალი. ხალხი ჯერ შიმშილისგან უნდა ვიხსნათ, შემდეგ კი შეგვეძლება წარმოების თანდათანობით აღდგენასა და განვითარებაზეც ვიფიქროთ. ამის უგულებელყოფა შეუძლებელია".[2]

1999 წლის 15 მარტს, ჰოლანდიელ ბიზნესმენ ბ-ნ იანსენთან შეხვედრისას, პატრიარქმა განაცხადა: „ქართველმა კაცმა იცის მიწაზე მუშაობა, მაგრამ ჰოლანდიის გამოცდილება ხელს შეუწყობს მეურნეობებისა და ფერმების მაღალ დონეზე მოწყობას".[3]

1999 წლის 25 მაისს, მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენლებთან პატრიარქმა აღნიშნა: „მწვანეთა მოძრაობა ის ძალაა, რომელიც იბრძვის ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს გადარჩენისათვის და ეკლესიისგან ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს. მწვანეთა მოძრაობაში ჩაბმული უნდა იყოს მთელი საზოგადოება – ერი და ბერი – ყველამ ერთად უნდა იზრუნოს ჩვენი ბუნების გადარჩენისა და ჩვენი ერის ჯანმრთელი მომავლისათვის. ...საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მზადაა ყველა იმ საკითხში, რომელიც ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხება, მჭიდროდ ითანამშრომლოს მწვანეებთან".[4]

იმავე წლის 2 ივნისს, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტ ჯ. ეულფენსონთან საუბრისას, პატრიარქმა ყურადღება გაამახვილა ქართველი ხალხის პოტენციალზე და აღნიშნა: „საქართველო საუკუნეების მანძილზე იცავდა თავის ენას, თავის კულტურას და მძიმე მდგომარეობიდან ყოველთვის თავისი ძალებით გამოდიოდა. მე არ მინდა რომ ჩვენი ხალხი შეეჩვიოს დახმარებებს. ხალხმა უნდა იშრომოს... სასურველია, მსოფლიო ბანკმა დახმარება გაუწიოს საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების შემუშავებაში, რომელიც არა მარტო ფინანსურ, არამედ ტექნიკით დახმარებას და გამოცდილებათა გაზიარებას უნდა გულისხმობდეს. მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნა ძალიან გაგვიადვილებს სოციალური პრობლემების მოგვარებას, ნაკლები იქნება უმუშევრობაც".[5]

2000 წლის 6 თებერვალს, სიონის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას, ებრაული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების – კიბუცების მნიშვნელობის შესახებ პატრიარქმა თქვა: „ამ საუკუნეში მოხდა ერთი დიდი და საოცარი მოვლენა – შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო. დადგა საკითხი, რომ ებრაელები დაბრუნებულიყვნენ ისრაელში. ხშირ შემთხვევაში ეს ადამიანები უსახლკარონი იყვნენ და არავითარი ქონება არ გააჩნდათ. სახელმწიფო მოვალე იყო, რომ ხელი შეეწყო და პირობები შეექმნა მათთვის. შეიქმნა მონასტრის მსგავსი სოფლები: რამდენიმე ოჯახი ერთად იკრიბება, მუშაობენ, აგ-

[1] იქვე, გვ. 127.
[2] იქვე, გვ. 131.
[3] იქვე, გვ. 164.
[4] იქვე, გვ. 169-170.
[5] იქვე, გვ. 170.

როვებენ თავის ხელფასს და თანაბრად იყოფენ მას. მათ აქვთ თავიანთი სკოლები, სხვადასხვა ჰატარა საწარმოები, ქარხნები, საქონლისა და ფრინველის ფერმები და საკმაოდ კარგად ცხოვრობენ. ერთმა ზოოტექნიკოსმა ებრაელმა, რომელიც ბელორუსიიდან იყო ჩასული, მიამბო, რომ მათ სოფელში 250-მდე ოჯახია. მათ აქვთ აღებული გარკვეული ტერიტორია, მიწა, სადაც სახლები აქვთ აგებული. მარტო ინდაურების ფერმიდან ყოველ წელიწადს ისინი მაღაზიებს 2000 ტ. ხორცს აბარებენ და ყოველ წელიწადს 300000 დოლარი აქვთ შემოსავალი. ...იქ არ არსებობს პრობლემა იმისა, რომ ახალგაზრდას ცოლის მოყვანა უნდა და სად მიიყვანოს არ იცის. მათ ბინაც აქვთ და ყველანაირი პირობებიც. ...დღეს ეს საკითხი დგას ჩვენთან: ძალიან მძიმეა დემოგრაფიული პრობლემა. ცხოერების ეს წესი კი ადამიანს საშუალებას აძლევს, რომ 10 კი არა თუნდაც 20 შვილი ჰყავდეს. ასეთი სოფელი, ეს მონასტრული წყობისაა, და მასში ჩვეულებრივი ოჯახებია ერთად შეერთებული. მათ ბავშვებისათვის ბაგა-ბაღები, სკოლები აქვთ, მერე კი მათ უმაღლესი სასწავლებლისათვის ამზადებენ. ჩვენთან დიდი რეგიონებია დაცარიელებული. შეიძლებოდა, რომ აქ ასეთი სოფლები შექმნილიყო, რომლებიც გაერთიანდებოდა, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოებით და ეროვნული თვითშეგნებით. ახალგაზრდები დასახლდებოდნენ ჩვენს მიწა-წყალზე და აღორძინდებოდა ბედნიერი ცხოვრება. ჩვენ უკვე ვფიქრობთ ამის შესახებ. ჩვენი სურვილია, ისეთი სოფლები შეიქმნას, სადაც რწმენითა და სიყვარულით გაერთიანდება ხალხი და აღდგება ძველი ნასოფლარები. როცა ჩვენ ამას გავაკეთებთ, ესეც იქნება აღსრულება პაველ მოციქულის სიტყვებისა: „ურთიერთის სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".[1]

2000 წლის 21 მაისს, სიონის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას, მეფუტკრეობის მნიშვნელობის შესახებ პატრიარქმა აღნიშნა: „თქვენ იცით, რომ დღეს მრავალ ადამიანს უჭირს, მათ შორის უმეტესობა, განსაკუთრებით ახალგაზრდები, უსაქმოდ არიან — ვერ უშოვიათ სამსახური, ცხოვრებაში გზა ვერ გაუკელეფიათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეკლესიამ რაღაც უნდა იღონოს მათთვის და პირველი ნაბიჯი, რაც ამ მიზნით გვინდა გადავდგათ, ის არის, რომ მათ მეფუტკრეობა შევასწავლოთ. ფუტკრის მოშენება ძალიან სასარგებლო საქმეა. ვისაც ფუტკარი ჰყავს, არასდროს არის გაჭირვებული, მუდამ ბარაქით სავსეა. აქეს სანთელი, თაფლი, დინდგელი და სხვა. ფუტკრის მოვლას ცოდნა სჭირდება. ამ საქმიანობის შესწავლის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოსთან იხსნება მეფუტკრეობის კურსები— არავითარი სხვა შემოსავალი რომ არ ჰქონდეს ოჯახს და მას მხოლოდ ფუტკარი ჰყავდეს, ის უკვე უზრუნველყოფილი იქნება ცხოვრების მანძილზე. ჩვენ ასევე გადაეწყვიტეთ, ეინც ყველაზე კარგად შეისწავლის ფუტკრის მოვლას და მოისურვებს ფუტკრის გაჩენას, მას პირველ სკას ჩვენ ეაჩუქებთ... ღმერთმა ინებოს, რომ მთელს საქართველოში განვითარდეს მეფუტკრეობა, გექონდეს ბევრი თაფლი და სანთელი".[2]

2000 წლის 5 აგვისტოს, კელაე კიბუცების შესახებ საუბრისას, პატრიარქი გადმოგვცემს სწავლებას შრომის, ეკოლოგიისა და სოფლის მეურნეობის შესახებ: „ადამიანისათვის

აუცილებელია შრომა— შრომით უნდა მოიპოვოს ადამიანმა პური არსობისა. დაგვაკვირდეთ თუნდაც წინასწარმეტყველების ან წმიდა მოციქულების მოღვაწეობას, ისინი ძალიან ბევრს შრომობდნენ... დღეს ახალგაზრდობა რატომღაც გაურბის შრომას და ეძებს იოლ გზას: ან ვაჭრობს, ან რაღაც სხვა გზებით ცდილობს მოიპოვოს ლუმპური... ნებისმიერი ადამიანისათვის, პატრიარქი იქნება ეს, პრეზიდენტი, მეცნიერი, მუშა თუ გლეხი — აუცილებელია ბუნებასთან, მიწასთან სიახლოვე. ბუნება, მიწა, მცენარე ჰკურნავს ადამიანის სულს და აი, ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა

[1] იქეე, გვ. 183-184.
[2] იქეე, გვ. 184-185.

მივაქციოთ ყველამ სოფლის მეურნეობას. ჩვენ უნდა გვქონდეს პატარა ნაკვეთი, სადაც თუნდაც მწვანილს მოვიყვანთ; თითქმის ყველა თქვენგანს აქვს რაღაც კავშირი სოფელთან, მაგრამ იქ მხოლოდ იმისათვის კი არ უნდა ჩავიდეთ, რომ დავისვენოთ და სუფთა ჰაერზე ვიყოთ, არამედ აუცილებლად რაღაც უნდა მოვიყვანოთ და ვისარგებლოთ ჩვენი შრომის ნაყოფით. ასე რომ, თუ ჩვენ სწორი გზით წავედით, არ დავკარგეთ ჩვენი სარწმუნოება, თუ ჩვენ ვიშრომეთ, კეთილი მომავალი გვექნება.

...როცა საშობაოდ ისრაელში ვიყავით, ჩვენ მოვხვედით ერთ-ერთ ფერმაში, იქ ფერმებს კიბუცები ეწოდება. კიბუცი პატარა სოფელია, ერთად 100-200 ოჯახია შეკრებილი, მათ ჰყავთ საქონელი, ასევე დიდი ფართობის მიწები, სადაც მოსავალი მოჰყავთ. იქ ძალიან ნაკლებია წყალი, წვიმა და ამიტომ მოსავალი ძალიან დიდი გაჭირვებით მოჰყავთ. აშენებენ ინდაურებს. როცა ჩვენ ვთხოვეთ, შევეყვანეთ ფერმაში, გვითხრეს, რომ იქ შესვლა არ შეიძლება, რადგან შეიძლება ინფექცია შეიტანოთ. აი, ასე უფრთხილდებიან თავიანთ ფერმას. მათ წელიწადში სუფთა შემოსავალი, გარდა ხარჯებისა 350 ათასი დოლარი აქვთ. საქართველოშიც ხომ შეიძლება მსგავსი რამის გაკეთება. ჩვენში უამრავი მდინარეა. რამდენი თევზის საშენი შეიძლება გაკეთდეს აქ".[1]

2008 წლის სააღდგომო ეპისტოლეში, შეეხო რა გენეტიკური ინჟინერიის სიაეკარგეს, პატრიარქმა აღნიშნა, რომ საოცარი შედეგი მივიღეთ დაავადებათა პრევენციასა და დიაგნოსტიკაში, მაგრამ გენების მანიპულირებით და გენ-მოდიფიცირებული პროდუქტების შექმნით, - მეტად საშიში ნაბიჯი გადაიდგა.

ამ მიმართულების მომხრეები ხშირად ამტკიცებენ, რომ ისინი იგივე საქმიანობას ეწეიან, რასაც, მაგალითად, სელექციონერები, რომელთაც უკეთესი ჯიშები გამოყავთ.

მართალია, გენების გადაცემა სელექციის დროსაც ხდება, მაგრამ მხოლოდ ერთი სახეობის ან მონათესავე სახეობის ინდივიდებს შორის. სელექციის დროს ბრინჯი შეიძლება შეჯვარდეს მხოლოდ ბრინჯის სხვა ჯიშებთან, მაგრამ არა მაგ. ვაშლთან.

გენური ინჟინერიის შემთხვევაში კი ეს ბარიერი მოხსნილია; გენი გადააქვთ მცენარიდან მცენარეში, მცენარიდან ცხოველში, მცენარიდან, ცხოველიდან ან ბაქტერიიდან – ადამიანში და ა.შ.

ამ დამახინჯებულ გენებს კი აქვთ გამრავლების უნარი, რაც ღვთის მიერ ათასწლეულების განმავლობაში დაწესებული სახეობათშორისი საზღვრებისა და წესრიგის დარღვევას იწვევს, ეს კი გამოუსწორებელ შედეგს მოუტანს გარემოს და ჩვენს სულიერ სამყაროსაც დააზიანებს.

აქედან გამომდინარე, „გამოსავალი ერთია, მიუხედავად ასეთი პროდუქტების სიიაფისა და ჩვენი გაჭირვებისა, უარი უნდა ვთქვათ მათ გამოყენებაზე. ამასთან, ვიმედოვნებთ, ხელისუფლება ამ საკითხს მეტ ყურადღებას მიაქცევს და გაატარებს ქმედით ღონისძიებებს, რათა ჩვენი სოფლის მეურნეობა ნატურალური პროდუქტების წარმოების გზით განვითარდეს, რაც შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მძლავრ ბერკეტადაც იქცეს, რადგან მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება.

თუ ეს განხორციელდა, იგი დიდ სტიმულს მისცემს როგორც სოფლის მეურნეობის წინსვლას, ისე ამ სფეროში გადამამუშავებელი ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზეც ქართულ პროდუქციას თავის ადგილს დაუმკვიდრებს.

–განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი საქმიანობა, რომელიც ბუნებასთან კავშირშია; მიწასთან, მცენარეებთან, ცხოველებთან მიმართებაში სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობა ადამიანს აკეთილშობილებს და კურნავს, რადგან ღმერთმა ამ სამყაროს გვირგვინად შეგვქმნა და მასზე პასუხისმგებლობაც დაგვაკისრა.

---

[1] იქვე, გვ. 187-188.

ადამიანი მოვალეა გაუფრთხილდეს და ყოველდღიური საქმიანობისას დალოცოს მიწაც, მოსავალიც, პირუტყვიც– ეკლესიაში კი ამისთვის სპეციალური ლოცვებია დადგენილი.

ასე ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები და ამიტომაც ბუნებასთან ერთობაში იყვნენ.

თანამედროვე ადამიანმა ეს დამოკიდებულება უხეში მომხმარებლური მიდგომით შეცვალა, რაც, თუ არ გამოსწორდა, დაღუპავს კაცობრიობას".[1]

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პერსპექტივების შესახებ ფუნდამენტური მოსაზრებები გადმოცემულია პატრიარქის 2008/2009 წლის საშობაო ეპისტოლეში, რომელშიც ნათქვამია შემდეგი: „სისტემური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დასავლეთმა კურსი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო, რაც თავისუფალი ბაზრიდან უფრო რეგულირებად ბაზარზე გადასვლას გულისხმობს და, ბუნებრივია, ცალკეული სახელმწიფო ეფექტური მართვის საკუთარი მექანიზმის ძიებას დაიწყებს. **ჩვენც უნდა გამოვნახოთ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზები. როგორც ამ დარგის სპეციალისტები ამბობენ, აუცილებელია, საშუალო და მცირე საწარმოთა დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება.**

ის, რომ ჩვენი ხელისუფლება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წინსვლისთვის გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, მისასალმებელია, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია... **საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა.** ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია, როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. **ჩვენი წინაპრებისთვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა და, ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს.**

დღეს კი მავანნი კახელ გლეხს სოლიდურ თანხას სთავაზობენ, რომ მან შვილივით ნაზარდი ვაზი აჩეხოს და სანაცვლოდ საზამთრო ან სხვა კულტურა დარგოს; ამასთან, ყურძნის მოყვანის ინტერესს იმითაც უკლავენ, რომ მოსავლის ჩაბარებისას, მინიმალურ ფასსაც არ აძლევენ. ასე არ უნდა გაგრძელდეს. იქნება გამოსაელად იქცეს გლეხურ მეურნეობებში დამზადებული სუფთა ღვინის ექსპორტი სახელმწიფოს მიერ. რაც შეეხება ხორბალს, მისი ადგილობრივი წარმოება კატასტროფულად არის შემცირებული და ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების მხოლოდ 9% აკმაყოფილებს; სამწუხაროდ, ამ 9%-შიც არ შედის ჩვენი ტრადიციული ადგილობრივი ჯიშები.

მეტად სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ უნიკალური ქართული ხორბალი სრული გაქრობის პირასაა. არადა, ჩვენგან წაღებულ თესლს სხვა ქვეყნები თავისად წარმოაჩენენ და ამით ამაყობენ; **ხოლო საქართველოში ექსპორტირებული ხორბალი და პურის ფქვილი, რომელიც მოხმარებული პროდუქციის 91% შეადგენს, იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.** საქმე შემდეგშია: მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ ხელოვნური მეთოდებით (გენური ინჟინერია, შხამ-ქიმიკატები, მცენარის ზრდის სტიმულატორები და ასე შემდეგ) მიღებული საკუთარი ჯარბი პროდუქციისათვის გასაღების ბაზრები გააფართოონ და სხვა ქვეყნებში ადგილობრივი ბუნებრივი პროდუქციის წარმოება შეაფერხონ, საქართველოც სურთ, თავისი გავლენის სფეროდ და მათი სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნად გადააქციონ; მით უმეტეს, რომ აქ, ხალხის

---

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2008, 30 აპრილი, სპეციალური გამოშვება, გვ. 6-7.

დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო, იაფფასიანი, უხარისხო ნაწარმის გასაღება პრობლემას არ წარმოადგენს.

ამ ტენდენციას ჩვენ ჩვენი პოზიცია და ინტერესები უნდა დავუპირისპიროთ. სოფლის მეურნეობის აღორძინების მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკა, მართალია, მნიშვნელოვანია (ეგულისხმობ სახელმწიფო დოტაციებს, სარწყავი წყლითა და საძოვრებით უზრუნველყოფას, რაიონებში უფასო საკონსულტაციო ცენტრების ამოქმედებას), მაგრამ თვით მოსახლეობასაც შეუძლია ზომების მიღება, მან უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციაზე, თვითონ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება და შექმნას მცირე საწარმოები.

ყველამ იცის, რომ, ხელოვნური ტექნოლოგიების საპირისპიროდ, დღეს უკვე სერიოზული ბიძგი მიეცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და მათზე მოთხოვნილებაც და ფასიც მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება. ვფიქრობ, ჩვენთან ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც. ამიტომაც, ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური ქართული სასოფლო-სამეურნეო ჯიშები (არა მარტო ყურძნის და ხორბლის, არამედ ლობიოს, კარტოფილის, საერთოდ ბოსტნეულის, ხილისა და საქონლის), თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს. ამით ჩვენ ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჯანმრთელობასაც დავიცავთ".[1]

2009 წლის საადღგომო ეპისტოლეში პატრიარქი მოგვიწოდებს, რომ ყველა უნდა ვეცადოთ გავაკეთოთ მაქსიმუმი იმისა, რისი პასუხისმგებლობაც გვაკისრია. ესაა ჩვენი მსახურება ქვეყნისადმი. „ყველაზე მეტი უფლებები და პასუხისმგებლობა კი, რა თქმა უნდა, ხელისუფალთ აქვთ. მათ ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება. შემდეგ კი – ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფას, განათლების ხელშეწყობას და სხვა.

ქვეყნის კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზეც. ჩვენ მათთან, აუცილებლად, უნდა გავაღრმავოთ კავშირი, რის წინაპირობადაც უნდა იქცეს კულტურათა შორის დიალოგი; ერთმანეთის სულიერი, მეცნიერული და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენა ხელს შეუწყობს ჩვენს შორის არსებული სხვა საკითხების გადაწყვეტასაც.

საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეო-პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. იგივე ითქმის ჩვენს თითოეულ მოქალაქეზეც.

ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განხორციელებისათვის ბრმა იარაღად. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა.

ზემოთჩამოთვლილ ინსტიტუტებში ეროვნული მიმართულების გაძლიერებისათვის კი საჭიროა ქართული ბიზნეს-სექტორის გაფართოება და შეძლებული საშუალო ფენის შექმნა.

სამწუხაროდ კი, ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, საარსებო მინიმუმზე და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს; არადა საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და, მითუმეტეს,

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008/2009 წლის საშობაო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2009, №1, გვ. 5-6.

მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისათვის. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი თუ მათი გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, ოღონდ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარება სუბსიდიების და გრძელვადიანი კრედიტების სახით.

გვინდა ხელისუფლებას ერთი წინადადებაც შევთავაზოთ: მოგეხსენებათ, მსოფლიო გლობალური კრიზისი საკმაოდ მწვავედ შეეხო ქართულ ბიზნესს და საერთოდ მოსახლეობას. ბუნებრივია, აუცილებელია, ქმედითი ჩარევა, რათა თავიდან ავიცილოთ სამუშაო ადგილების შემდგომი შემცირება. 2009 წლიდან სახელმწიფოს მიერ გადასახადების კლებისკენ გადადგმული ნაბიჯი კარგი ფაქტი იყო, მაგრამ, ალბათ, უფრო შედეგიანი იქნება საგადასახადო ამნისტიის გამოცხადება, რომელიც საქართველოში მომქმედ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს გაათავისუფლებს სანქცია-საურავებისაგან.

რა თქმა უნდა, თუ ეს ნაბიჯი განხორციელდა, იგი სერიოზულად შეამსუბუქებს როგორც მეწარმეების, ასევე მოქალაქეების საგადასახადო ტვირთს და წაახალისებს მათ ეკონომიკურ აქტივობას.

საერთოდ კი, რაც არ უნდა მძიმე იყოს ჩვენი მდგომარეობა, სულით არ უნდა დავეცეთ და სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავვარდეთ, რადგან ცალკეულ პირონებებსაც და ერსაც განსაცდელი ან რწმენაში განსამტკიცებლად ეძლევა, ან მცდარი გზიდან მოქცევისათვის".[1]

მთლიანობაში, რელიგიურ-საღვთისმეტყველო და სამეცნიერო-პრაქტიკული თვალსაზრისით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II შემოქმედება და პირადი მოღვაწეობა წარმოგვიდგება როგორც საქართველოს ეკლესიის სოციალური დოქტრინის და ქართული სახელმწიფოს ღვთივსულიერი, ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური (მათ შორის, სასოფლო სამეურნეო წარმოების) განვითარების ეროვნული კონცეფციისა და რეალური პრაქტიკული საქმიანობის საფუძველი. ასეთი გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა კომპეტენტური და დაინტერესებული მხარის მიერ, რათა გაიშალოს სათადო მუშაობა დასახული მიზნების გახორციელებისათვის.

ლიტერატურა

1. მღვდელი ბასილ ახვლედიანი. საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება საქართველოში. ეკონომიკის დოქტორის დისერტაცია. ხელმძღვანელები: გ. შიხაშვილი, ე. ხარაიშვილი. თბ., 2008.
2. მღვდელი ბასილ ახვლედიანი, გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. მთ. რედაქტორი ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). თბ., „მერიდიანი", 2009.
3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი. თბილისი. „გეოკერია", 2004.
4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბილისი, „გეოკერია", 2004.
5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2008, 30 აპრილი, სპეციალური გამოშვება.

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2009 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2009, №14, გვ. 4-5.

6. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008/2009 წლის საშობაო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2009, №1.
7. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2009 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2009, №14.
8. ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ.„ თსუ გამომცემლობა, 2009.
9. შიხაშვილი გ. მართლმადიდებლური მოძღვრება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მოღვაწეობის მიხედვით). ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2004, №5.
10. შიხაშვილი გ. განათლების ორგანიზაცია საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის სფეროში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.

საგამოცდო საკითხები

1. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ

4. ბიზნესის საფუძვლები
(ეკატერინე გულუა)

ნაწილი I. ბიზნესის თეორიული ასპექტები

პიროვნება, საზოგადოება, ეკონომიკა, ბიზნესი

ადამიანის ფიზიკური არსებობა რეალურ სამყაროში დაკავშირებულია მისი მატერიალური და სულიერი **მოთხოვნილებების** არსებობასთან, მრავალ **საჭიროებასთან**. პიროვნებას ყოველდღიურად უხდება გადაწყვეტილების მიღება მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, არსებობს აზროვნების მიმართულებები, რომლებიც ამ საჭიროებების დაკმაყოფილებისკენაა მიმართული. მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად პიროვნებების, მათი ჯგუფების, საზოგადოების, სახელმწიფოების არჩევანთა შედეგად ჩამოყალიბებული ურთიერთობების კანონზომიერებებს შეისწავლის თეორიული ეკონომიკა ანუ **ეკონომიკა**. თავად **ეკონომიკა** კი არის პროცესი, მეურნეობრიობა, არჩევანი მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ეკონომიკური საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არის: „ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის, ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა".

განასხვავებენ მიკრო, მეზო, მაკრო და მეგა ეკონომიკებს. შესაბამისად, **მიკროეკონომიკა** შეისწავლის ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, ეკონომიკურ ურთიერთობათა კანონზომიერებებს უჯრედულ (პიროვნებების, მათი ჯგუფების) დონეზე, **მეზოეკონომიკა** – რეგიონულ დონეზე, **მაკროეკონომიკა** – სახელმწიფოს მასშტაბით, ხოლო **მეგაეკონომიკა** – სამყაროს მასშტაბით.

ძირითადი ფუნდამენტი, რომელსაც ეყრდნობა ეკონომიკური თეორია ანუ ეკონომიკა არის **მოთხოვნილებათა განუსაზღვრელობისა** და **რესურსების შეზღუდულობის** პრობლემა, ანუ ის რომ:

I საზოგადოების (მისი შემადგენელი: ინდივიდებისა და ინსტიტუტების ანუ ეკონომიკური სუბიექტების) მატერიალური **მოთხოვნილებები უსაზღვროა** და

II ეკონომიკური რესურსები (საქონლისა და მომსახურების წარმოების, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებები) – **შეზღუდული**.

მყიდველთა შეზღუდული არჩევანი, მოთხოვნის შეზღუდულობა, არის ის ძირითადი პირობა, რაც აიძულებთ გამყიდველებს მიიღონ მიზანმიმართული, გააზრებული გადაწყვეტილებები იმის თაობაზე თუ **რა** აწარმოონ და **რა** ოდენობით (**რამდენი**); როგორი მეთოდები, ტექნოლოგიები, „Know How", თუ ხერხები გამოიყენონ (**როგორ**); გაითვალისწინონ სიერცითი მოთხოვნები (**სად**) და აუცილებლად ყოველივე ეს უნდა უკავშირდებოდეს მომხმარებელს, მყიდველს ანუ ბაზარს, **ვისთვისაც** ეს საქონელი არის გამიზნული. ეკონომიკისის შესწავლის ობიექტი სწორედ ამ ფუნდამენტურ კითხვებზე – რა (რამდენი); როგორ; ვინ; სად; ვისთვის? – ოპტიმალური პასუხის გაცემასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევა და მათ შორის არსებული ურთიერთობებია.

ნებისმიერი პიროვნება თავისდაუნებურად ეკონომიკური სუბიექტია, ვინაიდან მას დაბადების დღიდან აქვს მატერიალური მოთხოვნილებები და აქედან გამომდინარე არის საქონლისა და მომსახურების მომხმარებელი. **პიროვნების ეკონომიკური როლები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:**

პიროვნება – მყიდველი; შრომის ბაზარზე მიმწოდებელი; გადასახადის გადამხდელი; ინვესტორი; მეწარმე; მეწარმე ქმნის სამუშაო ადგილებს, დოვლათს, იწვევს საზოგადოებრივ პროგრესს.

ეკონომიკურ სუბიექტებს უწევთ გასწიონ გარკვეული შრომა, რათა ჰქონდეთ შემოსავალები და დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებები. **ბიზნესი (Business, Busy)** ინგლისური სიტყვაა და გამოიყენება საქმის, საქმიანობის, დაკავებულობის მნიშვნელობით. ბიზნესი არის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის მიერ შემოსავლის მიღების მიზნით. საქართველოში ეს სიტყვა დამკვიდრდა როგორც ეკონომიკური საქმიანობა განხორციელებული მოგების მიღების მიზნით. ხშირად შეეხვედებით სახელმძღვანელოებში, რომ ბიზნესი ესაა სამეწარმეო საქმიანობა განხორიელებული მოგების მიღების მიზნით. ხოლო იმ ქვეყნებში, საიდანაც ეს სიტყვა ჩვენში შემოვიდა ბიზნესი ნებისმიერი საქმიანობაა, რითაც პიროვნებაა დაკავებული. მაგალითად: მხატვრისთვის ხატვაა ბიზნესი, მომღერლისთვის – სიმღერის შესრულება და ა.შ. თუმცა ერთი საკითხია, თუ რა არის ბიზნესი, მაგრამ სხვაა თუ რამდენად არის შესაძლებელი ერთი დისციპლინის ფარგლებში მოვაქციოთ ყველაფერი ის, რასაც ბიზნესი გულისხმობს. ბიზნესის თეორია შეისწავლის იმ ეკონომიკურ საკითხებს, რაც ყველა საქმიანობას აქვს საერთო. ამ შემთხვევაში ბიზნესის თეორია მხოლოდ შემოსავლიანი ეკონომიკური საქმიანობის შესწავლით შემოიფარგლება.

მეწარმეობა ბიზნესის სახეობაა. საქართველოს კანონმდებლობით იგი განისაზღვრება, როგორც არაერთჯერადი მართლზომიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

ბიზნესი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მეწარმეობა, ეინაიდან ბიზნესი მოიცავს როგორც მეწარმეობას, ასევე ყველა ერთჯერად და მრავალჯერად საქმიანობას, როგორც მოგების, ისე შემოსავლისა თუ კომპენსაციის მიღების მიზნით. ბიზნესი თავისი არსით **არაეკონომიკური საქმიანობის** მომცველიცაა.

ეკონომიკსი და ბიზნესის თეორია საზოგადოებრიეი მეცნიერებებია და როგორც ყველა მეცნიერება, რომელიც ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფის ქცევის ბუნებას და მათ შედეგებს შეისწავლის, სიზუსტეს და მკვეთრ დეტერმინირებულობას (განსაზღვრულობას) მოკლებულია. ამიტომ ჩვენ ამ დისციპლინებისგან აბსოლუტურ სიზუსტეს, რეცეპტებს, მკვეთრ განსაზღერულობებს არ უნდა ველოდეთ. ეს განპირობებულია ერთის მხრიე იმით, რომ პიროვნებების, მათი ჯგუფების ქცევების ზუსტი შესწავლა შეუძლებელია, მეორეს მხრიე იმით, რომ გარემოებები, რომლის პირობებშიც ესა თუ ის გადაწყვეტილება მიიღება, არასოდეს მეორდება. შეუძლებელია ყველა გარემოების გათვალისწინება გარკვეული არჩევანის გაკეთებისას, ასევე რთულია ზუსტად განისაზღეროს გარემოებათა ურთიერთზეგავლენის შედეგების ზემოქმეების დოზები. ამიტომ არსებობს შეთანხმება იმის თაობაზე, რომ რადგან ეკონომიკური მოელენები ვერ განიხილება სრულ გარემოებით კონტექსტში, აუცილებელია საკითხთა შესწავლა „სხვა თანაბარ პირობებში" ანუ გარკვეულ ფაქტორთა კოტსტანტირებისა და „უპირატეს ფაქტორთა" ცვლილებების გათვალისწინების პირობებში.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საზოგადოებრიე მეცნიერებებში იმ დოზის სიზუსტეა, რა ზომითაც ადამიანების აზროვნებათა, ან გარემოებათა მსგავსება არსებობს. ეს კი არც ისე მცირე არეალია.

ყველა შემთხვევაში ბიზნესის მახასიათებლებია: სარგებელზე ორიენტაცია, ინოვაციის დანერგვისთვის ზრუნვა, რაც თანამედროეე პროგრესმა ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელ თვისებად აქცია და რისკის არსებობა, რაც საბაზრო ეკონომიკური მოელენაა და ნებისმიერი საბაზრო სისტემაში ფუნქციონერი ობიექტის თანმდეეი.

ბიზნესის სახეობები და კლასიფიკაცია

ბიზნესი საქმიანობის განმეორებადობის თვალსაზრისით შესაძლებელია დაიყოს ორ ჯგუფად: ერთჯერადი და არაერთჯერადი საქმიანობა

ერთჯერადია ბიზნესი, როდესაც ადამიანი, ან ჯგუფი კავდება საქმით, რომელიც მათი მხრიდან არ მეორდება და არ არის განსაზღერული ამ საქმის სტაბილურად, განმეორებით განხორციელება.

არაერთჯერად ბიზნესს განეკუთვნება ანალოგიური, მსგავსი საქმიანობის შესრულება სისტემატურად, პერიოდულად ან/და უწყვეტად.

ბიზნესის მიზანი შეიძლება იყოს შემოსავალი, მოგება ან რაიმე სახის კომპენსაცია. აქ მნიშვნელოვანი არ არის ამ შედეგის მიღწევა, არამედ ამ მიზნის პრეზუმფცია ანუ განზრახვა.

არაერთჯერადი ბიზნესი, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით მართლზომიერად, ორგანიზებულად და დამოუკიდებლად **სამეწარმეო საქმიანობას** განეკუთვნება.

ბიზნესის თეორიის შესწავლის საგანი შეიძლება იყოს საქმიანობა, რომელიც ეკონომიკასთან კავშირშია, ანუ საქმიანობა, რომლის დროსაც ეკონომიკური ხერხები და მეთოდები გამოიყენება, ან თავად არის ეკონომიკური საქმიანობა და/ან ეკონომიკურ შედეგებს იძლევა. შესაძლოა ეკონომიკური საქმიანობა შედგეს, მან სერიოზული ეკონომიკური შედეგი მოგეცეს და წინასწარ განზრახვისამებრ შემდეგ არც იქნას განმეორებული. ეს საქმიანობა ერთჯერადი ბიზნესია. თუ საქმიანობა წინასწარ იქნა ჩაფიქრებული, რომ განხორციელებულიყო რეგულარულად, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება შემდეგ არც განმეორდეს უნდა ჩაითვალოს, როგორც მრავალჯერადი საქმიანობა.

თავისი არსით სრულიად არაეკონომიკური საქმიანობა – რელიგიური საქმიანობა, საქველმოქმედო, საზოგადოებრივი საქმიანობა, ხელოვანის საქმიანობა და ნებისმიერი საქმე, რომლითაც ადამიანი შეიძლება დაკავდეს – ბიზნესთან კავშირშია და თუ ის დაკავშირებულია ეკონომიკურ შედეგთან და ასევე საჭიროებს ეკონომიკურ მეთოდოლოგიას საქმიანობის პროცესში, რა თქმა უნდა, ბიზნესის თეორიამ, ანუ, როგორც საზღვარგარეთ არის მიღებული, **ბიზნეს ეკონომიკსმა** ეს პრობლემატიკა უნდა მოიცვას.

თუმცა, ბიზნესის თეორია უპირატესად ეკონომიკურ საქმიანობას, ხოლო მათ შორის უპირატესად კი სამეწარმეო საქმიანობას შეისწავლის.

საქმიანობა შესაძლოა დაიყოს **ეკონომიკურ** და **არაეკონომიკურ საქმიანობად.** საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად **ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება:**

– სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უკავშირდება კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებას, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევისა და სხვა სამეწარმეო საქმიანობისა;

– საქველმოქმედო საქმიანობა;

– რელიგიური საქმიანობა.

ეკონომიკური საქმიანობა მოიცავს: **სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას** და **არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას.**

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით იყოფა 6 ჯგუფად. ესენია: **ა) ინდივიდუალური საწარმო; ბ) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; გ) კომანდიტური საზოგადოება; დ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; ე) სააქციო საზოგადოება; ვ) კოოპერატივი.**

არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნება:

ა) დაქირაველით მუშაობა; ბ) ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში; გ) ქონების იჯარით გადაცემა (გარდა არაერთჯერადი საქმიანობისა); დ) ქონების მართვა მინდობილობით; ე) „მეწარმეთა შესახებ" კანონის 12. მუხლით განსაზღვრული საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელება ანუ „ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნირო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო, ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მ.შ. საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო, ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა; სასოფლო-სამეურნეო, ან სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს 12. მუხლში გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, თუ მათი მფლობელი რეგისტრაციაში გატარდება. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც"; ვ) არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას უთანაბრდება საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილის ან ფასიანი ქაღალდების შეძენა (რეალიზაცია), ობლიგაციებისა და სხვა სავალო ვალდებულებათა შეძენა (რეალიზაცია), საპაიო საინვესტიციო ფონდში პაის შეძენა (რეალიზაცია), აგრეთვე გამყიდველის საკუთრებაში არსებული საავტორო ან სხვა ანალოგიური უფლებების რეალიზაცია, თუ ამ მუხლის მე-4 ნაწილით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ბიზნეს-სუბიექტები არიან ის ფიზიკური, ან იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ბიზნესს. საქმიანობა კი ხორციელდება ინდივიდის, ოჯახის (საოჯახო მეურნეობები), ორგანიზაციების, ფირმების, ინსტიტუტების მიერ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტები არიან „**პირები**" ანუ ფონ ტიუნენის სიტყვებით – „უფლებაუნარიანი არსება, ე.ი. არსება, რომელსაც სამართალი ანიჭებს უნარს, იყოს უფლებათა სუბიექტი". პირები იყოფა **ფიზიკურ და იურიდიულ პირებად.**

სამოქალაქო სამართალი ნებისმიერი ურთიერთობის დომინანტად ადამიანს მიიჩნევს. მის აღმნიშვნელად სამართლის მეცნიერებამ შემოიღო ფიზიკური (ანუ ბუნებრივი) პირის ცნება, „ფიზიკური პირისგან განსხვავებით იურიდიული პირი კონკრეტული სამართლის მიერაა შექმნილი და სამართლებრივი ურთიერთობების გაიოლების მიზნით გათანაბრებულია ადამიანის სამართლებრივ მდგომარეობასთან". განასხვავებენ **კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და საჯარო სამართლის იურიდიული პირებს.**

მიზნების მიხედვით განასხვავებენ **კომერციულ იურიდიულ პირებს** და **არაკომერციული იურიდიულ პირებს.** თუ სახელმწიფო საწარმოს კომერციული მიზნები გააჩნია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (მუხლი 24, III ნაწილი) თანახმად კერძო სამართლის იურიდიულ პირად უნდა ჩამოყალიბდეს, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირები არაკომერციული იურიდიული პირები არიან (მაგ: სახელმწიფოს აქტის საფუძველზე შექმნილი ეროვნული ბანკი, ეროვნული ბიბლიოთეკა).

ბიზნესის თეორია შეისწავლის უპირატესად ეკონომიკურ საქმიანობათა სპექტრს, განხორციელებულს მოგების, ან შემოსავლის მიღების მიზნით. აქედან გამომდინარე, განასხვავებენ **მომგებიან და არამომგებიან ბიზნესის სექტორებს.**

მეწარმეობა ხორციელდება საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

ორგანიზაცია არის ორი ან მეტი ადამიანის ერთობლივი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მინიმუმ ერთი მიზნის მისაღწევად.

არსებობენ **ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციები.** ფორმალური ორგანიზაციების საქმიანობა ფორმალიზებულია და რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, ხოლო არაფორმალური ორგანიზაციები სპონტანურად, ფორმალური საფუძველების გარეშე შექმნილი ადამიანთა ჯგუფური საქმიანობაა.

სამეწარმეო საქმიანობა **სამეწარმეო ფირმის** სახელით ხორციელდება.

ბიზნესის ორგანიზაციული ერთეული (კომპანია) მეწარმეობის ყველაზე ზოგადი სახელწოდებაა, მისი წარმოებითი უჯრედის სიდიდის, ორგანიზაციული ფორმის თუ საკუთრების ფორმის მიუხედავად.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საწარმო არის წარმონაქმნი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, ან შექმნილი არის ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად.

განასხვავებენ **კერძო, სახელმწიფო, შერეულ და საზოგადოებრივ საკუთრებას**. შესაბამისად არსებობენ კერძო, შერეული საკუთრების და სახელმწიფო ფირმები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ბიზნესის კლასიფიცირებისას ძირითადად გამოიყენება დაყოფა სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებად.

არსებობს ბიზნესის **სექტორული** დაყოფა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენის კლასიფიკატორის მიხედვით ხდება საქმიანობის სახეობების მიხედვით დაყოფა და ასევე პროდუქციის დაყოფა სახეობების მიხედვით.

სიდიდის მიხედვით განასხვავებენ: წვრილ, მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს. წვრილი ბიზნესის ცნება საქართველოში არ არსებობს, განსხვავებით უცხოური ანალოგებისგან. ხოლო რაც შეეხება კრიტერიუმებს, რითაც ხდება ბიზნესის მასშტაბის დადგენა, ქეყნების და დარგების მიხედვით განსხვავებულია. ზოგადად, ამ დეფინიციის საფუძველი ხდება მომუშაეეთა რიცხოვნება, კაპიტალის ბრუნვადობა, წარმოებული პროდუქციის მოცულობა. ამ დეფინიცირების მიზანია, სახელმწიფომ შესაბამისად განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა, რაც დაკავშირებულია მცირე ბიზნესის წახალისებასა და ანტიმონოპოლიურ მცდელობებთან. დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ მცირე ბიზნესი ეკონომიკის საყრდენია და მის წახალისებას ქეეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

მცირე ბიზნესი რაოდენობრივად მართლაც აჭარბებს საშუალო და მსხვილ საწარმოებს, ასევე ამ სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, აქვს მოქნილობისა და გარემოსთან ადაპტირების კარგი უნარი, მაგრამ მწარმოებლურობით, ეფექტიანობის მაჩვენებლებით, წარმოებული პროდუქციის მოცულობით მკვეთრად ჩამორჩება საშუალო და მსხვილ ფირმებს. ეს იმის მანიშნებელია, რომ მცირე ბიზნესი რესურსების ეფექტიანი გამოყენების საუკეთესო ფორმა არ არის და ამის შედეგი მათი სიცოცხლის მოკლე ხანგძლივობაში გამოიხატება. მცირე საწარმოების უდიდესი ნაწილი საქმიანობის პირველეიე წელს წყვეტს არსებობას. მაგრამ მცირე ბიზნესს უმნიშვნელოვანესი სოციალური დატვირთვა აქვს, ვინაიდან აქ ხდება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დასაქმება. იაპონოაში და სხვა განეითარებულ სახელმწიფოებში მცირე ბიზნესის ნაკლოვანებების დაძლევა და მისი უპირატესობის მაქსიმალური გამოყენება ხდება მცირე ბიზნესის კორპორაციებზე მიბმით, ბიზნეს-ინკუბატორების შექმნით. ეს მცირე ბიზნესის ჯანსაღი სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელოვან გარანტიებს ქმნის და თანამედროვე მსოფლიოში მცირე ბიზნესის განეითარების საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა.

მფლობელობის მიხედვით არსებობენ: **ერთპიროვნული მფლობელობის, პარტნიორული (ამხანაგობა) და კორპორატიული (კორპორაცია) ფირმები.**

ერთპიროვნული მფლობელობის ფირმა შეიძლება იყოს **ინდივიდუალური საწარმო**, რომელიც ფიზიკური პირია და **შეზღუდული პასუხისმგებლობის** საზოგადოება, რომელიც იურიდიულ პირს წარმოადგენს.

ინდივიდუალური საწარმო (ის) არის ფიზიკური პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე. ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის პირადად აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით.

ინდივიდუალური ფირმების დამფუძნებლები არიან კერძო პირები, საქართველოს კანონმდებლობით ამ ფორმას შეესაბამება ინდივიდუალური საწარმო (ის). ინდივიდუალური მფლობელობის ფირმების უპირატესობებია ის, რომ ეს ფირმები ხშირ შემთხვევაში, მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობენ სახელმწიფოს მხრიდან. კერძოდ, მათი დაფუძნება იოლია. საქართველოს კანონმდებლობით ის-ს რეგისტრაციისათვის საჭიროა მხოლოდ განცხადება. ის არ საჭიროებს სხვა საეალდებულო სადამფუძნებლო დოკუმენტაციას, არ იხდის სარეგისტრაციო მოსაკრებელს, ბაეს ან სხვა გადასახდელს. არ საჭიროებს წესდებას, საწესდებო კაპიტალს. ასევე ის-ს რეგისტრაცია ხორციელდება ეროი საამუშაო დღის განმავლობაში. კერძო მესაკუთრე თავად დამოუკიდებლად წარმართავს საქმიანობას, ეს კი ეფექტურია იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს დამოუკიდებელ, თავისუფალ და, ამასთანავე, ყველაზე დაინტერესებულ სუბიექტს; ფირმის წარმატებები დამოკიდებულია ერთი პირის საქმიანობაზე, მის უნარებზე; აქ უმაღლესი დონის მოქნილობის მიღწევაა შესაძლებელი, ასევე მაქსიმალურად არის შესაძლებელი კონკრეტული მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინება; ინფორმაციის კონფიდენციალურობა მაქსიმალურად დაცულია.

ის-ს ნაკლოვანებებია: მცირე რეზერვები გააჩნია წარმოების გასაფართოებლად, ეინაიდან რესურსების შეზღუდულობა აქ განსაკუთრებული სიმწვავეით ვლინდება, ასევე, შეზღუდულია მათი მოზიდვის შესაძლებლობები; მესაკუთრე მთელი თავისი ქონებით, შეუზღუდავად აგებს პასუხს ფირმის ვალდებულებებზე; წარმატება ერთი პიროენების კომპეტენციაზეა დაფუძნებული, საქმიანობა კი – მცირე, მაგრამ ნაირგვარ ოპერაციებს მოიცავს; შეზღუდულია მისი უნარი დანერგოს უახლესი ტექნოლოგიები; დამფუძნებლის შრომის უუნარობა იწვევს საწარმოს პარალიზებას.

პარტნიორობა (ამხანაგობა) შეიქმნა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შედეგად, ის-ს ნაკლოვანებების აღმოსაფხერელად. ურთიერთობათა ამ ფორმას საქართველოში შეესაბამება სოლიდარული პასუხისმგებლობის, კომანდიტური, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები. მათი შექმნის მიზანი ერთობლივი საქმიანობა, საქმიანობისა და მისი შედეგების გაზიარებაა.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას. პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. (პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები).

ეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა რესურსების მოზიდვის შედარებით უკეთესი შესაძლებლობებით გამოირჩევა. ამ შემთხვევაში ფირმის პარტნიორები ერთი საფირმო სახელით მონაწილეობენ ეკონომიკურ ურთიერთობებში, ეს მათ მეტ ავტორიტეტს ანიჭებს პარტნიორებთან ურთიერთობაში და ამავე დროს თანამფლობელები მეტი საიმედობისათვის აფიქსირებენ თავიანთ სოლიდარულ, შეუზღუდავ პასუხისმგებლობას ერთობლივ საქმიანობაზე.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისგან განსხვავებით კომანდიტურ საზოგადოებაში ნაწილი პარტნიორებისა მთელი თავისი ქონებით აგებენ პასუხს ფირმის საქმიანობაზე და წარმოშობილ ვალდებულებებზე, ხოლო მეორე ნაწილი კი – შეზღუდულად, შენატანის ფარგლებში.

კომანდიტური საზოგადოება (კს) არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, ამასთან, კომანდიტური საზოგადოების ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (**კომანდიტები**), ხოლო სხვა პარტნიორების (**კომპლემენტარების**) პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის.

ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში აშკარად იკვეთება პარტნიორთა გარიგების თავისებურება. აქ კომპლემენტარები კომანდიტებისგან რესურსების მოზიდვის მიზნით, მეტი საიმედობისთვის ფირმის საქმიანობაზე მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებენ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, გარდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენების შემთხვევებისა. შპს-ს დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

ეს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სხვა ამხანაგობებთან შედარებით. ნათელია, რომ ეს პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან მჭიდრო კავშირშია.

ზოგადად ამხანაგობის უპირატესობებია: დაფუძნების შედარებითი სიიოლე; კომპეტენციის შედარებით მაღალი დონე; რესურსების მოზიდვის მეტი შესაძლებლობები; ოპერაციათა დაყოფის – სპეციალიზაციის შესაძლებლობა; რესურსების მოზიდვის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მეტი შესაძლებლობები; პასუხისმგებლობის და ვალდებულებების გადანაწილების შესაძლებლობა;

ნაკლოვანებები: გადაწყვეტილებათა გაჭიანურების, შეუთანხმებელი გადაწყვეტილებების მიღების, თანამფლობელთა დაპირისპირების მაღალი ალბათობა; პარტნიორის გასვლა ბიზნესიდან იწვევს რეორგანიზაციის აუცილებლობას; რიგ შემთხვევებში აქაც დგას შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პრობლემა; საფირმო საიდუმლოებები, ინფორმაციის კონფიდენციალობა ნაკლებადაა დაცული.

კორპორაცია სამეწარმეო საქმიანობის დახვეწილი ფორმაა, საქართველოს კანონმდებლობით მას სააქციო საზოგადოება შეესაბამება.

სააქციო საზოგადოება (სს) არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად. აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე. სააქციო საზოგადოების კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს.

სააქციო საზოგადოება პარტნიორობის, რესურსების მოზიდვის და პასუხისმგებლობათა გაზიარების ყველაზე მარტივ და დახვეწილ ფორმას გვთავაზობს. ამ შემთხვევაში კაპიტალის მოზიდვა ერთაირი ნომინალური ღირებულების მქონე აქციათა გაყიდვით ხორციელდება, ან ღიად ბირჟაზე, ან კიდევ დახურულად, ფირმის აქციონერთა შორის. შესაბამისად განასხვავებენ ღია და დახურულ სააქციო საზოგადოებებს.

კორპორაციის უპირატესობებია: კაპიტალის მოზიდვის სიიოლე; მესაკუთრეთა პასუხისმგებლობის აქციათა ფარგლებში მოქცევა; დიდი მასშტაბის საქმიანობის განხორციელების, უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის, კონკურენტუნარიანი კადრების მოზიდვის შესაძლებლობა; აქვს ბაზარზე გაელენის მოხდენის, მასშტაბური მარკეტინგული ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა; ინფორმაციის მოზიდვის მეტი საშუალებები; მასობრივი წარმოების განხორციელების და აქედან გამომდინარე ოპერაციული ხარჯების შემცირების შესაძლებლობა.

ნაკლოვანებებია: დაარსების სირთულე; საქმიანობის გამჭვირვალობა, კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის მეტი საფრთხე, მოუქნელობა; დიდი გადასახადები; საქართველოს კანონმდებლობით მისი მოგება ექვემდებარება ორმაგ დაბეგვრას; მართვის რთული სისტემის აუცილებლობა, გადაწყვეტილების მიღების სირთულე, აქციონერებსა და მენეჯმენტს შორის კონფლიქტის მეტი ალბათობა.

მართალია, ამ თავისებურებათა გამო სააქციო საზოგადოების რიცხვი მკვეთრად ჩამორჩება ინდივიდუალური საწარმოების და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა რაოდენობას, მაგრამ ეროვნული დოვლათის უდიდესი ნაწილი სწორედ კორპორაციებში იწარმოება. კორპორაციები ქვეყნების უმნიშვნელოვანეს საყრდენს წარმოადგენს.

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

ეს ბიზნესის წარმოების განსაკუთრებული ფორმაა და ფართოდაა დამკვიდრებული იმ შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომელსაც ეს ფორმა აძლევს მის დამფუძნებლებს. კოოპერატივები განსაკუთრებით პოპულარულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და საოჯახო მეურნეობების პარტნიორული კავშირების ეფექტიანობის საუკეთესო მაგალითებს იძლევა. აქ პარტნიორობა და პასუხისმგებლობა ვალდებულებებზე განისაზღვრება შენატანის, პაის ფარგლებში და ფუძნდება წარმოების პროცესის ავტომატიზაციის, გასაღების ბაზრების მოძიების, ბაზრებზე ზეგავლენის მოხდენის და აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ეს ერთადერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა, სადაც მოგების მიღების პრეზუმფცია აუცილებელი მიზანი და პირობა არ არის.

ბიზნესი წმინდა საბაზრო ეკონომიკური მოვლენაა, აქ წინა პლანზეა ეკონომიკური სუბიექტების დამოუკიდებელი ინიციატივები, მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ამ გადაწყვეტილებებს მიმღებთათვის ეკონომიკური შედეგები მოაქვს, რაც ეკონომიკურ სუბიექტთა სტიმულირების საუკეთესო ბერკეტებს ქმნის და რესურსების ეფექტიანი გამოყენების მყარ გარანტიებს იძლევა. ამით სახელმწიფოს ეკონომიკური მიზნები და ეკონომიკურ სუბიექტთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი თანამგზავრი არის რისკის არსებობა, რაც სასურველ შედეგთა მიღწევის შესაძლო საფრთხეებში გამოიხატება. ეს თავის მხრივ იწვევს ბიზნეს სუბიექტთა ეფექტიანობის და წინასწარ გაცნობიერებული, მიზანშეწონილი გადაწყვეტილებების აუცილებლობას, რაც ზოგადად საზოგადოებრივი პროგრესის საყრდენი ხდება. პრაგმატული მიზნები ბიზნესს კარნახობს საქმიანობის ფორმებს, ინოვაციური, ეფექტიანი საქმიანობის, შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზაციის აუცილებლობას, რადგან ეს მათი არსებობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა.

ნაწილი II. ბიზნესის განხორციელების სტადიები

ბიზნესის დაწყების ეტაპებია: იდეა, გამოკვლევის ჩატარება, ბიზნეს-გეგმის შედგენა, დაფინანსების უზრუნველყოფა, პროექტის განხორციელება.

ბიზნესის განხორციელების ეტაპებია: იდეა, იდეის ფორმირება, დაგეგმვა, კონტრაქტების დადება, რესურსული უზრუნველყოფა, პროდუქციის გამოშვება, პროდუქციის რეალიზაცია.

ბიზნეს იდეა და მისი ფორმირება

იდეა ადამიანის აზროვნების შედეგია. აზროვნების ტიპებია: ა) ინსტინქტური, რაციონალური; ბ) სტანდარტული, შემოქმედებითი (ლატერალური), კრიტიკული; გ) კონვერგენციული, დივერგენციული, ინტეგრაციული.

წარმატების წინაპირობა = ემოციურ ინტელექტს (ურთიერთობების უნარი, თანაგრძნობა, მოტივაცია, თვითკონტროლი) + ინტელექტუალური კოეფიციენტი (ტექნიკური შესაძლებლობები, ცოდნა, ინტელექტი, განათლება).

ემოციური ინტელექტის საფეხურები:

1. საკუთარი შესაძლებლობების განვითარება: თვითშეგნება, ემოციების მართვა,
2. თვითმოტივირება;
2. გარშემომყოფთა გაგება: მათი ემოციების მიხვედრა, თანაგრძნობა;
3. ურთიერთობები გარშემომყოფებთან: ურთიერთობებისადმი მიდგომა, პოპულარობა, ლიდერობა, ინტერპერსონალური ეფექტურობა.

ადამიანის განვითარების საფეხურებია: ინტელექტუალური კოეფიციენტი, მეორეხარისხოვანი ანალიტიკური აზროვნება, მრავალმხრივი ინტელექტი, ემოციური ინტელექტი.

ურთიერთობების ხელოვნება წარმატების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. არსებობს ვერბალური და არავერბალური ურთიერთობები.

გადაწყვეტილების მიღების ეტაპებია: მიზნების ჩამოყალიბება, გადაწყვეტილების მიღების საჭიროების (პრობლემის) შეცნობა, პრობლემის განსაზღვრა (დასმა), ინფორმაციის ძიება, ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა ძიება, ალტერნატივების შეფასება, არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილების განხორციელება, მონიტორინგი.

არსებობს ორი სახის გადაწყვეტილება: **რეაქციული**, როცა გადაწყვეტილება მიიღება მოვლენაზე რეაგირებისათვის (პოსტფაქტუმ) და **პროაქციული**, ანუ გადაწყვეტილება მიღებული გარეგანი ცვლილების მოლოდინში (პრევენციული).

გადაწყვეტილების ჯგუფურად მიღების უპირატესობაა: გადაწყვეტილების მიღების გაზიარებული პროცესი; რთული დავალებისთვის შრომის განაწილება. ინფორმაციის და ცოდნის შედარებით დიდი მოცულობის დაგროვება, ინფორმაციის ანალიზისას ნაკლები შეცდომების დაშვება, ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა მეტი შესაძლებლობა, ჯგუფები აზუსტებენ მიზნის შინაარსს, თანამონაწილეობა ზრდის ჯგუფის მიზნების ერთობლივ აღიარებას.

ნაკლოვანებაა: გადაწყვეტილების მიღების ნელი პროცესი, მიზნებზე შეუთანხმებლობა ხელს უშლის გადაწყვეტილების მიღებას. ინფორმაციის მიღების შეზღუდულობა, ჯგუფები მიზანთან მიმართებაში შეუსაბამოდ იქცევიან.

ჯგუფური გადაწყვეტილებების სახეებია: ავტორიტარული (სწრაფი), უშედეგო (ვერ ხერხდება შედეგზე ორიენტაცია), თვითსანქცირებული (რამდენიმე წევრის მიერ მიღებული, სხვები მხარს ნაკლებად უჭერენ), კლანური (რამდენიმე ადამიანის ქვეჯგუფის მიერ მიღებული), ექსპერტის (ექსპერტი ჯგუფის თანხმობითაა შერჩეული),

გასაშუალებული (კომპრომისული გადაწყვეტილება), ავტორიტარული (ავტორიტეტი-სადმი პირმოთნეობა), უმცირესობის მიერ მიღებული (გაუგებრობით), უმრავლესობით, კონსენსუსით (გაჭიანურებული).

ბიზნესის გარემო და მისი გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე, SWOT ანალიზი

ბიზნესის თეორიისა და პრაქტიკული ბიზნესის ისტორია მეტყველებს, რომ ბიზნესის სპეციფიკის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია გარემო. ბიზნეს-გარემოზე ყურადღების გამახვილება მას შემდეგაა აქტუალური, რაც თავად გარემო გახდა ბიზნესის წარმატებისა თუ წარუმატებლობის უმთავრესი დეტერმინანტი.

ეკონომიკური ავტომატიზმი ბიზნესის მთავარი, ბუნებრივი თვისებაა. აქედან გამომდინარე ეკონომიკური ავტომატიზმი ნებისმიერ პირობებში ბიზნესის ქმედებების ამხსნელი უმთავრესი მექანიზმია.

ბიზნესზე უდიდესი გაელენა აქვს ეკონომიკურ სისტემას. ზოგადი შინაარსით ბიზნესი ყველა ეპოქაში არსებობდა, მაგრამ მისი თანამედროვე სპეციფიკა კაპიტალისტური წყობის შედეგია. სოციალიზმის ეპოქაში ბიზნესი იკრძალებოდა, რადგან ის წარმოადგენდა სახელმწიფო დოტაციების მითვისების ფორმას. საბაზრო ეკონომიკა ბიზნესის ფუნქციონირების საუკეთესო პირობაა.

საბაზრო ეკონომიკა ეს იმგვარი ეკონომიკური სისტემაა, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება ბაზარზე ურთიერთობათა გარკვევით.

დღეისათვის ძირითადად გავრცელებულია შერეული ტიპის საბაზრო ეკონომიკური სისტემები, რაც გულისხმობს სახელმწიფო და საბაზრო სისტემის თანაარსებობას. განარჩევენ საბაზრო ეკონომიკის განვითარების ამერიკულ, შვედურ, იაპონურ, ჩინურ, ფრანგულ, გერმანულ, სამხრეთ-კორეულ და ა. შ. მოდელებს.

ბიზნესზე მოქმედი ფაქტორები: ბიზნესის გარემო: შიდა და გარე გარემო: მიკრო, მეზო, მაკრო, მეგა; ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორები; პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ფაქტორები.

ორგანიზაციის მოდელი „7S" თეორიის მიხედვით: სტრუქტურა, სტრატეგია, სისტემები, სტილი, გაზიარებული ფასეულობები, კადრები, პერსონალის უნარ-ჩვევები.

შიდა გარემოს ფაქტორები: მიზნები, სტრუქტურა, ტექნოლოგია, კადრები, ამოცანები.

მიკრო გარემო:

1. შიდა გარემო: ფირმის უმაღლესი ხელმძღვანელობა, მარკეტინგის სამსახური, წარმოება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამსახური, საფინანსო განყოფილება, ბუღალტერია, სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამსახური;
2. მომხმარებლები: ბაზრის სეგმენტები;
3. კონკურენტები: ფასისმიერი და არაფასისმიერი;
4. მომწოდებლები: საოჯახო მეურნეობები, ფირმები;
5. მარკეტინგული შუამავლები: გადამყიდველები, ფიზიკური დისტრიბუციის ფირმა, მარკეტინგული მომსახურების სააგენტოები, ფინანსური შუამავლები;
6. ფირმის საკონტაქტო აუდიტორია: ადგილობრივი საზოგადოების ფართო ფენები, ფინანსური და მედია საზოგადოებები, სამთავრობო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კომპანიის შიდა საზოგადოება.

მაკრო გარემო: 1. პოლიტიკური ფაქტორები: მისი ერთ-ერთი შემადგენელია ბიზნესის სამართლებრივი გარემო (მეწარმეთა შესახებ კანონი, საგადასახადო კოდექსი, ლიცენზიების შესახებ, სამოქალაქო და სისხლის სამართალი, საბაჟო კოდექსი, ანტიმონოპოლიური კანონი, ობშორული და ა.შ.); 2. ეკონომიკური გარემო; 3. სოციალურ-კულტურული ფაქტორები; 4. ბუნებრიეი გარემო; 5. დემოგრაფიული გარემო; 6. ტექნოლოგიური ფაქტორები.

SWOT ანალიზი

ძალა: რა სფეროში ხართ ძლიერი, ახალი შესაძლებლობები, რა შეგიძლიათ რაც სხვას არ ძალუძს, წარმატების გამეორება შეგიძლიათ, რით ხართ უნიკალური, რატომ მოდიან მომხმარებლები თქვენთან.

სისუსტეები: სად არ ხართ ძლიერი, რა შესაძლებლობები გაკლიათ, რა შეუძლიათ სხვებს თქვენზე უკეთ, რა წარმატება გქონდათ ბოლოს და რატომ, მომხმარებლის რომელ ჯგუფს ვერ აკმაყოფილებთ სრულად, რა ჯგუფის მომხმარებელი დაკარგეთ ბოლოს და რატომ.

შესაძლებლობები: რა ცვლილებები მოხდა თქვენს ბაზარზე, რა ახალი პროდუქცია, მომსახურება შემოგაქვთ, რომელი ახალი მომხმარებელთა ჯგუფი შეგიძლიათ მოიპოეთ, როგორ შეგიძლიათ გახდეთ უნიკალური, როგორი იქნება თქვენი ორგანიზაცია 5-10 წლის შემდეგ.

საშიშროებები: რომელია თქვენთვის საზიანო ცვლილება ბაზარზე, რას აკეთებენ თქვენი კონკურენტები, მომხმარებელთა მოთხოვნის ცვლილება არ ეთანხმება თქვენს ინტერესებს, არსებობს თქვენთვის საზიანო პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებები, არის ისეთი ცვლილებები, საშიშროება, რაც თქვენი ორგანიზაციის არსებობას საფრთხეს უქმნის.

ბიზნესის მენეჯმენტი

მენეჯმენტი არის მიზნების მიღწევის უნარი ადამიანების შრომის, ინტელექტის, ქცევის მოტივების წარმართვის საფუძველზე. ტერმინი მენეჯმენტი გამოიყენება რამდენიმე გაგებით: ა) ადამიანებზე ზემოქმედების მანერა; ბ) ძალაუფლების და მართვის ხელოვნება; გ) ხელმძღვანელობის განსაკუთრებული უნარი და მართვის ჩვევები; დ) მართვის ორგანოების სისტემა.

მენეჯმენტი – ა) როგორც პროცესი მოიცავს მმართველობით საქმიანობას (დაგეგმვა; ორგანიზება; ხელმძღვანელობა, კოორდინირება; მოტივაცია; კონტროლი; ბ) როგორც მმართველობითი აპარატი – მმართველობითი საქმიანობით დაკავებული პიროვნებების ერთობლიობა; გ) როგორც სისტემა არის მმართველობითი კომპლექსი: 1. მართვის პრინციპები, ფორმები, მეთოდები; 2. პერსონალი 3. მმართველობითი საქმიანობა.

განარჩევენ მენეჯერის პიროვნებათაშორის, საინფორმაციო და გადაწყვეტილების მიღების როლებს; მართვის ავტორიტარულ, დემოკრატიულ და ლიბერალურ სტილს. ლიდერობის დელეგირებით, თანამონაწილეობით დარწმუნებით და დირექტიულ სტილს.

ბიზნესის დაგეგმვა

დაგეგმვა ორგანიზაციის ფუნქციონირების და მართვის მნიშვნელოვანი ნაწილია. დაგეგმვას ცვლადი გარემოს პირობებში, იმ შემთხვევაში აქვს აზრი თუ ის სიტუაციასთან ადაპტირებულია.

ბიზნესის დაგეგმვის პირველ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია ბიზნესის მისიის და მიზნების განსაზღვრა, შემდეგ ხდება სასტარტო მდგომარეობის ანალიზი, შესაბამისად განისაზღვრება ორგანიზაციის ორიენტირები, რომლითაც შესაძლებელია მიღწეული იქნას მიზნები და ხდება სტრატეგიული დაგეგმვა, ანუ მიზნის მიღწევის საშუალებების და მეთოდების განსაზღვრა. ორგანიზაციის ასეთი სამოქმედო პროგრამა აისახება ბიზნეს გეგმაში.

ბიზნეს გეგმა ძირითადად შედგება შემდეგი ნაწილებისგან: სატიტულო ფურცელი; რეზიუმე; ინფორმაცია ბიზნესის შესახებ; პროდუქციის დახასიათება; ბაზრის კვლევა; სამომავლო გეგმები; ბიზნესის სტრატეგიები; მარკეტინგის სტრატეგია; საწარმოო გეგმა; საკადრო პოლიტიკა; ფინანსური გეგმა; რისკების შეფასება; დანერგვის გეგმა; დანართები. საქმიანობის სახეობიდან თუ მიზნებიდან გამომდინარე, ბიზნეს გეგმის სტრუქტურამ შესაძლოა განიცადოს ცვლილებები.

სტრატეგიები შესაძლებელია შეირჩეს შემდეგი მიმართულებებით: არსებული ბაზრის შენარჩუნება არსებული პროდუქციის მოდიფიცირებით; არსებულ ბაზარზე გასვლა ახალი პროდუქციით; ახალ ბაზრებზე გასვლა მოდიფიცირებული პროდუქციით და ახალ ბაზრებზე გასვლა ახალი პროდუქციით.

ასევე სტრატეგიები ირჩევა ბაზარზე პოზიციების შესაბამისად. ამ მეთოდს სხვა სიტყვებით „BCGB" მატრიცა ეწოდება. განარჩევენ ბაზარზე ორგანიზაციის 4 მდგომარეობას:

1. მაღალი წილი სწრაფად მზარდ ბაზარზე – „ვარსკვლავები" – საწყის ეტაპზე რეკომენდებულია მცირე ინვესტირება, კონკურენტების ბაზრიდან გასვლის შემდეგ კი წილების შეძენა;
2. დაბალი წილი (სუსტი პოზიციები) სწრაფად მზარდ ბაზარზე – „კითხვის ნიშნები" – სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ წილი უნდა გაიყიდოს;
3. დაბალი წილი სტატიკურ ბაზარზე (ბაზარი არ იზრდება, ან იზრდება ძალიან ნელა) – „ძაღლი" – რეკომენდირებულია „აგრესიული შეტევა" წილის გასაზრდელად;
4. მაღალი წილი სტატიკურ ბაზარზე – „ძროხა" – რეკომენდირებულია საქმიანობის „გამოცოცხლება", სიახლეების დანერგვა მომხმარებლების შესანარჩუნებლად.

სტრატეგიული დაგეგმვა და ბიზნეს-გეგმის შედგენა არ ხდება ერთი ადამიანის მიერ. ჩვეულებრივ, გეგმები იწერება ჯგუფის მიერ. თავიდან განისაზღვრება დაგეგმვის მიზნები, ანუ ვისთვის/რისთვის იწერება და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს გეგმა. შესაბამისად შედგება ჯგუფი, რომლის წევრები ინაწილებენ ბიზნეს გეგმის ნაწილებს. ბიზნეს გეგმის ზოგიერთი ნაწილი პარალელურ რეჟიმში ვერ დაიწერება, პროცესი რომ არ გაიწელოს, ხდება გრაფიკის გაწერა დროში. გეგმის შედგენის პროცესს აკონტროლებს ჯგუფის ერთ-ერთი წევრი. ასევე უმნიშვნელოვანესია ჯგუფის თითოეულ წევრს ჰქონდეს სრული ინფორმაცია გეგმის სხვა ნაწილების შესახებ.

ბიზნესის უზრუნველყოფა რესურსებით

ბიზნესის წარმართვა შეუძლებელია ორი ფუნქციის განხორციელების გარეშე, ესენია: საწარმოო ფუნქცია (რესურსების ტრანსფორმაცია პროდუქციად) და დანახარჯების ფუნქცია (ხარჯების ტრანსფორმაცია მოგებად).

საწარმოო პროცესის წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესია წარმოების უზრუნველყოფა რესურსებით. რესურსები შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური; ხანგრძლივი მოხმარების და ერთჯერადი მოხმარების.

საწარმოო ფუნქცია შესაძლებელია გამოისახოს შემდეგნაირად:

$$Y = E\ F(I\ A\ L\ H\ K\ N)$$

სადაც: Y – საწარმოო ფუნქცია; E – მეწარმეობის უნარი; F – ფუნქცია; I – ინფორმაცია; A – ტექნოლოგია; L – შრომის რაოდენობა; H – ადამიანური კაპიტალი; K – ფიზიკური კაპიტალი; N – ბუნებრივი რესურსები.

ინფორმაცია უმნიშვნელოვანესი და სპეციფიკური რესურსია, ბიზნესის წარმატება უმთავრესად ხდება დამოკიდებული მიღებული ინფორმაციის სისწორეზე და მის შესაბამისად გადამუშავებაზე. ვინაიდან ინფორმაცია ძვირადღირებული რესურსია, ასევე მნიშვნელოვანია მასზე დანახარჯების ოპტიმიზაცია. ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების დახვეწისათვის უმნიშვნელოვანესია შიდა და გარე ქსელების განვითარება, ინფორმაციის მართვის უახლესი ტექნოლოგიების განერგვა, შესაბამისი კადრების მაღალი კეალიფიკაცია.

ტექნოლოგია თანამედროვე გაგებით არის რესურსების გამოყენების მეთოდოლოგია (იგულისხმება ყველა რესურსი). ამიტომ ის ძალიან ფართო ცნებაა, მისი კლასიფიკაცია, შესაბამისად, მრავალ ჭრილშია შესაძლებელი. მაგალითად, საწარმოო ტექნოლოგიებს ყოფენ შემდეგ კატეგორიებად: წერილსერიული წარმოება (საცდელი წარმოება, მცირე პარტიები), მასობრივი ანუ სერიული წარმოება (იდენტური საქონლის დიდი რაოდენობით დამზადება), განუწყვეტელი წარმოება (უწყვეტი საწარმოო პროცესი); ასევე მექანიკური (ხელით შრომა იარაღების დახმარებით), ავტომატიზებული (საწარმოო პროცესი ხორციელდება ძირითადად მანქანა-დანადგარების მეშვეობით, ადამიანი წარმმართველი ძალაა მხოლოდ) და აეტომატური (საწარმოო პროცესში საერთოდ არ ერევა ადამიანი) ტექნოლოგიური პროცესები და ა.შ.

საწარმოო პროცესში მატერიალური კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც: ძირითადი კაპიტალი, საბრუნავი კაპიტალი; ადამიანური კაპიტალი ანუ პერსონალი.

ძირითადი კაპიტალი არის მატერიალური აქტივები, რომლებიც ერთ წელზე მეტი ხნით გამოიყენება პროდუქციის, მომსახურების წარმოებისა პროცესში ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის, მისი ღირებულება აღემატება ათას ლარს, თავის ღირებულებას პროდუქციას გადასცემს ნაწილ-ნაწილ, ცვეთის/ამორტიზაციის შესაბამისად. ასევე გამოყოფენ არაამორტიზებად ძირითად საშუალებებს, რომლებიც ექსპლუატაციის პერიოდში არ კარგავენ თავის ღირებულებას (საქართველოს კანონმდებლობით ასეთებად მიჩნეულია: მიწა, ხელოვნების ნიმუშები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი და ა.შ).

ამორტიზებადი ძირითადი საშუალებებია: შენობები, ნაგებობები, დაუმთავრებელი მშენებლობა; მანქანა-დანადგარები, გადამცემი მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, ოფისის აღჭურვილობა და სხვ.

განასხვავებენ ძირითადი საშუალებების ფიზიკურ და მორალურ ცვეთას. ფიზიკური ცვეთის დროს ძირითადი საშუალება კარგავს ღირებულებას: ექსპლუატაციის პერიოდში გამოყენების-დატვირთვის შედეგად ან/და ბუნებრივი ძალების ზემოქმედებით (ჟანგვა, ნგრევა..); მორალური ცვეთა კი გულისხმობს ძირითადი საშუალების საბაზრო

ღირებულების შემცირებას, მიუხედავად თავდაპირველი თვისებების შენარჩუნებისა. რაც დაკავშირებულია ძირითადად ბაზარზე ახალი შემცველელების გამოჩენასთან.

საბრუნავი საშუალებები შედგება ორი ჯგუფისგან: მიმოქცეეის კაპიტალი და საბრუნავი კაპიტალი.

მიმოქცევის კაპიტალია: მზა პროდუქცია, გადატეირთული საქონელი, ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები.

საბრუნავი კაპიტალი არის: წარმოების საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში, მათი ღირებულება მთლიანად გადადის წარმოებულ პროდუქციაზე, კარგავენ ნატურალურ ფორმას და ფიზიკურ-ქიმიურ შემადგენლობას. საბრუნავ კაპიტალს მიაკუთვნებენ ასევე მცირეფასიან (1000ლ-მდე ღირებულების საგნები) და სწრაფცვეთად საგნებს.

საბრუნავი კაპიტალია: საწარმოო მარაგები; საკუთარი წარმოების ნაკეთობანი და ნახევარფაბრიკატები, მომავალი პერიოდის ხარჯები.

ადამიანური კაპიტალი ბიზნესის უმთავრესი რესურსია. უმნიშვნელოვანესია ადამიანური რესურსების და შრომის პროცესის მართვის ერთიანი დახვეწილი სისტემის ჩამოყალიბება. რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: რესურსების დაგეგმვა (არსებულის შეფასება, მოთხოვნილების განსაზღვრა, სათანადო პროგრამის დამუშავება); რესურსების შეკრება (კადრების მოძიება, მოზიდვა, რეზერვების შექმნა), შერჩევა (ცოდნა-განათლება, გამოცდილება, პროფესიული და საქმიანი უნარები, პიროვნული თვისებები, მოტივირებულობა, კომუნიკაბელურობა), ანაზღაურების და შეღავათების განსაზღვრა (ხელფასების სისტემები, პრემიები, სამუშაო დროის განსაზღვრა), პროფესიული ორიენტაცია და ადაპტაცია (წარდგენა, დამკვიდრებული სტილის, მიზნების, ფასეულობების გაზიარება, ინფორმირება, წესებისა და პროცედურების გაცნობა) სწავლება (წახალისება, მხარდაჭერა, ხელშეწყობა; სწავლება ადგილზე, სპეციალურ სასწავლებლებში, საზღვარგარეთ); შედეგების შეფასება (კრიტერიუმების დადგენა, ინფორმირება-გამჭვირვალობა, თვითშეფასების შესაძლებლობების დამკვიდრება); მოტივაციის სისტემები (დაწიანურება, გადაყვანა, გათავისუფლება, ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა, გამჭვირვალობა, ინტერესების დადგენა და შესაბამისი სტიმულირება, სამართლიანობის დამკვიდრება).

რესურსების მოძიება ხდება შესაბამის ბაზრებზე, მათ სხვაგვარად ბირჟებს უწოდებენ. ძირითადი, საბრუნავი კაპიტალის, ფასიანი ქაღალდების და ფულადი კაპიტალის ბაზარს საფონდო ბირჟა ეწოდება, ადამიანური კაპიტალის ბაზარს – შრომის ბირჟა. ამ ბაზრებზე ეკონომიკური ურთიერობების ფორმები და მეთოდები პროდუქციის და მომსახურების ბაზრებისაგან განსხვავებულია. ამიტომ ამ ბაზრებზე საქმიანობა სპეციფიკურ მეთოდებს მოითხოვს. ამ ბაზრებზე ხშირად ხდება სამომაელო გარიგებები, ასეთ გარიგებებს – ფიუჩერსული გარიგებები, ხოლო ბაზრებს – ფიუჩერსული ბირჟები ეწოდება.

საქმიანი ურთიერთობები მყარდება უშუალო საუბრებით, დელეგაციათა მოლაპარაკებებით, კონფერენციებით, გამოფენებით, საქმიანი მიმოწერით, სატელეფონო, ელექტრონული საშუალებებით, ნებისმიერი ბიზნეს-გარიგება მოითხოვს შესაბამის წერილობით თუ ზეპირ შეთანხმებებს. წერილობითი შეთანხმებების ფორმებია: ხელშეკრულებები, ერთობლივი მემორანდუმები.

ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს აუცილებელ რეკვიზიტებს, ხელშეკრულების დადების ადგილსა და თარიღს, ხელშეკრულების საგანს, მიზანს, მხარეთა ვალდებულებებს, ხელშეკრულების ფასს, ანგარიშსწორების წესს, შეთანხმების განხორციელების ვადებს და ხანგრძლივობას, მხარეთა პასუხისმგებლობებს, სათანადო აკრძალვებს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლო საჯარიმო სისტემებს. დავის შემთხვევაში მისი გადაწყვეტის გზებს, დასკვნით დებულებებს – ხელშეკრულების ამოქმედების თარიღისა და ხელშეკრულების თანაბარძალიანი ეგზემპ-

ლიარების არსებობის შესახებ, მხარეთა ხელმოწერებს, ხელმომწერთა რეკვიზიტებს (თანამდებობა, საპასპორტო მონაცემები, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები, ხელშეკრულების გვერდების შესახებ მითითებას, ყველა გვერდზე რეკვიზიტის ორიგინალს). ეს ხელშეკრულების ძირითადი სტრუქტურაა, თუმცა ხელშეკრულების სახეობების შესაბამისად სპეციფიკურ ფორმებს იღებს. ეს ურთიერთობები რეგულირდება საქართველოში მოქმედი შესაბამისი კანონით.

სანარმოო პროცესების ორგანიზაცია ბიზნესში

პროდუქციის წარმოების პროცესი მოიცავს: წარმოების ცალკეულ სტადიებს, ნაწილობრივ პროცესებს და ოპერაციებს.

წარმოების ორგანიზაციის ფორმებია:

სპეციალიზაცია – გამოსაშვები პროდუქციის ნომენკლატურის შეზღუდვა, რომელიც თავს უყრის ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოებას;

ბ. შიდასაწარმოო კოოპერირება – ანუ წარმოების ურთიერთდამოკიდებული ქვედანაყოფების კავშირების ორგანიზება;

გ. წარმოების კომბინირება – ერთ საწარმოში ტექნოლოგიურად დაკავშირებული საწარმობის გაერთიანება;

დ. საფირმო გაერთიანება – ურთიერთდაკავშირებული, ან მომიჯნავე დარგების საწარმოთა გაერთიანება. აქ ცენტრალიზებულია მომარაგება, გასაღება, სასაწყობო მეურნეობა, სარემონტო, სატრანსპორტო და სხვა მომსახურე მეურნეობები;

ე. აგროსამრეწველო გაერთიანება – სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოებათა გაერთიანება.

საწარმოო პროცესის ორგანიზაციის მეთოდებს შორის არჩევენ ნაკადურ, ჯგუფურ და ერთეულად მეთოდს.

იმ დროს, რომელიც მოიცავს პროცესს ნედლეულის და ძირითადი მასალების წარმოებაში ჩაშვებიდან მზა პროდუქციის გამოშვებამდე, ეწოდება **საწარმოო** ციკლი. ციკლის ხანგრძლივობის დადგენა ხდება პროდუქციის და მომსახურებისათვის საჭირო დროის დასადგენად, რაც მიზნად ისახავს დროის ეფექტიანად მართვის და დროის რეზერვების დადგენის შესაძლებლობას.

პროდუქციის რეალიზაცია, გასაღების ორგანიზება ბიზნესში

გარემოცვაში მომხდარ ცვლილებებზე ფირმების რეაგირების წესების ერთობლიობას, რომლითაც საწარმო ხელმძღვანელობს გადაწყვეტილებათა მიღებისას, ეწოდება მარკეტინგული მართვის სტრატეგია.

განარჩევენ წესების ოთხ ჯგუფს:

1. წესები, რომლებიც გამოიყენება საწარმოს მარკეტინგული საქმიანობის შესაფასებლად;
2. წესები, რომლითაც ყალიბდება საწარმოს ურთიერთობები გარემომცველ არესთან;
3. წესები, რომლითაც აყალიბებენ საწარმოს შიდა მარკეტინგულ პროცედურებსა და ურთიერთობებს;
4. წესები, რომლითაც საწარმო ახორციელებს ყოველდღიურ მარკეტინგულ საქმიანობას, ანუ ოპერატიული ხერხები.

მარკეტინგის თეორიებიდან მნიშვნელოვანია თეორია – „4P" (პროდუქცია, ფასი, წარდგენა, ადგილი), თუმცა დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალურია მარკეტინგის შემდეგი მეთოდები: მომხმარებლის უკეთ გაგება, „პროდუქტი-მომსახურება პაკეტის" გაფართოება, თავდაცვითიდან რაციონალურ მარკეტინგზე გადასვლა; მყიდველთან შეხვედრების პროცესის რეორგანიზაცია, პირდაპირი მარკეტინგი და ა.შ.

საქმიანობის შედეგები და მათი შეფასების სისტემები ბიზნესში

საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობა არის ფირმის შიდა საწარმოო პროცესების მართვისას მიღწეული ეფექტიანობის აბსოლუტური დონე. ასეთი მაჩვენებლებია: რენტაბელობა, პროდუქციის მასალატევადობა, ან მასალებიდან პროდუქციის გამოსაელიანობა, კაპიტალტევადობა, კაპიტალუკუგება, შრომის მწარმოებლურობა, შრომატევადობა, საწარმოო სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი, საწარმოო პროცესების რიტმულობის, ან ინტენსივობის კოეფიციენტი

„ოპერაციული ეფექტიანობა" ნიშნავს მსგავსი საქმიანობის სახეობების შესრულებას უკეთ, ვიდრე ამას აკეთებენ კონკურენტები.

პოზიციური ეფექტიანობა კი ნიშნავს ბაზარზე კონკურენტებთან შედარებით სწორი პოზიციების შერჩევას, რაც აისახება ბაზარზე წილის მოცულობაზე, ამ წილის მატება კლებაზე და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია ლაგისა და მართვის მაჩვენებლების გაანგარიშება და მათი ანალიზი. მიიჩნევა, რომ მართვის მაჩვენებლები უკეთ ასახავენ ბიზნესის თანამედროვე და ხანგრძლივვადიანი განვითარების ტენდენციებს.

ლაგის მაჩვენებლები	მართვის მაჩვენებლები
➢ მოგება	➢ ბაზარზე წილის მატება-კლება
➢ რენტაბელობა	➢ ბაზარზე ახალი პროდუქციის დროული შეტანა
➢ ზარალი	➢ ახალი პროდუქციით ვაჭრობის პროცენტი
➢ კაპიტალტევადობა	➢ მომხმარებელთა რაოდენობა
➢ კაპიტალის უკუგება	➢ ძირითად მომხმარებელზე დახარჯული დრო
➢ მასალატევადობა	➢ მომხმარებლებზე საშუალო დანახარჯი
➢ მასალებიდან პროდუქციის გამოსაელიანობა	➢ თითოეულ შეკვეთაზე დახარჯული დრო
➢ ამონაგები ინვესტიციებიდან	➢ მომხმარებელთა მოთხოვნის შესრულების პროცენტული მონაცემები
➢ შრომის ნაყოფიერება	➢ მომხმარებელთა დადებითი გამოხმაურებები
➢ შრომატევადობა	➢ სამომაელო შეკვეთები
➢ მომხმარებელთა საჩივრები	➢ სტაბილური მომხმარებლების წილი მომხმარებელთა საერთო რიცხოვნებაში
➢ ინვესტიციების მოცულობა	➢ მომარაგების საიმედობა
➢ აქტივების მოცულობა	➢ წვნის ოდენობა
➢ ბრუნვადობა	➢ წარმატებული სამომაელო კონტრაქტები
➢ ფიზიკური აქტივები	➢ გრძელვადიანი კონტრაქტები
➢ პერსონალის რიცხვი	➢ სწავლების შესაძლებლობები
➢ ბაზრის წილი	➢ პერსონალის ხარისხი
➢ მასობრივი პროდუქცია	➢ მომხმარებელთან სიახლოვე
➢ ორგანიზაციის ძალა	➢ მუდმივი ინოვაციები
	➢ ორგანიზაციის პლასტიკურობა
	➢ რეკლამის ეფექტურობა
	➢ ორგანიზაციული ცვლილებები მომავლისათვის
	➢ სამომაელო პროგრამები

ლიტერატურა:

1. გ. ერქომაიშეილი. ბიზნესი (ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები). თბილისი, 2007.
2. დ. ნიდლი. ბიზნესი კონტექსტში. თბილისი, 2003.
3. ნ. გლასი. მენეჯმენტის ხელოვნება. თბილისი, 2002.
4. დ. ქემფბელი ბიზნესი არაეკონომისტებისთვის. თბილისი, 2006.
5. ლ. ჭანტურია თ. ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები. თბილისი, 2007.
6. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, www codex.net
7. ნორმატიული აქტების კრებული (ორ ნაწილად). საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკა. 2005.
8. გ. პაპაეა. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა. ორტომეული. თბილისი, 1998.
9. www.entrepreneur.com
10. http://www.bpmi.org/

საბამოცდო საკითხები:

1. პიროვნება, საზოგადოება, ეკონომიკა, ბიზნესი.
2. ბიზნესის სახეობები და კლასიფიკაცია.
3. ბიზნეს იდეა და მისი ფორმირება.
4. ბიზნეს გარემო და მისი გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე.
5. SWOT ანალიზი.
6. ბიზნესის მენეჯმენტი.
7. ბიზნესის დაგეგმვა.
8. ბიზნესის უზრუნველყოფა რესურსებით.
9. საწარმოო პროცესების ორგანიზაცია ბიზნესში.
10. პროდუქციის რეალიზაცია, გასაღების ორგანიზება ბიზნესში.
11. საქმიანობის შედეგები და მათი შეფასების სისტემები ბიზნესში.

5. ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა

(ნუგზარ სამხარაძე)

სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ძირითადი პრინციპები ადრექრისტიანულ საზოგადოებაში

ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის განხილვისას, აუცილებელია ვისაუბროთ ეკლესიის დაარსების შესახებ და იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაზე, რაც ქრისტიანულ ეკლესიას დახვდა იმდროინდელ მსოფლიოში. რომის იმპერიაში არსებული ყველა **რელიგიური სისტემისგან** (ეგვიპტური კულტები, ანატოლიური კულტები, სირიულ-ფინიკური კულტები) განსხვავებით, ქრისტიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. შემდგომში მსოფლიო რელიგიად წოდებული სარწმუნოება, იუდაიზმის წიაღში აღმოცენდა.

რომის იმპერია, როგორც სხვა რელიგიებისადმი დამოკიდებულებაში, ისე პირველი ქრისტიანული გაერთიანების (ეკლესიების) მიმართ, ლოიალობას იჩენდა და შემრიგებლურ პოლიტიკას აწარმოებდა. მას ხელს არ უშლიდა კიდევ ერთი ახალი მოძღვრების (ღმერთის შესახებ სწავლების) შემოსვლა თავის სამფლობელოში, თუკი იგი მორჩილი იქნებოდა და შეურიგდებოდა რომის იმპერიაში გაბატონებულ **რელიგიური სინკრეტიზმის პროცესს.** რომაელ ხელისუფალთ არ ჰქონდათ ქრისტიანების დევნის განწყობა და არ სურდათ ქვეყნის თეოლოგიურ საკითხებში ჩარევა, მაგრამ ლოიალური დამოკიდებულება იცვლება მას შემდეგ, რაც რომის მმართველობა ხვდება, რომ შეუძლებელი იყო ახალი მოძღვრების სახელმწიფო დოგმებში ჩასმა, ქრისტიანთა დევნა იწყება რომაელი იმპერატორების უშუალო ჩარევით.

ნერონის (57-68 წწ) 64 წლის ქრისტიანთა დევნამ საფუძველი მისცა შემდგომში სხვა იმპერატორებს (დომიციანე, ტრაიანე, მარკუს აურელიუსი, სეპტიმიუს სევერუსი, მაქსიმიანე თრაკიელი, დეციუსი, ვალერიანე, აურელიანე, დიოკლეტიანე) მკაცრად დაესაჯათ ქრისტიანები, იმ მოძღვრების გავრცელების გამო, რომელიც **კლავდიუსების დინასტიის იმპერატორობის ხანაში** რომის აღმოსავლეთ პროვინციაში ჩაეყარა საფუძველი.

იმდროინდელ მსოფლიოს ახალი ქრისტიანული საზოგადოება წარმოუდგა ისეთი მოძღვრებით, რომელიც ებრაელთა წიაღიდან იყო გამოსული. ებრაელებს ეკლესიის ან საზოგადოების მმართველობითი გამოცდილება საუკუნეების წინ ჰქონდათ ჩამოყალიბებული. ქრისტიანთა საზოგადოების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის საფუძვლები ძველი აღთქმის წიგნებში უნდა ეძებოთ. რადგან ქრისტიანული ეკლესიის ადმინისტრაციული მოწყობა (იერარქიულობა) ანარეკლია მოსეს მიერ გადმოცემული კანონებისა, რომელსაც დღემდე შეისწავლის ახალი აღთქმის მადლის ქვეშ მყოფი მორწმუნე ადამიანი.

მოსეს ხუთწიგნეულში გადმოცემულმა კანონებმა, (სასულიერო პირთა მოვალეობების შესახებ (ლევ. 2;11-24, 2;11-32), დღესასწაულების შესახებ (ლევ. 2;31-44), წესებისა და სამართლის შესახებ (II რჯ. 68), უფლის საკრებულოს შესახებ (II რჯ. 2;31-8), მსაჯულების და მათი სამართლის შესახებ (II რჯ. 16;18-20), მისცა სამომავლოდ ქრისტიანთა საზოგადოებას გამოცდილება, რათა ჩამოეყალიბებინა ქრისტიანული ეკლესია, სადაც სული წმიდის მადლით გაერთიანდებოდა ძველი აღთქმისეული ცოდნა კანონთა შესახებ და ახალი აღთქმისეული მადლი. ქრისტიანულ მოძღვრებას ამყარებს ეკლესიის შიდა წესრიგი, რომელიც სულთმოფენობიდან იღებს სათავეს. ახალი აღთქმის ერთერთი წიგნი, **„საქმე მოციქულთა“** დეტალურად გადმოგვცემს ქრისტიანული ეკლესიის დაარსების და მისი შემდგომი განვითარების ისტორიას.

ახლად დაარსებული ეკლესიის წევრები ერთსულოვნებითა და ურთიერთსიყვარულით ცხოვრობდნენ. ბევრი მათგანი საკუთარ ქონებას სწირავდა ეკლესიას, მოციქულები კი შენაწირს (მათ შორის, ფულადსაც) ურიგებდნენ მატერიალურად გაჭირვებულებს. მათ შორის, ვინც ქონება გაყიდა ახლადდაარსებული ეკლესიისათვის, იხსენიება კვიპრელი იოსები (კვიპროსელი), რომელსაც მოციქულებმა ბარნაბა (საქ. მოც. 4;35-36) უწოდეს, მაგრამ მოციქულთა გარემოცვაში იყვნენ ისეთებიც, ვისაც არ ესმოდათ ქრისტიანული „ერთობის" დანიშნულება. მაგალითად, ვინმე ანანიამ და მისმა ცოლმა საფირამ (საქ. მოც. 5;1-6) სხვების მიბაძვით ქონება გაყიდეს და ფული მოციქულებს მიუტანეს, მაგრამ ნაწილი მალულად თავისთვისაც გადადეს, პირადი სარგებლობისათვის. საეკლესიო სწავლებით ქრისტიანებს ყველაფერი საერთო უნდა ჰქონოდათ (საქ. მოც. 4;32-35), ამიტომ არასწორი ქმედება, რაც გამოიხატებოდა ეკლესიის ქონების მითვისებაში სამაგალითოდ უნდა აღკვეთილიყო (საქ. მოც. 5;1-11).

მოციქულები ცდილობდნენ შემოწირული ფული ან მატერიალური საშუალებანი სამართლიანობის დაცვით თანაბრად გაენაწილებინათ. თუმცა აღმოჩნდა, რომ ელინ ებრაელთა ქვრივები შედარებით ნაკლებ დახმარებებს იღებდნენ, ვიდრე სხვა დანარჩენი მორწმუნენი. ელინ ებრაელებს იმათ უწოდებდნენ, რომელნიც, წარმოშობითა და რწმენით იუდეველები იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდნენ და ბერძნულ ენაზე ლაპარაკობდნენ. იუდეველები მათ ათვალისწუნებით უყურებდნენ, განსაკუთრებით იმის გამო, რომ წმინდა წერილს არა მშობლიურ, არამედ ბერძნულ ენაზე კითხულობდნენ.

ეკლესიაში შემოწირულობათა არასწორი განაწილების გამო მოციქულებმა მოწაფეთა კრება **მოიწვიეს** და გადაწყვიტეს, რომ შემოწირულობათა დარიგება სპეციალურად ამ საქმისთვის არჩეული ადამიანებისათვის მიენდოთ. კრებამ შეიდი მორწმუნე შეარჩია (რომელთა სახელებიც მათ ელინურ წარმოშობაზე მეტყველებს: სტეფანე, ფილიპე, პროხორე, ნიკანორი, ტიმონი, პარმენი, ნიკოლაოსი) და მოციქულებს წარუდგინა, რომელნიც ხელდასხმულ იქნენ და დიაკონები ეწოდათ. პირველ დიაკონებს, გარდა შემოსავლის დარიგებისა, ღმრთის სიტყვის ქადაგების უფლებაც მიეცათ (საქ. მოც. 6;1-7).

ქრისტიანული ეკლესიის დაარსებისთანავე განისაზღვრა სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ძირითადი პრინციპები, ქრისტიანულ საზოგადოებას უნდა ეარსება შემოწირულობათა საფუძველზე. ვითარება განსაკუთრებით მძიმე იყო **ეკლესიის დევნის პერიოდში**, როდესაც მიმალვაში მყოფი ქრისტიანები კატაკომბებსა და მიუვალ ადგილებში (უდაბნოებში) ადიდებდნენ უფალს. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (კონსტანტინე დიდის იმპერატორობის დროს 306-337 წწ.), მეუდაბნოე ქრისტიანების ნაწილი უბრუნდება თავიანთ საცხოვრებელ სახლებს, ნაწილი კი რჩება უდაბნოში სამოღვაწეოდ. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება უდაბნოში „კინობიალური" (ანუ ქრისტიანულ „საძმოთა" ცხოვრების წესი) და „ანახორიტული" (განმარტოებითი, მოსაგრეობითი ცხოვრების წესი) ცხოვრების წესის დაწყება. არსებობას იწყებენ **მონასტრები**, სადაც დგინდება მონასტრის „ტიბიკონი" ანუ მონასტერში ცხოვრების წესი, ხოლო მონასტრის მართვა-გამგეობა ხორციელდება წინამძღვრის მიერ, დადგენილი წესის ანუ „ტიბიკონის" შესაბამისად.

ამრიგად, ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა ადრექრისტიანულ საზოგადოებაშიეე იქცეოდა ყურადღებას, რადგან ეკლესია მოითხოვდა ღვთისმსახურებასთან ერთად, იმ კანონიკურ-სამართლებრივ დებულებათა შესრულებას, რაც საეკლესიო კრებებზე იხილეწებოდა საუკუნეების განმავლობაში.

საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება

1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მიღებულ იქნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება. დოკუმენტში ასახული მასალის ცოდნა და განხილვა საშუალებას მოგვცემს უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ ეკლესიის სამეურნეო-მართველობითი საქმიანობა. ამ მხრივ აღსანიშნავია დებულების XI-XII თავები, სადაც ეკლესია-მონასტრების ფინანსებსა და ქონებაზეა საუბარი.

თავი XI – მონასტრები

1. მონასტერი არის საეანე, რომელშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს ბერების ან მონაზვნებისაგან შემდგარი კრებული. ამ კრებულებში ბერები ან მონაზვნები გაერთიანებულნი არიან უპოეარების, უქორწინებლობისა და მორჩილების აღთქმით.
2. მონასტრების დაარსების ნებართვას იძლევა სრულიად საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქი, ან წმინდა სინოდი ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის წარდგინებით და კანონიკური პროცედურის დაცვით.
3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აქვს უფლება სტავროპიგიალური მონასტრების დაარსებისა საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში შემავალ მთელ ტერიტორიაზე.
4. სტავროპიგიალური მონასტრები შედიან უშუალოდ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში.
5. ეპარქიის ტერიტორიაზე არსებული სხვა მონასტრები ექვემდებარებიან მმართველი მღვდელთმთავრის იურისდიქციას.
6. მონასტრები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, აქვთ ბეჭედი და ტვიფარი.
7. საქართველოს ეკლესიის ყველა მონასტრის შევსება ხდება მმართველი მღვდელთმთავრის ლოცვა-კურთხევის თანახმად მართლმადიდებელი აღმსარებლობის პირებით, რომელთაც ბერმონაზვნური ცხოვრების სურვილი აქვთ.
8. მონასტრები თავის მოღვაწეობას ახორციელებენ „საქართველოს ეკლესიის მონასტრებისა და ბერ-მონაზვნების შესახებ დებულების" თანახმად. ყოველ მონასტერს შეიძლება ჰქონდეს თავისი სპეციფიკური ტიბიკონი, მაგრამ იგი უნდა შეესაბამებოდეს „დებულებას" და დამტკიცებული უნდა იყოს კათოლიკოს-პატრიარქის ან წმინდა სინოდის მიერ.
9. მონასტრებს უფლება აქვთ ჰქონდეთ მეტოქები, რომელთა დაარსების ნებართვას იძლევა კათოლიკოს-პატრიარქი ან წმინდა სინოდი. მეტოქი ეწოდება ტაძარს თავისი კუთვნილი შენობა ნაგებობებით, რომელიც იმყოფება მონასტრის გამგებლობაში, მაგრამ მდებარეობს მისი საზღვრის გარეთ (შესაძლებელია სხვა ეპარქიის ტერიტორიაზე). მეტოქის მოღვაწეობა რეგულირდება „საქართველოს ეკლესიის მონასტრებისა და ბერ-მონაზენობის შესახებ დებულებით", აგრეთვე იმ მონასტრის ტიბიკონით, რომლის კუთვნილებასაც ეს მეტოქი წარმოადგენს. მეტოქი შედის იმ მღვდელმთავრის იურისდიქციაში, რომელი ეპარქიის ტერიტორიაზეც იგი მდებარეობს.

თავი XII – საეკლესიო ფინანსები და ქონება

1. საქართველოს ეკლესია უზრუნველყოფს თავის მატერიალურ მოთხოვნილებებს თვითდაფინანსების საფუძველზე.
2. მისი ფინანსები იქმნება: მორწმუნეთა ნებაყოფლობითი შემოწირულობით, საეკლესიო წესების აღსრულების შემოწირულობით, საეკლესიო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციით და სხვა საეკლესიო საქმიანობით.
3. ცენტრალური საეკლესიო ბიუჯეტი საპატრიარქოში იქმნება ეპარქიების, სტავროპიგიალური მონასტრებისა და სხვა საეკლესიო-სამეურნეო დაწესებულებების მიერ გადარიცხული ფულადი სახსრებით, რომლის პროცენტულ რაოდენობას განსაზღვრავს წმ. სინოდი.
4. საერთო-საეკლესიო ფინანსების განმკარგავნი არიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და წმ. სინოდი.
5. საპატრიარქოს განყოფილებების და დაწესებულებების დაფინანსება ხდება საერთო-საეკლესიო სახსრებიდან. გარდა იმ განყოფილებებისა, რომლებსაც შესწევთ თვითდაფინანსების უნარი.
6. ეპარქიის ბიუჯეტი იქმნება სამრეველოების, მონასტრებისა და საეპარქიო-სამეურნეო დაწესებულებების შემოსავლიდან წმ. სინოდის მიერ დადგენილი პროცენტის გადარიცხვით.
7. საერთო საეპარქიო ფულადი სახსრების განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში არის მმართველი მღვდელმთავარი, რომელიც აწარმოებს საეკლესიო დანიშნულებით გაცემული თანხის აღრიცხვას.
8. სამრეველოების ფულადი სახსრები იქმნება: მორწმუნეთა ნებაყოფლობითი შემოწირულობების და საპატრიარქოდან გაცემული სანთლის, საეკლესიო ლიტერატურის და სხვა ნივთების რეალიზაციით მიღებული შემოსავლისგან.
9. სამრეველოს ფულადი სახსრების განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში არის სამრეველოს წინამძღვარი და სამრეველო საბჭო.
10. მონასტრების ფულადი სახსრები იქმნება ისევე, როგორც სამრეველოების. მათი განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში არის მონასტრის წინამძღვარი.
11. სასულიერო სასწავლებლების დაფინანსება ხდება იმ ეპარქიის საერთო-საეკლესიო ფულადი სახსრებიდან, სადაც მდებარეობს ეს სასწავლებელი და სასწავლებლის დაქვემდებარებაში მყოფი სამეურნეო დაწესებულებების შემოსავლიდან.
12. სასულიერო სასწავლებლების ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს ეპარქიის მღვდელმთავარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით.
13. სასულიერო სასწავლებლის ფულადი სახსრების განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში არის რექტორი და პედსაბჭო.
14. საეკლესიო თანხები ინახება ბანკში შესაბამისი საეკლესიო დაწესებულებების სახელზე.
15. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და წმიდა სინოდი ახდენენ საერთო საეკლესიო და საეპარქიო სახსრებისა და ქონების რევიზიას. ასეთი რევიზიის განხორციელებისთვის მათ მიერ იქმნება სპეციალური სინოდალური კომისია.
16. საქართველოს საპატრიარქოსა და სტაროპიგიალური მონასტრების ფულადი სახსრებისა და ქონების რევიზიას ახდენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დანიშნული კომისია.
17. ეპარქიის სამრეველოების, მონასტრებისა და დაწესებულებების ფულადი სახსრებისა და ქონების რევიზიას ახდენს კათოლიკოს-პატრიარქის ან ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის მიერ დანიშნული სარევიზიო კომისია.

18. საქართველოს ეკლესიის ეპარქიებს, მონასტრებს, სამრეველოებს, საეკლესიო დაწესებულებებს, სასულიერო სასწავლებლებს, საეკლესიო-სამეურნეო დაწესებულებებს უფლება აქვთ ფლობდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას, მიწის ნაკვეთს, აიღონ არენდით, ააშენონ და შეიძინონ შენობა ნაგებობები და სხვა. კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით აქვთ უფლება ქადაგებისათვის ისარგებლონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით და სხვა.
19. საეკლესიო ქონების მართვა და განკარგვა ხდება საეკლესიო კანონების, სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის და „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების" თანახმად.
20. საქართველოს საპატრიარქოსა და ეპარქიების ბიუჯეტში შემოსავლებიდან გადასარიცხ პროცენტს ადგენს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი.
21. ეპარქიების, მონასტრების, სამრეველოებისა და სხვა საეკლესიო დაწესებულებების ფულადი სახსრები მღვდელმთავრებისა და წინამძღვრების მიერ მხოლოდ საეკლესიო მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.
22. ეკლესიაში აკრძალულია ისეთი სანთლებისა, ან სხვა საეკლესიო ნივთების გაყიდვა, რომლებიც არ არის დამზადებული საპატრიარქოს სამეურნეო დაწესებულებების მიერ.
23. საქართველოს ეკლესიის მთელ კანონიკურ ტერიტორიაზე სანთლების, საეკლესიო ლიტერატურისა და სხვა ნივთების რეალიზაცია ხდება საპატრიარქოს მიერ დადგენილი ფასების მიხედვით.

ეკლესია-მონასტრებში არსებული ფინანსური ანგარიშგების მოკლე განმარტებები

ეკლესია-მონასტრის „ტიბიკონი", რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობს ტაძრის წინამძღვარი, გავლენას ახდენს ანგარიშთა გეგმაზე და წარმოქმნის „სინთეზურ ანგარიშს", რომელიც გულისხმობს შინაარსობრივად დაახლოებულ ბუღალტრული ანგარიშების ჯგუფს. ანგარიშთა გეგმა შეიძლება ტაძრის ეკონომოსმა გამოიყენოს უცვლელი ფორმით ან ამოირჩიოს მისთვის საჭირო ანგარიშები და დაამატოს ის .ანგარიშები, რომელიც საჭიროებისა მიხედვით. ანგარიშთა გეგმაში შეტანილი ცვლილებები წარედგინება ტაძრის წინამძღვარს და განხილვის შედეგად დადგინდება ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია.

ანგარიშების შემოღების მთავარი მიზანი არის სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების ასახვა. ყველა ეკონომიკურ მოვლენას აქვს ორი ასპექტი: გაზრდა და შემცირება, წარმოქმნა და დაფარვა, მიღება და გაცემა. სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში საკმაოდ რთული და მეტად მნიშვნელოვანი პროცესია. ფინანსური ოპერაციის შედეგად გამოწვეული ცვლილებების შესაბამის ანგარიშებში ასახვამდე ყურადღებით უნდა შემოწმდეს **პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები** (ანგარიშ-ფაქტურა, ზედდებული, და ა.შ.), რადგანაც ისინი წარმოადგენენ ჩაწერის საფუძველს. შემდეგი ნაბიჯი ანალიზია, კერძოდ იმის გარკვევა, თუ რომელ სააღრიცხვო ელემენტს შეეხება ცვლილება.

სამეურნეო ოპერაციის შედეგად გამოწვეული ცვლილებების ასახვა ანგარიშებში მიმდინარეობს თითოეული ანგარიშის ცალკე ბარათის ან ცალკე ფურცლების გამოყენებით, რომლებიც შეკრულია წიგნად და ეწოდება **მთავარი დავთარი.**

სამეურნეო ოპერაციები გადიან რეგისტრაციის სამ ეტაპს:

1. პირველადი დოკუმენტის ანალიზი;
2. ჩაწერა რეგისტრაციის ჟურნალში;
3. ჩანაწერის გადატანა მთავარ დავთარში.

ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ ფინანსურ ოპერაციათა თანმიმდევრობათა და ლოგიკური შედეგის შესახებ, ანუ მოგება-ზარალის (ფინანსური) კონტროლის აუცილებლობაზე, რაც გამოიხატება წინამძღვრებისა და სპეციალურად შექმნილი კომისიების მიერ მოგება-ზარალის უწყისის (საანგარიშგებო პერიოდში) შესწავლაში (შემოწმებაში). ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი ფუნქციაც ამით განისაზღვრება – ორგანიზაცია გაუკეთოს ჩანაწერების სისტემას ისეთი სქემით, რომ ადვილად გამოავლინოს ტაძარში არსებული ფინანსური მდგომარეობა და მისი გამომწვეევი მიზეზები.

ტაძრის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს გაყიდული სანთლის, გაყიდული სეფისკვერის, საეკლესიო ნივთების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი, ფულადი შემოწირულობები. გარდა ჩამოთვლილი შემოსავლებისა, არსებობს სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი. შემოსავლების აღიარება იწვევს ტაძრის აქტივების ზრდას ან ვალდებულებების შემცირებას. ნაღდი ფულის არსებობა ეკლესია-მონასტერში შესაძლებელია, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში. გარკვეული რაოდენობის თანხა ინახება ტაძარში, სპეციალურად გამოყოფილ და დაცულ ადგილას. თანხას წინამძღვრის მითითებით განკარგავს ეკონომოსი, ფული ასევე შეიძლება ინახებოდეს ტაძრის საბანკო ანგარიშებზე.

აქტიურ ანგარიშს წარმოადგენს **სანთლის** რეალიზაციიდან მიღებული თანხა. სარეალიზაციო სანთლის შესყიდვა შესაძლებელია საპატრიარქოსთან არსებულ საამქროდან და კერძო პირისაგან, რომელიც აწარმოებს ლიცენზირებულ (საპატრიარქოს მიერ ნებადართულ) სანთელს. ყოველდღიური შემოსავალი სანთლის რეალიზაციიდან აღირიცხება სპეციალურ საღრიცხვო ჟურნალში და დავთარში, რათა რეალიზაციის დინამიკაზე და ცვლილებებზე სათანადო რეაგირება მოახდინოს ტაძრის წინამძღვარმა, კეთილმოწესემ, ეკონომოსმა ან მესანთლემ.

ტაძრის შემოსავალზე მოქმედებს აქტიური ანგარიში, როგორიცაა **სარეალიზაციო სეფისკვერი**. სეფისკვრის შეძენა ხდება ეპისკოპოსის ან საპატრიარქოს მიერ ნებადართული საამქროდან. სარეალიზაციო ფასს განსაზღვრავს წინამძღვარი ეპისკოპოსთან შეთანხმების შედეგად. ყოველდღიური რეალიზაციის შემდეგ საღრიცხვო დარგის მუშაკის მიერ ფიქსირდება შემოსავალი, რომელიც ტარდება სპეციალურ ჟურნალში და აქტის საფუძველზე საღრიცხვო პერიოდის დასრულებისას ჯგუფდება შესაბამის ანგარიშზე.

აქტიური ანგარიშია **საეკლესიო ნივთების** რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს სპეციფიკურ შემოსავალს ეკლესია-მონასტრებისათვის და განისაზღვრება მოთხოვნილებების მიხედვით, რომელიც ამა თუ იმ ტაძარს აქვს თავისი მდებარეობიდან ან სიდიდიდან გამომდინარე. მომარაგება საეკლესიო ნივთებისა ხდება საპატრიარქოსთან არსებული საბითუმო მაღაზიებიდან შესაბამისი ზედდებულების გამოყენებით ან კერძო პირთაგან, ასევე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე. საღრიცხვო პერიოდის განმავლობაში ხდება არსებული ნივთების აღწერა, აქტის საფუძველზე ფიქსირდება რაოდენობა რეალიზებული საეკლესიო ნივთებისა და რაოდენობის ნაშთი საღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

შემოწირულობები (ფულადი) წარმოადგენს შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას ეკლესია-მონასტრისთვის. ზოგადად ცნება „შემოწირულობა" შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ, ერთია მატერიალური შემოწირულობანი, მეორე – ფულადი შემოწირულობანი.

ფულადი შემოწირულობანი თავის მხრივ შეიძლება კიდევ გაეყოთ ორ ჯგუფად: 1) ნებაყოფლობით შემოწირულობათა ყუთებიდან მიღებული შემოსავალი; 2) მრევლის წევრთაგან გაღებული ფულადი შემოწირულობა.

მრევლის მიერ შემოწირულ აქტიურ ანგარიშს განეკუთვნება ასევე (გარდა ეკლესიაში დაფიქსირებული შენაწირისა) ეკლესია-მონასტრის საბანკო ანგარიშზე (ან სპეციალურ ანგარიშზე) გაკეთებული შენატანი (ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში), რაც ასევე როგორც სხვა ზემოთ ჩამოთვლილი აქტიური ანგარიშები, ფიქსირდება ფინანსური ანგარიშსწორების უწყისებში და ბალანსში.

მიმდინარე აქტივების გარდა, აუცილებელია **გრძელვადიანი აქტივების** შესახებ შედგენილ იქნეს სპეციალური დოკუმენტაცია. გრძელვადიან აქტივებს წარმოადგენს მიწის ფართობი, შენობები, საეკლესიო მსახურებისათვის საჭირო ინვენტარი, საადმინისტრაციო აღჭურვილობა. სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, ეპისკოპოსის კურთხევის საფუძველზე სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ ხდება გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვა და სათანადო დოკუმენტაციის შექმნა. (მუდმივი აღრიცხვის მეთოდი და პერიოდული აღრიცხვის მეთოდი).

შემოსავლების საპირისპირო ეკონომიკური კატეგორიაა ხარჯები. ხარჯების გაწევის ფაქტი გულისხმობს შეძენილი საქონლის (ტაძრისთვის, ამ კატეგორიას განეკუთვნება სარეალიზაციო სანთელი, სეფისკვერი, საეკლესიო ნივთები და სხვა) ან მომსახურების გამოყენებას. ხარჯები არის კაპიტალის ღირებულების შემცირება, როგორც შედეგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ხარჯების გაწევის აუცილებლობა შემოსავლის მიღებას უკავშირდება.

ეკლესია-მონასტერში გაწეული ხარჯების ან ფულადი გასავლების მიზანია, უზრუნველყოს ტაძარში არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაც ძირითადად გამომდინარეობს საეკლესიო მსახურების სრულყოფილ ჩატარებაში. ამიტომ პასიური ანგარიშია **კომუნალური გადასახადები,** რომელიც აერთიანებს ელ. ენერგიას, სატელეფონო მომსახურების, წყლის და გაზის გადასახადებს. ტაძრის ეკონომოსს, კეთილმოწესეს ევალება კონტროლი გაუწიოს მიმდინარე კომუნალურ გადასახადებს, უზრუნველყოს დავალიანებათა გადახდა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს აცნობოს ტაძრის წინამძღვარს.

პასიურ ანგარიშთა ჩამონათვალში შედის **სავალდებულო საპატრიარქო** გადასახადი, რომელიც ამა თუ იმ ეკლესია-მონასტერს განუკუთვნებს საპატრიარქოსთან არსებული საფინანსო განყოფილება, ან ეპისკოპოსი, ხოლო გადახდა წარმოებს შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

შესყიდვები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ეკლესია-მონასტრის სამეურნეო საქმიანობაში, რადგან მართებულად გათვლილი მომარაგება არის წინაპირობა წარმატებული ფინანსური მართვისა. სანთლის შესყიდვის აღრიცხვა ხდება შესაბამისი ზედდებულების დახმარებით საპატრიარქოსთან არსებული საამქროებიდან ან კერძო პირთაგან. შესყიდვების რიგში ერთიანდება სარეალიზაციო სეფისკვერის შესყიდვა, რომელიც სპეციალურ საამქროებში მზადდება. სეფისკვერის საცხობი საამქროების საქმიანობა ნებადართული უნდა იყოს საპატრიარქოს შესაბამისი სამსახურების მიერ. საღრიცხვო პერიოდის ბოლოს ჯამდება შესყიდვების რაოდენობა და მონაცემები თავსდება სპეციალურ საღრიცხვო ჟურნალებში.

ეკლესია-მონასტრების ვალდებულებად ითვლება **თანამშრომელთა ხელფასები,** რომელთა გაცემის სისტემას განსაზღვრავს წინამძღვარი. ავანსური სისტემა აადვილებს იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რაც შეიძლება წარმოიშვას ტაძარში ერთი თვის განმავლობაში. თანამშრომელთა ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს საფინანსო განყოფილება ან წინამძღვრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

პასიურ ანგარიშთა ჩამონათვალში აუცილებლად ერთიანდება **ფინანსური დახმარებები,** რომლებიც რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაჯგუფდეს: სადღესასწაულო

დახმარებები, თანამშრომელთა დახმარებები, სხვადასხვა პირთა და ორგანიზაციის. თითოეულ ამ კატეგორიას გააჩნია შესაბამისი უწყისები, რომლებიც ჯგუფდება საალრიცხეო პერიოდის ბოლოს და წარედგინება წინამძღვარს.

პასიურ ანგარიშებს განეკუთვნება სპეციალური ანგარიშები, როგორიცაა **სატრაპეზო ხარჯი**, რომელთა აღნუსხვაში მონაწილეობას იღებს ეკონომოსი ან კეთილმოწესე ტრაპეზართან ერთად. ტრაპეზარი ეალდებულია საალრიცხეო პერიოდის ბოლოს სპეციალური დოკუმენტის საფუძველზე ფინანსური ანგარიში ჩააბაროს პასუხისმგებელ პირს.

საეკლესიო **მსახურებისათვის გაწეული ხარჯი** პასიურ ანგარიშებს განეკუთვნება. აქ შეიძლება დაჯგუფდეს: მსახურებისათვის სეფისკვერი, სანთელი, საკმეელი, საბარძიმე ღვინო, ზეთი მსახურებისათვის, ხორბალი და სხვა.

პასიურ ანგარიშებს განეკუთვნება ეკლესია-მონასტრებში **სამეურნეო საჭიროებისთვის** გაწეული ხარჯები, რომელთა აღრიცხვა მიმდინარეობს შესაბამისი აქტების მეშვეობით. საალრიცხეო პერიოდის ბოლოს ხდება ხარჯების სქემატურად დაჯგუფება, დგება დოკუმენტი, რასაც ხელმოწერით ადასტურებს ეკონომოსი, კეთილმოწესე, მნათე და ეკლესიის თანამშრომელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ფინანსურ-სამეურნეო ოპერაციაში.

საეკლესიო ინვენტარის, ნივთების, ლიტერატურის შეძენისას, იხსნება სპეციალური ანგარიში. დოკუმენტი, რომელიც განმარტავს შესყიდვის ფაქტს, იქმნება არამარტო ანგარიშთა გეგმისათვის, არამედ ინვენტარიზაციის ჩატარების გაადვილების მიზნით.

ეკლესია-მონასტერში არსებობს სხვა, **სპეციალური ხარჯვითი ნაწილი**, რომელსაც განსაზღვრავს ტაძრის წინამძღვარი. მაგალითად: საჩუქრები, ჯილდოები, მილოცვები... ამ ტიპის პასიური ანგარიშები მოითხოვს შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნას. საალრიცხეო პერიოდის ბოლოს ეკონომოსი აჯამებს ფინანსურ მონაცემებს და მიღებულ შედეგს მოხსენებითი ბარათის სახით წარუდგენს წინამძღვარს.

ეკლესია-მონასტრებში ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციული სისტემა

ეპარქიის მმართველს ან საპატრიარქოსთან არსებულ საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენელს სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების მიზნით სჭირდებათ ეკონომიკური ინფორმაცია ამა თუ იმ ეკლესია-მონასტრის შესახებ (ტაძრის მშენებლობა, ეკლესიის რესტავრაცია, ქველმოქმედება...). ასეთი ინფორმაციის წყარო არის ეკლესია-მონასტრის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება ეკლესია-მონასტრის საქმიანობის, ეკონომიკური შედეგების ჩაწერისა და შეფასების სისტემაა.

ეკლესია-მონასტრის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობისა და წარსული საქმიანობის შედეგების გადმოცემა არის ფინანსური ინფორმაციის ძირითადი არსი და მთავარი მიზანი. აღნიშნული ინფორმაცია ეხმარება ეპისკოპოსებს, ეკლესია-მონასტერთა წინამძღვრებს, საპატრიარქოსთან არსებული საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელებს, ანალიზი გაუკეთონ აქტიურ და პასიურ ანგარიშთა ფინანსურ მოძრაობას და მიზნობრივად გამოიყენონ არსებული რესურსები (ფულადი, მატერიალური).

მოქმედ ეკლესია-მონასტრებში ყოველდღიურად მრავალი სამეურნეო ოპერაცია აღესრულება, რომელთა ჩაწერა ხდება აღრიცხვის შესაბამის დოკუმენტებში.

აღრიცხვის დარგის მუშაკები (ეკონომოსები, გამგებლები, კეთილმოწესეები) ბუღალტრულ აღრიცხვას სხვანაირად დოკუმენტალურ აღრიცხვას უწოდებენ, ამიტომ მეტად დიდია დოკუმენტების მნიშვნელობა, რომელიც ეკლესია-მონასტრებში იქმნება. პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი არის წერილობითი დასტური სამეურნეო მოვლენის თუ ფულადი ოპერაციის მოხდენის შესახებ. დოკუმენტის მეშვეობით არის შესაძლე-

ბელი ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერი შენახულ იქნას ხანგრძლივი დროის მანძილზე. იგი საწყისი ინფორმაციის მატარებელი და სამეურნეო ოპერაციის მოხდენის წერილობითი დასტურია. დოკუმენტი იესება სამეურნეო მოელენის მოხდენის მომენტში და მომხდარი ფაქტის ეკონომიკური შინაარსის მატარებელია. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს აქვს დიდი სამართლებრივი ძალა და იურიდიული დატვირთვა მართვის, დაგეგმვის, კონტროლისა და ანალიზის საქმეში.

შეესებული დოკუმენტი, აღრიცხვის დარგის მუშაკის მეშვეობით ჯგუფდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით და აისახება სათანადო რეგისტრებში. ჯგუფურ უწყისებში გაერთიანებული დოკუმენტები წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებებში თავმოყრილი ინფორმაციის საფუძველს და გარკეეული პერიოდის გასვლის შემდეგ ინახება არქივში. შეესებიდან ანგარიშგებით ფორმებში ასახვამდე დოკუმენტაციის მიერ გავლილ პროცესს დოკუმენტბრუნვა ეწოდება.

ეკლესია-მონასტრების სამეურნეო საქმიანობის წარმართვის პროცესში მრავალი მოვლენა წარმოიშობა და ყველა მათგანის ასახვა ბალანსში შეუძლებელი და მოუხერხებელია. საჭიროა ქრონოლოგიური ჩაწერის სისტემა, რომელიც მომხმარებელს (ეპისკოპოსს, წინამძღვარს, საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელს, ეკონომოსს) მიაწვდის ყოველდღიურ ინფორმაციას და დაეხმარება ფინანსური ანგარიშგების შედგენაში. მოქმედ ტაძრებში აღრიცხვის დარგის მუშაკებს ასეთ სამსახურს უწევს ფინანსური ანგარიშები.

ფინანსური ანგარიში არის სააღრიცხვო ინფორმაციის ჩაწერის, დაგროვებისა და შენახვის სისტემა. ანგარიშები ეხსნება აქტივის, კაპიტალის, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებს ცალ-ცალკე. აღნიშნული სისტემა ეხმარება აღრიცხვის დარგის მუშაკს წარუდგინოს ტაძრის წინამძღვარს, ეპარქიის მმართველს, საპატრიარქოს საფინანსო განყოფილების წარმომადგენლებს, მოგება-ზარალის ანგარიშგება, შემოსავლების და ხარჯების მონაცემები დროის გარკეეულ მონაკვეთში.

ეკლესია-მონასტრის შემოსავალი განისაზღვრება ეკონომიკური სარგებლის ზრდით საანგარიშგებო პერიოდში, რაც გამოიხატება აქტივების მატებით და ვალდებულებების შემცირებით. ხოლო ეკლესია-მონასტრის გასავალი განისაზღვრება ეკონომიკური სარგებლის შემცირებით საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების შემცირებით და ვალდებულებების გაზრდით.

ეკლესია-მონასტრების ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბალანსს (ფინანსურ), მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ფულის ნაკადის მოძრაობის უწყისს, ანგარიშგებას ტაძრის მატერიალური და ფულადი სახსრების ცვალებადობის შესახებ. ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია აგრეთვე მოხსენებითი ბარათი. ფინანსური ანგარიშგების დაყოფა შემადგენელ ელემენტებად, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აღრიცხვის დარგის მუშაკმა შეძლოს დააჯგუფოს მისთვის საჭირო ინფორმაცია, ჩაატაროს სათანადო ანალიზი და მიიღოს საჭირო (შესაბამისი) გადაწყვეტილებები.

ეკლესია-მონასტრის ფინანსური ბალანსი, წარმოადგენს ტაძრის შემოსავალთა ანგარიშგებას და ვალდებულებების ანგარიშგებას დროის რომელიმე კონკრეტული მომენტისათვის. აქტივისა და პასივის თითოეული დასახელება შეფასებულია ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი პრინციპის საფუძველზე. ბალანსის შემადგენელი ელემენტებია: აქტივი და პასივი.

აქტივი – ტაძრის განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური საშუალებებია, რომელთაც გააჩნიათ ღირებულება. ეკლესიასა თუ მონასტერში აქტივი მიღებულია წარსულში განხორციელებული მოქმედების შედეგად და მისგან მომავალში მოელიან ეკონომიკურ სარგებელს. აქტიური ანგარიშები ეკლესია-მონასტრებში გამოიყენება არსებული ვალდებულებების (პასიური ანგარიშების) დასაფარავად.

პასივში იგულისხმება ეკლესიის ან მონასტრის ფინანსური ვალდებულება ვინმეს (პიროვნების ან იურიდიული პირის) წინაშე. ვალდებულება წარმოიქმნება წარსულში

განხორციელებული ოპერაციის შედეგად და მისი დაფარეა გამოიწვევს აქტივის შემცირებას. ტაძრის ეალდებულების წარმოქმნის საფუძველი შეიძლება იყოს: მარაგების შემცირება, დადგენილი გადასახადები, დავალიანება თანამშრომელთა წინაშე გადასახდელი ხელფასის სახით, ფულადი დახმარებები და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია-მონასტრის ფინანსური ბალანსი ასახავს ტაძრის ფინანსურ მდგომარეობას დროის რომელიმე განსაზღვრული მომენტისათვის.

მოგება-ზარალის ანგარიშგება, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ ცელილებას საანგარიშგებო პერიოდში, ეფუძნება შესაბამისობის კონცეფციას, რაც გულისხმობს კონკრეტული პერიოდის გაყიდვებთან (სარეალიცაიო სანთელი, სარეალიზაციო სეფისკვერი, საეკლესიო ნივთების რეალიზაცია) დაკავშირებული ხარჯების შედარებას ამავე გაყიდვებიდან (რეალიზაციიდან) მიღებულ შემოსავალთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგების ჩანაწერების შინაარსი დამოკიდებულია ეკლესია-მონასტერში დადგენილი „ტიბიკონისა" თუ წესის მიხედვით მიღებულ შემოსავალთა და გასავალთა სპეციფიკასა და თავისებურებებზე.

ლიტერატურა:

1. მ. მშვილდაძე. რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ. წ. I-III სს. თბილისი, გამომცემლობა „ ენა და კულტურა", 2005.
2. მღვდელი თეიმურაზ უიარაღო. რელიგიების ისტორია. თბილისი, 2007.
3. ე. სტრუეე. ძველი აღმოსავლეთის ისტორია. თბილისი, 1946.
4. პანაიოტის ი. ბუმისი. კანონიკური სამართალი. თბილისი, 2007.
5. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987 წელი.
6. პროტოპრესვიტერი მიქაელ პომაზანსკი. დოგმატური ღვთისმეტყველება. თბილისი, 2004.
7. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2002 წელი.
8. ახალი აღთქმა. თბილისი, 2003.
9. ე.ხარაბაძე. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2007.
10. Н.Извеков. Иерархия Северо-африканской Церкви. Вилъна, 1884.
11. А.П. Лопухин. Толковая Библия. Петербург, 1904-1913 гг.

საგამოცდო საკითხები

1. ტერმინი „რელიგია" და რელიგიათა კლასიფიკაცია
2. ეკლესიის დაარსება – სულთმოფენობა
3. პირველქრისტიანთა დევნის პერიოდის შესახებ
4. ეკლესია-მონასტრების დაარსებისა და განვითარების შესახებ
5. ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შესახებ
6. ეკლესიაში შემოწირულობათა ფორმის დაწესება წმინდა წერილში
7. ეკლესია-მონასტერში არსებული იერარქიის და მართვა-გამგეობის შესახებ
8. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება მონასტრების შესახებ
9. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება საეკლესიო ფინანსებისა და ქონების შესახებ
10. ეკლესია-მონასტერში ანგარიშთა გეგმის შემოღების მიზანი
11. ეკლესია-მონასტერში არსებული აქტიურ ანგარიშთა ზოგადი დახასიათება
12. ეკლესია–მონასტერში არსებული პასიურ ანგარიშთა ზოგადი დახასიათება
13. ეკლესია-მონასტერში ეკონომიკური ინფორმაციის და დოკუმენტალური აღრიცხვის შესახებ
14. ეკონომიკური ტერმინების – „ფინანსური ანგარიში, აქტივი და პასივი" – განმარტება

6. საერო სამართალი, საეკლესიო სამართალი და მისი სამეურნეო-მმართველობითი ასპექტები

(დავით ჩიკვაიძე)

საერო სამართალი

სამართლის არსი

სამართლისმცოდნეობის მეცნიერებაში მიღებული შეხედულების თანახმად სამართლის არსს განსაზღვრავს სამართლის თეორია. თეორიის მიხედვით, სამართალი განეკუთვნება ჯერ-არსის კატეგორიას, ანუ იგი განსაზღვრავს არა იმას, რაც არის (ანუ არსს), არამედ იმას, რა უნდა იყოს (ჯერ-არსს). ამიტომაცაა, რომ ზოგიერთი მკელევარი სამართლის თეორიას ერთგვარად ფილოსოფიურ ჭრილში განიხილავს, რადგან სამართალი იდეალურ მოძღვრებას უფრო ჰგავს, რამდენადაც იგი ისეთი კატეგორიის ცნებებს აყალიბებს, რომელთა სრულად აღსრულება შეუძლებელია და მხოლოდ მისი მიახლოებითი დაცვა არის შესაძლებელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გარკვეულწილად რთულია სამართლის მიზნებზე და არსზე საუბარი. სამართალი არ არის მხოლოდ კანონთა ერთობლიობა, როგორც ამას მარქსისტი თეორეტიკოსები განსაზღვრავდნენ. სამართლის იდეალური ხასიათი იქიდანაც ჩანს, რომ შეგვიძლია ეისაუბროთ სამართლიან ან უსამართლო კანონზე, რითაც ხაზს ვუსვამთ, რომ ესა თუ ის კანონი თანხმობაშია ან არ არის რაღაც იდეალურ შეხედულებებთან, რომელთა ერთობლიობასაც სამართალს ვუწოდებთ.

სამართლის მიზანი ისაა, რომ კეთილი და მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდეს ადამიანთა შორის, როგორც ეს ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პირველივე მუხლშია მითითებული, რათა ყოველი ადამიანი მეორეს ძმად უყურებდეს. ამ მიზანს ემსახურება სამართალი. თუმცა, სამართალს, მორალისა და ზნეობისაგან განსხვავებით, აქვს იძულების მექანიზმი, რითიც იგი უზრუნველყოფს თავისი ნორმების აღსრულებას.

თუკი მორალი და ზნეობა მხოლოდ შეფასებას უკეთებს ადამიანის მიერ ჩადენილ ქმედებას და მიიჩნევს მას საზოგადოებრივად მისაღებად ან მიუღებლად, და ამის საფუძველზე იწონებს ამ ადამიანს საქციელს ან პირიქით – კიცხავს მას, სამართალი აწესებს სასჯელს მის მიერ დადგენილი ნორმების შეუსრულებლობისათვის და იძულების წესით უზრუნველყოფს მის აღსრულებას.

განასხვავებენ სამართლის სამ კატეგორიას – სახელმწიფოს, რელიგიურ და ჩვეულებით სამართალს.

სახელმწიფო სამართალს უწოდებენ სამართლის იმ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ და მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოსვე აპარატით და შესაბამისი სტრუქტურებით.

რელიგიურ სამართალს უწოდებენ რელიგიური მიმდინარეობის მიერ დაწესებულ ნორმათა ერთობლიობას, რელიგიური სამართლის შესრულებას გარკვეული იძულების ფორმებით უზრუნველყოფს თავად ეს რელიგიური ორგანიზაცია.

რაც შეეხება ჩვეულებით სამართალს, იგი ერთგვარად ჩამოჰგავს ზნეობისა და მორალის ნორმებს, რადგან მათ მსგავსად ხალხის მიერ არის იგი დადგენილი, მაგრამ მათგან მას სწორედ ნორმათა აღსრულების იძულება განასხვავებს. ჩვეულებითი სამართლის აღსრულება სახელმწიფო და რელიგიური სამართლის დარად უზრუნველ-ყოფილია დადგენილი იძულების ფორმებით.

სამართლის წყაროებს წარმოადგენენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები, რელიგიური კანონები, ხალხში მიღებული ჩვეულებები, სამართალურთიერთობებში ჩამოყალიბებული ტრადიციები, ცნობილ მეცნიერთა სამართლებრივი შეხედულებები და ადათები.

ქართული სამართლის მოკლე ისტორია

ქართული სამართლებრივი აზროვნება საუკუნეებს მოიცავს. დღესაც ყველას ანცეიფრებს ძველქართული ანდაზა, რომელიც ხაზს უსვამს მიუკერძოებელ მიდგომას ქართულ სინამდვილეში „შენი ძმა და თათარი რომ ჩხუბობდნენ, სამართალი სწორად გადაუწყვიტეო". სამწუხაროდ, მტრის უამრავმა შემოსევამ ნაკლებად დაგვიტოვა ძველი ქართული სამართლის ძეგლები, თუმცა საქართველოს ისტორიის ამ მიმართულებით შესწავლა ნათლად გვაჩვენებს, რომ ქართული სამართლებრივი აზროვნება ყოველთვის მაღალ დონეზე იყო განვითარებული და გარკვეული ინსტიტუტების შექმნისას წინ უსწრებდა კიდევაც დასავლეთ ევროპულ ანალოგებს.

ცნობილია რამდენიმე სამართლის ძეგლი:

1. ბექა-აღბუღას სამართალი, შედგენილია სამცხე-ჯავახეთში, ათაბაგების ბექასა და აღბუღას მიერ. ძირითადად მოიცავს სიხხლის სამართლებრივ ნორმებს, განსაზღვრავს დანაშაულებს და მათ სასჯელებს.
2. ხელმწიფის კარის გარიგება, შედგენილია გიორგი ბრწყინვალის მეფობაში. მოიცავს უმაღლესი სახელმწიფო ცერემონიალებისა და დარბაზობების გამართვის რეგლამენტაციას.
3. დასტურლამალი, ვახტანგ VI-ის დროინდელი, ასევე სახელმწიფო ცერემონიალის რეგლამენტაციის დამდგენი კრებული.
4. ვახტანგ მეფის სამართლის წიგნთა კრებული, იგი შეადგინა ვახტანგ VI-ის მიერ მოწვეულმა მეცნიერთა ჯგუფმა და მასში შეეიდა იქამდე არსებული თითქმის ყველა ქართული სამართლის ძეგლი, ხოლო ეთნიკური უმცირესობებისთვის ბერძნული, სომხური და ებრაული სამართალი.

ვახტანგის სამართლის წიგნი იმდენად იყო მორგებული კავკასიური რეალობისთვის, რომ მიუხედავად იმისა, რომ შედგენილი იყო მხოლოდ ქართლის სამეფოსათვის, სწრაფად გავრცელდა მთელ საქართველოში და იგი გარკვეული პერიოდი თვით რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც მოქმედებდა.

რუსეთის იმპერიის დროს, ცხადია, შეწყდა დამოუკიდებელი ქართული კანონების შემუშავება. ეს პროცესი განახლდა დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ (1918 წლის 26 მაისი). რესპუბლიკის ჯერ ეროვნულმა საბჭომ, ხოლო შემდგომ დამფუძნებელთა კრებამ (1919 წლის მარტიდან) შეძლო საკმაოდ მნიშვნელოვანი კანონების მიღება. მართალია, ომის პირობებში, მაგრამ 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელთა კრებამ მიიღო პირველი ქართული დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციურ განვითარებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოში 4 კონსტიტუცია იქნა მიღებული 1922, 1927, 1937 და 1978 წლებში. ისინი, როგორც წესი, არ წარმოადგენდნენ დამოუკიდებლად შექმნილ სამართლებრივ აქტებს და მეტწილად, შესაბამისი რუსული ანალოგის ქართული თარგმანები იყო.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია

დღეს მოქმედი საქართველოს კონსტიტუცია მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. თავიდან კონსტიტუცია შედგებოდა 9 თავისა და 109 მუხლისაგან (2004 წელს კი დაემატა ახალი თავი – საქართველოს მთავრობა).

კონსტიტუცია განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობას, უმაღლესი ხელისუფლების გამგეობას მიკუთვნებულ საკითხებს, სახელმწიფო სიმბოლოებს, დედაქალაქს, სახელმწიფო ენას, მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ სტატუსს, აგრეთვე ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. კონსტიტუცია ადგენს საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების – პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობისა და სასამართლოს ფორმირების წესს, შემთხვევებსა და პირობებს. კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფო ფინანსების საკითხებს, თავდაცვის ძირითად დებულებებსა და კონსტიტუციის გადასინჯვის წესს. კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე წინადადების შეტანის უფლება პრეზიდენტთან და პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტთან ერთად, აქვს არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს.

ხელისუფლების სამი შტო

დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა 3 შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად.

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო. იგი 4 წლის ვადით აირჩევა საქართველოს მოქალაქეთა მიერ და შედგება 150 წევრისაგან, რომელთაგან ნახევარი პროპორციული, ხოლო მეორე ნახევარი მაჟორიტარული სისტემით არის არჩეული. საქართველოს პარლამენტის უმთავრესი ფუნქციაა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და კანონების მიღება.

საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, იგი უნდა იყოს დაბადებით საქართველოს მოქალაქე. პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში.

საქართველოს მთავრობა საქართველოს უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლებაა. მას მეთაურობს პრემიერ-მინისტრი. პრემიერ-მინისტრი ინიშნება პრეზიდენტის მიერ, ხოლო პრემიერი ნიშნავს მინისტრებს. მთავრობის შემადგენლობა ნდობის მისაღებად პრეზიდენტის მიერ წარედგინება პარლამენტს.

სასამართლო ხელისუფლება მოიცავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთო სასამართლოებს. საერთო სასამართლოებში შედიან საკასაციო, სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოები. საკასაციო სასამართლო არის მხოლოდ უზენაესი სასამართლო, სააპელაციო სასამართლო ოთხია: თბილისის სააპელაციო სასამართლო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლო და აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი სასამართლო, პირველი ინსტანციის სასამართლოები კი არის საქალაქო და რაიონული სასამართლოები.

სისხლის სამართალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მიღებულია 1999 წელს. კოდექსი ადგენს დანაშაულებსა და სასჯელებს. კოდექსის თანახმად დანაშაული არის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. სასჯელები არსებობს ძირითადი და დამატებითი სახის. სასჯელის უმაღლესი ზომა საქართველოში არის თავისუფლების უვადო აღკვეთა.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელს ისეთი დანაშაულებისთვის, როგორიცაა: მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა, მითვისება, აგრეთვე საბოტაჟი, ხულიგნობა, კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლა, ქრთამის აღება, სამსახურებრივი მოვალეობების გადამეტება და მრავალი სხვა.

სამოქალაქო სამართალი

სამოქალაქო სამართალი არის კერძო სამართლის ნაწილი. კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ყველა მონაწილე, მათ შორის სახელმწიფოც გამოდის თანასწორი უფლებებით.

საკუთრივ სამოქალაქო სამართლის კოდექსში გამოიყოფა:

- სანივთო სამართალი, რომელიც აწესრიგებს როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ საკითხებს;
- ვალდებულებითი სამართალი, რომელიც ეხება სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებებს და მათი შესრულების წესებსა და პირობებს;
- საოჯახო სამართალი, რომელიც განსაზღვრავს ოჯახის შექმნის პირობებს, მეუღლეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, მშობლების მოვალეობებს შვილების მიმართ და შვილების მოვალეობებს მშობლების მიმართ, აგრეთვე საოჯახო ურთიერთობებში აღმოცენებულ სხვა ურთიერთობებს;
- მემკვიდრეობის სამართალი, რომელიც ადგენს ნორმებს სამემკვიდრეო ურთიერთობებისთვის, განსაზღვრავს კანონისმიერ და ანდერძით მემკვიდრეებს.

ადმინისტრაციული სამართალი

ადმინისტრაციული სამართალი ადგენს ნორმებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისათვის. **საქართველოში მოქმედებს:**

- ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც ეხება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემას, განცხადების მიღებისა და განხილვის წარმოების წესს, მარტივ, ფორმალურ და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას, ნორმატიული და ინდივიდუალური აქტების მიღების წინაპირობებს, მიღების წესს, აგრეთვე მათში ცვლილებების შეტანის, ძალადაკარგულად, არარად და ბათილად გამოცხადების საფუძვლებს.
- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული აქტის ბათილობის, ძალადაკარგულად გამოცხადების წესებს, ქმედების განხორციელების დაავალდებულების პირობებს, აგრეთვე საგადასახადო შემოწმების საფუძვლებს;

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ადგენს ადმინისტრაციულ გადაცდომებს – სისხლის სამართლებრივი დანაშაულისაგან განსხვავებით საზოგადოებრივად მცირე საშიშროების მქონე კანონდარღვევებს და მათ ჩამდენთათვის პასუხისმგებლობის ზომებს, წესსა და საფუძვლებს.

საეკლესიო სამართალი

ეკლესია და ქრისტიანული თემი. საეკლესიო სამართლის არსი

ეკლესია ბერძნული სიტყვაა და ქართულად საკრებულოს, შესაკრებელს ნიშნავს. ეკლესიები ძველ საბერძნეთში ეწოდებოდა კრებებს, რომლებზეც ქალაქ-სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღებოდა. ქრისტეს სიტყვის განხორციელების შემდეგ სიტყვა „ეკლესიამ" სხვა დატვირთვა შეიძინა და იგი ქრისტიანთა კრებულს ეწოდება. მართლმადიდებლური სწავლებით, თავად ქრისტე ღმერთი არის ეკლესიის თავი, რომელიც უხილავად მართავს მას, მსოფლიოს წმინდა კრებებისა და იერარქიის მეშვეობით. ეკლესიას სხვაგვარად ქრისტეს სხეულიც ეწოდება, ხოლო თითოეულ მის მიმდევარს – სხეულის ასოები.

თუკი დედამიწაზე მყოფი ადამიანები ყოველდღიურ ბრძოლაში არიან ჩაბმული ბოროტ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ისინი, ვინც წარმატებით განელეს ამქვეყნიური განსაცდელები, დამკვიდრებული არიან ზეციურ სამყოფელში და იქ მარად ადიდებენ უფალს. ამ მხრივ, განარჩევენ მებრძოლ და მოზეიმე ეკლესიას, მებრძოლი ეკლესია ხილულია, მოზეიმე – უხილავი, მებრძოლი ეკლესიის წევრები არ არიან ცოდვისაგან დაზღვეული, მაშინ როცა მოზეიმე – კრებულია წმიდათა. მებრძოლი ეკლესია გზას უკაფავს ადამიანებს საუკუნო ცხონებისკენ, მოზეიმე კი – იწყნარებს და ითავსებს თავის თავში საუკუნო ნეტარებაში დამკვიდრებულ მართლმორწმუნეებს.

მებრძოლი ეკლესია ერთგვარი სარკმელია ზეცისაკენ, ამიტომაც ეკლესიას ღვთაებრივი საზოგადოება ეწოდება. თუკი ყოველი ორგანიზაცია ადამიანთა მიერ არის შექმნილი, ადამიანთა გონების და ფანტაზიის ნაყოფია, ეკლესია თავად ქრისტეს მიერ არის დაარსებული და აღესებულია სულიწმიდის მადლმოქმედებით. სახარების სწავლებით, ეკლესია დაფუძნებულია „კლდესა ზედა" და ჯოჯოხეთი მას ვერ შემუსრავს.

ეკლესია არ არის დამოკიდებული მის წევრებზე და წევრთა რაოდენობაზე, იგი კარიბჭეა, რომელიც უფლის მიერ მოქმედებს და მას, ვისაც უნდა, რომ უარყოს თავისი თავი, აიღოს ქრისტეს ჯვარი და შეუდგეს მას, უნაწილებს იმ ღვთაებრივ ნიჭებს, რომლებიც ყოვლადწმინდა სამებამ ეკლესიას გადასცა კაცთა საცხონებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ ეკლესია ამქვეყნად მოქმედებს, ხოლო ამქვეყნად მყოფი ადამიანები არ არიან დაზღვეული ცოდვებისაგან, პირიქით, მიდრეკილიც არიან მათკენ, ეკლესიას დადგენილი აქვს წმინდა კანონები, რომელთა შესრულება სავალდებულოა ყოველი ქრისტიანისათვის. საერთოდ, კანონი და სამართალი არ არის საერო წარმოშობის. პირველ კანონად შეგვიძლია ის მცნება მივიჩნიოთ, რომელიც ჯერ კიდევ სამოთხეში ჰქონდათ ადამსა და ევას: არ ეჭამათ აკრძალული ხის ნაყოფი. ამ მცნებას ჩვეულებრივი კანონის ყველა ნიშანი აქვს – ადგენს სავალდებულო წესს და სასჯელს მისი შეუსრულებლობისათვის.

საეკლესიო სამართალზე საუბრისას აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეკლესიის კანონები საღვთო წარმოშობისაა და იგი არ არის ერთი ან რამდენიმე ადამიანის გონების ნაგზრევი. საღვთო კანონები სულიწმიდის მადლმოქმედებით არის შექმნილი და ძალმოსილი.

მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია. ავტოკეფალია, ავტონომია

სულთმოფენობის დღესასწაული, როდესაც მოციქულებზე გარდამოვიდა ქრისტეს აღთქმისამებრ სულიწმინდა და იმავე დღეს 3000 ადამიანი მოინათლა, ითვლება ეკლესიის დარსების დღედ. მას შემდეგ ეკლესიას მრავალი მიმდინარეობა და მიმართულება გამოეყო, ზოგი დღესაც აგრძელებს არსებობას, ზოგიც — აღარ. ის სწავლება კი, რაც მოციქულთა მიერ კაცობრიობას ექადაგა, შენარჩუნებულია მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში. ამიტომაც მართლმადიდებელ ეკლესიას ეწოდება ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

ეკლესია ერთია, ანუ ერთადერთია და ამავე დროს, ერთიანი. ეკლესია ერთადერთია, ანუ მხოლოდ მას აქვს შენარჩუნებული მადლმოსილება მიანიჭოს ადამიანებს სულიწმიდის მადლი და შეაერთოს ისინი ზეციურ ძალებთან. სხვა ეკლესია არ არსებობს, რომელიც ფლობს ქრისტეს შეურყვნელ სწავლებას. ამავე დროს, როგორც უფლის კვართი, ეკლესია ერთიანია, ანუ იგი დაყოფას და გაყოფას არ ექვემდებარება. ყოველი ადამიანი, რომელიც უარყოფს ეკლესიის სწავლებას, ამით თვითვე განიყენებს თავს წმინდა საკრებულოსგან. არასწორი იქნება თქმა იმისა, რომ ეკლესია გაიყო, რადგან ეკლესიისაგან გამოყოფილი ადამიანი არ „გაიყოლებს" საღვთო მადლს ეკლესიიდან, იგი იმ რტოს ჰგავს, რომელსაც ვენახიდან გასხლავენ და მას, ცხადია, თავისით აღარ ძალუძს მოგეცეს ნაყოფი, რადგანაც იგი წყდება ნაყოფის ამაღორძინებელ მთავარ წყაროს.

ეკლესია წმინდაა, რადგან იგი ძალმოსილია საღვთო ნების საფუძველზე განწმინდოს მასში მყოფი ყოველი ადამიანი და აცხონოს იგი.

ეკლესია კათოლიკეა, ანუ საყოველთაოა, რადგან იგი არ არის შემოფარგლული დროითა და სახელმწიფოებრივი საზღვრებით. ეკლესია ყველასია და ყველას აერთიანებს, ვინც ისურვებს ქრისტესთან მყოფობას. ეკლესიის კარი მათთვისაც ღიაა, ვისაც ჯერ არ უცვნია ქრისტეს სწავლება.

ეკლესია სამოციქულოა, რადგან მოციქულთა მიერ არის დაფუძნებული და ინახავს მოციქულთა მიერ მოცემულ სწავლებას.

ძველთაგანვე, მრევლის უკეთ დამწყსვის და ადმინისტრაციული საკითხების იოლად მოგვარების მიზნით დადგინდა, რომ ადგილობრივი ეკლესიები უფლებამოსილი იყვნენ თვითმწყემსობაზე, ანუ ავტოკეფალიაზე. თავიდანვე, ყველა ქრისტიანული თემი ავტოკეფალური იყო, მაგრამ შემდგომ მოხდა ასეთი თემების გამსხვილება და დღესდღეობით არსებობს მხოლოდ 15 ავტოკეფალური ეკლესია. ამის საფუძველია კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების მე-2 კანონი, რომლითაც ადგილობრივ ეკლესიებს უფლება ეძლევათ თვითონვე დამწყსონ თავისი მრევლი. ავტოკეფალურის გარდა, არსებობს ავტონომიური ეკლესიებიც, რომლებიც შედარებით შეზღუდულ უფლებებს ფლობენ, თუმცა გარკვეული თავისუფლება შიდა საკითხების მოწესრიგებისათვის მაინც გააჩნიათ.

ამჟამად მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში არსებობს 15 ავტოკეფალური (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, საბერძნეთის, ალბანეთის, პოლონეთის, ჩეხეთ-სლოვაკეთისა და ამერიკის) და 4 ავტონომიური (სინაის, ფინეთის, იაპონიისა და უკრაინის) ეკლესიები.

საეკლესიო სამართლის წყاროები

სამართლის წყარო ეწოდება იმ მატერიალურ მასალას, რასაც, როგორც წესი, ეფუძნება სამართლის ესა თუ ის დარგი. საეკლესიო სამართლისთვის წყაროებს წარმოადგენს:

ა) წმინდა წერილი, რომელიც მოიცავს ძველ და ახალ აღთქმას. იმ დებულებათა მიმართ, რომელთა შორის სხვაობაა ახალსა და ძველ აღთქმას შორის, მოქმედებს ახალი აღთქმის სწავლება;

ბ) წმინდა გარდამოცემა. იგი არის ეკლესიის წიაღში დაცული ზეპირი, გადმოცემითი სწავლება ეკლესიის მოძღვრების, ლიტურგიკისა და ქრისტიანული ცხოვრების წესის თაობაზე. წმინდა გარდამოცემა წმინდა წერილის თანასწორია. თავდაპირველად, გარდამოცემა ზეპირად გადადიოდა საეკლესიო თაობებში, თუმცა შემდგომში ხდება მისი ჩაწერა, ძირითადად მსოფლიო კრებების კანონების სახით;

გ) მოციქულთა კანონები, რომლის სახელწოდებითაც ცნობილია დიდ სჯულისკანონში შემავალი 85 კანონი. იგი პირველი დამოუკიდებელი სამართლის ძეგლია ეკლესიის ისტორიაში და საეკლესიო სამართალშემოქმედების უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს;

დ) მსოფლიო კრებათა კანონები. ეკლესიის უცდომელობის დოგმატი აღესრულება მსოფლიო კრებათა განჩინებით. ამიტომ ჩვენ გვწამს, რომ მსოფლიო კრება, მოქმედებს რა სულიწმიდის მადლით, უცდომელია გადაწყვეტილების მიღებისას. მართლმადიდებელი ეკლესია ცნობს 7 მსოფლიო საეკლესიო კრებას და მათ მიერ მიღებული კანონები შეტანილია დიდ სჯულისკანონში;

ე) ადგილობრივ კრებათა კანონები, რომლებიც თავის მხრივ 2 ნაწილად იყოფა – მსოფლიო მნიშვნელობისანი (ანუ ისინი, რომლებიც სჯულისკანონშია შეტანილი) და ლოკალური მნიშვნელობისანი (ანუ ერთი ადგილობრივი ეკლესიის კანონები). მეორე პირველისგან განსხვავდება იმით, რომ პირველი ყველა მართლმადიდებლისთვის საერთო და ერთნაირად სავალდებულოა, მეორე კი – მხოლოდ ერთი ავტოკეფალური ეკლესიის მრევლისთვის;

ვ) ეპისტოლარული კანონები, რომლებიც სამართლებრივ საკითხებზე ეკლესიის ავტორიტეტულ მოღვაწეთა ეპისტოლეებში გადმოცემულ კანონებს ეწოდება. მათი ნაწილი შეტანილია დიდ სჯულისკანონში და სავალდებულო ძალა აქვს ყველასთვის;

ზ) ეკლესიის წეს-ჩვეულებები და **ადათი**. ესენიც მიეკუთვნებიან საეკლესიო სამართლის წყაროებს, რადგან ეკლესიის ისტორიაში ჩამოყალიბდა მრავალი წესი და ტრადიცია (პირჯვრის წერის, აღმოსავლეთისკენ ლოცვის და ა.შ.), რომლებიც ერთ კონკრეტულ კანონში არ არის გადმოცემული.

ეკლესიის წევრობა. საერო და სამონაზვნო დასები

ნათლისღების წმინდა საიდუმლო არის ეკლესიის წევრობის საფუძველი. მას შემდეგ რაც კანონიკურად ხელდასხმული მართლმადიდებელი მღვდლის ან ეპისკოპოსის მიერ დადგენილი წესების დაცვით აღესრულება ნათლობა, პირი უერთდება ქრისტეს სამწყსოს. ნათლობის საიდუმლო აღარ განმეორდება.

მართალია, ნათლობას სასულიერო პირი აღასრულებს, მაგრამ დასაშვებია მისი შესრულება საერო პირის მიერაც, თუკი მოსანათლი მომაკედავია და მღვდლის მოყვანა არ ხერხდება.

თუკი არ არის ცნობილი, ესა თუ ის პირი ნათელღებულია თუ არა, მაშინ მასზე დასაშვებია ნათლობის აღსრულება ნათლობის ფორმულაზე შემდეგი სიტყვების დართვით: „თუ არა ნათელ-ღებულ იყოს...“

ეკლესიის წევრობა შესაძლებელია მოხდეს ე.წ. „სისხლით ნათლობით", ანუ როდესაც მოუნათლავი პირი თავს შეწირავს ქრისტეს რწმენას. ეკლესიის სათნო გადმოცემით, ასეთ ადამიანებს მიიჩნევენ არამხოლოდ ეკლესიის წევრებად, არამედ წმინდა მოწამეებადაც.

მცირედით განსხვავებული წესია სხვა მიმდინარეობის ქრისტიანული ეკლესიების წევრთა მართლმადიდებელ ეკლესიასთან შემოერთების დროს. ზოგადად მიღებულია, რომ თუკი ამგვარი ეკლესია სამოციქულო მემკვიდრეობისაა, ცნობს მღვდლობასა და ნათლობას საეკლესიო საიდუმლოდ, მაშინ ამ ეკლესიის მრევლზე ნათლობის საიდუმლო აღარ აღესრულება და შემოერთება ხდება მირონცხებით ან საეკლესიო ეპიტიმიით.

ქრისტიანებს ეწოდებათ „სამეუფეო სამღვდელოება", რადგან ყოველი ქრისტიანი ერთგვარი ღვთისმსახურია თავისი ცხოვრებითა და ლოცვით. მას აქვს უფლებები, ვალდებულებები და აკრძალვები, რაც გადმოცემულია სჯულისკანონში.

ქრისტიანები სამ ჯგუფად იყოფიან:

ა) სასულიერო პირები, ის ადამიანები, რომლებზეც კანონიკურად აღესრულა ხელდასხმა და გახდნენ დიაკვნები, მღვდლები ან ეპისკოპოსები;

ბ) სამონაზონო პირები, რომლებმაც დადეს უქორწინებლობის, უპოვარებისა და მორჩილების აღთქმა;

გ) საერო პირები — დანარჩენი ქრისტიანები.

რაც შეეხება „ა"-სა და „ბ"-ს, დასაშვებია, რომ ადამიანი ორივე ჯგუფს მიეკუთვნებოდეს.

<u>საეკლესიო მმართველობა</u>

ეკლესიაში, ისევე როგორც ზეციურ ძალთა შორის, არსებობს იერარქია. ურთიერთდაქვემდებარება ეფუძნება პასუხისმგებლობასა და სიყვარულს. თავად სიტყვა იერარქიას 2 სიტყვისაგან შედგება — „იერევს" და „არქე". „იერევს", როგორც წესი ითარგმნება „მღვდლად", ხოლო „არქე" — მთავრად, ანუ იერარქია არის მღვდელმთავრობა. თუმცა, თუკი ავიღებთ ამ სიტყვების უძველეს ბერძნულ მნიშვნელობას, მაშინ თარგმანი შეიცვლება. კერძოდ, „იერევს" „სიწმინდე", ხოლო „არქე" — საწყისი, ანუ სიწმიდის საწყისი, სიწმინდის სათავე, სიწმინდის დასაბამი. ყოველი მადლმოქმედება, რასაც აღასრულებს ქრისტეს წმინდა ეკლესია, ხორციელდება სწორედ რომ იერარქიის მეშვეობით და ხელით.

საეკლესიო იერარქიაში სამი საფეხურია: დიაკვნები, მღვდლები და ეპისკოპოსები. დიაკონს დამხმარე ფუნქცია აქვს ღვთისმსახურებისას და იგი დამოუკიდებლად არაფერს აღასრულებს. მღვდელს აქვს არასრული სამღვდელო მადლი, ხოლო სრული — ეპისკოპოსს. ეპისკოპოსი მოციქულთა თანასწორია უწყვეტი იერარქიული ხელდასხმის მადლით. ცნობილია ფრაზა — „ეკლესია არის იქ, სადაც არის ქრისტესმიერი მღვდელმთავარი".

საეკლესიო ორგანიზაციას კრებული ხელმძღვანელობს. ეპისკოპოსთა კრება არის ადგილობრივი ეკლესიის მმართველი ორგანო და მას წმინდა სინოდი ეწოდება. ეპისკოპოსთაგან ერთ-ერთი, ეკლესიის ტრადიციისამებრ, უვადოდ აირჩევა წმინდა სინოდის თავმჯდომარედ და ეკლესიის მეთაურად. იმ ადგილობრივ ეკლესიათა მეთაურები, რომლებიც მოციქულთა მიერ არის დაარსებული, როგორც წესი, პატრიარქებად იწოდებიან. 15 ავტოკეფალურ ეკლესიათაგან პირველი 9 საპატრიარქოა.

საეკლესიო მსახურებები. ხელდასხმა, ხელდება

საეკლესიო მსახურება ეკლესიური ცხოვრების უმთავრესი ნაწილია. ყოველი მადლმოქმედება, რითიც სულიერად კვებავს ეკლესია თავის შეილებს, მჭირდოდ არის დაკავშრებული საეკლესიო მსახურებასთან. ასეთი მნიშვნელობის გამო საეკლესიო მსახურება დეტალურად არის რეგლამენტირებული. **საეკლესიო მსახურებათა განწესის შემადგენელ წიგნს ტიპიკონი ეწოდება.**

საეკლესიო მსახურებას გარდა დოგმატური მნიშვნელობისა, აქვს სამართლებრიეი მნიშვნელობაც. კანონიკური მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა უმრავლესი ნაწილის აღსრულება საეკლესიო მსახურების შედეგად ხდება. მსახურებას ამიტომ აქვს ერთგვარად იურიდიული ფაქტის ფუნქციაც. იურიდიული ფაქტი ეწოდება ისეთ ფაქტს, რომელიც იწყებს, ცვლის ან ასრულებს გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობებს. აუცილებელია ითქვას, რომ ყველა პირს ყველა ქრისტიანულ მსახურებაში მონაწილეობის უფლება არ აქვს. ამასაც საეკლესიო სამართალი განსაზღვრავს.

საეკლესიო მსახურებები ორ დიდ ჯგუფად იყოფა — საზოგადო და კერძო. კერძო მსახურება ცალკეული პირის თხოვნით აღესრულება, საზოგადო კი — მისთვის დადგენილ დროებში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საეკლესიო მსახურებას ამისთვის საგანგებოდ ნაკურთხი პირები ასრულებენ. კურთხევის ამ წესსა და მსახურებას ხელდასხმა ეწოდება (ბერძნ. „ქიროტონია"). განსხვავდება დიაკვნის, მღვდლისა და ეპისკოპოსი ხელდასხმა. სამივეს ერთობლივად მღვდლობის საიდუმლო ეწოდება. მღვდლობის საიდუმლოს წესი დამოუკიდებლად არ აღესრულება, არამედ ჩაერთვის საღვთო ლიტურგიის დროს.

საეკლესიო კანონები დეტალურად განსაზღვრავენ იმ პირთა წრეს, ვინც შეიძლება ხელდასხმულ იქნეს სამღვდელო დასში. ხელდასხმის დროს წარმოითქმის კურთხევის ფორმულა: „საღვთო მადლი, უძლურებათა ჩვენთა ყოვლადვე მკურნალი და ნაკლულევანებათა აღმავსებელი, ხელდასხმულ ჰყოფს (სახელი) დიაკვნად (მღვდლად, ეპისკოპოსად) და ვილოცოთო უკუე ყოველთა, რათა დაიმკვიდროს მის თანა მადლმან ყოველადწმიდისა სულისამან." აღსანიშნავია, რომ დიაკვნისა და მღვდლის ხელდასხმას ერთი ეპისკოპოსი აღასრულებს, ეპისკოპოსისას კი — რამდენიმე.

სამღვდელო მადლი წარუხოცელია. ერთხელ ნაკურთხი პირი იმავე ხარისხში მეორედ აღარ იკურთხება. სამღვდელო დასში მყოფი პირი ვალდებულია სიცოცხლის ბოლომდე აღასრულოს თავისი მოვალეობა და დამწყსოს მისდამი მინდობილი ქრისტეს სამწყსო.

ხელდასხმისაგან განსხვავდება ხელდების წესი (ბერძნ. „ქიროთესია"). საეკლესიო კანონებით მიღებულია, რომ ეკლესიის მსახურებიც ნაკურთხი უნდა იყვნენ. დღევანდელ ეპოქაში ჩვენ ეკლესიაში ძირითადად 3 მსახური არსებობს — მნათე, მედავითნე და მგალობელი. მათგან, რომელიც სტიქრით არის შემოსილი სტიქაროსანი ეწოდება. სტიქაროსანს, მღვდლისაგან განსხვავებით უფლება აქვს თავი დაანებოს მსახურებას.

საეკლესიო დანაშაულები

საეკლესიო სამართალი განსაზღვრავს დანაშაულთა სახეებს. უნდა აღნიშნოს, რომ საეკლესიო დანაშაულები მცირედით განსხვავდება საერო დანაშაულებისაგან. განსხვავების მთავარი საფუძველი არის საერო და საეკლესიო სამართლის განსხვავებული მიზნები. თუკი საერო სამართლის მიზანი არის ის, რომ მშვიდობიანობა სუფევდეს სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის, საეკლესიო სამართლის მიზანია დაეხმაროს ადამიანს სასუფეველის დამკვიდრებაში. ამიტომაა, რომ საერო და საეკლესიო

სამართალს შორის არსებობს ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება და ესაა დანაშაულები საკუთარი თავის წინააღმდეგ.

მსგავსად საერო სამართლისა, საეკლესიო სამართალშიც მიღებულია დანაშაულთა კლასიფიკაციის სხვადასხვა სახეები. მათგან უმთავრესია დანაშაულთა დაყოფა სუბიექტთა მიხედვით და დანაშაულის ობიექტის მიხედვით.

სუბიექტთა მიხედვით (ანუ ვინ შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული) დანაშაული იყოფა სამღვდელო და საერო პირთა დანაშაულებად და ზოგადქრისტიანულ დანაშაულებად, ანუ დანაშაულთა იმგვარ სახეებთან, რომლებიც შეიძლება ჩაიდინოს როგორც სამღვდელო, ისე საერო პირმა. სამღვდელო პირთა დანაშაულად ითვლება, მაგალითად, მსახურების არასწორად აღსრულება, საერო პირთა დანაშაულად – საკურთხეველში შესვლა.

ობიექტთა მიხედვით დანაშაულები განსხვავდება ღვთის წინააღმდეგ, მოყვასის წინააღმდეგ და საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად. ზოგადად, ყველა დანაშაული ღვთის წინააღმდეგ არის მიმართული, რამდენადაც იგი არღვევს უფლის მიერ დადგენილ კანონებსა და წესებს, მაგრამ ვიწრო გაგებითაც, ღვთის გმობა, სიწმიდეების შეურაცხყოფა და ა.შ. უშუალოდ ღვთის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად ითვლება.

<u>საეკლესიო სასჯელები და მოძღვრება მათ შესახებ</u>

ქრისტიანული მოძღვრება სასჯელის შესახებ გარკვეულწილად განსხვავდება საერო სასჯელის თაობაზე მოძღვრებისაგან. ეკლესიის მიზანი არ არის შურისძიება და ადამიანის წამება, აგრეთვე სამართლიანობის აღდგენა ან, როგორც ეს რომაულ-კათოლიკურ დოქტრინაშია – ღვთის დაკმაყოფილება (ე.წ. „სატისფაქცია“).

ეკლესიის სასჯელი ფაქტობრივად საკურნებელია, რომლის მიზანი ქრისტიანთა შენანება და სინანულის საფუძველზე სასუფველის დამკვიდრებაა. ეკლესიის სასჯელები გამორიცხავს აგრეთვე, მორწმუნეებზე ფიზიკურ და სხვაგვარ ზემოქმედებას. ეკლესიის სასჯელი დაკავშირებულია მორწმუნის საერთო-საეკლესიო მსახურებებიდან დროებით ჩამოშორებასთან, რადგან, როგორც ამას ცნობილი ბერძენი კანონისტი იოანე მმარხველი აღნიშნავს, „რაა იმაზე დიდი სასჯელი, ვიდრე უფალთან ქრისტიანის ერთობისა და მისი მადლმოქმედებისაგან ჩამოშორება?“ აუცილებელია ისიც აღნიშნოს, რომ საეკლესიო სასჯელი არ არის პოლიციური. ადამიანის ეკლესიისგან ჩამოშორება არის არა იძულების ღონისძიება, არამედ მომხდარი ფაქტის დადასტურება. პირი, რომელიც მძიმედ არღვევს უფლის მცნებებს და არ უგონებს ეკლესიის სიტყვას, თავად განიყენებს თავს ეკლესიის სისავსისაგან.

მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს შემდეგი სასჯელები:

ა) უზიარებლობა, ანუ წმ. ზიარებისაგან განყენება. მიესჯება ერისკაცს. ვადა არის სულ ცოტა 2 კვირა და სულ ბევრი – სიკვდილამდე. თავად უზიარებლობის პერიოდი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით შეიძლება, სულ ბევრი, 4 ნაწილად გაიყოს: შეტირებად, შევრდომად, კათაკმეველებთან თანალოცვად და მორწმუნეებთან თანალოცვად;

ბ) დაცადება, ანუ მღვდელმოქმედების დროებითი აკრძალვა. მიესჯება სასულიერო პირს. ვადა შეიძლება იყოს რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე;

გ) დაცხრომა, იგივე დაცადებაა;

დ) განკვეთა, ანუ მღვდელმოქმედებიდან ჩამოშორება. მიესჯება სასულიერო პირს, რის შემდეგაც იგი უბრუნდება ერისკაცთა დასს. შენანების შემთხვევაში მას შეიძლება აღუდგეს სამღვდელო უფლებები;

ე) ანათემა (ქართ. შეჩვენება), ანუ ეკლესიიდან განკვეთა. მიესჯება როგორც სასულიერო, ისე საერო პირს. ანათემაზე გადაცემული პირი აღარ ითვლება მართლმადიდებელი ეკლესიის წევრად. ანათემის თაობაზე გადაწყვეტილება, როგორც წესი,

გამოაქვს საეკლესიო კრებას. ანათემაზე გადაცემული პირი შენანების შემთხვევაში შეიძლება დაუბრუნდეს საეკლესიო კრებულს.

სასჯელის მისჯის შემდეგ მნიშვნელოვანია მისი აღსრულება. მას შემდეგ რაც კანონიერ ძალაში შევა შესაბამისი განჩინება, პირი ექცევა იმ რეჟიმში, რაც მას სასჯელით განესაზღვრა. სასჯელზე თავის არიდება თავად წარმოადგენს მორიგ დანაშაულს და კიდევ უფრო ამძიმებს მორწმუნის მდგომარეობას.

თუკი საეკლესიო სასჯელი ვადიანი იყო, მაშინ იგი განწესებული ეპიტიმიის სათანადოდ აღსრულების შემთხვევაში შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ პირდაპირ გაუქმებულად ჩაითვლება, ხოლო უვადო სასჯელის გაუქმებას საგანგებოდ სჭირდება დასჯილის მიერ სინანულის გამოხატვა, რის შემდეგაც მოხდება მისი საქმის და სულიერი მდგომარეობის შესწავლა და გამოეტანება შესაბამისი გადწყვეტილება. დასაშვებია ვადიანი სასჯელის შემცირებაც ან ვადამდე გაუქმებაც კი. ზოგადი პრინციპია, რომ სასჯელის შეცვლის ან გაუქმების უფლებამოსილება აქვს იმ მღვდელმთავარს, ვინც ეს განაჩენი გამოიტანა ან, თუ ეს შეუძლებელია, მისი უფლებამონაცვლის მიერ.

<u>საეკლესიო სასამართლო</u>

საეკლესიო სამართალწარმოება ეფუძნება საეკლესიო კანონებსა და ეკლესიის ტრადიციას. სჯულისკანონი საკმაოდ საფუძველიანად აღწერს იმ მნიშვნელოვან დებულებებს, რაც საეკლესიო მართლმსაჯულების დროს უნდა იქნეს დაცული და გამოყენებული.

უპირველესი არის ის, რომ განაჩენი გამოაქვს ქრისტესმიერ მღვდელმთავარს, როგორც სამოციქულო მადლის მქონე იერარქს.

საეკლესიო საქმის აღძვრის საფუძველია პირის მიერ თავისი ჩადენილი ქმედების შენანება ან სხვათა მიერ ბრალდების წარდგენა. საეკლესიო კანონებით არამართლმადიდებლის, ღვთის მგმობის ან ეკლესიისაგან განყენებული პირის მიერ დოგმატურ და კანონიკურ საკითხებზე ბრალდება არ მიიღება.

საქმის აღძვრის შემდეგ ბრალდებული ვალდებულია წარმოადგინოს თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, იგივე ვალდებულება აქვს ბრალმდებელსაც. საეკლესიო კანონებით თუკი ვერ დამტკიცდა რომელიმე ბრალდება, ამ ბრალდების წარმდგენი პირისაგან სხვა ბრალდებები აღარ მიიღება.

საეკლესიო სასამართლო იხილავს საქმეს, შეისწავლის ყოველივე მნიშვნელოვან გარემოებას და წმ. სამების სახელით გამოაქვს განაჩენი. ბრალდებული უფლებამოსილია დაეთანხმოს ამ განაჩენს ან გაასაჩივროს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება, როგორც წესი, საჩივრდება საეკლესიო კრების წინაშე.

გადაწყვეტილების საბოლოოდ გამოტანის შემდეგ ხდება მისი აღსრულება. რამდენადაც ეკლესია არ ფლობს პოლიციურ სისტემას, განაჩენის აღსრულება მსჯავრდებულის ნებაზეც არის დამოკიდებული. საგულისხმოა ისიც, რომ განაჩენის ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როდესაც მსჯავრდებული ცნობს მის მიმართ ამ სასჯელს. თუკი პირს 5 წლიანი უზიარებლობა მიესაჯა, მაგრამ იგი არ ემორჩილება ამ გადაწყვეტილებას, ვადის ათვლა არ დაიწყება.

საერო პირის, დიაკვნისა და მღვდლის საქმეს პირველი ინსტანციით იხილავს ეპისკოპოსი, ხოლო ეპისკოპოსისას – რამდენიმე ეპისკოპოსი.

ჯვრისწერა

ადამისა და ევას შექმნით, ანუ პირველი ოჯახის შექმნით იწყება კაცობრიობის ისტორია. ეკლესიის სწავლებაში მიღებულია, რომ გალილეის ქალაქ კანაში უფლის მიერ ქორწილში მისვლით იკურთხა ქალისა და მამაკაცის შეერთება ოჯახის შექმნის მიზნით. ხოლო შემდგომში, პავლე მოციქულის მიერ ამ საიდუმლოს დიდი ეწოდა და საღვთო მოციქულმა იგი ქრისტესა და მისი ეკლესიის ერთობას შეადარა.

ჯვრისწერის მოთხოვნებია, რომ იგი შესრულდეს:

ა) განსხვავებული სქესის პირთა შორის;

ბ) სრულწლოვანთა შორის;

გ) თავისუფალი ნების საფუძველზე;

დ) ქმედუნარიან პირთა შორის.

ჯვარი არ შეიძლება დაიწეროს პირმა, თუ იგი არის:

ა) სასულიერო პირი;

ბ) მონაზონი;

გ) მომაკვალი მეუღლის ხორციელი, სულიერი. შეძენითი ან აყვანითი ნათესავი;

დ) ქორწინებაში სხვა პირთან;

ე) 3-ჯერ ჯვარდაწერილი;

ვ) უცხო აღმსარებლობის.

რომელიმე ამ წესის დარღვევით აღსრულებული ჯვრისწერა ეპისკოპოსმა შეიძლება მიიჩნიოს ბათილად.

ჯვრისწერის გაუქმების საფუძვლებია:

ა) ერთ-ერთი მეუღლის მრუშობა;

ბ) სხვაზე დაქორწინება;

გ) სიცოცხლისათვის საშიში მუქარა;

დ) მიტოვება;

ე) უგზო-უკვლოდ დაკარგვა;

ვ) ცოლ-ქმრული ურთიერთობის ძლიერი შერყევა;

ზ) ერთ-ერთის მონაზვნად აღკვეცა;

თ) მძიმე სულიერი დაავადება.

გვირგვინის ახდის შემდეგ მეუღლეთა შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობა წყდება და ორივე ხდება თავისუფალი.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა. კონსტიტუციური შეთანხმება

ეკლესიის სამრევლოს ყოველი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა, ამიტომ მათთვის, როგორც მორწმუნეებისთვის და ეკლესიისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ მოწესრიგებული იყოს ურთიერთობა ამ ორ ინსტიტუციას შორის. ეკლესია კლდესა ზედა დაფუძნებულია და მას საღვთო ძალმოსილებით შეუძლია გაუძლოს როგორც პირდაპირ ბრძოლას სახელმწიფოსაგან, ისე ირიბ და ფარულ შეტევასაც. მაგრამ იდეალური და საუკეთესოა, თუკი სახელმწიფო გვერდით უდგას და ხელს უწყობს ეკლესიას თავის მსახურებაში. ამას ხანდახან „ბიზანტიურ სიმფონიასაც“ უწოდებენ.

IV საუკუნიდან საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია იყო, რამაც განსაზღვრა ქართული ცნობიერება, მსოფლმხედველობა და შექმნა უმდიდრესი ქართული კულტურა. საუკუნეთა მანძილზე სახელმწიფოს ძლიერებისა თუ დასუსტების ჟამს ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ურთიერთობა ყოველთვის საძაგალითო იყო. მეტიც, სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების ეპოქაში ეკლესია რჩებოდა მაკონსოლიდირებელ და გამაერთიანებელ ძალად ჩვენი ერისთვის. სიტუაცია შეიცვალა ჯერ რუ-

სეთის იმპერიის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით, ხოლო შემდეგ ათეისტური რეჟიმის 70-წლიანი მმართველობით.

დღესდღეობით ევროპულ სახელმწიფოებში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა 3 მოდელია მიღებული:

ა) სახელმწიფო რელიგია (დიდი ბრიტანეთი, დანია, საბერძნეთი...)

ბ) უპირატესი რელიგია (იტალია, ესპანეთი, პოლონეთი...)

გ) რელიგიური თანასწორობა (გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია...)

საქართველოში მოქმედებს 2002 წლის 14 ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში ხელმოწერილი კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ამ შეთანხმების, აგრეთვე ქართული კანონმდებლობის ზოგადი ანალიზის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოს მიაკუთვნებენ პირველი მოდელის ქვეყნებს მხოლოდ იმ მითითებით, რომ ეს არის დე-ფაქტო (რადგან პირდაპირი ჩანაწერი სახელმწიფო რელიგიის თაობაზე არსად არ გვაქვს).

<u>საეკლესიო სამართლის სამეურნეო-მმართველობითი ასპექტები</u>

საეკლესიო სამართალი, რომელიც წარმოადგენს ღვთიეადგენილ კანონთა ერთობას, ზედმიწევნით აწესრიგებს იმ ურთიერთობებს, რომლებიც შესაძლებელია წარმოიქმნას ქრისტიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეკლესიისთვის უპირველესად მნიშვნელოვანია სასულიერო საკითხების განსაზღვრა, მაგრამ, ცხადია, ეკლესია ვერ აუვლის გვერდს საერო ცხოვრებისთვის ისეთ უმნიშველოვანეს საკითხებს, როგორიცაა ეკლესიის ქონების განმგებლობის და საეკლესიო მეურნეობის მართვის საკითხები. ცნობილია, რომ მონასტრები საუკუნეთა მანძილზე იყვნენ მეურნეობის მნიშვნელოვანი კერები, თითქმის ყოველ მათგანთან არსებობდა სხვადასხვა მასშტაბისა და ფორმის მეურნეობები და ყოველი მათგანი კანონიკური ნორმებით იყო რეგლამენტირებული.

კანონიკისთვის საეკლესიო მეურნეობის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ თითქმის ყველა საეკლესიო კრებას აქვს მიღებული გადაწყვეტილებები საეკლესიო მეურნეობისა და მისი მართვის საკითხებზე. ქონება საეკლესიო და საერო კატეგორიებად ჯერ კიდევ მოციქულთა ეპოქაში გაიმიჯნა[1], საეკლესიო ქონება კი სამართავად გადაეცა ეპისკოპოსს. საგულისხმოა ისიც, რომ მოციქულთა 38-ე კანონი მოუწოდებს ეპისკოპოსს, რომ საეკლესიო ქონება თვით იმ შემთხვევაშიც კი არ გაასხვისოს, როცა ეს უპოვართა დასახმარებლად ხდება. საეკლესიო კანონთა ცნობილი სერბი განმმარტებელი ეპ. ნიკოდიმოს მილაში აღნიშნავს, რომ „ამ კანონის განწესება, პირადად ეპისკოპოსის მიერ საეკლესიო ქონების მართვის შესახებ ძალაში იყო იქამდე, სანამ ეს ქონება არ გაიზარდა. ხოლო როდესაც ეკლესიამ უძრავი ქონების მოპოვება და გარკვეული შემოსავლის მიღება დაიწყო, მაშინ ეპისკოპოსისათვის მთელი ამ ქონების მართვა შეუძლებელი გახდა და შესაბამისად, ამ მმართველობის წესის შეცვლის მოთხოვნილება წარმოიშვა (IV მსოფ. 26; VII მსოფ. 11; თეოფილე ალექს. 10)"[2]. IV მსოფლიო კრებაზე შემოღებულ იქნა სპეციალური და საეალდებულო თანამდებობა, რომელსაც ეწოდა ეკონომოსი – იგივე მნე, სახარების მიხედვით.[3]

ქალკედონის მსოფლიო კრების კანონით, იქ სადაც ეპისკოპოსია, აუცილებლად უნდა იყოს ეკონომოსიც, რომელიც აირჩევა საეკლესიო პირთაგან და მას ევალება საეკლესიო ქონების მართვა, ეპისკოპოსთან შეთანხმებით. წმინდა მამა თეოფილე ალექსანდრიელი კი თავის მე-9 კანონში აღნიშნავს, რომ ეკონომოსის დანიშვნა შეთანხ-

---

[1] იხ. მოციქულთა 40-ე და 41-ე კანონები. კანონები აქ და შემდგომში მოყვანილია „დიდი სჯულისკანონიდან", თბ., 2004.

[2] მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტომი I, თბ., 2007, გვ. 85

[3] ლკ. 12; 42

მებულ უნდა იქნეს მთელ სამღვდელო დასთან. ამ მხრივ უდავოდ ინტერესმოკლებული არ იქნება ანკვირიის ადგილობრივი კრების 25-ე კანონი, რომელიც აწესრიგებს იმ შემთხვევას, როდესაც ქონების განკარგა მოხდა ეპისკოპოსის უკითხავად. ასეთ დროს, გაყიდული ქონება აუცილებლად ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს, ხოლო მყიდველისთვის ღირებულების სრულად ანაზღაურების საკითხს საეპისკოპოსო სასამართლო დამატებით გადაწყვეტს.

საეკლესიო კანონები ითვალისწინებენ იმ შემთხვევასაც, როდესაც ეპარქია საეპისკოპოსო მმართველობის გარეშეა დარჩენილი. ამ დროს მთელი ქონების შენახვა ახალი მღვდელმთავრის დადგენამდე გადაეცემა შესაბამის ეპისკოპოსს, ქალკედონის IV მსოფლიო კრების 25-ე კანონით თანახმად. როგორც ეპ. ნიკოდიმი აღნიშნავს, ძველ პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც დაქვრივებულ კათედრაზე ქონებას ინაწილებდნენ და ახლად დადგენილ ეპისკოპოსს ფაქტობრივად საეკლესიო ქონება განიაღებული ხედებოდა. სწორედ ამიტომ, აღნიშნავს სერბი კანონისტი, „ქვრივი ეპარქიის ქონებაზე ეკონომოსმა უნდა იზრუნოს დასთან ერთად, ხოლო შემდეგში მის შესახებ ანგარიში ახალ ეპისკოპოსს წარუდგინოს“[1].

რაც შეეხება საკუთრივ საეკლესიო ქონებას, იგი, როგორც წესი, განუსხვისებელია. საეკლესიო კანონები პირდაპირ ადგენენ, რომ ერთხელ საეკლესიოდ კურთხეული ქონება აღარ შეიძლება საერო მოხმარებისთვის იქნეს გამოყენებული. მეტიც, ამის ჩამდენს საეკლესიო სასჯელი განესაზღვრება და ეს ჩვენ ცალკე საეკლესიო შეცოდებად გამოეყაეით[2].

უაღრესად საგულისხმოა ნიკეის VII მსოფლიო კრების მე-12 კანონი, რომელიც აწესრიგებს იმ შემთხვევას, როდესაც საეკლესიო ქონება არაშემოსავლიანია და მას წაგება მოაქვს საეკლესიო მეურნეობისათვის. ზოგადად, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საეკლესიო ქონების განკარგვა არ შეიძლება, მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს საეკლესიო მეურნეობის მმართველი, თუკი ეკონომიკური თვალსაზრისით კონკრეტული ქონება (კანონში საუბარია სახნავ-სათეს აგარაკზე) აღარ იძლევა მოგებას. ასეთ დროსაც კი ეკლესია უკრძალავს ეპისკოპოსს ეს მიწა გადასცეს საერო მთავრობას. იმისათვის, რომ არ დაირღვეს საეკლესიო კანონი, ასეთი მიწა უნდა გადაეცეს ან სასულიერო პირებს ან მიწათმოქმედებს.

საინტერესოა, რომ ეკლესია დაუმტკიცებლად აცხადებს ისეთ გარიგებას, რომლის ძალითაც ამ საეკლესიო ქონებას ახალი მფლობელები გაასხვისებენ საერო მთავრობის სასარგებლოდ. მართალია, კანონში საუბარია მხოლოდ უძრავ ქონებაზე და მხოლოდ სახნავ-სათეს მიწაზე, მაგრამ ეპისკოპოსი ნიკოდიმი შენიშნავს, რომ „უნდა ვიგულისხმოთ როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონებაც და ამ უძრავ-მოძრავ ქონებასთან მიმართებით კანონი განაჩინებს, რომ ეპისკოპოსი და იღუმენი მათ უნდა იცავდნენ და თვალყურს ადევნებდნენ, რომ ყოველთვის დარჩეს იგი ეკლესიისა და მონასტრის კუთვნილებაში; არანაირი სახით არ უნდა დაუთმონ საერო ხელისუფლებას, არც რომელიმე კერძო პირს, რამეთუ ასეთი გადაცემა ყოველმხრივ გაუმართლებელია“.[3]

საიმისოდ, რომ პირადი ქონება გარჩეულ იქნეს საეკლესიო ქონებისგან, კართაგენის ადგილობრივმა კრებამ გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც სასულიერო პირებს დაევალათ, რომ სამღვდელო ხარისხში ყოფნის პერიოდში შეძენილი ქონება მკაცრად გამიჯნონ საეკლესიოსაგან და თუკი, მათი პირადი ქონება ეკლესიას გადაეცა, მისი უკან დაბრუნების უფლება აღარ აქვთ. [4]

---

[1] ეპ. ნიკოდიმი, დასახ. ნაშრომი, გვ. 357
[2] დ. ჩიქვაიძე, საეკლესიო სამართალი (ლექციების კურსი), გვ. 96
[3] ეპ. ნიკოდიმი. დასახ. ნაშრომი, გვ. 357
[4] იხ. კართაგენის 32-ე კანონი

ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ფონზე უდაოდ საინტერესოა VI მსოფლიო კრების 37-ე კანონი, რომელიც აწესრიგებს იმ ურთიერთობებს და საეკლესიო ქონების ბედს, რომელიც წარმოიშვება დამპყრობთა მიერ ეპარქიის დაკავების შემთხვევაში. ასეთ დროს, კანონი ათავისუფლებს მღვდელმთავარს იმ ვალდებულებებისგან, რაც მას აკისრია მშვიდობიანობის პერიოდში თავისი ეპარქიისათვის, თუმცა იქვე მოუწოდებს, რომ „ისინი სასულიერო პირთა ხელდასხმას მაინც უნდა აღასრულებდნენ და თავისი პატივის უპირატესობას შეძლებისდაგვარად უნდა იყენებდნენ (იქ, სადაც არიან)". ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი არ თხოვს საეკლესიო თანამდებობაზე მყოფ პირს აუცილებლად დაიცვას დადგენილი წესები, მაგრამ რეკომენდაციას აძლევს შეძლებისდაგვარად დაცულ იქნეს კანონიკური ნორმები.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო სამართალი აწესრიგებს სამრევლო და სამონასტრო მეურნეობის მნიშვნელოვან ასპექტებს, შესაბამის კანონებში გადმოსცემს მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრების იმ ძირითად ნაწილებს, რაც აუცილებელია საეკლესიო მეურნეობის ქრისტეს მცნებების შესაბამისად მართვისა და ორგანიზებისათვის, განსაზღვრავს და ერთმანეთისაგან მიჯნავს საეკლესიო და საერო ქონებას, ადგენს გამონაკლისებს.

საეკლესიო მეურნეობის მართვის სადავეებთან მყოფი ნებისმიერი საერო თუ სასულიერო პირისათვის ამ წესების დაცვა აუცილებელია, რადგან ერთი მხრივ საუფლო მცნებათა აღსრულებით მორწმუნენი მიიღებენ მადლსა ღვთისასა, ხოლო ამავე დროს, საქართველოში გაგრძელდება ის მდიდარი ტრადიცია, რაც თან ახლდა სამონასტრო მეურნეობების მართვას.

ლიტერატურა:

1. დიდი სჯულისკანონი. წიგნში: საქართველოს ეკლესიის 1987 წლის კალენდარი. თბ., 1987.
2. საქართველოს კონსტიტუცია (მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს).
3. გ. ხუბუა. სამართლის თეორია. თბ., 2004.
4. დ. ჩიკვაიძე. საეკლესიო სამართალი (ლექციების კურსი). თბ., 2007.
5. ჯ. ბუმისი. კანონიკური სამართალი. თბ., 2006.
6. დ. ჩიკვაიძე. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. კომენტარები. თბ., 2005.

საგამოცდო საკითხები

1. საერო სამართლის არსი, წყაროები. განსხვავება საერო და რელიგიურ სამართალს შორის.
2. ქართული სამართლის მოკლე ისტორია.
3. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია.
4. ხელისუფლების სამი შტო.
5. სისხლის სამართალი.
6. სამოქალაქო სამართალი.
7. ადმინისტრაციული სამართალი.
8. ეკლესია და ქრისტიანული თემი. საეკლესიო სამართლის არსი.
9. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია. ავტოკეფალია, ავტონომია.
10. საეკლესიო სამართლის წყაროები.
11. ეკლესიის წევრობა. საერო და სამონაზონო დასები.

12. საეკლესიო მმართველობა.
13. საეკლესიო მსახურებები. ხელდასხმა, ხელდება.
14. საეკლესიო დანაშაულები.
15. საეკლესიო სასჯელები და მოძღვრება მათ შესახებ.
16. საეკლესიო სასამართლო.
17. ჯერისწერა.
18. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა. კონსტიტუციური შეთანხმება.
19. სჯულისკანონი საეკლესიო მეურნეობის შესახებ.
20. საეკლესიო ქონების საკუთრების საკითხი.

7. სამეწარმეო სამართლის საფუძვლები

(როინ მიგრიაული)

ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება

„სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ 1991 წლის კანონი

სამეწარმეო სამართლის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა 90-იან წლების დასაწყისში.

1991 წლიდან საქართველოში ამოქმედდა კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“, რომლითაც პირველად იქნა გათვალისწინებული სამეწარმეო საზოგადოებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. ამ კანონის თანახმად საქართველოში მოქმედებდნენ შემდეგი საწარმოები:

1. ინდივიდუალური საწარმო;
2. სრული სამეურნეო ამხანაგობა;
3. შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა;
4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
5. ერთი პირის საწარმო;
6. დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება;
7. სააქციო საზოგადოება;
8. სახელმწიფო საწარმო;
9. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო;
10. საზოგადოებრიეი ორგანიზაციის საწარმო.

თუმცა ეს არ იყო სამეწარმეო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ამომწურავი ჩამონათვალი. კანონში განსაზღერული იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება მოქმედებდეს აგრეთვე სხვა ისეთი სახის საწარმოები, რომელთა შექმნა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

„მეწარმეთა შესახებ“ 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონი

1994 წლის 28 ოქტომბერს მიღებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შექმნილი ქართული კანონია. ევროპულ ქვეყნებში აღნიშნული საკითხები სავაჭრო კოდექსებით წესრიგდება.

აღნიშნული კანონი ამომწურავად განსაზღერავს მეწარმე სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამეწარმეო საქმიანობა დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებით, რომლებიც განმტკიცებულია კანონში.

ამავე კანონით რეგულირდება ისეთი საკითხები როგორიცაა:

1. არასამეწარმეო საქმიანობის სახეები;
2. საწარმოების დაფუძნება, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია;
3. ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის საკითხები;
4. საზოგადოებათა პარტნიორების უფლება-მოვალეობები;
5. მმართველობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების პასუხისმგებლობა;
6. სამეწარმეო საზოგადოებების პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე;

   და სხვა საკითხები.

„მეწარმეთა შესახებ" კანონის მიღებისას გათვალისწინებულ იქნა გერმანული გამოცდილება.

ამ კანონის მიღების შემდეგ მასში რამდენჯერმე განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათგან უკანასკნელი 2008 წლის 15 მარტს.

2008 წლის 15 მარტის ცვლილებები „მეწარმეთა შესახებ" კანონში

2008 წლის 15 მარტს მეწარმეთა შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებებით კანონში ბევრი ისეთი ნოვაცია გაჩნდა, რომელიც მანამდე უცნობი იყო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისათვის.

ამ ცვლილებების შედეგად კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე შექმნილ საზოგადოებებთან (შპს, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი) დაკავშირებით აღარ გამოიყენება საწესდებო კაპიტალის ცნება მისი მანამდე არსებული მნიშვნელობით.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენდა კანონით განმტკიცებულ და საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ქონებას, რომელიც აუცილებელია შპს-ს, სს-ის ან კოოპერატივის დაფუძნებისათვის და რომლის შეტანის ვალდებულებასაც პარტნიორები (აქციონერები) კისრულობენ.

უკანასკნელი ცვლილებების განხორციელებამდე „მეწარმეთა შესახებ" კანონი კრედიტორების ინტერესების დაცვისა და საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდა საწარმოს საწესდებო კაპიტალს. მათ შორის განსაზღვრული უნდა ყოფილიყო შემდეგი საკითხები:

1. საწესდებო კაპიტალის ოდენობა (წესდებით);
2. თითოეული პარტნიორის ვალდებულება საწესდებო კაპიტალის შეესებასთან დაკავშირებით;
3. საწესდებო კაპიტალში განსახორციელებელი შესატანის ფორმა (ფულადი თუ არაფულადი);
4. არაფულადი შესატანის შემთხვევაში მისი სავალდებულო შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ და ა.შ.

2008 წლის 15 მარტს განხორციელებული ცვლილებების შედეგად საწარმოს წესდება (პარტნიორთა შეთანხმება) საწარმოს რეგისტრაციისას წარსადგენ სავალდებულო დოკუმენტს აღარ წარმოადგენს (იხ. კანონი მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5.). თუმცა კანონის თანახმად იგი უნდა ინახებოდეს საწარმოში, ხოლო გარკვეულ შემთხვევაში დამოუკიდებელ რეგისტრატორთან.

გარდამავალ პერიოდში ტერმინი საწესდებო კაპიტალი რამდენიმე მნიშვნელობით შეიძლება იქნას გამოყენებული:

1. საზოგადოების დაფუძნებისას მისი კაპიტალი (შენატანების ჯამი);
2. საზოგადოების საკუთარი კაპიტალი;
3. საზოგადოების აქციების ნომინალური ღირებულების აქციების რაოდენობაზე ნამრავალი;
4. საწარმოს პარტნიორთა ხმების სრული რაოდენობა.

სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობა

რას გულისხმობს სამეწარმეო საქმიანობა

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედების სფერო არ ერცელდება მთლიანად სამეწარმეო საქმიანობის რეგულირებაზე ან მასთან დაკავშირებულ ყველა ურთიერთობაზე. აღნიშნული კანონი შემოიფარგლება მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსაზღვრით და მასთან დაკავშირებული საკითხებით. 1.2 მუხლის თანახმად: „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად".

სამეწარმეო საქმიანობის მართლზომიერებაში იგულისხმება, რომ მსგავსი საქმიანობა კანონით არ უნდა იყოს აკრძალული, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედი სამართლის ნორმებს. ამასთან სამეწარმეო საქმიანობად არ მიიჩნევა საქმიანობა, რომელიც თუმცა პირდაპირ არ არის აკრძალული კანონით, თუმცა სასამართლოს მიერ შეიძლება იქნეს მიჩნეული ამორალურად და არაეთიკურად.

სამეწარმეო საქმიანობის არაერთჯერადი ხასიათი გულისხმობს, რომ ამგვარი საქმიანობა სისტემატიურად უნდა ხორციელდებოდეს. მეწარმე მოგებაზე ორიენტირებულ ქმედებებს უნდა ახორციელებდეს დროის გარკვეულ ინტერვალში.

სამეწარმეო საქმიანობა მიმართული უნდა იყოს მოგების მისაღებად. ამგვარი მიზნის არსებობის დადასტურებად ჩაითვლება პირის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევა (მაგ.: კს, შპს, სს).

სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელებაში იგულისხმება სამართლებრივი დამოუკიდებლობა. მეწარმე სუბიექტს თავის საქმიანობასთან დაკავშირებით დამოუკიდებლად შეუძლია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება.

სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებულად განხორციელებაში იგულისხმება: 1) „მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევა; 2) საწარმოში მმართველობის ორგანოების არსებობა და 3) შერჩეული ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.

საქმიანობის რა სახეები ითვლება არასამეწარმეო საქმიანობად

„მეწარმეთა შესახებ კანონი" ამომწურავად (მუხლი 1.2.) განსაზღვრავს საქმიანობის იმ სფეროებს, რომლებიც ამ კანონის მიზნებისათვის არ მიიჩნევა სამეწარმეო საქმიანობად. ამგვარი საქმიანობის სახეები წარმოადგენს ფიზიკური პირის სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო და ა.შ.

ამგვარი საქმიანობით დაკავებულ პირებს არ ეკრძალებათ სამეწარმეო რეესტრში რომელიმე სამეწარმეო სუბიექტად დარეგისტრირება (მაგ. ინდივიდუალური მეწარმე, სპს, შპს და ა.შ). თუმცა რეგისტრაციის ვალდებულება წარმიშობა იმ შემთხვევაში თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც.

სამეწარმეო კანონმდებლობის მიზნებისათვის არასამეწარმეო საქმიანობად მიჩნეული საქმიანობა შეიძლება სხვა სფეროს (მაგ. საგადასახადო) კანონმდებლობის მიზნებისათვის სამეწარმეო საქმიანობად იქნას მიჩნეული

სამეწარმეო სამართლის სუბიექტების სამართლებრივი ფორმები

ინდივიდუალური მეწარმე

ინდივიდუალური საწარმო წარმოადგენს ერთი პირის, როგორც დამოუკიდებელი ფიზიკური პირის, სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის ფორმას. ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი. იმისათვის რომ ფიზიკურმა პირმაა მიიღოს ინდივიდუალური საწარმოს სტატუსი იგი უნდა დარეგისტრირდეს სამეწარმეო რეესტრში.

სამეწარმეო ამხანაგობა

სამეწარმეო ამხანაგობა წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ნოვაციას, რომელიც 2008 წლის 15 მარტის ცვლილების შედეგად განხორციელდა. აღნიშნულ სამეწარმეო სუბიექტს „მეწარმეთა შესახებ" კანონი მანამდე არ იცნობდა. სამეწარმეო ამხანაგობა სახეზეა იმ შემთხვევაში თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი ამხანაგობა გადაწყვეტს რეგისტრაციას. ამ შემთხვევაში ის რეგისტრირდება სამეწარმეო ამხანაგობის სახით (მუხლი 19.1). სამეწარმეო ამხანაგობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი ამხანაგობის სამეწარმეო ამხანაგობად რეგისტრაციისას, ამხანაგობის წევრი ფიზიკური პირები უნდა დარეგისტრირდნენ ინდივიდუალურ მეწარმეებად.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)

სპს წარმოადგენს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას. იგი შეიძლება დაფუძნდეს ორი ან მეტი პირის მიერ. მისი თითოეული წევრი (პარტნიორი) პასუხს აგებს საზოგადოების ვალდებულებებისათვის. იგი პასუხს აგებს არა მხოლოდ უშუალოდ საზოგადოებისათვის განკუთვნილი ქონებით, არამედ მთელი თავისი ქონებითაც.

15.03.2008 წლის ცვლილებების შედეგად კანონიდან ამოღებულ იქნა მოთხოვნა, რომ სპს-ს პარტნიორები აუცილებლად ფიზიკური პირები უნდა ყოფილიყვნენ. აქედან გამომდინარე სპს-ს პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირი.

კომანდიტური საზოგადოება

კომანდიტური საზოგადოება, განსხვავებით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისაგან ჰყავს ორი კატეგორიის პარტნიორები:

ა. კომპლემენტარები – რომელთა პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (სრული პარტნიორები);

ბ. კომანადიტები – პარტნიორები, რომელთა პასუხისმგებლობა განსაზღვრული თანხის გადახდით შემოიფარგლება;

კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირები.

კს-ში კომანდიტებსა და კომპლემენტარებს განსხვავებული უფლება-მოვალეობები გააჩნიათ საწარმოს მართვისას და პასუხისმგებლობის შემთხვევაში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს სამეწარმეო სამართლის სუბიექტს, რომლის პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. განსხვავებით სპს-სგან, სადაც თითოეული პარტნიორი მთელი თავისი ქონებითაა პასუხისმგებელი მესამე პირების წინაშე, შპს-ს პარტნიორი ამგვარი რისკისაგან დაცულია.

შპს პასუხს აგებს მხოლოდ მის საკუთრებაში არსებული ქონებით. შპს-ს კაპიტალი შეიძლება ნებისმიერი ქონებით განისაზღვროს.ამგვარი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

საწარმოს მმართველობით უფლებამოსილებას მისი პარტნიორები საერთო კრების მეშვეობით ახორციელებენ. თუმცა საწარმოს წესდებით შეიძლება მართვის განსხვავებული ფორმა იქნას დაწესებული.

სააქციო საზოგადოება

სააქციო საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებას, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომლითაც დასტურდება სააქციო საზოგადოების ვალდებულება აქციონერების მიმართ.

აქციების საბაზრო ღირებულება სხვადასხვა დროს შეიძლება განსხვავებული იყოს, თუმცა მათი ნომინალური ღირებულება (ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება) შეიძლება განისაზღვროს საზოგადოების წესდებით.

კოოპერატივი

ამ კანონის თანახმად, კოოპერატივი არის სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც შედგება წევრთა შეუზღუდავი ოდენობისაგან და მიზნად ისახავს საკუთარი წევრების სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, მათი ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კოოპერატივის საქმიანობის ძირითად მიზანს, განსხვავებით სამეწარმეო სამართლის სხვა სუბიექტებისაგან წარმოადგენს არა უშუალოდ კოოპერატივის, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულის არამედ მისი წევრების ინტერესების დაკმაყოფილება.

კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის (შესატანის) ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე პაი.

<u>სამეწარმეო სუბიექტის დაარსება</u>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სამეწარმეო სუბიექტის რეგისტრაციას კონსტიტუციურ მნიშვნელობას ანიჭებს: საზოგადოება წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ.

თუმცა შეიძლება საწარმოს შექმნის შესახებ ნება ბევრად ადრე ჰქონდეთ პარტნიორებს გამოხატული. პირთა ნება სათანადო წესით უნდა იქნას გამოხატული, რათა შემდგომში ის საწარმოს შექმნის წინაპირობა გახდეს. ამიტომ ლიტერატურაში გაერცელებული მოსაზრების თანახმად სამეწარმეო სუბიექტი დაარსების ორ სტადიას გადის – შექმნის და წარმოშობის სტადიები. შექმნის სტადიზე დამფუძნებლები აღწევენ შიდა

შეთანხმებას საწარმოს დაფუძნების შესახებ. ეს სტადია სრულდება პარტნიორთა მიერ დამფუძნებელი კრების ჩატარებასა და წესდებაზე ხელმოწერით.

სამეწარმეო საზოგადოება შექმნილად ითვლება წესდების დამტკიცების დღიდან. თუმცა ეს საზოგადოება ვერ შეიძენს მეწარმის თვისობრიობას ანუ ვერ გახდება სამეწარმეო სამართლით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების მატარებელი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე.

სადამფუძნებლო დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ სათანადო რეესტრში რეგისტრაციამდე საზოგადოება წარმოადგენს ე.წ. „წინარე საზოგადოებას". სამართლის ამ სუბიექტის მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოებად ქცევა. ეს არის სამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინი და მას არ იცნობს საკანონმდებლო სისტემა.

რეგისტრაციამდე მომავალი პარტნიორების მიერ საწარმოს შექმნისათვის ან ფუნქციონირების განხორციელებული საქმიანობისას საწარმოს დამფუძნებლებს ერთმანეთთან მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი მოვალეობები აკისრიათ.

<u>სამეწარმეო სუბიექტების რეგისტრაცია</u>

სარეგისტრაციო დოკუმენტები

საწარმოს სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტებია:

სათანადო წესით დამოწმებული საწარმოს პარტნიორთა გადაწყვეტილება საწარმოს დაფუძნებისა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის არჩევის შესახებ;

სათანადო წესით დამტკიცებული საწარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის შესახებ შევსებული განცხადება;

საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა (ნოტარიულად დამოწმებული);

სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს კანონით „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ");

იმ შემთხვევაში თუ საწარმოს პარტნიორი/ხელმძღვანელობაზე ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან იურიდიული პირები, სარეგისტრაციოდ წარდგენილი იქნება, სათანადო წესით დამოწმებული, საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოს იურიდიული პირისათვის გათვალისწინებული მონაცემები;

2008 წლის 15 მარტს „მეწარმეთა შესახებ" კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საწარმოს სარეგისტრაციოდ სავალდებულოდ წარსადგენ დოკუმენტს აღარ წარმოადგენს საწარმოს წესდება. თუმცა წესდება უნდა გააჩნდეს საწარმოს, ვინაიდან ამ დოკუმენტით უნდა იქნას მოწესრიგებული ისეთი საკითხები როგორიცაა, მაგალითად:

1. საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ან დირექტორისათვის (დირექტორებისათვის) გადაცემა (მუხლი 14.1.);
2. შპს-ს პარტნიორთა უფლება-მოვალეობებისა და წილების თავდაპირველი განაწილების წესი (მუხ. 46.1.);
3. შპს-ს პარტნიორთა კრების უფლებამოსილება, კრების ჩატარების წესი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურის „მეწარმეთა შესახებ" კანონისაგან განსხვავებული წესი;

4. სააქციო საზოგადოებაში კაპიტალის დაყოფა განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად და ა.შ.

სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია

2001 წლის 01 ივნისიდან საწარმოთა როგორც საგადასახადო ისე სახელმწიფო რეგისტრაციასა და ერთიანი სამეწარმეო რეესტრის წარმოებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათანადო ქვედანაყოფი. რეგისტრაციას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან არსებობს საწარმო როგორც სამეწარმეო სამართლის სუბიექტი. აღნიშნული რეესტრი საჯარო რეესტრის ნაირსახეობას წარმოადგენს. ინფორმაცია რომელიც აღნიშნულ სამსახურში ინახება წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და შესაბამისად ყველა პირისათვის ხელმისაწვდომია.

<u>სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები</u>

სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი. თუმცა არ შეიძლება იყოს ისეთი სამართლებრივი წარმონაქმნები, რომლებიც არ მიეკუთვნება ამ ორ კატეგორიას მაგალითად: ამხანაგობა.

იურიდიული პირი, როგორც პარტნიორი

სამეწარმეო საზოგადოებათა პარტნიორი შეიძლება იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით გათვალისწინებული იურიდიული პირიც. 2008 წლის 15 მარტის ცვლილებების შედეგად „მეწარმეთა შესახებ" კანონიდან ამოღებულ იქნა მოთხოვნა, რომლის თანახმადაც იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს სპს-ს პარტნიორი, და კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარი (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი).

ფიზიკური პირი, როგორც პარტნიორი

საწარმოს პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი მიუხედავად სქესისა, მოქალაქეობისა, ასაკისა და ა.შ. საწარმოს პარტნიორი შეიძლება იყოს არასრულწლოვანი ფიზიკური პირიც. სრულწლოვანებამდე (სრულ ქმედუნარიანობამდე) – 18 წლის ასაკის მიღწევამდე მის უფლებება-მოვალეობებს განახორციელებს კანონიერი წარმომადგენელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად (არასრულწლოვანის ემანსიპაცია), კანონიერმა წარმომადგენელმა თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს შეუძლია მიანიჭოს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება. ამ შემთხვევაში არასრულწლოვანი დამოუკიდებელი ხდება ნებისმიერ იმ გარიგებასთან კავშირში, რომელიც არსებითია მსგავსი ტიპის სამეწარმეო საქმიანობისათვის.

არასრულწლოვანის ემანსიპაციის შემთხვევაში მას ენიჭება როგორც საწარმოს პარტნიორობის, ისე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ნებართვას, რომელიც შეთანხმებული იქნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან.

საწარმოს პარტნიორად გახდომისათვის საქართველოს კანონმდებლობა მსგავს მოთხოვნებს ითვალისწინებს საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

სამეწარმეო საზოგადოების პასუხისმგებლობის შესახებ

სამეწარმეო საზოგადოების პასუხისმგებლობისაგან გამიჯნულია მისი პარტნიორის პასუხისმგებლობა. „გამიჯვნის პრინციპი" აღიარებს საზოგადოებისა და პარტნიორის ქონების გამიჯვნას. აღნიშნული არ ვრცელდება საწარმოს იმ პარტნიორებზე, რომლებიც მთელი თავისი ქონებით აგებენ პასუხს (მაგ.: სპს-ს პარტნიორები, კს-ს კომპლემენტარები). ამ პრინციპის თანახმად საწარმოს ქონება გამიჯნულია როგორც მესამე პირების ისე თვით პარტნიორების ქონებისაგან.

საწარმოს პარტნიორის პირად კრედიტორებს ხელი არ მიუწვდებათ საწარმოს ქონების იმ ნაწილზე რომლიც პარტნიორმა საკუთრებაში გადასცა საწარმოს. ასევე საწარმოს კრედიტორებს არ მიუწვდებათ ხელი პარტნიორების საკუთრებაზე.

კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე შექმნილ საზოგადოებებში (შპს, სს) პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება, ვინაიდან ყველა ვალდებულება რაც წარმოეშობა საზოგადოებას, უნდა შესრულდეს მხოლოდ მისი ქონებიდან. პარტნიორის ქონება არ ზარალდება საწარმოს ვალების გამო. საწარმოს პარტნიორის ამგვარი დაცვის მექანიზმს სამეცნიერო ლიტერატურაში „კორპორატიული საფარველი" ეწოდება.

„მეწარმეთა შესახებ" კანონის 3.4. მუხლის თანახმად განსაზღვრულია თუ ვინ წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოებების პერსონალურად და ქონებით პასუხისმგებელ პარტნიორებს.

საზოგადოების სტრუქტურა და მართვის ორგანოები

სამეწარმეო საზოგადოებათა ხელმძღვანელი პირები

სამეწარმეო საზოგადოებებში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ შემდეგ პირებს:

1. სამეწარმეო ამხანაგობაში – ყველა მონაწილეს;
2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს;
3. კომანდიტურ საზოგადოებაში – პერსონალურად (სრულად) პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს).
4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – დირექტორებს;
5. სააქციო საზოგადოებაში –დირექტორებს;
6. კოოპერატივში – დირექტორებს.

დირექტორატი (დირექტორი) ყველა საწარმოსათვის საეალდებულო ორგანოს წარმოადგენს. ამ პირებს გააჩნიათ საწარმოს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება. აღნიშნული ორგანო ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილა მესამე პირების წინაშე მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს საწარმო (საწარმოს სახელით დადოს ხელშეკრულებები).

დღეისათვის სამეწარმეო საზოგადოებების გავრცელებულ სახეებს წარმოადგენენ შპს და სააქციო საზოგადოებები. ვინაიდან ეს საზოგადოებები კაპიტალის გაერთიანების საფუძველზეა შექმნილი მნიშვნელოვანია მათში წილისა და აქციების მფლობელთა ინტერესების შესაბამისად განხორციელდეს საზოგადოების მართვა. ამ ფუნქციის ეფექტურად განსახორციელებლად შპს-სა დ სს-ს მართვის განხორციელების რამდენიმე საფეხურიანი სტრუქტურა აქვს.

მართვის ორსაფეხურიანი (გერმანული) სისტემა კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე შექმნილ საზოგადოებებში

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი იზიარებს სამეწარმეო საზოგადოების მართვის გერმანულ, ორსაფეხურიან სისტემას. ორსაფეხურიანი სისტემა ითვალისწინებს მართვის ორ ორგანოს: პარტნიორთა კრებასა და დირექტორატს. „მეწარმეთა შესახებ" კანონითა და საზოგადოების სადამფუძნებლო აქტებით განსაზღვრულია ამ ორი ორგანოს უფლებამოსილება.

პარტნიორთა კრება საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს, მის ფუნქციებში შედის აგრეთვე დირექტორების არჩევა. ისინი კონტროლს ახორციელებენ დირექტორების საქმიანობაზე. თუმცა ეს არ გულისხმობს დირექტორატის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევას. აღნიშნული კონტროლის პროცედურები ხორციელდება დირექტორატის მიერ ყოველწლიურად პარტნიორთა კრებისათვის სხვადასხვა სახის ანგარიშების წარდგენას.

განსხვავებით პარტნიორთა კრებისაგან დირექტორატი წარმოადგენს საზოგადოების მმართველ ორგანოს პარტნიორთა კრებებს შორის პერიოდში.

რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს. იგი სავალდებულო ორგანოს წარმოადგენს სააქციოს საზოგადოებისათვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და ყველა შემთხვევაში კოოპერატივისათვის. ამ ორგანოს განსხვავებული ფუნქციები აკისრია კოოპერატივსა და სს-ში

სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორების საქმიანობას. ამასთან თუ სს-ს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახის საქმიანობა: ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია, ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა, დირექტორთა უფლებამოსილების ფარგლების დადგენა და ა.შ.

<u>სამეწარმეო საზოგადოების გაუქმება (ლიკვიდაცია)</u>

საწარმოს ლიკვიდაციის საფუძვლები „მეწარმეთა შესახებ" კანონის თანახმად

„მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-14 მუხლის თანახმად სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს შემდეგი პირობების დადგომისას:

- ვადის გასვლა, თუ საზოგადოება გარკვეული ვადითაა შექმნილი;
- პარტნიორთა გადაწყვეტილებით;
- საზოგადოების საბანკროტო წარმოების გახსნა (საწარმოს გადახდისუუნარობა);
- იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი.

ჩამოთვლილი გარემოებებიდან ორის – საბანკროტო წარმოების გახსნისას და სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ლიკვიდაციისას, გამოიყენება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი.

დანარჩენ შემთხვევებში ლიკვიდაციის პროცესი წარმოებს „მეწარმეთა შესახებ" კანონში დადგენილი წესის თანახმად. აღნიშნული წესის თანახმად სამეწარმეო საზო-

გადოების ლიკვიდაციისას სათანადო ვადებში უნდა ეცნობოს საგადასახადო ორგანოს და ლიკვიდაციის შესახებ განცხადება ორჯერ უნდა გამოქვეყნდეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში.

მხოლოდ ამ პროცედურების დასრულების შემდეგ ხდება საწარმოს ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასად ან აუქციონის გზით. აღნიშნული ქონება განთავსდება სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. აღნიშნული თანხით ხდება კრედიტორების დაკმაყოფილება. ყველა კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონება შეიძლება განაწილდეს საზოგადოების კრედიტორებს შორის.

საწარმოს გაუქმების საფუძვლები სამეცნიერო ლიტერატურაში

ქართული სამეწარმეო კანონმდებლობა სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივი არსებობის დასრულების აღმნიშვნელ ერთ ტერმინს იცნობს, ეს არის ლიკვიდაცია. ეს მაშინ როცა თავისი შინაარსით ამ პროცესთან უფრო ახლოსაა ტერმინი გაუქმება.

ეს ორი ტერმინი განსხვავებული სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია.

ლიკვიდაცია წარმოადგენს იმ პრაქტიკული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ლიკვიდაციის პროცესის წარმმართველი პირის, ლიკვიდატორის მიერ ხორციელდება.

გაუქმება განიხილება როგორც ლიკვიდაციის პროცესის თეორიული წინაპირობა. ამასთან გაუქმებისა და ლიკვიდაციის პროცესებს ისიც განასხვავებს, რომ გაუქმების პროცესის მონაწილეებად საწარმოს პარტნიორი ან სასამართლო (იღებენ გადაწყვეტილებას გაუქმების შესახებ). ლიკვიდაციის პროცესის ძირითად მონაწილეს კი წარმოადგენს ლიკვიდატორი, რომელიც შეიძლება იყოს საწარმოს დირექტორი ან სხვა პირი.

გაუქმებისა და ლიკვიდაციის პროცესებს ერთმანეთისაგან განასხვავებს დროში მათი ხანგრძლივობა. გაუქმება იმწუთიერი მოელენაა – იწყება და მთავრდება გაუქმების გადაწყვეტილების მიღებით ან საწარმოს მოქმედების ვადის გასვლით. ლიკვიდაციის პროცესი კი დროში შეიძლება რამდენიმე თვით ან რამდენიმე წლით გაიწელოს.

არსებობის დამთავრება შეიძლება ეწოდოს პროცესს, რომლის დროსაც საწარმოს გაუქმებასთან ერთად განხორციელებულია საზოგადოების ლიკვიდაცია და მისი ქონება უნარჩენოდ არის დანაწილებული.

საწარმოს ლიკვიდაციის უნარჩენოდ დასრულება (ქონების აღარარსებობა) ხდება საფუძველი სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაციის გაუქმებისა (საწარმოს ამოშლა რეესტრიდან).

ლიტერატურა:

1. მიკრიაული როინ, „შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები“, შედარებითი ანალიზი ინზოლვენცის გერმანულ სამართალთან, პირველი გამოცემა, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2004;
2. მიგრიაული როინ, „შესაბალი გაკოტრების სამართალში“, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2006;
3. ჭანტურია ლადო, „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1997;
4. ჭანტურია ლადო, ნინიძე თედო, "მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი", მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002;
5. ჭანტურია ლადო, "კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში", გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2006;
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002;
7. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 1994 წლის 28 ოქტომბერი, 2008 წლის 01 იელისის მდგომარეობით, Codex.net;
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2004 წლის 22 დეკემბერი, 2008 წლის 01 ივლისის მდგომარეობით, Codex.net;
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, 2008 წლის 01 ივლისის მდგომარეობით, Codex.net;
10. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №419 „გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/ აღრიცხვის, იურიდიულ პირთა ფილიალების სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 2008 წლის 08 მაისი, ქ. თბილისი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 08.05.2008 წლის მდგომარეობით;
11. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული, ეკონომიკური რეფორმა, წიგნი 1, გამომცემლობა „ეკონომიკა და სამართალი“, თბილისი, 1992 წელი.

საგამოცდო საკითხები:

1. მეწარმე სუბიექტები და მათი დაფუძნება;
2. სამეწარმეო საზოგადოების პასუხისმგებლობის შესახებ;
3. საწარმოს სამეწარმეო და საგადასახადო რეგისტრაცია;
4. ინდივიდუალური მეწარმე და სამეწარმეო ამხანაგობა;
5. საწარმოს მართვა (ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა);
6. კრება, დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო;
7. საწარმოს ლიკვიდაცია (გაუქმება);
8. სამეწარმეო სუბიექტების დახასიათება;
9. საწარმოს პარტნიორები;
10. სამეწარმეო საქმიანობის ნიშნები.

8. ეკოლოგიური აგრონარმოება

(ლერი ჯალაბაძე)

ეკოლოგიური წარმოება და ლოცვა

მრავალ პრობლემათა შორის, რაც დღეს კაცობრიობას აწუხებს, განსაკუთრებით გამოიკვეთა ეკოლოგიისა და ეკოლოგიური წარმოების საკითხი.

ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა საშიშ ზღვარს მიუახლოვდა. სულიერად დასუსტებულ ადამიანს ნორმალური საკვების შოვნაც სანატრელი გაუხდა. ქიმიზაციის მოძალების კვალობაზე განსაკუთრებული სიძლიერით შეიგრძენობა ის საშიშროება, რომელიც კაცობრიობას განადგურებით ემუქრება. აუცილებელია არაბუნებრივი, ქიმიური ბუმის შენელება, შემდგომ კი — შეჩერება.

გარემოზე ადამიანის ზემოქმედების მასშტაბები ოდნავ მაინც რომ გავაცნობიეროთ, დავუკვირდეთ რამდენიმე მონაცემს. დედამიწაზე არსებულ 1,5 მილიარდ ჰა დამუშავებულ მიწებზე ყოველწლიურად შეაქვთ 500 მილიონი ტონა მინერალური სასუქი და 3 მილიონი ტონა აგროქიმიკატი, რომელთა ნაწილი ატმოსფეროში იფანტება, ნაწილი კი ნიადაგებში და წყლებში ხვდება. მსოფლიო ატმოსფეროში ყოველწლიურად 20 მილიარდი ტონა ნახშიროჟანგი შედის და უკანასკნელი 70-80 წლის განმავლობაში ჰაერის დაბინძურება 100000 ჯერ გაიზარდა. დედამიწაზე ყოველ 1 საათში იღუპება ცოცხალი არსების 2 სახეობა. ეს პრობლემა მეტნაკლებად ყველა ქვეყანას აწუხებს, მაგრამ არის ქვეყნები, სადაც საფრთხის მასშტაბები პიკს აღწევს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი ქვეყანაც.

ფაქტია, რომ ეკოლოგიური წარმოება სუფთა სახით მსოფლიოში თითქმის არ არსებობს, არის მხოლოდ შერეული, ეკოლოგიურად ნაკლებად საშიში წარმოება. ის ქვეყნები, თუ ბიომეურნეობები, რომლებსაც თავი მოაქვთ ბიოლოგიური (ორგანული, ეკოლოგიური) წარმოებით, ინტენსიურად ხმარობენ სპილენძის და გოგირდის შემცველ პრეპარატებს.

ცხადია, საქართველოშიც შესაბამისად ეკოლოგიური წარმოება მხოლოდ პირობითია და ჩანასახის სტადიაში იმყოფება. მით უფრო, რომ პესტიციდების ბაზარზე ბიოლოგიური საშუალებების ხელოვნური დეფიციტია. მიუხედავად ამისა, ასეთი ტიპის წარმოება მიღწევადია. ოღონდ თანმიმდევრული კომპლექსური მიდგომებით გარკვეული უსერიოზულესი სამუშაოებია ჩასატარებელი. აუცილებელია გამოყენებული იქნეს: მცენარეთა დაცვის ხალხური საშუალებები, მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემა — მცენარეთა დაცვის ყველა ხერხი და მეთოდი. მათ შორის, საწყის ეტაპზე დასაშვებია ნაკლებ ტოქსიკური პესტიციდების გამოყენებაც, მათ თანდათან ჩაანაცვლება ბიოლოგიური საშუალებები, ბიოლოგიური აგენტები, ატრაქტანტები, რეპელანტები, სტერილიზატორები. აუცილებელია აღდგეს თესლბრუნვა, ადგილზე დაიწყოს ბიო პესტიციდების და ბიო სტიმულატორების წარმოება და სხვა.

მოსავლის მოყვანა-დაცვის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლოცვას, წმინდანთა ლოცვით შეწევნას. ქვეყნის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მოშლის ერთერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ რომ ულოცველობაა, ქართული ეროვნული ტრადიციების და აგრარული გამოცდილების იგნორირება-დავიწყებაა.

ლოცვა ხომ ღმერთთან საუბარია, მასთან თხოვნა-ევედრებით, მადლიერებით და სადიდებლით მიმართვაა. არავის ძალუძს უფლის კურთხევის გარეშე რაიმე მნიშვნელოვანის შექმნა. საჭიროა სოფლის მეურნეობაშიც აღდგეს ლოცვის კულტურა, თესლეუ-

ლის და ნაკვეთების კურთხევის წესი, მავნებლებთან ბრძოლის ლოცვითი და ხალხური საშუალებები. ლოცვა და შრომა მიზნის მიღწევის ერთადერთი სწორი საშუალებაა.

მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები

ნაერთებს, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა და ცხოველთა მავნებლების, დაავადებების, სარეველების, პარაზიტების, ინფექციის გადამტანების წინააღმდეგ – ეწოდება პესტიციდები (ლათ. pestis – სენი, caedere – მოკვლა) ანუ სენის, ავადობის მომსპობი, მომკველი საშუალებებია, რაც შეიძლება იყოს როგორც ქიმიური, ასევე ბიოლოგიური. ამიტომ პრაქტიკაში დამკვიდრებული ცრუ წარმოდგენა – პესტიციდების გაიგივება მხოლოდ ქიმიურ პრეპარატებთან, შეცდომაა, რაც აკნინებს არაქიმიური ბრძოლის საშუალებების მრავალფეროვნებას, რომელიც თავისი არსით, მნიშვნელობით, ეკოლოგიური და ეკონომიკური ეფექტით, უსაფრთხოებით, ბევრად აღემატება ქიმიზაციას და მის მიზნებს.

მცენარეთა დაცვის ყველა საშუალება, ანუ პესტიციდები კლასიფიცირდება ქიმიური შემადგენლობის, გამოყენების ობიექტის, მოქმედების ხასიათის და მავნე ორგანიზმში შეჭრის ხერხების მიხედვით.

ქიმიური შემადგენლობის მიხედვით მათ ყოფენ სამ ჯგუფად: არაორგანული, ორგანული და ბიოგენური წარმოშობის.

გამოყენების ობიექტის მიხედვით პესტიციდები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

აკარაციდები – ტკიპების საწინააღმდეგო საშუალებები;

ინსექტიციდები – მავნე მწერების საწინააღმდეგო საშუალებები;

ინსექტოაკარაციდები – ერთდროულად მწერების და ტკიპების საწინააღმდეგო საშუალებები;

აფიციდები – ბუგრების საწინააღმდეგო;

ლარვიციდები – მავნე მწერების მატლების საწინააღმდეგო;

ოვიციდები – მავნე მწერების კვერცხების საწინააღმდეგო;

ნემატიციდები – მავნე ნემატოდას (მრგვალი ჭიების) საწინააღმდეგო;

ლამაციდები – ლოკოკინების საწინააღმდეგო;

როდენტიციდები – მღრღნელების საწინააღმდეგო;

ფუნგიციდები – მცენარეთა დაავადებების საწინააღმდეგო საშუალებები.;

ანტიბიოტიკები (ანტისეპტიკები, ბაქტერიოციდები);

ჰერბიციდები – სარეველა ბალახების (მცენარეების) საწინააღმდეგო საშუალებები;

არბორიციდები – მერქოვანი და ბუჩქოვანი ხეების საწინააღმდეგო საშუალებები;

ალგიციდები – წყალმცენარეების და წყლის სარეველების საწინააღმდეგო საშუალებები.

მოქმ;ედების ხასიათის მიხედვით პესტიციდები იყოფა კონტაქტურ, სისტემურ, კონტაქტურ-სისტემურ ფუნგიციდებად, ჰერბიციდებად და ინსექტიციდებად, კონტაქტურ, ნაწლავურ და ფუმიგატურ ინსექტიციდებად. კონტაქტური პესტიციდები მავნე ორგანიზმების დაღუპვას, ან განვითარების შეზღუდვას მათზე შეხებით იწვევენ. სისტემური პესტიციდები ღრმად იჭრებიან მცენარის ორგანოებში, გადაადგილდებიან და იწვევენ დაავადებების გამომწვევი სოკოების, მავნებელების და სარეველების განადგურებას. კონტაქტურ-ნაწლავური მოქმედების პესტიციდები მავნებლის დაღუპვას მათ ორგანიზმში საკვებთან ერთად მოხვედრისას იწვევენ.

ფუმიგატები, ორთქლის ან გაზის მდგომარეობაში მყოფი ნივთიერებებია, რომლებიც მავნებლების სასუნთქ ორგანოებზე ზემოქმედებენ.

ჰიგიენური კლასიფიკაციის მიხედვით პესტიციდები იყოფა ოთხ ჯგუფად:

1. ძლიერმოქმედი, ძლიერტოქსიკური პესტიციდები;
2. მაღალტოქსიკური პრეპარატები;
3. საშუალოდ ტოქსიკური პრეპარატები;
4. მცირედ ტოქსიკური პრეპარატები.

თითოეულ მათგანს თავისი ნორმატივები გააჩნია.

პრეპარატები გამოდის სხვადასხვა ფორმით: ფხვნილისებური, სველებადი ფხვნილი, გრანულები, ხსნარები, კონცენტრატ ემულსია და სხვა.

პესტიციდების ძირითადი ნაწილი არის კომპლექსური მოქმედების, რაც იწვევს როგორც მავნე, ასევე სასარგებლო ორგანიზმების დაღუპვას. სელექციური მოქმედების პრეპარატებიც არსებობს, რითაც შესაძლებელია დავამარცხოთ მავნეობის ის სახეობა, რომელიც მიზანშეწონილია. თუმცა ამ სფეროს სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ასეთი ტიპის პრეპარატები პესტიციდების ბაზარზე ნაკლებად გეხვდება. მიუხედავად იმისა, რომ მავნებლებთან ბრძოლის ქიმიურმა მეთოდმა რამდენიმე ათეული წელია მონოპოლია აიღო პესტიციდების ბაზარზე და განდევნა ალტერნატიული ჰუმანური ყველა მისაღები ხერხი და საშუალება, სრულყოფილებას მაინც ვერ მიაღწია. იგი საკმაოდ საეჭვო მეთოდია, რადგანაც ბუნების კანონებს უხეშად ეწინააღმდეგება.

მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდის არსი და მისი უპირატესობა ქიმიურთან შედარებით

ბიოლოგიური მეთოდის არსი გამოიხატება ბუნებრივი კანონების ღრმა ცოდნის საფუძველზე, ბიოცენოზების პროცესებში ობიექტური მონაწილეობით, იმგვარად, რომ ადამიანი იყოს ხელშეწყობის როლში და არა მოწინააღმდეგის, რაც ქიმიური მეთოდის დროს შეუძლებელი აღმოჩნდა.

ბიოლოგიური მეთოდის დროს მთავარია აღდგეს და დაცული იქნეს ბუნებრივი ბალანსი. ბიოლოგიური მეთოდებით მავნებლებთან და ავადმყოფობებთან ბრძოლის საშუალებები შექმნილია არა ხელოვნური სინთეზური გზით, არამედ ისინი აღებულია ბუნებრივი ცოცხალი სამყაროდან და ხდება მათი გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეში. შეიძლება ეს იყოს ცოცხალი მწერების სახით, ან მიკროორგანიზმებისა და სოკოების სახით, გადაყვანილი თხევად ან ფხვნილისებრ მდგომარეობაში. მთავარი აქ არის ის, რომ ეს ბიოაგენტები უსაფრთხო არიან, როგორც ადამიანისათვის, ასევე თბილსისხლიანებისთვის, ფრინველებისთვის, თევზებისათვის, ენტომოფაგებისათვის (სასარგებლო მწერებისათვის.) ამ უნებლობის გამო მავნეობასთან ბრძოლის ბიომეთოდები სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში.

რატომ არის ქიმიური პრეპარატები საშიში:

1. ათეული წლებია თუ ასეული არა, რაც მასობრივად გამოიყენება აგროქიმიკატები, ამიტომ მთელ დედამიწაზე, თითქმის ყველა ქვეყანაში ტოქსიკური ნივთიერებებით გაჯერებულია ჰაერი, წყალი, მდინარეები, ტბები, ზღვები და ოკეანეები, მცენარეები, მათი ნაყოფები და ცხადია ადამიანის ორგანიზმიც.

2. ქიმიური პრეპარატების ხშირი გამოყენების გამო ხდება მავნებელთა გამძლე რასების ჩამოყალიბება და მათთან საბრძოლველად საჭირო ხდება სულ უფრო და უფრო ძლიერი ქიმიკატების გამოყენება. ზოგიერთი სახის მავნებელი, როგორიცაა მსხლის ფსილა, ვაშლის ნაყოფჭამია (მ.შ. აღმოსაელური ნაყოფჭამია), ფარიანა და სხვა, თითქმის დაუმარცხებელი გახდა.
3. მავნე ორგანიზმებთან ქმიური ბრძოლის დროს იღუპებიან დიდი რაოდენობით ენტომოფაგები, რაც მავნებელთა მასობრივ გამრავლებას და ბუნებრივ კატაკლიზმებს იჭეეკს.
4. მავნეობასთან ქიმიური ბრძოლა ძირითადად ხელოვნურია, რადგან არაბუნებრივი ჩარევით, ადამიანი თვითონ ქმნის მავნებლების და დაავადებების განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემოს.

სწორედ ამ გარემოებებიდან გამომდინარე მთელი მსოფლიოს მასშტაბით გარემოს კოლოსალურმა დანაგვიანებამ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ეკოლოგიური ხარისხის საგანგაშო დაცემამ, ადამიანის ჯანმრთელობის მკვეთრმა გაუარესებამ ბიძგი მისცა აგროქიმიკატების შემცირების (და ლიკვიდაციის) ხარჯზე, მავნეობასთან ბრძოლის ალტერნატიული მეთოდების დანერგვას, რაშიც მნიშვნელოვანი წელილი ბიომეთოდს ეკუთვნის.

მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების მთავარი უპირატესობებია:

1. მაღალი ეკოლოგიურობა (ბუნებრივი კანონების დაცვა და გაძლიერება);
2. მაღალი სპეციფიურობა და ერთდროულად მოქმედების ფართო მექანიზმი (მაენეობის ფართო სპექტრს შეგვიძლია ვებრძოლოთ იმდაგვარად, რომ დანარჩენი გარე სამყარო არ დავაზიანოთ);
3. იმ მავნებელ-დაავადებების დამარცხება, რომლებმაც გამოიჩინეს გამძლეობა ქიმიური პესტიციდების მიმართ;
4. მაღალი ეფექტურობა. ბიოლოგიური საშუალებების გამოყენებისას ხდება მაენეობის განადგურება ხანგრძლივი დროით, ზოგჯერ 2-ჯერ მცირდება წამლობების ჯერადობა. ვინაიდან აღდგება რა ბიოცენოზის პროცესები, ხდება ადამიანის სასარგებლოდ გარემოს თვითრეგულირება.
5. ლოდინის პერიოდის (1-5 დღე) სიმცირე ქიმიურთან შედარებით (15-30 დღე) და სხვა.

ფუნგიციდები

1. *კეტომიუმი* – ეს ბიოპრეპარატი შექმნილია პროფესორ კაზებ სოიტინგის მიერ (ტაილანდი). იგი გამოირჩევა ფუნგიციდური და მასტიმულირებელი უნარით. **მისი მოქმედების მექანიზმია:**
   1. დაავადებებისგან მცენარის დაცვა;
   2. მცენარეთა ზრდის სტიმულაცია;
   3. მცენარეთა იმუნიტეტის გაძლიერება.

მისი 1%-ანი სუსპენზია გამოცდილია პომიდერის, ბადრიჯნის და წიწაკის თესლის მიმართ, როგორც თესლის დამუშავებით ასევე ნიადაგში შეტანით, 24 საათით ადრე დათესვამდე. ორივე გზით მიიღება მაღალხარისხოვანი და სტანდარტული ჩითილები. კეტომიუმმა კარგი შედეგი აჩვენა აგრეთვე პომიდერის ფუზარიოზული ჭკნობის წინააღმდეგ. ხოლო ვაშლის ქეცის საწინააღმდეგოდ ეს პრეპარატი გამოსცადეს ჩრდილოეთ კავკასიაში, შედეგი დამაკმაყოფილებელია.

2. *ბენტაფაგი* – რუსულ-ბელორუსიული წარმოებისაა. გამოიყენება ხეხილის შტამბის ბაქტერიული კიბოს, ბაქტერიოზის, ხოლო კიტრის კულტურაში – კუთხოვანი ლაქიანობის წინააღმდეგ.
3. *რიზოპლანი* – ბელორუსული წარმოების. გამოიყენება ფესვის სიდამპლეების წინააღმდეგ მარცელეულ კულტურებში (10 ლიტ. ტონა თესლში).
4. *ფიტოსპორინი* – მცენარეთა დაცვის საშუალება სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებებისგან. რუსული წარმოების. გამოიყენება საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალში თესლის ობის, ლპობის, ფესვის სიდამპლის წინააღმდეგ. 100 კგ თესლზე/15-20 გრ. იგივე მარცელეულში ნაცარზე და მურა ჟანგაზე 100 კგ თესლზე/40-80 გრ. კარტოფილზე, რიზოქტონიოზის, ჭკნობის, შავფუხას, ფიტოფტოროზის წინააღმდეგ 100 კგ თესლზე/15-20 გრ; ხოლო საკუთრივ ფიტოფტოროზის და ალტერნარიოზის წინააღმდეგ 100 ლიტ. წყალზე 40-50 გრ.
5. *ფიტოლავინი* – რუსული წარმოების, თესლის შესაწამლი პრეპარატი და ასევე გამოიყენება ვეგეტაციის დროს მორწყვით და შეწამვლით. გამოიყენება საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალზე ფუზარიოზული და ჰელმინთოსპორიოზული ფესვის ლპობის წინააღმდეგ 100 კგ ხორბალი/300 გრ. ბაქტრეიოზზე; სოიას კულტურაზე 100 კგ თესლზე/300 გრ. პომიდორზე 1 ჰე-ზე 10 გრ. ასევე გამოიყენება ლობიოზე და სხვა პარკოსნებზე, ბაქტერიოზზე და აშკოტილოზის წინააღმდეგ 100 კგ თესლზე 300 გრ. სტაფილოს თეთრ, შავ, ნაჩრიშფერ და მშრალ ლპობებზე 1 ჰა-ზე 20 გრ. ასევე გამოიყენება კომბოსტოზე და სხვა კულტურებზე სხვადასხვა დაავადებებისას.
6. *ბაქტოფიტი* (ფუნგიციდ – ბაქტეროციდი) გამოიყენება სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ. ბაქტოფიტი უზრუნველყოფს მცენარის კვების ბალანსირებას, აეადმყოფობებისგან პროფილაქტიკას და დაცვას, იმუნური სისტემის გაძლიერებას და მოსაელიანობის გაზრდას 10-15%-ით. მისი გამოყენება შეიძლება ვეგეტაციის ნებისმიერ პერიოდში, იმდენჯერ, რამდენჯერაც დაგვჭირდება. ლოდინის პერიოდია 1 დღე.

მას უშვებენ როგორც ფხვნილისებურ, ასევე სუსპენზიის სახით. ეს პრეპარატი ბიოლოგიურ აქტიეობას ნიადაგსა და მცენარეებში 7-20 დღემდე ინარჩუნებს. იგი გამოიყენება თელის შესაწამლად 3 ლტ-მდე 1 ტ. ხორბალზე, ხოლო ვეგეტაციის დროს მარცელეულ კულტურებში, ფესვის სიდამპლის, ნაცრის, სეპტორიოზის, ფუზარიოზის, პირნოსპოროზის, ჟანგას წინააღმდეგ. 100 ლწ/200-300 გრ. კიტრზე ნაცრის, ფესვის სიდამპლეების წინააღმდეგ 100 ლწ/200-300 გრ; პომიდორზე, ნაცარზე, ფეშვის სიდამპლეზე, ფიტოფტოროზზე 100 ლწ/200 გრ. ოდენობით და სხვა.

ბაქტოფიტის ნაყოფის სიმწიფეში გამოყენების შემთხვევაში საჭიროა საკვების კარგად გარეცხვა და საერთოდ ბიოპრეპარატებთან ურთიერთობის დროს აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება: როგორიცაა რეზინის ხელთათმანები, მარლის ნაჭერი, თუ პრეპარატი მოხვდა ღია ადგილზე უნდა დავიბანოთ წყლით.

ინსექტიციდები

ბიო ინსექტიციდების სია საკმაოდ მრავალფეროვანია, ესენია: ბიკოლი, ბიტოქსიბაცილინი, დენდრობაცილინი, დეციმიდი, დიპელი, ენტრობაქტერინი, ვირინი, ინსექტინი, კოლორადო, ლეპიდოციდი, ნბკ, ნოვიდორი, ნემაცილი, სონიტი, ქსენტარი, ფიტოვერმი, ვერტიმეკი, ვერტიცილინი, ბოვერინი, ლიროსექტი, და სხვა. მათ ცალკე განხილვას არ შევუდგებით, ვინაიდან უმეტესი მათგანი შეტანილია კატალოგებში. ამ ბიოსაშუალებების გამოყენებით შესაძლებელია თითქმის ყველა სახის და სახეობის მავნებლების

დამარცხება, ოღონდ შესაბამისი ცოდნის წყალობით. ზოგიერთ მათგანი პრაქტიკულად გამოყენებულია ელკანას და ჩვენს მიერ, ზოგი კი გამოცდილია მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში.

გავეცნოთ ზოგიერთ ბიოლოგიურ პესტიციდს:

1. *ლეპიდოციდი* – რუსული წარმოების. გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, პარკოსან კულტურებზე 40-ზე მეტი სახეობის მატლების პეპლების საწინააღმდეგოდ. ვაშლის, მსხლის, გარგრის, ქლიავის, ალუბლის, ბალის ჩრჩილების, ამერიკული თეთრი პეპელას, ოქროკუდას, მზომელების, ფოთოლხვევიების, ვაშლის ნაყოფჭამიის წინააღმდეგ იგი წარმატებით გამოიყენება 100 ლწ/100-300 გრ. ოდენობით. ვაზის ყურძნის ჭიის წინააღმდეგ 100 ლწ/300 გრ. საგაზაფხულო ხორბალზე – მარცვლეულის ხვატარზე 100 ლწ/100 გრ და ა.შ.

ლეპიდოციდი არ გროვდება ნიადაგში და მცენარეებში და აბსოლუტურად არ მოქმედებს ნაყოფის გემოზე თუ ფერზე. მისი გამოყენება შეიძლება მცენარის განვითარების ნებისმიერ ფაზაში. ლეპიდოციდი მოქმედებს მავნებლის კვებითი სისტემის მეშვეობით, რის შედეგადაც მავნებლები წყვეტენ კვებას და იღუპებიან. მავნებლების მასობრივი დახოცვა ხდება პრეპარატის გამოყენებიდან (კვებიდან) 2-5 დღე-ღამის განმავლობაში.

2. *ბიტოქსიბაცილინი* – რუსული წარმოების. გამოიყენება სხვადასხვა კულტურებში მავნებლების: კოლორადოს ხოჭოს, აბლაბუდიანი ტკიპას, კომბოსტოს თეთრეულის მატლების, კომბოსტოს ჩრჩილის, ვაშლის და ნაყოფების ჩრჩილის, ფოთოლხვევების, ოქროკუდას, მზომელების და მრავალი სხვა სახის მწერების წინააღმდეგ. როგორც სხვა ბიოლოგიურ საშუალებებს, მასაც აქვს სელექციური ხასიათი, ამიტომ მისი გამოყენების ნორმა უცვლელია. ლოდინის პერიოდია 1-5 დღე. ესეც მოქმედებს კვების სისტემის საშუალებით. გარდა იმისა, რომ მავნებლებს ხოცავს, ამცირებს მდედრების ნაყოფიერების უნარს და შემდგომი თაობების სიცოცხლისუნარიანობას აქვეითებს. იგი ვაშლზე და სხვა სახის ხეხილზე მავნებელთა კომპლექსის წინააღმდეგ გამოიყენება 100ლწ/200-300 გრ კოლორადოს ხოჭოზე 100ლწ/200-500 გრ და ა.შ. მისი გამოყენება ეფექტურია მშრალ ამინდში 18-30 გრადუს ტემპერატურის დროს, დილით, ან საღამოთი.

მცენარეთა ზრდის ბიოლოგიური რეგულატორი

გიბბერსიბი – იგი არის მცენარის ბუნებრივი რეგულატორი. გამოიყენება მოსავლიანობის გაზრდისათვის, ბოსტნეულ, თესლოვან და კენკროვან კულტურებში. იგი არის სიმაღლის ზრდის და განვითარების ხელშემწყობი. აგრეთვე ხელს უწყობს გამონასკვის პროცესს, ნაყოფის მომწიფებას, დაავადებისადმი გამძლეობას და სხვა. იგი გამოიყენება როგორც მაგ: კარტოფილის, პომიდორის, კიტრის და სხვა თესლის დასველებით 2-3 საათის განმავლობაში, ასევე მცენარეების შესხურებით სხვადასხვა პერიოდში. პომიდვრის საპექტარო ნორმაა ფხვნილის შემთხვევაში 30/40 გრ/1 ჰა,. კარტოფილზე 15 გრ/ჰა, ყურძენზე 1 კგ/1 ჰა და ა.შ.

მცენარეთა ზრდის რეგულატორის გამოყენება მიუხედავად იმისა, რომ იგი ბუნებრივია, ძალიან სარისკო საქმეა, რადგან დოზის გადამეტებით, ან მცენარის ვეგეტაციის რომელიმე პროცესში უხეშად ჩარევით შეიძლება საქმე გავაფუჭოთ. ამიტომ მათი გამოყენება მხოლოდ პროფესიონალი სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ხდებოდეს. სხვა შემთხვევაში უმჯობესია რეგულატორების გამოყენებისაგან თავის შეკავება.

ატრაქტანტები

<u>ატრაქტანტები</u> – სქესობრივი ფერომონები (ლათინურად attraho – მიზიდვა, გადაქაჩვა) ბუნებრივი, ან სინთეტიკური ნივთიერებებია ცხოველების და მწერების მისაზიდად. ამ ნივთიერებების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან მწერები. ცნობილია ატრაქტანტების 3 ძირითადი სახეობა: 1)სქესობრივი ატრაქტანტები, რომლებიც საწინააღმდეგო სქესის მწერებს იზიდავენ, 2) საკვები ატრაქტანტები, 3) სუბსტრატი კვერცხების დასადებად.

ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი სახეობა. დადგენილია, რომ ნივთიერება, რომელსაც გამოყოფენ ზოგიერთი სახის მდედრი მწერები, იზიდავენ არა მარტო საკუთარ, არამედ გენეტიკურად ახლოს მდგომ სახეობებსაც. არის შემთხვევები, როცა პეპლები მიიზიდებიან 3-9 კმ-ის მანძილზე. ატრაქტანტები დადგენილია 300-ზე მეტი სახის მწერებში. ატრაქტანტებს ამზადებენ ხელოვნურადაც, სინთეტიკური გზით.

ატრაქტანტები დიდ ყურადღებით სარგებლობენ ზოგიერთ ქვეყნებში მცენარეთა მავნებელების და ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც იაფი, „ინსექტიციდი". მათი დახმარებით შესაძლებელია მამრების დეზორიენტაცია და მომდევნო თაობების შემცირება. ატრაქტანტები აგრეთვე გამოიყენება ნათესების მავნეობის ხარისხის დასადგენად სხვადასხვა მწერის შემთხვევაში.

ატრაქტანტები სასქესო ფერომონებია, რომლებიც აქტიურად გამოიყენება როგორც საკარმიდამო, ასევე კოლექტიურ მებაღეობაში. მცენარეთა დაცვის სფეროში იგი ყველაზე უვნებელ ფორმად ითვლება. ფერომონები ის ნივთიერებებია, რომლებსაც გამოყოფენ ცოცხალი ორგანიზმები გარემომყოფ სივრცეში იმისათვის, რომ საწინააღმდეგო სქესის იგივე სახეობის ყურადღება მიიპყრონ. მაგალითად, ვაშლის ნაყოფიჭამიას მამრები მდედრის მიერ გამოყოფილი ფერომონების საშუალებით პოულობენ და ანაყოფიერებენ, რის შედეგადაც მიიღება სრულყოფილი თაობა.

მეცნიერების ძალისხმევით შექმნილია სინთეზური (ხელოვნური) ფერომონები, მავნებელი პეპლების მრავალი სახეობისათვის, მათ შორის ვაშლის, ასევე მსხლის, ქლიავის, ატმის, გარგარის, ალუჩის, კომშის და სხვა ნაყოფის მომცემი მცენარეების, ნაყოფჭამიების, აგრეთვე აღმოსავლური ნაყოფჭამიის სინთეზური ფერომონები.

სინთეტიკურ სასქესო ფერომონებს (ატრაქტანტები) იყენებენ ნაყოფჭამიას რიცხოვნობის დადგენისათვის, მათთან ქიმიური თუ ბიოლოგიური ბრძოლის საწარმოებლად. ამ შემთხვევაში 1 ჰა ბაღში ათავსებენ 1 საჭერს. ფერომონებს იყენებენ ნაყოფიჭამიასთან პირდაპირ საბრძოლველადაც, მათ მასობრივ გამრავლებამდე. მამრების მასობრივი დაჭერის გზით (მამრების ვაკუუმის მეთოდი). მაგალითად, ვაშლის ნაყოფიჭამიის პირველი თაობის მამრები მდედრებზე ცოტა ადრე გეველინებიან, ყვავილობის შემდეგ. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია მამრების ძირითადი რაოდენობის დაჭერა.

რეპელენტები

რეპელენტები ბუნებრივი ან სინთეტიკური ნივთიერებებია ცხოველთა და მწერთა დასაფრთხობად. ბუნებაში ისინი თამაშობენ სხეულამრიდების, ხოლო მეურნეობაში პესტიციდების როლს. რეპელენტები გამოიყენება ადამიანთა და ცხოველთა დასაცავად მწერებისაგან, ტრანსმისიული დაავადების პროფილაქტიკისათვის, წერილფეხიანებისგან დაცვისათვის და აგრეთვე მცენარეთა დასაცავად ცხოველებისაგან. რეპელანტები 3 სახისაა: 1) ოლფაქტორული, 2) კონტაქტური, 3) დეზოდირებული.

რეპელენტების გამოყენება მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ წარმატებით შეიძლება, თუკი მათი მნიშვნელობა შესაბამისად შეფასდება და მათ გამოყენებას სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულება მიეცემა.

სტერილიზატორები

სტერილიზატორების როგორც მავნებელთა გენეტიკური უნარის პარალიზების აქტიური საშუალების ჩართვა ეკოლოგიურ წარმოებაში საკმაოდ ეფექტიან ღონისძიებად შეიძლება ვაქციოთ. ოღონდ როგორც სხვა შემთხვევებში, ისე აქაც დაცული უნდა იქნეს ეკოლოგიური ზომიერება.

ნიტრატები და ნიტრიტები

ნიტრატები არის აზოტმჟავას მარილები, რომლებიც ბუნებრივადაც საკმარისად არსებობდა, მაგრამ ადამიანმა თავისი სუბიექტური მიდგომებით დაარღვია რა ნიადაგის ეკობალანსი, მნიშვნელოვნად შეამცირა მისი ბუნებრივი დონე. დღის წესრიგში დადგა მისი ხელოვნური შევსება, აზოტოვანი სასუქებით (დანამატის სახით). დღეისათვის ნიადაგები იმდენად არის გადაგვარებული, რომ თვით აზოტის დამგროვებელი მცენარეებიც კი ხელოვნური აზოტის გარეშე მოსავალს აღარ იძლევიან, ანუ მიწა გაზარმაცებულია. გამოფიტულია და ნაყოფიერება დაკარგულია. სუსტი ნიადაგები სუსტ და დაავადებულ საკვებს იძლევიან, როგორიც არის ეს საკვები – ასეთივეა ადამიანიც. აზოტიან სასუქებთან ერთად ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები მაინც რომ შეჰქონდეთ – შედარებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა.

აზოტმჟავას მარილების უზომო დაგროვებას მოსდევს მისი გარდაქმნა ნიტრიტებად, რაც ძლიერ საშიში შხამია. დიდი უარყოფითი როლი ითამაშა მითმა ქიმიური სასუქების შეუცვლელეობის შესახებ, რაც მტკნარი სიცრუეა, რადგან არსებობს მრავალი სახის არაქიმური სასუქები, როგორიცაა: სხვადასხვა სახის ნაკელი, წუნწუხი, ტორფი, კომპოსტები, ფრინველის ექსკრემენტი, მწვანე სასუქი (სიდერატები), ზოგიერთი სახის წარმოების ანარჩენები, საყოფაცხოვრებო ნაგავი, აგრეთვე ბაქტერიული სასუქები (ნიტრაგენი) და სხვა.

ნიტრატებით დანაგვიანებულ სურსათს უფრო მეტად აბინძურებს აგროქიმიკატების არნახული ბუმი. მრავალი სახის შხამი მთელი წლის განმავლობაში სასოფლო წარმოებაშია ჩართული, რომელთა უმეტესობა დაბალხარისხიანი და მაღალტოქსიკურია. ამას კიდევ ემატება ზოგიერთი სახის პროდუქციის შენახვისათვის ქიმიური დამუშავება და მივიღეთ ფორმულა: ქიმია + ქიმია + ქიმია.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით ნიტრატების მიღების დღიური ნორმა ადამიანის წონის ყოველ კილოგრამზე დასაშვებია 5 მილიგრამი. ანუ თუ ადამიანი იწონის 70 კგ-ს, მისთვის უსაფრთხო დღიური დოზაა 350 მილიგრამი. 500 მგ ითვლება ზღვრულ დასაშვებ ნორმად, ხოლო 600 – მომწამველელად. ახალშობილისათვის 10 მგ მომწამველელია. მცირე დოზაც კი საშიშია მეძუძური ქალისათვის, ეინაიდან ნიტრატები პირდაპირ რძეში მიდის.

საფრთხის მასშტაბების შეგრძნება სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან ჭარხალი, მწვანილი, ისპანახი და სხვა მცენარეები კილოგრამზე 4000 მილიგრამამდე ნიტრატს აგროვებს.

გენმოდიფიცირებული პროდუქცია (გმპ) და მისი არსი

გენმოდიფიცირებულ (ტრანსგენურ, გენური ინჟინერიით მიღებულ) პროდუქციაზე მსოფლიოს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრი არსებობს. თვით ამგვარი წარმოების სამშობლოში აშშ-ში, სადაც სოიას 89%, სიმინდის 61%, ბამბის 83% გენმოდიფიცირებულია და მეტ ნაკლებად თითქმის ყველა მიირთმევს ხელოვნურ საკვებს, მკვეთრად განსხვავებული პოზიციებია. უარყოფითი დამოკიდებულება აქვს იმ მორწმუნე ამერიკელთა 70%-ს, რომლებიც სისტემატურად დადიან ეკლესიაში. ამ საკითხისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნიათ ევროპელებს, სადაც მკაცრად შეზღუდულია გმპ-ს როგორც წარმოება ასევე იმპორტი. გმპ-ზე უარი თქვა აფრიკის ზოგიერთმა ქვეყანამ, უკრაინამ და მოლდოვამ, უარყოფითი დამოკიდებულება იზრდება ლათინურ ამერიკაშიც.

თვითონ სიტყვები ხსნიან თავის არსს, ე.ი. ხდება გენების მოდიფიკაცია, ანუ ერთი ცოცხალი სუბსტანციიდან მეორეში გენების გადანერგვა. მცენარეებიდან, ცხოველებიდან მცენარეში, ან ვირუსებიდან სხვა ორგანიზმებში. თუმცა კონკრეტულად ცხოველის რომელი ორგანოდან (სასქესო, საჭმლის მომნელებელი თუ სხვა) ახდენენ ამ გადანერგვას, მკაცრად ასაიდუმლოებენ.

ვის სჭირდება ეს მოდიფიკაცია?

როგორც თვითონ გმპ-ის იდეოლოგები განმარტავენ ეს საჭიროა მოსახლეობის საკვებ პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და კოლორადოს ხოჭოს და ვირუსების, დაავადებების, ჰერბიციდების მიმართ მცენარეთა გამძლეობის გასაძლიერებლად. ანუ გმპ-ის წარმოების ზრდით სურთ გაადვილონ მოსავლის მოყვანა, გააუმჯობესონ მისი რაოდენობრივი მაჩვენებლები და „გამოკვებონ" დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილი?!

რომელ ქვეყანაში მიირთმევენ გმპ-ს?

როგორც უკვე ითქვა ძირითადი მომხმარებელია აშშ-ს მოსახლეობა, არგენტინა და რუსეთი, რომელმაც ფართოდ გაუღო კარი გენური ინჟინერიის ამგვარ „მიღწევებს". ამ ქვეყანაში სოიოს 20% გენმოდიფიცირებულია. აქ სულ გმპ-ს 14 სახეობაა მ.შ. სიმინდის 6, სოიოს 3, კარტოფილის 3, შაქრის ჭარხლის 1, წიწიბურას 1. დანერგეს კარტოფილის ახალი გენმოდიფიცირებული ჯიში „ელიზავეტა".

ვინ არიან მსოფლიოში გმპ-ის მეხოტბენი?

პირველ რიგში ამერიკული კომპანია „მონსანტო", რომელსაც ამ ბოლო დროს ფრთები შეეკვეცა და ცდილობს დანაკლისის შესავსებად რუსეთის უზარმაზარ ბაზარს დაეპატრონოს, რასაც „პატრიოტი" ოლიგარქების წყალობით კიდევაც ახერხებს. ასეთ წარმოებაში „თავი გამოიჩინა" ფირმა „ბაიერმაც", რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ გენმოდიფიცირებული გრძელმარცვლიანი ბრინჯი გამოიგონა და აშშ-ს გადაულოცა, რომელმაც იგი დიდი რაოდენობით გაყიდა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისა და ცხოველისათვის ამ ბრინჯის გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელი იყო. „ხელოვნურ" (გენმოდიფიცირებულ) საკვებს უშვებენ სხვა კომპანიებიც: Kellog's Hershey. s, Mars. Pepsico, Heinz, Hellman,s.
Coca-cola, Pringles, Cadbury/Schweppes, Nestle.

ეს არის მათი არასრული სია, ვინც მსოფლიოს „გამოკვებისათვის" ირჯება.

რა მდგომარეობაა გმპ მხრივ საქართველოში?

დღეისათვის ზუსტ მონაცემებს არავინ იძლევა, თუმცა სასურსათო ბაზარზე საკმაოდ იყიდება გმ სოია და მისი ნაწარმი, კარტოფილი, სიმინდის ნაწარმი, წიწიბურა, პომიდორი და სხვა. უფრო მეტიც სერიოზული ეჭვი არსებობს, რომ სოფლის მეურნეობის წარმოებაში გენურ ინჟინერიას ფეხი მტკიცედ აქვს მოკიდებული და ზოგიერთი

სახის ადგილობრივი თესლეულის, როგორიცაა მაგალითად კარტოფილის, სოიას, პომიდერის და სხვა. აღწარმოება, იმიტომ არ ხდება რომ გმ წარმოება დაინერგოს.

რატომ არის ცუდი გენმოდიფიცირებული წარმოება და მისი პროდუქტი?

1. იგი არის არაბუნებრივი, ანუ ხელოვნურ-ბუნებრივია, ამიტომ არ არის სრულყოფილი პროდუქტი;
2. ვინაიდან ცხოველურ-მცენარეულია, არ არის სამარხვო პროდუქტი, რაც მართლმადიდებელთათვის კატეგორიულად მიუღებელია;
3. როგორც კომპეტენტური მეცნიერები განმარტავენ, გმპ-ის მიღების შემდეგ ადამიანებში იზრდება სხვადასხვა დაავადებების გამოწვევის რისკი, როგორიცაა: ალერგიები, ანტიბიოტიკებისადმი მდგრადობა, ორგანიზმის ტოქსიკაცია და სხვა;
4. იგი მიუღებელია ფსიქოლოგიურ-ეთნიკური და ჰიგიენური თვალსაზრისითაც, ვინაიდან არ ვიცით გმპ ცხოველის რომელი ნაწილის გენზეა შექმნილი;
5. გმპ აგროწარმოების პროცესში, მცენარის ვეგეტაციის პერიოდში, სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს სასარგებლო მწერებზე. ჩნდება მათი გადაგვარების პირობები.
6. ეს არის ბუნების კანონებში უხეში ჩარევა და სერიოზული დარღვევა ეკოლოგიური თვალსაზრისით, რამაც შესაძლოა რომელიმე მწერების, ბაქტერიების, ან ვირუსების ახალი უკონტროლო სახეობების გამოჩენა გამოიწვიოს;
7. არსებობს სერიოზული საშიშროება, რომ გმ მცენარეები დაამტვერიანებენ და გადააჯიშებენ მათ ბუნებრივ ნათესავებს;
8. შეეგუებიან რა ხოჭოები იმ ტოქსინს რომელიც გმპ ნაყოფებშია, უპრობლემოდ დააზიანებენ ეკოლოგიური, (ორგანული) მეურნეობების, ფერმერების ფართობებს, იქ სადაც ამ ტოქსინს იყენებენ მავნებლებთან საბრძოლველად;
9. გმპ წარმოებისას იზრდება აგროქიმიკატების (ჰერბიციდების) გამოყენების ჯერადობა, ვინაიდან გადამტვერვის გზით იზრდება იმ სარეველების მდგრადობა, რომლითაც დასარეველიანებულია დასამუშავებელი ფართობი;
10. გმპ შენახვის თვალსაზრისითაც არახელსაყრელია, ვინაიდან იგი სუსტია დაავადებისადმი და ძალიან მალე ლპება. ტრადიციული ქართული ჯიშები ამ მხრივაც ბევრად უკეთესად გამოიყურებიან;
11. გმპ წარმოება, არც ეკონომიკურადაა გამართლებული, მავნეობის სიდიდე, რომელზეც იგია გათვლილი მასზე გაწეულ ფაქტიურ დანახარჯებთან შედარებით უმნიშვნელოა. ამიტომ მათგან მიღებული მოგება ტრადიციულ საწარმოო ჯიშებთან შედარებით მცირეა;
12. მისი კეებითი ღირებულებაც ძალიან დაბალია, ვინაიდან იგი 2-ჯერ ნაკლებ B ვიტამინს შეიცავს, ვიდრე ნორმალური კარტოფილი. ხოლო E ვიტამინი მასში საერთოდ არ არის;
13. გმპ მომრავლება სუსტი იმუნური, ჰორმონალური, ნერვული, საჭმლის მომნელებელი სისტემების მქონე ბავშვების რაოდენობის მკვეთრი ზრდის მიზეზია;
14. ფართომასშტაბიანი გენური ინჟინერია გამოიწვევს მთელი ეკოლოგიური გარემოს დაბინძურება-გადაგვარებას, რასაც ადამიანის საბოლოო დაცემა მოჰყვება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც ეროვნული, ეკონომიკური, ასევე სარწმუნოებრივი თვალსაზრისით გმპ წარმოება, შემოტანა, რეალიზაცია არის ღვთისა და ადამიანის საწინააღმდეგო მოქმედება. სამწუხაროდ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში გმ ორგანიზმებზე კონტროლის არავითარი მექანიზმი არ არსებობს. თუ არ ჩაეთვლით კანონს „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ", სადაც წერია, რომ ბიოპროდუქციის წარმოებისას აკრძალულია გენური ინჟინერიით მიღებული კულტურებისა და პრეპარატების გამოყენება.

ეკოლოგიური წარმოების ორგანიზაციისა და მართვისათვის

ეკოლოგიური წარმოება არ არის მარტივი პროცესი, მით უფრო – მისი მართვა-გამგებლობა. მართალია, ქვეყანაში გარკვეული ბაზა ამ მხრივ უკვე არსებობს (კანონები ბიოწარმოების შესახებ, სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ), იწერება სტატიები, ნაშრომები, რეკომენდაციები, არსებობს საზღვარგარეთის გარკვეული გამოცდილება, გამოჩნდნენ საქართველოში მოქმედი ახალი თუ ძველი ორგანიზაციები, ბიომეურნეობები და სხვა. მაგრამ ერთია წერა და აღწერა, სურვილი და მონდომება, მეორეა რეალობა, რასაც გვერდს ვერ აუვლით.

საქართველოს (და მეზობელი ქვეყნების) სოფლის მეურნეობაში დღეისათვის ნელ-ნელა ინერგება მეურნეობის გაძღოლის ახალი ფორმები. თუმცა ისინი კვლავ დაყრდნობილნი არიან საბჭოურ ინერციაზე. მცენარეთა დაცვის სფეროში თითქმის ისეთივე მიდგომებია, როგორც იყო 30 წლის წინათ.

ეკოლოგიური წარმოება ვერ ეგუება მარტივ სტერეოტიპულ შეხედულებებს, როგორიცაა, მაგალითად მითი იმის შესახებ, რომ თუ გვარჯილა არ გამოიყენა გლეხმა, ან შაბიამანი, ან ნებისმიერი სხვა ქიმიური ელემენტი, მოსავალი დაიღუპება, რასაც ხელს უწყობს დღემდე გამოცემული უამრავი ლიტერატურა, და პესტიციდებით მოეაჯრეთა „რეკომენდაციები". მთელი სოფლის მეურნეობა ამ მცდარ ჰიპოთეზაზეა დაყრდნობილი. ამისი შეცვლა მხოლოდ ერთეული მეურნეობებით (მით უფრო გრანტებით მომუშავეთა) შეუძლებელია.

აუცილებელია ეკოლოგიური წარმოების ორგანიზაციისა და მართვის პროცესის სახელმწიფოებრივი მექანიზმის შექმნა. ამისათვის კი გეჭირდება შესაბამისი კადრები, როგორც ცენტრებში, ასევე რაიონებში და სოფლებში, რაც ჯერჯერობით შეუძლებელია.

მაშ რა ვქნათ? არაორაგნიზებული მიდგომებით შეიძლება არსებული მდგომარეობაც კი გაეაუარესოთ. რომ ველოდოთ როდის მოვამზადებთ კადრებს და მაშინ დაეიწყოთ ეკოლოგიური წარმოება – ძალიან დაგვიანდება, რადგან ამ მხრივ უამრავი ქვეყანა გაგვისწრებს, მათ შორის განვითარებადი ქვეყნებიც კი და რა გარანტია გვაქვს, რომ ის ბაზარი, სადაც ჩვენ ეკოპროდუქციით უნდა შევიდეთ, ხვალ დაკავებული არ დაგეხედეს.

ნუ ვიქნებით თვითდაჯერებულნი, რომ ნებისმიერი ევროპელი თუ ამერიკელი ეკომეურნე ჩვენ დაგველოდება, როდის მოვიყვანთ მათთვის სასურველ პროდუქციას და სანამ ჩვენ პოლიტიკურადაც წელში გავიმართებით უცხოელი ვერ ჩავა თუნდაც შრილანკაში, ან უგანდაში და ვერ მოიყვანს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს? უახლოეს პერიოდში ამ მხრივ წარმოება გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება და ადვილი შესაძლებელია ჩვენი ეკონომიკის განვითარების ეს უდიდესი რეზერვი ნაკლებად ეფექტური გამოდგეს. სად ვეძებოთ გამოსავალი?

თუ სოფლის მეურნეობის განვითარება არ იქნება მაღალ-ორგანიზებული და შეუქცევადი – არაფერი გამოვა. ხელისუფლებას ამისათვის შევთავაზეთ მარტივი სქემა, რომელიც უბრალოდ ცოდნას, გამოცდილებას, ორგანიზებულობას და ადამიანის მიერ ადამიანის პატივისცემას ეყრდნობა. საჭიროა ეს სქემა ამუშავდეს ეკოლოგიურ წარმოებაშიც. საჭიროა შესაბამისი გამოცდილების, ცოდნის მქონე მეცნიერების, ბიზნესმენების, ფერმერების, კანონმდებლების, მმართველების ჯგუფი ცენტრში, ასევე ჯგუფები რეგიონებში და მინი ჯგუფები სოფლებში.

ამ ჯგუფების დაკომპლექტებისა და მართვის პროცესში ჩაბმისათვის ბაზად შეიძლება გამოყენებული იქნეს „ელკანა", „ეკოელი", „აგროსისტემის განვითარების ხელშემწყობის კავშირი" მათი შეილობილი კომპანიებით და არსებული სამეურნეო-ორგანიზაციული პოტენციალით.

აუცილებელია ამ საქმიანობას მიეცეს გარკვეული მიზანმიმართული პრიორიტეტი. დაფინანსებით, სხვადახვა წახალისებებით სამეცნიერო ნაშრომებისათვის, აგროტექ-ნიკური საშუალებების გამოგონებისათვის, სამეურნეო ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის და სხვა.

იმ ბიუჯეტის ფარგლებში, რომელიც სოფლის მეურნეობას დღეს გააჩნია ამ ამოცანის გადაწყვეტა წარმოუდგენელია. თუმცა, სახელმწიფოს ნების შემთხვევაში სახსრების გამონახვა ადვილად შეიძლება.

ეკონომიკური თვალსაზრისით ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ეკოლოგიური წარმოება ბევრად უფრო რენტაბელურია, ვიდრე ქიმიური, მით უფრო, რომ ქიმია დღეს სოფლის მეურნეობის განვითარების დამამუხრუჭებელ საშუალებად ჩამოყალიბდა და, რაც ყველაზე ცუდია, ადამიანის ჯანმრთელობის გამანადგურებელ ძალად იქცა. ასე რომ, როგორც ეკონომიკური ასევე ეკოლოგიური გათვლებით, და წმიდა ანთროპოგენური მიდგომებით, ჩვენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოების იქით სხვა გზა აღარ დაგვრჩა. ამიტომ, ორგანიზაციულ-მმართველობითი მექანიზმი დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას.

დღევანდელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა დამოუკიდებლად ამ ამოცანას თავს ვერ გაართმევს. საჭიროა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მთელი საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანება, საიოკენაც აქტიურად მოგვიწოდებს ეკლესია. ეკლესია არის ეკოლოგიური წარმოების ძირითადი ინიციატორი და ხელმძღვანელი და არა გვგონია, რომ მთავრობა ამ ძალისხმევის წინააღმდეგი იყოს.

გამოდის, რომ მთავრობა, საზოგადოება და ეკლესია ეკოლოგიური წარმოების განვითარებისა მოსურნენი არიან. აქ უბრალოდ გაერთიანებაა აუცილებელი, ეკლესია – საზოგადოება – მთავრობა. მათი ერთობლივი მოღვაწეობის გარეშე ვერც ერთი საქვეყნო საქმე სრულყოფილად ვერ გაკეთდება. ეკლესია თავად არის ბუნების და ბუნებრიობის უდიდესი დამცველი და მქადაგებელი. ეკოლოგიური წარმოების აუცილებლობაზე და ეკოლოგიის დაცვაზე დიდი ხანია მოგვიწოდებს ჩვენი პათტრიარქი და თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრაქტიკულადაც იბრძვის ამ საკითხის გადაჭრისათვის.

მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის მოგვარების სახელმწიფო ცენტრი უნდა შეიმნას საქართველოს საპათრიარქოშთან. ისეთი უმნიშვნელოვანესი საქმის აღსრულება, როგორიც სოფლის მეურნეობის აღორძინება და ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაა, მხოლოდ განსაკუთრებული ლოცვით და დიდი ფიზიკურ-ინტელექტუალური ძალისხმევით არის შესაძლებელი.

მავნეობის ეკოლოგიური და ეკონომიკური ზღვრები

მებაღეების, მებოსტნეების და საერთოდ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების წინაშე ხშირად წამოიჭრება ხოლმე პრობლემები მცენარეთა დაცვის დარგში. კერძოდ – ჩატარდეს თუ არა ესა თუ ის ქიმიური, ბიოლოგიური, თუ სხვა სახის ღონისძიება. ამ საკითხზე პასუხის გასაცემად საჭიროა გარკვეული გამოცდილება და თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა.

თუ წინა წელს მავნებელმა მნიშვნელოვანი დაზიანება მიაყენა ამა თუ იმ კულტურას, მიმდინარე წელს მოსალოდნელია მავნეობის გაძლიერება. მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში თუ მავნებელი გვხვდება ერთეული და მხოლოდ ახლა იწყებს გამრავლებას. სწორი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ვიცოდეთ მავნებელთა ფაქტიური რიცხოვნობის და გაერცელების სიძლიერის მონაცემები, რაც მიღწევადია მავნებელთა კერების გულდასმითი დაკვირვების შედეგად.

ცნობილია, რომ მცენარეთა ფოთლების დაკარგვა უარყოფითად მოქმედებს მიმდინარე წლის მოსავლიანობაზე, კულტურის ზამთარგამძლეობაზე და მომავალი

წლის მოსაელიანობაზეც. მცენარეზე ფოთლების საერთო რაოდენობის 10%-ით დაკარგვა იწვევს მოსაელიანობის 5%-ით დაცემას, ხოლო ფოთლების 75% დაკარგვით მოსაეალი მთლიანად იღუპება.

მავნე სახეობის გამოჩენა სავარგულში, ჯერ კიდევ არ ნიშნაეს დაცვითი დამუშავების ჩატარების აუცილებლობას. მხოლოდ მას შემდეგ, როცა მავნე ორგანიზმის განვითარების ხარიხი გადააჭარბებს განსაზღერულ დონეს, თავს იჩენს მოსაელის მნიშვნელოვანი დანაკარგების საფრთხე. მავნე ორგანიზმისა და მცენარის ურთიერთდამოკიდებულების გარკეულ ეტაპზე ადგენენ მავნეობის ეკონომიკურ ზღერებს (მეზ), რომლის დროსაც მცენარეთა დაცეის ღონისძიებების შედეგად იწყება დამატებითი შემოსაელის (მოგების) მიღება, პროდუქციის წარმოების რენტაბელობის გაზრდა და მისი თვითღირებულების შემცირება.

მეზ-ის გამოსათელელად მავნეობისა და პესტიციდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლებს ადარებენ მცენარეთა დაცვაზე გაწეულ დანახარჯებს და მოსაელის მოსალოდნელ მატებას.

მავნეობის ეკონომიკური ზღვარი არის მავნეობის ის მინიმალური რაოდენობა, რომლის დროსაც მიზანშეწონილია ბრძოლის გარკეული ღონისძიებების ჩატარება.
ხოლო მავნეობის ეკოლოგიური ზღვარი გვიჩვენებს, თუ ეკოლოგიურად რამდენად არის მიზანშეწონილი და გამართლებული ქიმიური თუ სხვა სახის ღონისძიების წარმართვა.

უკანსკნელ პერიოდში მავნეობის ეკონომიკური ზღერების საფუძელად იღებენ პესტიციდების გამოყენების შემდეგ მოსაელის მოსალოდნელ მატებას 3-5%-ის ფარგლებში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიოპროდუქტიულობის შეფასება ნიადაგის, კლიმატის, წარმოების საშუალებებისა და მეურნეობის გაძღოლის ფორმების საფუძველზე

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიოპროდუქტიულობა რთული და მრავალფეროვანი არსით გამოირჩეეა. მისი შეფასება პრაქტიკაში ცალ-ცალკე ნიადაგის, კლიმატის, წარმოების საშუალებების, მეურნეობის გაძღოლის ფორმების საფუძველზე, სრულ შედეგს ეერ მოგვცემს, რადგან ყოველი მათგანი ერთი მსხვილი ჯაჭვის ერთიანი შემადგენელი ნაწილია.

ნიადაგის, ან სხვა რომელიმე ნაწილის შეფასება როგორც ცალკეული ელემენტი (ეაეშირის გარეშე) ამ ურთულეს საკითხზე მხოლოდ წარმოდგენას შეგვიქმნის, ისიც რაღაც ფორმით. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ ნიადაგზე, კლიმატზე თუ შეფასების სხეა ნაწილზე — უნდა იგულისხმებოდეს, რომ იქვე არის დანარჩენი ელემენტებიც. უფრო ზუსტად: ნიადაგის პროდუქტიულობას, ან მის უნარს — ემსახუროს ეკოლოგიურ წარმოებას, მაშინ აქვს აზრი, თუ კლიმატმა წარმოების საშუალებებმა და წარმოების უნარიანმა გაძღოლამაც ერთობლივად შეუწყო ხელი. მაგ.: ნიადაგი — კლიმატი — წარმოების საშუალებები — გაძღოლა სრულია და ეფექტური, თუ ამ პირობებთან ერთად ნათელია სახელმწიფოს როლიც, ანუ თუ სახელმწიფო ამ პროცესის განხორციელების გარანტად გვეელინება. სხვანაირად ეკოლოგიური წარმოება ნაბიჯსაც ეერ გადადგამს.

ამ პირობების არსებობის შემდეგ ეძლეეა აზრი თითოეული ელემენტის განხილვას და დახასიათებას.

ნიადაგის ბიოპროდუქტიულობის შეფასებისათვის

ეკოლოგიური წარმოების პირობებში რაც უფრო ბუნებრიეია და ნოყიერია (შავ-მიწა, ალუვიური ნიადაგები, ნასვენი მიწები და სხვა) ნიადაგი, მით უფრო კარგი პირობაა წარმოების დასაწყებად. დაბალნაყოფიერი, გამოფიტული, ეწერი ნიადაგები ეკოწარმოებას მნიშვნელოვნად ართულებს და აძეირებს. რადგან აქ ჯერ საჭირო იქნება ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა, მისი განოყიერება და მასში ბიოლოგიური წონასწორობის დაბალანსება, რაც ძალიან ძეირი დაჯდება.

ასეთი ტიპის ნიადაგები ქვეყანაში სამწუხაროდ ცოტაა, ამიტომ ჯერ-ჯერობით შესაძლებელია მოვახდინოთ მათი ბუნებრიობის აღდგენა-გაძლიერება. ეკოლო-გიური წარმოებისათვის აზრი აქვს იმ ნიადაგს, რომელიც ეკონომიკურადაც მაღალეფექტურია, ანუ მასზე გაწეული დანახარჯები იმაეე წელს შეგეიძლია ავინაზღაუროთ და მნიშვნელოეანი მოგებაც მიეიღოთ. ეკოლოგიური წარმოებისათვის მისაღები ნიადაგები საქართველოს ყველა ზონაში და ქვეზონაში გეხვდება. განსაკუთრებით კარგი პირობები და ტრადიციებია მთაში, სადაც შესაძლებელია ვისაუბროთ არა წარმოების დაწყებაზე, არამედ წარმოების გაძლიერებაზე.

კლიმატის პროდუქტიულობის შეფასებისათვის

მართალია, საქართველოს აგროკლიმატი ამ ბოლო დროს ძალიან გაუარესდა, გახშირდა წაყინვები, უზომოდ აიწია ტემპერატურამ, გვაწუხებს წყალდიდობაც, მაგრამ ჯერ კიდევ არის დიდი შესაძლებლობები არსებული კლიმატის ეფექტიანად გამოყენებისათვის. ეკოლოგიურ წარმოებას ხშირ შემთხვევაში საგრძნობლად ამარტივებს და იაფფასიანს ხდის წვიმები, ტენი, მზის სხივები, სითბო.

ეკოლოგიური პროდუქციაზე მოთხოვნილების სიდიდე ქმნის მყარ საფუძველს იმისათვის, რომ უამინდობასთან საბრძოლველად გაწეული დამატებითი დანახარჯების ანაზღაურება გარანტირებულია. ეკო წარმოებისას აუცილებლად უნდა გაეითვალისწინოთ ზონალობის მიხედეით, ამა თუ იმ მცენარის მოვლამოყვანის თაეისებურებანი, კლიმატურ პირობებთან მიმართებაში. ანუ, არსებულ კლიმატურ (პროგნოზირებულ) პირობებში რომელი კულტურების მოვლამოყვანაა უფრო მიზანშეწონილი. მაგალითად, კომბოსტოს, ხახეის, კიტრის და სხვა ტენის მეტად მომთხოვნი ბოსტნეულის ეკოლოგიური წარმოება რწყვის გარეშე, წვიმების გარეშე (ხელოვნური რწყეებით, ცისტერნებით) იმდენად ძეირი დაჯდება, რომ პროდუქცია შეიძლება გასასაღებელი დარჩეს. ასეთ ფართობებზე უმჯობესია დავთესოთ ქერი, იონჯა, ან სხვა ტენის ნაკლებად მომთხოვნი მცენარეები. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სტიქიურად, არამეცნიერულად ორგანიზებული ეკოლოგიური წარმოება განწირულია კრახისათვის. ასეთი ტიპის წარმოება ცუდ კლიმატურ პირობებში განსაკუთრებით საჭიროებს მეცნიერთა და ფერმერთა გაერთიანებულ ძალისხმეევას.

წარმოების საშუალებების პროდუქტიულობის შეფასებისათვის

ეკოლოგიურ წარმოებაში ეს ფაქტორი საკმაოდ რთული სუბიექტური პრობლემაა. საქმე იმაშია, რომ დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობა ძალიან ღარიბია სასოფლო ტექნიკით, ხარისხიანი თესლეულით, მცენარეთა დაცვის ეფექტური ბიოლოგიური საშუალებებით და ა.შ. ზოგიერთ რეგიონში განსაკუთრებით გაძნელებულია ტექნიკის დროული შოვნა, არ არის ხარისხიანი თესლეული, ვერაფრით უმკლავდებიან

მოძალებულ მაენებელ-დაავადებებს, უფრო ხშირ შემთხვევებში კი სამივე ფაქტორი ერთნაირად ჭირს.

ამ ბოლო დროს დაბალხარისხიანი თესლეულის შოვნაც კი გაჭირდა. სურვილი იმისა, რომ სოფელმა მოსავალი მიიღოს – არსებობს, მაგრამ ხშირად არსებული საშუალებების გამოყენებაც ჭირს, რადგან სასოფლო-სამეურნეო განათლების დიდი დეფიციტია. მით უფრო – ბიოლოგიური წარმოების შემთხვევაში. ასეთი ტიპის წარმოება ხომ განსაკუთრებულ ტექნიკას, მაღალხარისხიან თესლეულს და აგროტექნიკით გათვალისწინებული საშუალებების მთლიან კომპლექსს მოითხოვს. ერთი სიტყვით, ქვეყანა ამ მხრივ ძალიან მოუმზადებელია, თუმცა მთლად უიმედობაც არ არის.

ეკოლოგიური წარმოების გაძღოლა

როცა არ არის ბიოლოგიური წარმოების მინიმალური საფუძველი, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ რთულია ასეთი წარმოების მართვა. მით უფრო, რომ სოფლის მეურნეობა ისედაც რთული სამართავი ობიექტია. წარმოების ორგანიზაციული ფორმები თავისთავად იძლევა იმის საშუალებას, რომ თავის შიგნით ჩართოს ეკოლოგიური წარმოების პროცესი, რომ არა რამდენიმე ურთულესი საკითხი:

1. მმართველ სტრუქტურებში ეკოლოგიური განათლების სიმწირე;
2. ბიოლოგიური წარმოების გამოცდილების დეფიციტი;
3. ფსიქოლოგიური ფაქტორი, „მიჩვეულს ნუ გადააჩვევ, მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ" – პრინციპი;
4. ქიმიზაციის „მამების" მონოპოლიური კლანიზება;
5. სახელმწიფო მექანიზმის და სახელმწიფო ნების სისუსტე;
6. აგროსაფინანსო დეფიციტი და სხვა.

ეკოლოგიური წარმოების გაძღოლას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ეს არ არის მარტო მცენარეთა და ცხოველთა დარგობრივი გაძღოლა. იგი თავის თავში მოიცავს გადამამუშავებელ მრეწველობას, რადგან ეკოლოგიური წარმოება გადამამუშავებელი მრეწველობის გარეშე პრიმიტიული, ნატურალური ხასიათისაა. საქართველოში კი ამჟამად მხოლოდ ასეთი ჩანასახი თუ არსებობს.

ერთი სიტყვით, ყველაფერი თითქმის ნულიდან გვაქვს დასაწყები, ამიტომ როგორც ეკოწარმოების გაძღოლისას, ასევე მთლიანად ეკოლოგიური (ორგანული, ბიოლოგიური) წარმოების პროდუქტიულობისათვის აუცილებელია შემდეგი ეტაპები და პირობები:

I ეტაპი

1. ნიადაგის, მცენარეთა და ცხოველთა იმუნიტეტის აღდგენა, ეკოლოგიური წარმოებისათვის ვარგისი ნიადაგებისა და ფერმების გამოვლენა;
2. აგროკლიმატური პირობების შესაბამისი მევენახეობისა და მეცხოველეობის ტიპების განსაზღვრა, ეკოლოგიური წარმოების მოთხოვნილების საფუძველზე;
3. ბიოლოგიურ (ორგანული) მეურნეობისათვის ვარგისი (შესატყვისი) საბრუნავი საშუალებების (თესლეული, სარგაი მასალა, ტექნიკა, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებები და სხვა) მოძიება, ადგილზე გამოყვანა-წარმოება, ან მკაცრი იმპორტი;
4. ეკოლოგიური წარმოებისათვის შესატყვისი წარმოების გაძღოლის ფორმებისა და მეთოდების შემუშავება. საამისოდ კადრების მომზადება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ;

5. ბიოლოგიური აგროწარმოების ხელშეწყობის (საქართველოს პირობებიდან გამომდინარე) სახელმწიფო მექანიზმის შექმნა (მართვა, ცხელი წერტილები, საინფორმაციო საშუალებები);
6. ეკოლოგიური ორგანიზაციების, კავშირების, მეურნეობების, აქტიური მხარდაჭერა და მათი ჯანსაღი გამოცდილების განზოგადება;
7. საექსპორტო ხაზების ძიება და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების მშენებლობა;
8. მოსახლეობის შემზადება საინფორმაციო საშუალებებით, შეხვედრებითა და გაზეთებით. ბუკლეტებით, ჟურნალებით.

II ეტაპი

1. ეკოლოგიური წარმოების დაწყება მეცნიერულად დასაბუთებული, მეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის დამაკმაყოფილებელი პირობებით.
2. ეკოლოგიური წარმოება რომელიმე ორგანიზაციის, ან კავშირის შიგნით, ანუ თითოეული ეკოლოგიური სამეურნეო ერთეული მოქცეული უნდა იყოს სამეცნიერო-საწარმოო გამოცდილების მქონე საზოგადოებრივ სტრუქტურაში;
3. ქვეყანაში აქტიურად, კომპეტენტურად უნდა მოქმედებდეს ეკოწარმოების დანერგვის და კონტროლის ცენტრი, რომელშიც გაერთიანებულნი უნდა იყვნენ, საქართველოში ამ მხრივ ყველაზე გამოცდილი და განათლებული ფერმერები, მეცნიერები, პრაქტიკოსები, ბიზნესმენები, მთავრობის წევრები, პარლამენტარები. უფრო ეფექტური იქნება, თუ ეს ცენტრი საქართველოს საპატრიარქოსთან იარსებებს;
4. ეკოლოგიური წარმოება, გადამუშავება და ექსპორტი მოქცეული უნდა იყოს ერთ საერთო ციკლში და აქედან მიღებული მოგება ყველა მონაწილე სუბიექტზე შეტანილი წვლილის მიხედვით უნდა განაწილდეს.

მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემა

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კონცეფცია, რომელიც თავისი არსითა და მიზანმიმართულობით ეკოლოგიურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის არსი და მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან ავიცილოთ პესტიციდების გამოყენების უარყოფითი შედეგები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა შევძლოთ ქიმიური და არაქიმიური მეთოდებისა და საშუალებების ისეთი შეთანაწყობა, რომელიც მისაღები იქნება ჰიგიენური, ეკოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სტრატეგიის შემუშავების საფუძველია იმ ბუნებრივი მარეგულირებელი მექანიზმების შესწავლა და გამოყენება, რომლებიც განაპირობებენ მავნე ორგანიზმების სიკვდილიანობას, გადარჩენასა და აქტივობას. ინტეგრირებული დაცვა გულისხმობს მავნე ორგანიზმების არა მთლიან და სრულ განადგურებას (რამეთუ ადამიანმა დღემდე არსებული ყველა საშუალების გამოყენებითაც კი ვერ შეძლო ამის გაკეთება), არამედ მათი რიცხოვნობის შემცირებას (რეგულირებას) სამეურნეო ზარალიანობის თვალსაზრისით უმნიშვნელო დონემდე.

საქართველოს კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“

ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ბიოლოგიური მეურნეობის მოწყობას, მართვას, ბიოპროდუქციის წარმოებას, გადამუშავებას, რეალიზაციას, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები და ძირითადი ამოცანები

1. ამ კანონის მიზანია:

ა) საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ბიოლოგიური მეურნეობის სექტორის ჩამოყალიბებით;

ბ) ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა არასინთეზური სისტემების და ბუნებრივი სასუქების გამოყენებით;

გ) ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის წესების დადგენა;

დ) ბიოწარმოების, მისი სერტიფიცირებისა და მონიტორინგის პრინციპების ჩამოყალიბება;

ე) მცენარეთა და ცხოველთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბიოლოგიური მეთოდების გამოყენების სტიმულირება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებული და ეტიკეტირებული ბიოპროდუქციის არსებულ საერთაშორისო ან/და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა;

ზ) ბიოპროდუქციის ბაზრის განვითარება;

თ) ბიოპროდუქციის წარმოების გზით ადგილობრივი კვების მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა და მისი ექსპორტის სტიმულირება;

ი) ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება როგორც კულტურულ, ისე ბუნებრივ ლანდშაფტებში.

2. ამ კანონის ძირითადი ამოცანებია:

ა) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისას გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება და ეკოსისტემების წონასწორობის შენარჩუნება;

ბ) ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება;

გ) სოფლის მეურნეობის მდგრადობისა და გარემოს გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს კულტურული და ველური მცენარეების, ასევე შინაური და გარეული ცხოველების სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებას;

დ) ცხოველებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მათ ბუნებრივ განვითარებას;

ე) ბიოპროდუქციის წარმოებისას განახლებადი რესურსების გამოყენება.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

1) ამ კანონის რეგულირების სფეროა ბიოპროდუქციის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, შენახვასთან, ტრანსპორტირებასთან, შეფუთვასთან, რეალიზაციასთან, იმპორტთან და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები.

2) ეს კანონი არ ვრცელდება პირადი ან ოჯახური მოხმარებისათვის განკუთვნილი ბიოპროდუქციის წარმოებაზე.

მუხლი 3. კანონის სამართლებრივი საფუძვლები

ამ კანონის სამართლებრივი საფუძველებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ", „სურსათისა და თამბაქოს შესახებ", „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ", „სტანდარტიზაციის შესახებ" და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონები და სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ბიოლოგიური მეურნეობა** – სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების მოწესრიგებული სისტემა, რომელიც მოიცავს მეურნეობის დაგეგმვის, მართვის და პროდუქციის წარმოების მეთოდებს და რომელიც ხელს უწყობს ცოცხალი ორგანიზმებისა და გარემოს ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას, როდესაც შენარჩუნებულია ბუნებრივი წონასწორობა. „ბიოლოგიური მეურნეობის" სინონიმებია „ეკოლოგიური მეურნეობა", „ორგანული მეურნეობა";

ბ) „ბიოპროდუქცია" (ან სიტყვათა ნებისმიერი კომბინაცია, რომელშიც გამოყენებულია „ეკო", „ბიო", „ორგანული") – პროდუქცია, რომლის წარმოების და შემდგომი გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, შეფუთვის, ეტიკეტირებისა და რეალიზაციის წესები შეესაბამება ბიოწარმოების სტანდარტის მოთხოვნებს და რომლის ეტიკეტზე არსებობს ამ შესაბამისობის დამადასტურებელი ნიშანი და წარწერა. ბიოწარმოების შესაბამის სტანდარტში მოთხოვნები განსაზღერულია შემდეგი პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების წესების მიმართ;

ბ.ა.) სასურსათოდ განკუთვნილი მემცენარეობისა და მეცხოველეობის პირველადი (გადამუშავებელი) პროდუქცია;

ბ.ბ.) სასურსათოდ განკუთვნილი მემცენარეობისა და მეცხოველეობის გადამუშავებული პროდუქცია, რომელიც წარმოებულია ერთი ან რამდენიმე მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის ინგრედიენტისგან (ნედლეულისაგან);

ბ.გ.) საკვები, კომბინირებული საკვები და ცხოველთა გამოსაკვებად წარმოებული სხვა პროდუქცია, რომელიც არ არის განსაზღერული ამ პუნქტის „ბ.ა." ქვეპუნქტში;

გ) **ბიოწარმოება** – სოფლის მეურნეობის პროდუქციის (სურსათისა და საკვების) წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სისტემა, რომელიც იმართება ბიოწარმოების სტანდარტში მოცემული წესების მიხედვით. ეს სისტემა წარმოადგენს ბიოლოგიური, კულტურული და მექანიკური მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას;

დ) **ბიოლოგიური მეთოდები** – პროდუქციის წარმოების ყველა ის მეთოდი, რომელიც მთლიანად გამორიცხავს სინთეზური საშუალებებითა და გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებით ბიოპროდუქციის წარმოებას და სრულად შეესაბამება ბიოწარმოების სტანდარტს;

ე) **ველურად მზარდი მცენარე** – არაკულტივირებულ ფართობებზე არსებული მცენარე, რომლის მიმართაც ადამიანის შეხება გამოიხატება მხოლოდ მოსავლის აღებით;

ვ) **ეკოსისტემა** – ცოცხალ ორგანიზმთა თანასადაგობაზე და ის ფიზიკური გარემო, სადაც ისინი არიან დასახლებულნი;

ზ) **განახლებადი რესურსები** – ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ხასიათდება თვითგანახლებით;

თ) **ბიოდეგრადირებადი მასალა** – მასალა, რომელიც ექვემდებარება ბუნებრივი დაშლის პროცესს;

ი) **მეორეული გამოყენების მასალა (რეციკლირებადი)** – მასალა ან ჭურჭელი, რომლის ხელმეორედ გამოყენება შესაძლებელია;

კ) **სერტიფიცირების წესი** – პროცედურა, რომელიც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) **ბიოწარმოების სერტიფიცირება** – სერტიფიკატის მისაღებად წარდგენილ განაცხადში მითითებული პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული საწარმოო პროცესისა და საწარმოს ფარგლებში არსებული წარმოების შემდგომი საფეხურების (გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, შეფუთვის, ეტიკეტირებისა და რეალიზაციის) ბიოწარმოების სტანდარტში მოცემულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

მ) **შესაბამისობის შემფასებელი ორგანო (სერტიფიკაციის ორგანო)** – „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ორგანო, რომლის აკრედიტაციასაც ახორციელებს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი;

ნ) **აკრედიტაცია** – ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საექსპორტო შეფასება, რომლის განხორციელების შემდეგაც აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი შესაბამისი მოწმობის გაცემით ოფიციალურად აღიარებს იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას;

ო) **გენური ინჟინერია** – ტექნოლოგია, რომელიც იძლევა მოლეკულური ბიოლოგიის მეთოდით მცენარეული, ცხოველური, უჯრედული და სხვა ბიოლოგიური ორგანიზმების ისეთი მიღების საშუალებას, რომელიც ვერ მიიღწევა ბუნებრივი სელექციით ან რეკომბინაციით.

თავი II. ბიოწარმოება მემცენარეობაში
მუხლი 5. ბიოპროდუქციის წარმოების პირობები

1) ბიოლოგიურ მეურნეობაში აუცილებელია დაცული იქნეს ყველა შესაძლო პირობა, რათა არ მოხდეს გარემოს დაბინძურება;

2) ბიომეწარმე ვალდებულია დაიცვას ბიოპროდუქციის წარმოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით და ბიოწარმოების სტანდარტით დადგენილი ნორმები და წესები;

3) ბიოპროდუქციის წარმოებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი აუცილებელი პირობები:

ა) მხოლოდ ის პროდუქტები შეიძლება იქნეს გამოყენებული ბიოლოგიურ მეურნეობაში, როგორც მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები და ნიადაგის გასაუმჯობესებლები, რომლებიც შეიცავენ ბიოწარმოების სტანდარტით ნებადართულ ნივთიერებებს;

ბ) მოსავლის აღების შემდგომ არ უნდა მოხდეს მცენარეული ნარჩენების დაწვა ფართობის გასუფთავების მიზნით;

გ) სათესლე და სარგავი მასალის გამოყენა და გამოყენება უნდა ხდებოდეს ბიოწარმოების დადგენილი სტანდარტის შესაბამისად;

დ) მავნებლების, დაავადებებისა და სარეველებისაგან მცენარეთა დაცვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ აგროტექნიკური, მექანიკური, თერმული და ბიოლოგიური მეთოდებით და ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული პრეპარატების გამოყენებით;

ე) უნდა განხორციელდეს თესლბრუნვების დანერგვა და დაცვა.

4. ბიოპროდუქციის წარმოებისას აკრძალულია:

ა) მცენარეთა დაცვისათვის ისეთი ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც არ არის ნებადართული ბიოწარმოების სტანდარტებით;

ბ) გენური ინჟინერიის მეთოდებით მიღებული კულტურებისა და პრეპარატების გამოყენება;
გ) ზრდის სინთეზური სტიმულატორების გამოყენება;
დ) საერთაშორისო სტანდარტებით აკრძალული ემულგატორების გამოყენება;

5. ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული პრეპარატების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან შეთანხმებით.

მუხლი 6. ველურად მზარდი მცენარეების და მათი ნაყოფის გამოყენება ბიოლოგიური მეურნეობის პირობებში

1) ველურად მზარდი მცენარეების და მათი ნაყოფის შეგროვება ისე უნდა მოხდეს, რომ შეგროვებამ უარყოფითად არ იმოქმედოს ეკოსისტემაზე;
2) საზაფხულო საძოვრებად და სათიბებად უნდა შეირჩეს ველურად მზარდი მცენარეებით დაფარული ფართობები, რომლებიც არ მუშავდება ქიმიური პრეპარატებით.

თავი III. ბიოწარმოება მეცხოველეობაში
მუხლი 7. პირუტყვის შეძენა

პროდუქტიული პირუტყვის შეძენა ნებადართულია მხოლოდ ბიოლოგიურ მეურნეობაში, გარდა ბიოწარმოების სტანდარტით დაშვებული გამონაკლისებისა.

მუხლი 8. ცხოველთა კვება და მოვლა-შენახვა

1) ბიოწარმოებაში გამოყენებული ცხოველთა საკვები წარმოებული უნდა იყოს ბიოლოგიურ მეურნეობაში, გარდა ბიოწარმოების სტანდარტით დაშვებული გამონაკლისებისა;
2) აკრძალულია ცხოველთა საკვები დანამატების სახით ზრდისა და მადის სინთეზური რეგულატორების, ჰორმონების, კონსერვანტების, საღებავების, ყველა ტიპის ექსკრემენტების, გამხსნელებისა და სხვა ქიმიური აგენტების, ასევე გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათი პროდუქტების გამოყენება;
3) ცხოველთა მოვლა-შენახვის პირობები უნდა შეესაბამებოდეს მათ ბუნებრივ ინსტინქტებს, როდესაც ცხოველებს აქვთ თავისუფლად მოძრაობის საშუალება. აკრძალულია მთელი დღე-ღამის განმავლობაში ცხოველთა დაბმა და მათი საცხოვრებელი გარემოს დაბინძურება ტოქსიკური სამშენებლო და სხვა მასალებით.

მუხლი 9. ცხოველთა გამრავლება

ცხოველთა გამრავლება და ახალი თაობის მიღება უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ ბუნებრივ პროცესს.

მუხლი 10. ცხოველთა სამკურნალო საშუალებების გამოყენება ბიოლოგიური მეურნეობის პირობებში

ცხოველთა დაავადებების მკურნალობისას და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებისას სავალდებულოა ბიოლოგიური მეთოდების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით ვერ ხერხდება დაავადებების მკურნალობა.

თავი IV. ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, შეფუთვისა და რეალიზაციის წესები

მუხლი 11. ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის წესები

1) ბიოპროდუქციის გადამუშავება უნდა ხდებოდეს ცალკე, სხვა პროდუქციისაგან გამოყოფილად;
2) აკრძალულია ბიოპროდუქციის შენახვა, ტრანსპორტირება და რეალიზაცია სხვა პროდუქციასთან ერთად, თუ ისინი არ არის ერთმანეთისაგან განცალკევებული და ნიშანდებული;
3) გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, ბიოპროდუქციის გადამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების დროს მკაცრად უნდა იქნეს დაცული საერთაშორისოდ აღიარებული და საქართველოში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური წესები, ნორმები და ჰიგიენური ნორმატივები, საქართველოს კანონმდებლობა და ბიოწარმოების სტანდარტები;
4) ბიოლოგიური მეურნეობის პირობებში მკაცრად უნდა იყოს დაცული ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონმდებლობითა და ბიოწარმოების სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 12. ბიოპროდუქციის შეფუთვის წესი

1) ბიოწარმოებაში დასაშვებია მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიებით მიღებული, განახლებადი, მეორეული გამოყენების ან ბიოდეგრადირებადი შესაფუთი მასალის, შესანახი კონტეინერის ან ჭურჭლის გამოყენება, რომლებიც სერტიფიცირებულია და უზრუნველყოფს გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებას;
2) ბიოწარმოებაში გამოყენებული შესაფუთი მასალები, შესანახი კონტეინერები და ჭურჭელი უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისოდ აღიარებულ და საქართველოში მოქმედ სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს, ნორმებსა და ჰიგიენურ ნორმატივებს.

თავი V. ბიოწარმოების სერტიფიცირება

1) ბიოწარმოების სერტიფიკაციას ახორციელებს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს — აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანო. შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს უფლება აქვს მიიღოს განაცხადი, განახორციელოს სერტიფიკაცია და გასცეს შესაბამისი სერტიფიკატი. ამ კანონის მიზნებისათვის დასაშვებია საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატის არსებობა;
2) პროდუქცია შეიძლება იყოს ნიშანდებული (ეტიკეტირებული), როგორც ბიოპროდუქცია, მხოლოდ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატის საფუძველზე;
3) შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ახორციელებს მონიტორინგს ბიომეწარმის მიერ ბიოწარმოების წესების დაცვაზე და სერტიფიკატს გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიოპროდუქციის წარმოების პირობები შეესაბამება ამ კანონისა და შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

თავი VI. ბიოპროდუქციის იმპორტი

მუხლი 14. ბიოპროდუქციის იმპორტი

1) იმპორტირებული პროდუქცია შეიძლება მიჩნეული იქნეს ბიოპროდუქციად, თუ იგი წარმოებულია იმ ქვეყნებში, სადაც ბიოწარმოებას აკონტროლებს შესაბამისი სამსახური;

2) ბიოპროდუქციას თან უნდა ახლდეს იმპორტიორი ქვეყნის სერტიფიკაციის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი.

თავი VII. ბიოპროდუქციის ეტიკეტირების წესი

მუხლი 15. ბიოპროდუქციის ეტიკეტირების წესი

1) ბიოპროდუქციის ეტიკეტირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2) ბიოპროდუქციის ეტიკეტი დამატებით უნდა შეიცავდეს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს სამარკო ნიშანს და წარწერას „ბიოპროდუქცია" (ან სიტყვათა ნებიშმიერ კომბინაციას, რომელშიც გამოყენებულია „ეკო", „ბიო", „ორგანული");
3) შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს სამარკო ნიშნის და წარწერის „ბიოპროდუქცია" (ან სიტყვათა ნებისმიერი კომბინაციის, რომელშიც გამოყენებულია „ეკო", „ბიო", „ორგანული") გამოყენება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, ამ ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატის გარეშე, წარმოადგენს ფალსიფიკაციას.

თავი VIII. კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა

მუხლი 16. პასუხისმგებლობა კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის

ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IX. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 17. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გამოსაცემი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი და გასატარებელი ღონისძიებები

1) 2007 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს ბიოპროდუქციისადმი ძირითად მოთხოვნებზე და წარმოების პირობებზე შესაბამისი სტანდარტების შემუშავებისა და რეგისტრაციის პროცესის წარმართვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2) 2007 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან შეთანხმებით, გამოსცემს ბრძანებას ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული პრეპარატების ნუსხის შესახებ.
3) მწარმოებლები, რომელთა მიერ წარმოებული სასურსათო პროდუქციის დასახელება არის „ბიოპროდუქცია" (ან სიტყვათა ნებისმიერი კომბინაცია, რომელშიც გამოყენებულია „ეკო", „ბიო", „ორგანული") ვალდებული არიან კანონის ამოქმედებამდე უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის ამ კანონით დადგენილ ვალდებულებებთან შესაბამისობა.

მუხლი 18. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 მარტს.

ლიტერატურა

1. კ. ბუაჩიძე. მცენარეთა დაცვის ხალხური საშუალებები. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბ., 2001.
2. კ. ბუაჩიძე. წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) მცენარეთა დაცვის შესახებ. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბ., 2004.
3. თ. თურმანიძე, ლ. სიმონიშვილი. საქართველოს სასურსათო უშიშროების ეკოლოგიური პრობლემები. თბ., 2006.
4. ლ. ჯალაბაძე. სოფლის მეურნეობის აღორძინების პროგრამისათვის. ჟურ. „ეკონომიკა", 2006, №9-10
5. ლ. ჯალაბაძე. ეკოლოგიური აგროწარმოების საფუძვლები. თბ., 2007.

საგამოცდო საკითხები

1. ეკოლოგიური აგროწარმოება მსოფლიოში და საქართველოში.
2. ლოცვის მნიშვნელობა მოსავლის მოყვანა-დაცვის საქმეში
3. პესტიციდები და მისი კლასიფიკაცია.
4. მცენარეთა დაცვის ქიმიური მეთოდის არსი და ქიმიური საშუალებები.
5. მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებები.
6. მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდის უპირატესობა ქიმიურთან შედარებით.
7. მცენარეთა დაცვის ლოცვითი და ხალხური საშუალებები.
8. საქართველოში აკრძალული პესტიციდები.
9. ატრაქტანტები, რეპელანტები, სტერილიზატორები.
10. ნიტრატები და გენმოდიფიცირებული ორგანიზმები.
11. მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემა.
12. ეკოლოგიური აგროწარმოების ორგანიზაციისა და მართვისათვის. (ეკოლოგიური აგროწარმოების გაძღოლა).
13. საქართველოს კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ".

9. პროექტისა და მისი პერსონალის მენეჯმენტი

(გიორგი შიხაშვილი)

პროექტების არსი

პროექტების მართვა თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა. იგი გამოიყენება ცივილიზებული ქვეყნების მთელი ეროვნული მეურნეობის და, კერძოდ, ბიზნესის პრაქტიკულად ყველა სფეროში: მრეწველობაში, მშენებლობაში, კავშირგაბმულობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, ფარმაკოლოგიაში, შოუ-ბიზნესში, მასმედიაში, ინფორმაციულ სისტემებში, საფონდო ბირჟების ოპერაციებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, ადგილობრივი მართვის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, სამედიცინო, კულტურის, ხელოვნების, სპორტისა და არასამეწარმეო (არაკომერციულ, არასამთავრობო) ორგანიზაციებში.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მთელი ეროვნული მეურნეობისა და ეკონომიკის ცალკეული დარგებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მოხერხდეს ყველა ორგანიზაციის ორიენტაცია პროექტების შემუშავება-მართვაზე და სათანადო სპეციალისტების მომზადება-გადამზადებაზე.

1969 წელს ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ დერბიში შეიქმნა პროექტის მენეჯმენტის ინსტიტუტი (Project Management Institute – PMI). ეს არის საერთაშორისო პროფესიულ ასოციაცია, რომელიც მოწოდებულია გააღრმავოს პროექტის მენეჯმენტის მეცნიერება და ხელოვნება. დღეისათვის მასში გაერთიანებულია 100 ათასზე მეტი ადამიანი მსოფლიოს მასშტაბით. ინსტიტუტის საინფორმაციო Web-გვერდი არის www.pmi.org.

პროექტი განიხილება როგორც საქმიანობის სახეობათა ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეული დროის მანძილზე დასახული მიზნების მიღწევასთან. სხვაგვარად, პროექტი არის განსაკუთრებული პროდუქციის ან სერვისის შექმნა გარკვეული დროის მანძილზე. ეს არის დროებითი გეგმა, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული. პროექტი შეიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ ქმედებებს. იგი ვითარდება პროგრესულად – განსაზღვრავს თითოეული პროდუქტისთვის დამახასიათებელ თვისებებსა და დეტალებს, რათა პროექტი გახდეს ადვილად გასაგები.

პროექტის მენეჯმენტი საქმიანობის იმგვარი სახეობების ხელმძღვანელობაა, რამაც უნდა უზრუნველყოს მიზნების მიღწევა შემოსაზღვრული დროის და ბიუჯეტის ფარგლებში და სათანადო ხარისხით. სხვაგვარად, პროექტის მენეჯმენტი ეს არის პროექტისათვის საჭირო ქმედებების ცოდნის, უნარის, ხერხების და ტექნიკის ერთობლიობა პროექტის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

პროექტს აქვს სამი სპეციფიკური მახასიათებელი:

მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი;

იშვიათი, უნიკალური ან უცნობი საქმიანობა მისი განმხორციელებელი საწარმოსათვის;

კომპლექსური მოღვაწეობა, რომელიც ხშირად ითვალისწინებს ტექნოლოგიური ოპერაციების და სამუშაოთა ვადების რთულ გადახლართვას.

ყველა პროექტს აქვს სიცოცხლის გარკვეული ვადა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ პროექტები წარმოიშობა და სრულდება, ხოლო საწარმო განაგრძობს მუშაობას. პროექტები გარკვეული დროით თავისკენ მიიზიდავენ საწარმოს რესურსებს, რაც ზოგჯერ იწვევს უთანხმოებას პროექტებში ჩაუსმელ ქვედანაყოფებთან. ამდენად აუცილებელია მუდმივი ეფექტიანი კოორდინირება საწარმოს, პროექტის და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელობას შორის.

ყველა პროექტს აქვს თავისი განსაზღვრული სტრუქტურა და მართვის სპეციფიკა. პროექტების სტრუქტურირება და მართვის მეთოდების განსაზღვრა ხდება სხვადასხვა პრინციპების მიხედვით, მაგრამ უმთავრესი მაინც უნდა იყოს პროექტის აღქმა, როგორც ღია სისტემისა.

პროექტის უშუალო გარემოცვაში იგულისხმებიან პროდუქციის, სამუშაოების და მომსახურების მიმწოდებლები, აგრეთვე პროექტის შედეგების პირდაპირი და ირიბი მომხმარებლები.

პროექტის პერსონალის მენეჯმენტი

პროექტის ჩარჩოებში მკაფიოდ არის გამოყოფილი მისი პერსონალი, ანუ მონაწილეები. პროექტის პერსონალური შემადგენლობა დამოკიდებულია პროექტის მიზანზე, ტიპზე, სახეობაზე, სირთულეზე, მასშტაბებზე და სიცოცხლის ციკლზე.

პროექტის განხორციელების დროს ხდება მთელი რიგი გარე და შიგა ფაქტორების ურთიერთზემოქმედება და შეცელა, რაც, თავის მხრივ, იწვევს პროექტის პერსონალის სათანადო ცელილებებს.

პროექტის ყველაზე აქტიურ და სტაბილურ მონაწილეებად ითვლებიან: პროექტის ინიციატორი, შემკვეთი, ინვესტორი, პროექტის ხელმძღვანელი, პროექტის გუნდი.

პროექტის ინიციატორი – ეს არის სუბიექტი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელიც პროექტის ძირითადი იდეის და მისი განხორციელების ინიციატივის მატარებელია. ინიციატორის როლში შეიძლება გამოდიოდეს პროექტის ნებისმიერი მომავალი მონაწილე. საქმიან ინიციატივას, პროექტის რეალიზაციის მიზნით, პრაქტიკულად ყოველთვის ფლობს რეალურად არსებული შემკვეთი.

შემკვეთი – როგორც პროექტის ერთ-ერთი სუბიექტი, დაინტერესებულია პროექტის მიზნის განხორციელებაში და კონკრეტული შედეგების მიღწევაში. იგი განსაზღვრავს პროექტის ძირითად მოთხოვნებს და საქმიანობის ჩარჩოებს, უზრუნველყოფს დაფინანსებას, დებს ხელშეკრულებებს მონაწილეებთან, იღებს პასუხისმგებლობას პროექტის შედეგებზე.

ინვესტორი – შემკვეთთან ერთად ახორციელებს პროექტის დაფინანსებას და დაინტერესებულია დაგეგმილი ფინანსური შედეგებით. იგი პროექტის დასრულების შემდეგ ახდენს ანგარიშსწორებას პროექტის მონაწილეებთან.

პროექტის ხელმძღვანელი (პროექტ-მენეჯერი) უფლებამოსილია წარმართოს მთელი საქმიანობა პროექტის მიზნების მისაღწევად და პასუხისმგებელია შემკვეთის წინაშე. იმ შემთხვევებში, როდესაც პროექტი რთული და მასშტაბურია, ხელმძღვანელის როლში შეიძლება გამოვიდეს საკონსულტაციო ან მმართველობითი ფირმა. თუმცა ამ დროსაც პროექტის ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებს ერთი პიროვნება. პრაქტიკულად ყველა პროექტში ხელმძღვანელს ჰყავს ერთი ან რამდენიმე მოადგილე ცალკეული მნიშვნელოვანი მიმართულებების მიხედვით.

პროექტის ხელმძღვანელი წარმოადგენს სამუშაოების შესრულების გრაფიკის დამცველს. **პროექტის ხელმძღვანელის მიმართ არსებობს მთელი რიგი მოთხოვნები, რომელთაგან აღსანიშნავია:**

- სხვა პროექტების შესრულების და ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- პერსპექტივის ხედვა: ხელმძღვანელმა შეიძლება არ იცოდეს ტექნიკურ-ტექნოლოგიური დეტალები, მაგრამ უნდა შეეძლოს ამოცანების დაყენება ასეთი საკითხების მცოდნეთათვის;
  ინკინრული ორიენტაცია და მისწრაფება იდეის ხორცშესხმისაკენ;
  მარკეტინგის ცოდნა და კომერციული უნარ-ჩვევები;

ინფორმაციის ფლობა საკუთარი და სხვა საწარმოების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ისტორიულ, მეთოდოლოგიურ, პრაქტიკულ-შედეგობრივ და კომერციულ ჭრილში;

- მუდმივი ზრუნვა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

პროექტის რეალიზაციისას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება შეიქმნას ხელმძღვანელის შეცვლის საჭიროება. ამიტომ, რიგი კომპანიები ახდენენ ლიდერების როტაციას. **პროექტების ისტორია გვიდასტურებს, რომ კარგი ხელმძღვანელები მოდიოდნენ კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა სფეროდან და დეპარტამენტიდან. მათი საერთო ძირითადი თვისებებიდან აღსანიშნავია:**

- ძლიერი, ენერგიული და, საჭიროების შემთხვევაში, კომპრომისული პიროვნება;
- დიპლომატიურობა და პირადი მოსაზრებების დაცვა;
- საზრიანობა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი;
- უდაო კომპეტენტურობა პროექტის უმთავრეს სფეროში მაინც;
- მისი სპეციალობის ფარგლებს გარეთ არსებული საკითხების ცოდნა და მთლიანი სიტუაციის აღქმის უნარი;

  სისხლხორცეული დაინტერესება პროექტით და მისი წარმატებით დამთავრების ხედვა;

  ტექნიკური სამუშაოს წარმართვის და სპეციალისტებზე დაეალებების გაცემის უნარი;

  ფხიანობა საქმეში (ფინანსური და კომერციული საკითხები, თანამოაზრეთა მობილიზება, ხელშეკრულებების დადება და სხვ.) და მეწარმის დინამიზმი;

  მოუდლელობა, საზრიანობა, მოხერხებულობა, სიმარჯვე.

მართალია, კომპანიის (ორგანიზაციის) უმაღლესი ხელმძღვანელობა უშუალოდ არ მონაწილეობს პროექტის მართვაში, მაგრამ იგი ყოველთვის სათანადოდ უჭერს მხარს პროექტის მენეჯერს და მთელ პერსონალს. ამასთან, პროექტის ხელმძღვანელობა სისტემატურად ურთიერთობს საწარმოს ხელმძღვანელებთან, პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით. **საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაციის თანადგომა გამოიხატება შემდეგში:**

- გადაწყვეტილებების მიღების მკაფიოდ განსაზღვრული არხები;
- რეაგირება თხოვნებზე;
- დახმარება კონფლიქტების მოგვარებაში;
- საჭიროების შემთხვევაში რესურსების გამოყოფა;
- ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება;
- მხარდაჭერა საწარმოს გარეთ არსებულ იურიდიულ და კერძო სუბიექტებთან ურთიერთობაში;

  ურთიერთობა საზოგადოებასთან;

  საწარმოს საქმიანობისა და პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური და კომერციული პარამეტრების შეთანაწყობა;

  პროექტის დაზღვევა;

  პროექტის დაცვა კომპანიის შიგა ინტრიგებისაგან;

  პროექტის ხელმძღვანელობის და პერსონალის პიროვნული და პროფესიული სრულყოფის უზრუნველყოფა.

თავის მხრივ, კომპანიის (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობა პროექტ-მენეჯერისაგან მოითხოვს შემდეგს:

- შედეგებს და ანგარიშგებას;
- მკაფიო მოხსენებებს;
- ორგანიზაციული პრობლემების მინიმუმამდე შემცირებას;
- გუნდის პერსონალის უკონფლიქტო მართვას;
- დამოუკიდებელი საქმიანობის მაღალ დონეს;

- მუშაობის პროცესში პიროვნულ და პროფესიულ ზრდას;
- ოპტიმალურ საქმიან ურთიერთობას შემკვეთთან და ინვესტორთან.

პროექტის გუნდი (პერსონალი) მოქმედებს პროექტ-მენეჯერის ხელმძღვანელობით დასახული მიზნების მისაღწევად. გუნდის წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ მაღალი დონის პროფესიულ მოთხოვნებს. მათი რაოდენობა, სპეციალიზაციის სპექტრი, მოვალეობები და ანაზღაურების ოდენობა განსხვავებულია სხვადასხვა პროექტის სპეციფიკის მიხედვით. გუნდის ფორმირება ხდება ხელმძღვანელის მიერ პროექტის ინიციატორთან, შემკვეთთან, ინვესტორთან და საწარმოს ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების საფუძველზე.

ზემოთ ჩამოთვლილებთან ერთად პროექტის მონაწილეებს მიეკუთვნებიან: კონტრაქტორი, სუბკონტრაქტორი და პროექტის პროდუქტის მომხმარებელი.

კონტრაქტორი კისრულობს ვალდებულებას ცალკეულ სამუშაოებზე, პროდუქციის მიწოდებასა და მომსახურებაზე. მას შეუძლია შეასრულოს მოიჯარის (სამუშაოთა შემსრულებლის), მიმწოდებლის (პროდუქციის, ძირითადი საშუალებების ან რესურსების) ან კონსულტანტის ფუნქციები. კონტრაქტორს ეწოდება გენერალური კონტრაქტორი (ან გენერალური მოიჯარე), თუ იგი ასრულებს პროექტით გათვალისწინებულ ყველა სამუშაოს.

სუბკონტრაქტორი (სუბმოიჯარე) პროექტის არაპირდაპირი მონაწილეა, ვინაიდან იგი ასრულებს მხოლოდ ცალკეულ სამუშაოებს, პროდუქციის მიწოდებას და მომსახურებას. იგი მუშაობს კონტრაქტორის მეშვეობით, რომელთანაც ნაკისრი აქვს სათანადო სახელშეკრულებო ვალდებულებები.

პროექტის პროდუქციის მომხმარებელი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც გამოდის პროექტის პროდუქციის მყიდველის ან მომხმარებლის როლში. **არსებობს მომხმარებლის ორი ტიპი:** 1) საბოლოო მომხმარებელი, რომელიც მოიხმარს პროექტის პროდუქციას დამოუკიდებლად; 2) შუალედური მომხმარებელი, რომელიც ასრულებს შუამავლის ფუნქციას და გადასცემს პროექტის პროდუქციას სხვა მომხმარებელს.

გარდა ამისა, ტიპურ პროექტში ყოველთვის ჩართული არიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები: სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, საზოგადოებრივი ჯგუფები, არასამეწარმეო (არაკომერციული, არასამთავრობო) ორგანიზაციები, მოსახლეობა, სპონსორები, საკონსულტაციო, საინჟინირინგო, მმართველობითი და იურიდიული ორგანიზაციები.

პროექტების მართვის უმთავრესი მომენტები

ყოველი პროექტის (მაგალითად: ახალი ნაწარმის ათვისება; მსხვილი ელექტროსადგურის აშენება; წიგნის გამოცემა; სპორტული ღონისძიების, იუბილეს, პომპეზური შოუ-ფესტივალის ან მოკრძალებული ქორწილის ჩატარება და სხვ.) შესრულება გათვლილია გარკვეულ ვადებზე და მოიცავს თანმიმდევრულ ნაბიჯებს პროექტის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, რასაც პროექტის სიცოცხლის ციკლი ეწოდება.

პროექტის სასიცოცხლო ციკლი (საპროექტო ციკლი) ესაა ლოგიკურ-დროითი სტრუქტურა, რომელიც შედგება ორი პერიოდისაგან: პროექტის (სრული მოდელის) შემუშავება და პროექტის რეალიზაცია.

შემუშავების ფაზაში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

პროექტის მიზნების გააზრება და ჩამოყალიბება;

სრული და ცალკეული (ეერძო) მოდელების შექმნა;

გადაწყვეტილებების და გეგმების მომზადება და მათი ანალიზი;

საპროექტო დოკუმენტაციის (ბიზნეს-პროექტის) დამტკიცება.

ყოველი პროექტისათვის აუცილებელია სრულყოფილი გეგმის შემუშავება. გეგმამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს თუ რა უნდა გაკეთდეს, რა ვადებში, ვის მიერ, რომელი

რესურსებით და რა დანახარჯებით. გეგმაში ასახულია მთელი პროექტის განხორციელების სტრატეგია და იგი წარმოადგენს უმთავრეს დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის სხვადასხვა სამუშაო მოდელების ოპტიმალურ კოორდინაციას.

პროექტის გეგმის უმთავრესი ელემენტებია:

პროექტის არსის მოკლე გადმოცემა, რომელშიც ასახულია სამუშაოების განხორციელების მეთოდები, რესურსები, ვადები და ჩამოთვლილია პროექტის საბოლოო პროდუქციის ან მომსახურების სახეები.

მოქმედებათა სქემა, რომელიც დაწვრილებით განსაზღვრავს სამუშაო მოდელების, კონკრეტული სამუშაოების და შემსრულებლების ურთიერთკავშირებს.

რეალურად მიღწევადი და ბიუჯეტთან დაკავშირებული შუალედური საკვანძო შედეგების ჩამონათვალი.

მოვლენათა ლოგიკური სქემა (ხშირად გრაფიკულად გამოხატული), რომელიც ასახავს პროექტის შემადგენელი ნაწილების (სამუშაო მოდულების) თანმიმდევრობას, პარალელურობას, ურთიერთშეხამებას და სხვ.

ორგანიზაციულ ურთიერთქმედებათა გეგმა, რომელიც ასახავს კავშირებს პროექტის გარემოცვასთან (შემკვეთი, სუბმოიჯარეები, მიმწოდებლები და სხვ.)

ანგარიშგების პროცედურა, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ მოხდება პროექტის ინსპექტირება, როდის, ვის მიერ და რა მიზნით.

- პროექტის პერსონალის სია თანამდებობრივი მოვალეობების მითითებით.

პროექტის გეგმის საფუძველზე შეიძლება შემუშავდეს მუშა პროგრამა სამუშაოთა გრაფიკების კომპლექტის სახით, რომლის დახმარებით უნდა განისაზღვროს ყოველი სამუშაო მოდულის კონკრეტული შინაარსი. აგრეთვე შეიძლება მომზადდეს ცალკეული ხარჯთაღრიცხვები და სამუშაოთა გრაფიკები პროექტის ყოველი ელემენტისათვის და დანიშნულ იქნენ პასუხისმგებელი პირები მათ შესრულებაზე.

პროექტის რეალიზაციის ფაზაში ხდება დამტკიცებული გეგმების და კონკრეტული პროგრამების შესრულება. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, რომ არ არსებობდეს გამოკვეთილი დროითი საზღვრები პროექტის სასიცოცხლო ციკლის აღნიშნულ ორ ფაზას შორის და შემუშავების ფაზის პროცესები თანხვდებოდეს რეალიზაციის, კონტროლის და დამთავრების პროცესებს.

ორივე ფაზა ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

- მონაწილეთა და დანახარჯების ოდენობა შემუშავების ფაზაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რეალიზაციის ფაზაზე;

  პროექტის წარუმატებლობის ალბათობა შემუშავების ფაზაზე უფრო დიდია, ვინაიდან პროექტის რეალიზაციის კვალობაზე და დამამთავრებელ სტადიაზე რისკები კლებულობს;

  შემუშავების ფაზაზე მონაწილეებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ ზემოქმედება მოახდინონ პროექტზე, ვიდრე რეალიზაციის დროს.

პროექტის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა ასახავს მართვის სისტემის ელემენტების შემადგენლობას და ურთიერთკავშირს ამ ელემენტებს შორის. ასეთ ელემენტებად წარმოგვიდგება თანამდებობრივი და სტრუქტურული ერთეულები, რომელთა შორის მყარდება ან ვერტიკალური (ადმინისტრაციულ-ფუნქციონალური) ან ჰორიზონტალური (ტექნოლოგიური) კავშირები. **ვერტიკალური კავშირების მეშვეობით ხდება გადაწყვეტილებების მიღების ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა, ხოლო ჰორიზონტალური კავშირებით — კონკრეტული სამუშაოების შესრულების წარმართვა.**

ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნისათვის ხელმძღვანელობენ პრინციპებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთი სტრუქტურის შესაბამისობას: პროექტის მონაწილეთა რაოდენობასა და მათ შორის ურთიერთობების სქემასთან, პროექტის შინაარსთან, ბიუჯეტთან, ტექნოლოგიურ სპეციფიკასთან, გარესამყაროს მოთხოვნებთან და სხვ.

პროექტის მართვის პრაქტიკაში, პროექტების სპეციფიკიდან (პროექტების მოცულობა, დინამიზმი, ტექნოლოგია და სხვ.) გამომდინარე გამოიყენებენ ფუნქციონალურ, მატრიცულ, საპროექტო-მიზნობრივ და შერეულ ორგანიზაციულ სტრუქტურებს.

ორგანიზაციული პროექტირების პროცესი მთავრდება შემდეგი სპეციალური დოკუმენტების შემუშავებით:

- პროექტის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების დეტალური და გრაფიკული ასახვით;
  საშტატო განრიგი (თანამდებობების ჩამონათვალი მათი რაოდენობის და სათანადო ხელფასის მითითებით);
  მთელი მმართველობითი სტრუქტურის და ცალკეული ქვედანაყოფების დებულებები;
  თანამდებობრივი ინსტრუქციები;
  მეთოდური და ტექნიკური ინსტრუქციები, პროცესების ტექნოლოგიური რუკები და სხვ;
  მოთხოვნები პერსონალის მიმართ შტატების დაკომპლექტებისათვის (პროფესიოგრამები, სოციალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტები;
  მოთხოვნები პერსონალის მიმართ პროექტის რეალიზაციის პროცესში (შინაგანაწესები).

პროექტი, მთელი თავისი ელემენტებით, ღია სისტემაა, რომელიც უშუალო კავშირშია გარესამყაროსთან, საიდანაც ღებულობს სათანადო რესურსებს, და რომელსაც გადასცემს მიღებულ პროდუქციას.

პროექტის უმთავრესი საბაზო ელემენტებია:

1. პროექტისათვის საჭირო რესურსები (ადამიანები, მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული);
2. სამუშაოები (მიწოდებები, საწარმოო ქმედებები, მართვა და სხვ.);
3. შედეგები (მატერიალური: პროდუქცია, ნაწარმი; არამატერიალური: ინფორმაცია, დოკუმენტები, სოციალური ეფექტი და სხვ.).

ამ ელემენტებს განიხილავენ როგორც პროექტის მართვის ძირითად ობიექტებს.

პროექტი რთული, კომპლექსური სისტემაა, რომლის მართვაც ასევე სისტემური მიდგომის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ცალკეული სახეობები და მიმართულებები განიხილება როგორც პროექტის ქვესისტემები, რომლებიც საჭიროებენ სათანადო მართვას. ამის შესაბამისად, **განასხვავებენ პროექტის მართვის შემდეგ ქვესისტემებს:** 1) პროექტის შინაარსის მართვა; 2) პროექტის ხანგრძლივობის (ვადების) მართვა; 3) ღირებულების მართვა; 4) ხარისხის მართვა; 5) პერსონალის (ადამიანური რესურსების) მართვა; 6) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის (რესურსების) მართვა; 7) კომუნიკაციების მართვა; 8) რისკების მართვა. **ყოველი ქვესისტემისათვის იქმნება მმართველობითი მოდელი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მართვის მთელი პროცესი.**

პროექტის მართვის ჩარჩოებში გამოიყოფა შემდეგი მმართველობითი პროცესები:

1. პროექტირების (დაგეგმვის) პროცესი. ამ დროს ხდება მთელი პროექტის და მისი ცალკეული ქვესისტემების მმართველობითი მოდელების შექმნა;
2. რეალიზაციის პროცესი. იგი გულისხმობს საქმიანობას კონკრეტული სფეროსათვის შექმნილი მოდელის განხორციელებისათვის;
3. კონტროლის პროცესი. ამ დროს ხდება მმართველობითი მოდელის ეფექტიანობის შემოწმება, ფაქტობრივი და პროგნოზული გადახრების გამოვლენა და მათი აღკვეთის ღონისძიებების შემუშავება;
4. დამთავრების პროცესი, რომლის დროსაც ხდება ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც ასახავს დასახული მიზნების და მიღწეული შედეგების შედარებას და სამუშაოების ეფექტიანობის ანალიზს.

ნებისმიერი პროექტი დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც პროექტი (მისი შედეგები) გადაეცემა შემკვეთს. პროექტის პროდუქციის სპეციფიკის მიხედვით განსხვავებულია ჩაბარების და მიღების პროცესები. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც გადასაცემია მოწყობილობა-დანადგარები, აუცილებელია მათი საცდელი გაშვება და საპროექტო დოკუმენტაციასთან მათი პარამეტრების შედარება. მსგავს პროცედურას აქვს ადგილი ტელესაკომუნიკაციო პროექტის ჩაბარებისას. სოციალური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული ან ეკოლოგიური ეფექტის მქონე პროექტის ჩაბარებისას შემკვეთი ნომინალურად ღებულობს პროექტს და ელოდება მისი შედეგების პრაქტიკულ გამოვლინებას.

სასწავლო პროექტების შედგენის ტექნოლოგია

გარდამავალი ეკონომიკისათვის პროექტების მართვა მეტად პერსპექტიული მიმართულებაა, რომლის შესაფერისი განვითარებისათვის ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ამისათვის კარგი იქნებოდა ცივილიზებულ ქვეყნებში არსებული გამოცდილების გათვალისწინება სათანადო კადრების მომზადება-გადამზადების სფეროში. მაგალითად, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში, არასამეწარმეო (არაკომერციულ, არასამთავრობო), საკონსულტაციო და ბიზნეს ორგანიზაციებში მოქმედებს სპეციალიზებული საპროექტო ბიუროები, ჯგუფები სადაც შეიმუშავებენ მნიშვნელოვან საპროექტო იდეებს, კონცეფციებს, პროექტებს და მონაწილეობენ მათი განხორციელების და მართვის პროცესში.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია განვიხილოთ საკითხი საპროექტო იდეების და კონცეფციების, სასწავლო-კელეეითი და ვირტუალური პროექტების შესახებ, რომელთა შედგენა, გარდა სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებისა, მიმდინარეობს არასამეწარმეო (არაკომერციულ, არასამთავრობო), საკონსულტაციო და ბიზნეს ორგანიზაციებშიც. ასეთი დოკუმენტების შემუშავება-განხილვის საფუძველზე ხდება დასრულებული, ყოველმხრივ ჩამოყალიბებული, კონკურენტუნარიანი დაფინანსებადი პროექტების შექმნა.

არასამეწარმეო (არაკომერციულ, არასამთავრობო), საკონსულტაციო, უმაღლესი განათლების, გადამზადების, სატრეინინგო და ბიზნეს ორგანიზაციებში მოქმედებენ ჯგუფები, რომლებიც შეასწავლიან დაინტერესებულ, კვალიფიციურ თანამშრომლებს და მსმენელებს პროექტ-იდეების გენერაციას და პირველადი სახით პროექტების შემუშავებას. ასეთი დოკუმენტის საფუძველზე ორგანიზაცია ქმნის დასრულებულ დოკუმენტს, გამოდის პროექტის ინიციატორის, შემკვეთის ან ინვესტორის როლში და იწყებს დაინტერესებული პარტნიორების მოძიებას.

პროექტების მეთოდი ჩაისახა XX საუკუნის 20-იან წლებში აშშ-ში. მას საფუძველად დაედო ამერიკელი ფილოსოფოსის და პედაგოგის ჯ. დიუსის და მისი მოწაფის ე. კილპატრიკის იდეები სწავლების თავისუფალი და აქტიური მეთოდების შესახებ. დღეისათვის ეს მეთოდი გადაიქცა უმაღლესი განათლების სისტემისა და ტრეინინგ-ტექნოლოგიების ინტეგრირებულ შემადგენელ ნაწილად.

პროექტების მეთოდი მოწოდებულია გაადვილოს ადამიანთა ინტერესი აქტუალური პრობლემების მიმართ (რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ცოდნის გარკვეული მარაგის ფლობას), დასახოს გზები პრობლემის გადასაჭრელად და კონკრეტული პროექტის მეშვეობით აჩვენოს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების მიმართულებები. სხვა სიტყვებით — ეს არის გზა თეორიიდან პრაქტიკისაკენ, ანუ აკადემიური ცოდნის შეერთება პრაგმატულთან. პროექტების მეთოდს საფუძველად უდევს შემდეგი მახასიათებლები:

სტუდენტთა და ტრეინინგის მონაწილეთა (მსმენელთა) შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარება;

ცოდნის მარაგის დამოუკიდებელი კონსტრუირება;

ინფორმაციულ სივრცეში ორიენტაცია;

- პროგნოზული, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარება.

პროექტების მეთოდი ყოველთვის ორიენტირებულია მსმენელის დამოუკიდებელ შემოქმედებით საქმიანობაზე, რაც ხორციელდება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში და ჯგუფებში. იგი ორგანულად უკავშირდება სწავლების კოლექტიურ მეთოდს. მას XXI საუკუნის პედაგოგიურ ტექნოლოგიას უწოდებენ.

პროექტების მეთოდის წარმატებულ გამოყენებას უზრუნველყოფს შემდეგი მაჩვენებლები: თანამედროვე პროგრესული საწავლო ტექნოლოგიების დანერგვის დონე; პედაგოგის მაღალი კვალიფიკაცია; მსმენელთა განვითარების მაღალი დონე; ტექნიკურ-საინფორმაციო საშუალებების არსებობა.

პროექტების მეთოდის გამოყენებისათვის აუცილებელია შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება:

1. შემოქმედებით-კვლევითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემის (ამოცანის) არსებობა, რომლის გადასაჭრელად საჭიროა ინტეგრირებული ცოდნის და კვლევა-ძიების გამოყენება;
2. მოსალოდნელი შედეგების პრაქტიკული, თეორიული და შემეცნებითი მნიშვნელობა;
3. მსმენელთა დამოუკიდებელი (ინდივიდუალური, წყვილებში, ჯგუფებში) მუშაობა;
4. პროექტის შინაარსის სტრუქტურირება ეტაპობრივი შედეგების ჩვენებით;
5. კვლევითი მეთოდების გამოყენება, რაც მოქმედებათა განსაზღვრულ თანმიმდევრობას ითვალისწინებს:

   პრობლემის და მისგან გამომდინარე კვლევის ამოცანების განსაზღვრა;

   ამოცანების გადაჭრის ჰიპოთეზის წამოყენება;

   კვლევის მეთოდების განხილვა;

   საბოლოო შედეგების გაფორმების ხერხების განსაზღვრა (პრეზენტაცია, დაცვა, შემოქმედებითი ანგარიში, ჩვენება და სხვ.);

- მოპოვებული მონაცემების შეგროვება, სისტემატიზაცია და ანალიზი;
- სამუშაოს შეჯამება, შედეგების გაფორმება და წარმოდგენა;
- დასკვნები, კვლევის ახალი პრობლემების და ამოცანების წამოყენება.

პროექტების თემატიკის შერჩევა ხდება როგორც ლექტორის, ასევე მსმენელთა მიერ შემოთავაზებული პრობლემების საფუძველზე. პროექტები შეიძლება იყოს როგორც წმინდა თეორიული, ასევე უშუალოდ პრაგმატულიც. თუმცა, ოპტიმალურად უნდა ჩაითვალოს ისეთი პროექტები, რომლებიც აგებული იქნება თეორიული და პრაქტიკული პარამეტრების ჰარმონიული ურთიერთშეხამების საფუძველზე. თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალურია ისეთი პროექტების დამუშავება, რომლებიც ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებენ (ეკონომიკა, ბიზნესი, მენეჯმენტი, ბიზნესის და მართვის ეთიკა, ეკოლოგია, უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება, დემოგრაფია, სამართალი, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ხელოვნება, მედიცინა, სპორტი და სხვ.).

შესრულებული პროექტის შედეგები უნდა გაფორმდეს რაიმე სახით (ანგარიში, მოხსენება, ვიდეოფილმი, ალბომი, კრებული, კომპიუტერული გაზეთი და სხვ.).

კოლექტიური სწავლების და პროექტების მეთოდები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და მათი გაერთიანებული ფორმა ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საგანმანათლო და სატრენინგო სისტემებში. ამას არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ, უმთავრესად სოციალური მომენტები განაპირობებენ, რომელთაგან აღსანიშნავია:

– მსმენელებისათვის აუცილებელია არა იმდენად ცოდნის რაიმე მარაგის გადაცემა, არამედ იმის სწავლება, თუ როგორ მოიპოვონ ცოდნა დამოუკიდებლად და როგორ გამოიყენონ იგი ახალი შემეცნებითი და პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად;

– კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავების აქტუალურობა, ანუ იმის უნარი თუ როგორ უნდა იმუშაონ ნაირგვარ ჯგუფებში და შეასრულონ სხვადასხვა სოციალური როლები (ლიდერი, შემსრულებელი, შუამავალი და სხვ.);

– ფართო ადამიანური კონტაქტების, სხვადასხვა კულტურების გაცნობის, პრობლემის მრავალგვარი გააზრების აქტუალობა;

– ადამიანის განვითარებისათვის კვლევითი მეთოდების შეთვისების მნიშვნელობა (საჭირო ინფორმაციის შეგროვება, მათი ანალიზის, ჰიპოთეზების წამოყენების, შეჯამების და დასკვნების გაკეთების უნარი).

მიღებულია პროექტების ტიპოლოგია შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. პროექტში ასახული უმთავრესი საქმიანობის სახეობა (ჰიპოთეზური, კვლევითი, საძიებო, შემოქმედებითი, გამოყენებითი, სათამაშო, ანუ ფუნქციურ-როლური, გაცნობითი, ანუ ინფორმაციული და სხვ.);
2. საგნობრივ-შინაარსობრივი სფერო (მონოპროექტი და ინტერდისციპლინარული პროექტი);
3. პროექტის კოორდინაციის ხასიათი (უშუალო და ირიბი);
4. კონტაქტების ხასიათი (ურთიერთობა ერთი ან რამდენიმე ორგანიზაციის, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის, საზღვარგარეთის წარმომადგენელთა შორის);
5. პროექტის მონაწილეთა რაოდენობა;
6. პროექტის ხანგრძლივობა.

სასწავლო და სატრეინიგო პროცესში პროექტის შედგენის მეთოდიკა:

- თავდაპირველად უნდა განისაზღვროს პროექტის თემა, ტიპი, მონაწილეთა რაოდენობა;

  შემდეგ ლექტორმა უნდა გაიაზროს პრობლემების შესაძლო ვარიანტები, რომელთა გამოკვლევა მნიშვნელოვანია განზრახული თემატიკის ფარგლებში;

  მნიშვნელოვანი მომენტებია ჯგუფების (გუნდების) მიხედვით ამოცანების განაწილება, კვლევის შესაძლო მეთოდების, ინფორმაციის მოძიების, შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მიღების ვარიანტების განხილვა;

  შემდეგ იწყება პროექტის მონაწილეთა დამოუკიდებელი მუშაობა მათი ინდივიდუალური ან ჯგუფური კვლევითი, შემოქმედებითი ამოცანების მიხედვით;

  მუდმივად მიმდინარეობს ჯგუფებში მიღებული ინფორმაციული მონაცემების შუალედური განხილვები (აუდიტორიაში, ორგანიზაციაში, სამეცნიერო საზოგადოებაში, ბიბლიოთეკაში, მედიათეკაში და სხვ.);

  პროექტის შესრულების აუცილებელი ეტაპია მისი დაცვა, ოპონირება;

  სამუშაოს დამთავრება ხდება კოლექტიური განხილვით, ექსპერტიზით, გარე შეფასების შედეგების გამოცხადებით, დასკვნა-წინადადებების ფორმულირებით.

პროექტის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი პარამეტრები:

წამოყენებული პრობლემების მნიშვნელობა და აქტუალობა, შესასწავლ თემატიკასთან მათი შესატყვისობა;

კვლევაში გამოყენებული მეთოდებით მიღებული შედეგების დამუშავების ხერხების კორექტულობა;

პროექტის ყოველი მონაწილის აქტიურობა მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად;

მიღებული გადაწყვეტილებების კოლექტიური ხასიათი;

პროექტის მონაწილეთა ურთიერთშეესებადობის, ურთიერთდახმარების და პირადი ურთიერთობის ხასიათი;

პრობლემის წედმის აუცილებელი და საკმარისი სიღრმე, ცოდნის მოზიდვა სხვა სფეროებიდან;

გადაწყვეტილებათა დამაჯერებლობა, დასკვნების არგუმენტირების უნარი;

პროექტის პრაგმატულობა;

შესრულებული პროექტის შედეგების გაფორმების ესთეტიკა;

ჯგუფის ყველა მონაწილის უნარი – პასუხი გასცეს ოპონენტთა კითხვებზე, პასუხების დამაჯერებლობა და ლაკონურობა.

საპროექტო განაცხადის მომზადების ტექნოლოგია[1]

საპროექტო განაცხადი ძირითადად შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- **ინფორმაცია განმცხადებლისა და შემსრულებლის შესახებ;**
- **პროექტის აღწერა;**
- **პროექტის შესრულების განრიგი;**
- **ბიუჯეტი;**
- **მოსალოდნელი შედეგები;**
- **მონიტორინგი და შეფასება.**

ინფორმაცია განმცხადებლისა და შემსრულებლის შესახებ

განმცხადებელი შეიძლება იყოს კერძო პირი, საინიციატიო ჯგუფი ან ორგანიზაცია. ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას განმცხადებლისა და პროექტის შესრულებაში და/ან განხორციელებაში მონაწილე პირების (ორგანიზაციების) შესახებ, იმის გათვალისწინებით, თუ როგორია განმცხადებლის სტატუსი და მოთხოვნები. ამასთან აუცილებელია, თანხმობა პროექტის განხორციელებაში მონაწილეობაზე დაადასტურონ ხელმოწერებით.

პროექტის აღწერა

პროექტის აღწერა არის განაცხადის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. **პრობლემის განსაზღვრა (არსებული სიტუაციის ანალიზი)** გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი;
2. **მიზანი** – გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებებს იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ და რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება ზემოთ აღწერილ პრობლემასთან;
3. **ამოცანები** – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ, რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ თქვენს პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა;
4. **განხორციელების გზები** – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები ასახავს განაცხადის მიზანს და პასუხობს კითხვებს: 1. „როგორ“ - როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს? 2. „ვინ“ ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში?

---

[1] იხ.: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კელეგებისა და განვითარების სამსახურის (ხელმძღვ. პროფ. ი. გაგნიძე) მასალები.

პროექტის შესრულების განრიგი

პროექტის შესრულების განრიგი უნდა შეიცავდეს პროექტით განსაზღვრული საქმიანობის განაწილებას დროში, რომელიც შეიძლება გამოისახოს დროის ტაბულის საშუალებით (იხ. ცხრილი №1) ან პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპების ქრონოლოგიური ჩამოთვლით.

ცხრილი №1

ეტაპი	საქმიანობა	თ ვ ე											
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
I													
II													
III და ა.შ.													

ბიუჯეტი

ბიუჯეტი უნდა იყოს ლოგიკურ კავშირში პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებთან. ბიუჯეტს უნდა ჰქონდეს ცხრილის სახე (იხ. ცხრილი №2). ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებს (მომსახურების) სფეროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს. სასურველია ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის პუნქტები, რომლებიც არ არის არსებითი ან არ არის პროექტთან მისადაგებული. მითითებული ფასები უნდა იყოს საბაზრო (უმჯობესია რომელიმე ფირმის საფასო პრეისკურანტის წყაროს სახით მითითება).

ცხრილი № 2

სამუშაოს/ მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	მოთხოვნილი თანხა	ს უ ლ
1.				
2				
3.				
სულ:				

მოსალოდნელი შედეგები

განაცხადის ფორმის ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოჰყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას რაოდენობრივი ან/და თვისობრივი მაჩვენებლებით (გთხოვთ შეეცადოთ შედეგები იყოს დათვლადი, რაც ამარტივებს მონიტორინგის პროცედურას და ხშირ შემთხვევაში გაცილებით მომგებიანია).

მონიტორინგი და შეფასება

განაცხადის ამ ნაწილში თქვენ უნდა აღნიშნოთ, თუ როგორ მოხდება თქვენი პროექტის მიმდინარეობაზე დაკვირვება და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი წარმატება.

დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის სახით შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც განამტკიცებს განაცხადს და გახდის მას უფრო დამაჯერებელსა და გასაგებს. განაცხადს შესაძლებელია თან ახლდეს რეკომენდაცია შესაბამის სფეროში აღიარებული ექსპერტებისაგან.

საპროექტო წინადადება – „ქრისტიანული თემის დაარსება ნულრუღაშენის მონასტერთან“ (ებრაული კიბუცის ქართული ვარიანტი)“

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროგრესული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური გამოცდილების შესწავლა-გამოყენებას. სახელდობრ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აზრით, ამ სფეროში, დიდი შედეგების მოტანა შეუძლია ებრაული კიბუცების ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების (ქრისტიანული თემი) შექმნას საქართველოს სათანადო რეგიონებში.

ისრაელის სოფლის მეურნეობის საფუძველს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიეები წარმოადგენენ. ამ ქვეყანაში მოქმედებს კოოპერატივის ძირითადად ორი ტიპი: კიბუცები („კომუნალური მეურნეობა“) და მოშავები („მუშათა დასახლებები“). ესაა უნიკალური კოლექტიური ფორმაციები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა და ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ (1947 წ.) ინტენსიურად დაიწყო განვითარება.

კიბუცები და მოშავები დომინირებენ ისრაელის სოფლის მეურნეობაში, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები:[1]

- მათ წილად მოდის ქვეყანაში წარმოებული აგრარული პროდუქციის 80%;
- ისინი ამუშავებენ სახნავი მიწების 70%-ს;
- ფლობენ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ფონდების 75%-ს

კიბუცები კოოპერატიულ ფორმას წარმოადგენენ, სადაც წარმოების საშუალებებზე საერთო საკუთრება ვრცელდება, ადგილი აქვს ასევე ცენტრალიზებულ განაწილებას. კიბუცის წევრები არ ღებულობენ გასამრჯელოს, მაგრამ უზრუნველყოფილნი არიან ყველა საჭირო ნივთით. აქ მოქმედებს ცენტრალიზებული საზოგადოებრივი კვება (საერთო სამზარეულო, საერთო სასადილო), საერთო სამრეცხაო და ა.შ., სადაც სამუშაოს მორიგეობით ასრულებენ.

კიბუცებში ცხოვრობს ისრაელის მოსახლეობის 3%. მთლიანად კიბუცების რაოდენობა სამასს აღწევს.

კიბუცები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გარდა ეწევიან ასევე სამრეწველო საქმიანობას და ემსახურებიან ტურისტებს, რაც მათ მოქნილობას ადასტურებს.

ძირითადი იდეები, რომლებსაც ეყრდნობა კიბუცის ფენომენი, გამოკვლეული და ჩამოყალიბებულია XX საუკუნის 20-ან წლებში ო. ლებლის ნაშრომში „კვუცის კანონი“.[2]

1. შრომის საერთო მოვალეობა;
2. კოლექტიური შრომა და თვითმმართველობა სამუშაო დროის განაწილებით;
3. კომუნური ტიპის ცხოვრება კიბუცში ცხოვრების თანაბარ პირობებში;
4. უფლებების თანასწორობა საზოგადოებასა და მეურნეობაში;
5. დამოუკიდებელი არჩევანი სამუშაო ორგანიზაციის დამტკიცებისას;
6. თითოეულის პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ;
7. დისციპლინა მეურნეობის ყველა სფეროში და თემის ცხოვრებაში;
8. თითოეულის თავისუფლება ისეთ საკითხებში, როგორიცაა პოლიტიკა, რელიგია, პარტიები და სხვ.
9. დაჭირავებული შრომის უარყოფა კიბუცის მეურნეობაში;

---

[1] იხ.: შიხაშვილი მ. საქართველოს და ისრაელის საგარეო-ეკონომიკური კავშირები და მათი განვითარების პერსპექტივები. სამაგისტრო ნაშრომი. ხელმძღვანელი პროფესორი თ. ლაჭყეპიანი. თბ., 2007, გვ. 33-34.

[2] იხ.: www. avtonom.org./lib/theory/israelkibbutz.html. p.2.

10. შრომისუნარიანობის ასაკის მიღწევამდე ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდა და კვება;
11. მოხუცებულთა და შრომისუუნაროთა უზრუნველყოფა;
12. ქალებისათვის ეკონომიკური შრომითი საქმიანობის ახალი სფეროების გამოელენა;
13. კიბუცის ყველა წევრის (ქალების და კაცების) თანაბარი მოვალეობა — იმუშაონ შინამეურნეობაში (სამზარეულო, რეცხვა და სხვ.);
14. კიბუცის წევრთა თავისუფალი შეღწევადობა სამეურნეო პრობლემების განხილვა-მოგვარებაში (მეურნეობის მოცულობა, დარგები, განათლება და კვალიფიკაცია);
15. მუდმივი მისწრაფება წარმოების ზრდისადმი;
16. კიბუცის გაფართოება მისი სამეურნეო შესაძლებლობების ფარგლებში;
17. კიბუცის წევრების ურთიერთდახმარება, როგორც ზემოაღნიშნული მე-3 იდეის გაგრძელება.

კიბუცების მენეჯმენტის მკვლევარი ნ. გოლომბი თავის ნაშრომში „კიბუცის მენეჯმენტი — პირდაპირი დემოკრატია პრაქტიკაში", აყალიბებს კიბუცში პირდაპირი მმართველობითი დემოკრატიის ინსტიტუტებს:[1]

საერთო კრება
სოციალური ქვესისტემა
აღმასრულებელი კომისია
ცენტრალური მმართველობა:

1. მდივანი
2. მართვის კოორდინატორი
3. ხაზინადარი
4. შრომის კოორდინატორი

მართვის და მომსახურების კომისიები:

- სოციალურ საკითხთა კომისია;
  კულტურის საკითხთა კომისია;
  მოხმარების საკითხთა კომისია;
  ჯანდაცვის საკითხთა კომისია;
  „მეორე თაობის" საკითხთა კომისია;
- თავდაცვის საკითხთა კომისია.

ეკონომიკური ქვესისტემა:

მართვის კომისია;
შრომის კომისია.

ცალკეული სამუშაო და დარგობრივი ჯგუფები

- სარძეე ფერმა;
- საფრინველე ფერმა;
- სურსათ-სანოვაგის მოსავალი (შემოსვლა);
- მიწათმოქმედება;
- მრეწველობა (სხვადასხვა);
- მოვლა და რემონტი;
- სასადილო და სამზარეულო;
- სამოსელი;
- აღზრდა.

[1] იქვე.

მოშავები კიბუცებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ აქ თითოეულ ოჯახს თვითონ მიჰყავს მეურნეობა, ხოლო რელიზაცია კოლექტიურ საწყისებზე ხორციელდება. მოშავები სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ნაწილია, სადაც თითქმის 60 ოჯახია გაერთიანებული; თითოეულ მათგანს საკუთარი სახლი და მიწის ნაკვეთი გააჩნია. ებრაელი მოსახლეობის 3,5% მოშავებში ცხოვრობს, რომელთა რიცხვი ქვეყანა'ში 450-მდეა.

ისრაელის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: მარცელეული, ბოსტნეული, ხილი. განვითარებულია ასევე მეფრინველეობა, მეცხოველეობა და მეთევზეობა.

თანამედროვე საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სამეურნეო საქმიანობის სინერგიურული განვითარება საერო და საეკლესიო სფეროებში, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სულიერ და ეკონომიკურ კეთილდღეობას. სათანადო ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებების შედეგად ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ასეთ მიზანს. ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მზად არიან მორწმუნე და პატიოსანი მეცნიერები და სპეციალისტები. სწორედ ასეთ ადამიანებთან თანამშრომლობისა და კონსულტაციების საფუძველზე არის შემუშავებული ჩვენი წინადადება, რომლის მიზანი პროექტთან დაკავშირებული უმთავრესი მოსაზრებების ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. ხოლო პოტენციური სპონსორის ან ინვესტორის მიერ ამ წინადადების მოწონების შემთხვევაში იგივე ადამიანები მზად იქნებიან შეადგინონ მუდმივმქმედი სამუშაო-საკონსულტაციო ჯგუფი სათანადო გეგმის, ბიუჯეტის შედგენისა და კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად.

საქართველოში დღეისათვის უკიდურესად არის გამწვავებული სასოფლო სამეურნეო წარმოების და დემოგრაფიული პრობლემები. ასეთი გარემოება ერის მომავალს კატასტროფით ემუქრება. ტრადიციულად ძლიერ აგრარულ ქვეყანას თავის გამოკვება უჭირს და ჯანმრთელობისათვის მეტად საშიში იმპორტული პროდუქტების თარეშის ასპარეზად არის გადაქცეული.

ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ქართული სოფლის სიძლიერების აღდგენას. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესია ქართველებით დაუსახლებელ-აუთვისებელ რეგიონებში კიბუცების ტიპის საზოგადოებრივი მეურნეობების მოწყობა-განვითარება. ჩვენი აზრით, ასეთ სოფელს ჯობია ქრისტიანული თემი ვუწოდოთ, სადაც კიბუცებისაგან განსხვავებით, სამეურნეო საქმიანობა ქართულ სარწმუნოებრივ-სამეურნეო ცხოვრებას დაეყრდნობა, ვინაიდან, როგორც წმ. ილია მართალი გვასწავლის – კეთილდღეობა სულიერი და ხორციელი საზრდოს ერთიანობით არის უზრუნველყოფილი და ერთ-ერთი მათგანის დაშრეტა ერის დაღუპვის მომასწავებელია.

წამოწყებულ საქმეს შეიძლება ქართული ქრისტიანული თემის აღორძინების პროექტი ვუწოდოთ. თემები უნდა განლაგდეს სათანადო რეგიონებში არსებული ეკლესია-მონასტრების ირგვლივ, რითაც საფუძელი ჩაეყრება ეკლესიის და ქვეყნის ეკონომიკურ მომძლავრებას.

დაქირავებული მუშახელის პარალელურად შესაძლებელია სასულიერო და საერო სასწავლებელთა სტუდენტების შრომის გამოყენება საზაფხულო არდადეგების პერიოდში. გამოჩნდებიან მეურნეობაში მუდმივად დასახლების მსურველებიც, თუ მათ იქ ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებს შეეუქმნით.

პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე აქცენტი უნდა გაკეთდეს მიტოვებულ საზღვერისპირა სოფლებზე, რომლებშიც არის შენობები, სადაც შეიძლება მოზიდული მუშახელის განსახლება. ამ ეტაპზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიზანშეწონილია მექანიზებული კულტურების განვითარება, რის გამოც მუშათა რაოდენობა მინიმალური იქნება (100 ჰექტარის მოვლითი ღონისძიებებისათვის საკმარისია 5 კაციანი მექანიზებული ბრიგადა).

ყოველივე ზემოთ თქმულის ფონზე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ბოლნისის ეპარქიაში, წუდრუღაშენის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დღეს 30-ზე მეტი სამოსახლო შენობაა, რომელსაც გვერდით ეპარქიის საკუთრებაში არსებული 25

ჰა მიწა აქვს შემოსაზღვრული, დაარსდეს ქრისტიანული თემი, სადაც მართლმადიდებელი ოჯახები მონასტრული წესით იცხოვრებენ, მორჩილებით იმუშავებენ, შექმნიან საერთო დოვლათს და მოიხმარენ საჭიროების მიხედვით. შემოსავლის ნაწილი მოხმარდება ეპარქიის განვითარებას და სხვადასხვა საქველმოქმედო თუ სოციალურ პროგრამებს.

ეს საკითხი შეთანხმებულია როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან, ასევე საქართველოს პრეზიდენტთან ბოლნისში მისი ვიზიტის დროს. პრეზიდენტმა, გუბერნატორმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მხარდაჭერა აღუთქვეს ეპარქიას.

თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში არიან მორწმუნე ოჯახები, რომლებიც მზად არიან გაყიდონ თავიანთი სახლ-კარი და ჩასახლდნენ ზემოთ ხსენებულ ქრისტიანულ თემში.

მაგრამ, იმისათვის რომ იქ ხალხი ჩასახლდეს, საჭიროა ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება: მეურნეობის გამართვა, ბაღის, სკოლის, სხვადასხვა სახელსაქმო საამქროების დაფუძნება, რელიგიური, აგროეკოლოგიური თუ კულტურული ტურიზმის დაარსება-აღორძინებისთვის საფუძვლების ჩაყრა და სხვა სამუშაოების ჩატარება.

საფუძვლიანი განხილვის შემდეგ ჯერი შეეაჩერეთ, რათა პირველ რიგში ეკლესიის მიერ მოძიებულ იქნეს ხილისა და პომიდვრის გადამამუშავებელი მინი-საწარმოს ხაზი (მეორადი), რომელიც დიდად გამოადგება აღნიშნულ თემის მოსახლეობას. ხილის პრობლემა საქართველოში არ არსებობს და ძირითადად გორის ეპარქიიდან ვაშლის შემოტანას ვფიქრობთ, ხოლო შესაბამის სეზონზე – ჩვენსა და მეზობელ ეპარქიებში პომიდვრის შესყიდვას და მის გადამუშავებას.

სასურველია, თუ ქვეყნის სამთავრობო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას ამ ისტორიულ-საქველმოქმედო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში შეეწევიან პირველი ქრისტიანული თემის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

დარწმუნებული ვართ, რომ ქრისტიანული თემის პირველი პრეცენდენტის შექმნის შემდეგ, გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში მრავალი ქრისტიანული თემი დაარსდება.

ქრისტიანული თემები უნდა შექმნას, აგრეთვე, სხვა ეპარქიებშიც. ისინი რამდენიმე წელიწადში შეიძლება გადაიქცნენ სინერგიულად (სულიერ-მატერიალურად) განვითარებულ ობიექტებად. თავისი შემოსავლებით ისინი დაიკმაყოფილებენ არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებებს, არამედ დიდ წვლილსაც შეიტანენ საპატრიარქოს ბიუჯეტის შევსებაშიც.

ლიტერატურა:

1. გ.შიხაშვილი. პროექტების მენეჯმენტი. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", 2008, №5.
2. გ.შიხაშვილი. ბიზნეს-ტრეინინგები პროექტების მეთოდის გამოყენებით. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი", 2008, №5.
3. გ. ქეშელაშვილი, ნ. ფარესაშვილი, პროექტების მართვა, თბ, 2008.
4. ე. ბარათაშვილი. გ. ნაკაიძე და სხვ. პროექტის მენეჯმენტი. თბ., 2007.
5. ნ.ჯაიჭაძე, თ.ხომერიკი, ბ.ხვინთელიანი, გ.შიხაშვილი. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., „ინოვაცია", 2005.
6. M. Newell. Project Management Professional. Third Edition. Amacom. New York, 2005.
7. М. Ньюэлл. Управление проектами для профессионалов. Пер. с англ. 3-е издание. М.: Кудиц-Образ, 2006.
8. D. Lock. The Essentials of Project Management. Gower, 1996.
9. Д. Локк. Основы управления проектами. Пер. с англ. М.: НИРРО, 2004.
10. F.Baguley. Project Management. Hodder Headline.London, 2003.
11. Ф. Бегьюли. Управление проектом. М.: Гранд, 2004.
12. www.pmi.org პროექტის მართვის საერთაშორისო ორგანიზაციის (Project Management Institute– PMI) ვებ-გვერდი.

საგამოცდო საკითხები

1. პროექტის არსი და მნიშვნელობა
2. პროექტის მონაწილეები და პერსონალი
3. პროექტის მენეჯმენტი და პროექტის მენეჯერი
4. პროექტის მენეჯერის ვალდებულებები და პასუხიმგებლობა
5. პროექტის მენეჯმენტის ქვესისტემები და მმართველობითი პროცესები
6. პროექტის გეგმა და მისი ელემენტები
7. სპეციალური დოკუმენტები პროექტისათვის
8. პროექტის სიცოცხლის ციკლის პერიოდები
9. შრომის დანაწილება და ამოცანების თანმიმდევრობა პროექტში
10. სასწავლო პროექტების შედგენის ტექნოლოგია
11. საპროექტო განაცხადის მომზადების ტექნოლოგია
12. საპროექტო წინადადება – „ქრისტიანული თემის დაარსება წუღრუღაშვინის მონასტერთან"

თავი III. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“ (მოხსენებათა კრებული)

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსი
ილარიონი (ძიტიაშვილი)

მისალმების სიტყვა

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეციკურსების ხელმძღვანელობას კონფერენციის ორგანიზებისათვის. ჩვენთვის დიდი პატივია ასეთ აქტუალურ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.

მე არ ვარ სპეციალობით ეკონომისტი, მაგრამ ჩემ აზრს რამდენიმე სიტყვით მოგახსნებთ. მე ვფიქრობ, რომ მოსახლეობის ცხოერების დონის ამაღლებისათვის ეკონომიკის განვითარება აუცილებელია, ეს არის ეკონომიკის ძირითადი პრინციპი.

საქართველოსათვის უაღრესად საჭიროა განისაზღვროს სწორი სამეურნეო ორიენტაცია და წარიმართოს სათანადო ეკონომიკური პოლიტიკა.

მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის ლოცვა-კურთხეეთ ჩვენმა ეკლესიამ ძალზედ დიდი ადგილი დაუთმო შემოქმედებითი ინტელიგენციისა და მეცნიერების წარმომადგენლებთან, ასევე სხვადასხვა სფეროში მოღვაწე საზოგადოების წევრებთან ურთიერთობებს, და ვფიქრობ, რომ აუცილებელია ხშირად გაიმართოს მეცნიერული და პროფესიული თვალსაზრისით აი ასეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პრაქტიკული დისკუსიები, რათა ჩამოყალიბდეს საერთო აზრი და დაისახოს პრობლემების გადაჭრის სწორი გზები.

პატრიარქი გვასწავლის, რომ ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით უნდა გადაეწყვიტოთ, საჭიროა ეკონომიკური საქმიანობის და სათანადო განათლების მოწესრიგება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ამასთან, ეკონომიკა განვითარდება თუ ერი შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს. რა თქმა უნდა, ეროვნულ ფასეულობებში შედის ქრისტიანული სამეურნეო-მმართველობითი ტრადიციები, რომლითაც ესოდენ მდიდარია საქართველო. ამ მიმართებით წარსულში ყოველთვის გამოირჩეოდნენ ჩვენი სამონასტრო კომპლექსები, ვინაიდან იქ მყოფი მამები გარდა ღვთივსულიერი ცხოერებისა, უაღრესად გამოცდილი მეურნეები იყვნენ. ჩვენ ვალდებული ვართ ეს გამოცდილება შევისწავლოთ და სამეურნეო-მმართველობით პრაქტიკაში გამოვიყენოთ.

ვიმედოვნებთ, რომ უნივერსიტეტისა და სასულიერო აკადემიის პედაგოგები, მეცნიერ-მუშაკები სტუდენტებთან ერთად თავიანთ ნააზრევსა და მიგნებებს პერიოდულად საერთო სახელმძღვანელო ნაშრომებად და პრაქტიკულ რეკომენდაციებად აქცევენ, რაც ჩვენი ეკლესია-მონასტრებისა და მთელი ეპარქიების სამეურნეო ერთეულებისათვის სასარგებლო თანადგომა იქნება. ამ სფეროში სათანადო განათლების ორგანიზაციისათვის ბევრ სასარგებლოს აკეთებს თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეციკურსები, რომლის ხელმძღვანელობა ფიქრობს მომავალში განსაკუთრებული პროგრამით მოამზადოს მსურველები საეკლესიო ეკონომოსების სპეციალობით. ეს კი, უდავოდ, ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა.

დღეს, როდესაც საქართველოში მეურნეობის განვითარება შეფერხებულია, რა თქმა უნდა, მესტიის რაიონშიც პრობლემები მომრაველებული. როგორც ვიცით, ზემო

სვანეთში მეურნეობის ძირითადი დარგი სოფლის მეურნეობაა, რომელიც დღეს მეტად საეჭვოა მდგომარეობაში იმყოფება. აუცილებელია შემუშავდეს მისი აღორძინების სპეციალური პროგრამა სათანადო დაფინანსების გარანტიებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი მესტიის რაიონში მეურნეობის ტრადიციული დარგების (მეცხოველეობის, მემცენარეობის, მეფუტკრეობის და სხვ.) აღდგენა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონში დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესებას.

ეკონომიკური რეფორმების განხორციელება დიდად არის დამოკიდებული მეცნიერებზე, ეკონომისტებზე, სოციოლოგებზე, და სპეციალისტებზე, რომ განისაზღვროს სწორი ეკონომიკური გზა, რაც აუცილებლად მოუტანს ჩვენს ქვეყანას განვითარებასა და აღმაველობას.

იბადება ასეთი საკითხი, რომ სიტყვა აუცილებლად ქმედითუნარიანი იყოს, ის რეალობაში უნდა შესრულდეს და ვიმედოვნებთ, რომ ეს აუცილებლად მოხდება, რადგან ვიცით, რომ სიტყვა ღვთისაა იგი.

ალბათ ჩვენ ყველას გემართებს ძალზედ სიახლოვე ხატებთან, ფრესკებთან და ეკლესიასთან, რაც თავისთავად ღმერთთან სიახლოვეს ნიშნავს.

ერთხელ კიდევ მინდა დიდი მადლობა გითხრათ, ღმერთმა დაგლოცოთ და მოგცეთ ჟამი მრავალი, რათა თქვენი სიბრძნე, თქვენი ცოდნა და გამოცდილება მოახმაროთ საქართველოს კეთილდღეობას.

ჯამლეტ ჯანჯღავა,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

ქრისტიანობა და ეკონომიკა: უნივერსიტეტისა და ეკლესიის თანამშრომლობა

უპირველეს ყოელისა, დამსწრე საზოგადოებას მინდა მივულოცო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 90 წლისთავი, რომელსაც ჩვენ მიმდინარე წელს ეზეიმობთ. ჩვენი უნივერსიტეტი იმ დიდ მისიას, რომელიც მას დაეკისრა ამ 90 წლის განმავლობაში ღირსეულად ასრულებდა და ასრულებს.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი უნივერსიტეტის იუბილეს ხედება გარკვეული წარმატებებით. მთლიანად გადახალისდა და ახლა სახეზე გვაქვს თანამედროვე მოთხოვნების საბაკალაერო და სამაგისტრო პროგრამები. მოხდა სპეციალობების ოპტიმიზაცია. სულ ცოტა ხნის წინ ფაკულტეტზე არსებული 35 სპეცილობიდან დღეს გვაქვს 2 სპეციალობა – ეკონომიკა და ბიზნესის ადმინისტრირება. თავის მხრივ ბიზნესის ადმინისტრირებაში გამოყოფილია 7 სპეციალიზაცია, რომელიც სრულად პასუხობს ქართულ ბაზარზე დღეს არსებულ მოთხოვნებს.

გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. ძალზე მაღალ დონეზე ჩატარდა სტუდენტთა კონფერენციის ორივე ტური. გამარჯვებულმა სტუდენტებმა და მათმა სამეცნიერო ხელმძღვანელებმა საერთო ჯამში მიიღეს ჯილდოები 10 000 ლარის ოდენობით, რომელიც გაიღო ბიზნესმენმა, ჩვენი ფაკულტეტის აღზრდილმა, პროფესორმა ნიკოლოზ ბაკაშვილმა.

მარტო გასული სემესტრის განმავლობაში ფაკულტეტზე ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა სამი სამეცნიერო კონფერენცია.

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა თანამშრომლობა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტსა და თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო

ინსტიტუტის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსებს – შორის. კერძოდ, ამ ორგანიზაციებისა და საქართველოს საპატრიარქოს ბოლნისის ეპარქიის ძალებით დღეანდელის ანალოგიური კონფერენცია ჩატარდა მიმდინარე წლის 13 აპრილს ბოლნისის კულტურის სახლში. ფაკულტეტის პროფესორები კითხულობენ ლექციებს ზემოაღნიშნულ კურსებზე. ბოლნისის კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ჩვენი ფაკულტეტის პროფესურა და სტუდენტები ჩაერთონ საქმიან ურთიერთობებში ბოლნისის ეპარქიასთან. ეს თანამშრომლობა უნდა გამოიხატოს: ა) ერთობლივი სამეურნეო პროგრამების განხორციელებით; ბ) ჩვენი სტუდენტები უნდა ჩაერთონ ე.წ. მესამე სემესტრის ეგიდით და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ეპარქიის ძეგლების რესტავრაციისა თუ ახალი, ქრისტიანული სოფლის მშენებლობის საქმეში; გ) ჩვენ უახლოეს პერიოდში შევალთ ინიციატიივით ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რათა ფაკულტეტის არჩევითი საგნების ნუსხაში ჩაერთოს ახალი სასწავლო დისციპლინა: „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის საფუძვლები“, რომელსაც ამზადებენ ჩვენი დღეანდელი დოქტორანტი, მომავალი ეკონომიკის დოქტორი – მღვდელი ბასილ ახელედიანი და მისი ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი შიხაშვილი. ამით ჩვენ ხელს შეეუწყობთ: ა)ზნეობრივი ბიზნესის დამკვიდრებას ქვეყანაში; ბ)პრაქტიკულ განხორციელებას თანამედროვე ბიზნესისათვის აუცილებელი საღვთო მცნებებისა: „არ მოიპარო“ და „არ იცრუო“.

მომავალმა ბიზმესმენმა უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფო არსებობს გადასახადებით და ყველა მეწარმე ვალდებულის გადაიხადოს გადასახადი. „მიეცი კეისარს კეისრისა და ღმერთისა ღმერთს“ – გეეუბნება მაცხოვარი. ზნეობრივი ბიზნესის განუყოფელი ნაწილია კონკურენცია და კონკურენტის პატივისცემა. აუცილებელია ჩავუნერგოთ მომავალ ბიზნესმენებს, რომ პატივი სცენ ქართულ ეროვნულ ტრადიციებს და იზრუნონ ეკონომიკის ტრადიციული დარგების განვითარებისათვის.

ამასთან ერთად, საჭიროა გადმოვიღოთ ყოველივე კარგი, რაც დასავლეთის ცივილიზაციას შეუქმნია: ა) დისციპლინა, ბ) შრომისმოყვარეობა, გ) ჯანსაღი კონკურენცია, დ) მომჭირნეობა.

ასე, რომ ეკლესიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკონომიკის აღმაელობის საქმეში.

აღსანიშნაეია, რომ დღეისათვის საქართველოს ეკლესიაში სულიერ ღვაწლს აღასრულებენ თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების კურსდამთავრებულები: ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი პეტრე ცაავა, მღვდელმსახურები ტარიელ სიკინჭალაშვილი, გიორგი პაპიაშვილი, გიორგი სამსონიძე, გიორგი ჭილაშვილი და სხვ. ბათუმის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია ბოლნისის ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე).

სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ ჩატარდა, აგრეთვე, თსუ მაღლიე კორპუსში 2008 წლის 30 მაისს. კონფერენციის ორგანიზატორებად მოგვეელინენ: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და თბილისის სასულიერო აკადემიასემინარიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსები. კონფერენციის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა, აგრეთვე, მიიღეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის წევრმა სტუდენტებმა.

კონფერენციის მუშაობაში, გარდა, თსუ-ს და სასულიერო აკადემიის მეცნიერებისა, მომხსენებელთა სახით მონაწილეობა მიიღეს ისეთი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, როგორიცაა: საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომისია, ჯანდაცვის სამინისტრო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოს ილარიონს რომლის ლოცვა-კურთხევით და დახმარებით ტარდება დღეევანდელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008".

კონფერენციის ორგანიზატორები არიან: საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია; მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა; თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეციალობა; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი.

მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციის ორგანიზებაში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია საქართველოს საპატრიარქომ და პირადად ქალბატონმა შორენა თეთრუაშვილმა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ საპატრიარქოს სამდივნოს წარმომადგენლები მარიამ აელახაშვილი და მარიამ წკრიალაშვილი. ასევე, აღსანიშნავია ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის ბატონ მამუკა ქაცარავას, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის ბატონ ბორის ჟღენტისა და თბილისის ეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ალექსი ნაკანის დახმარება, რომლებმაც უზრუნველყვეს კონფერენციის მონაწილეთა ტრანსპორტით უსასყიდლო მომსახურება.

5 დღის განმავლობაში ზემო სვანეთში ხორციელდება კონფერენციის შემდეგი პროგრამა: ენგურჰესისა და ხუდონჰესის ტერიტორიის დათვალიერება; სოფ. ლატალის წმიდა ადგილების მოლოცვა და მესტიის მუზეუმების დათვალიერება; წირვა-ლოცვაზე დასწრება მესტიაში საკათედრო ტაძარში; კონფერენციის სამეცნიერო სხდომა მესტიის კულტურის სახლში და საზეიმო კონცერტი; წირვაზე დასწრება კალაში და კვირიკობის დღესასწაულში მონაწილეობა; იფარის წმიდა ადგილების მოლოცვა; პრაქტიკული სამეურნეო სამუშაოები ეპარქიის რეზიდენციაში და წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის მშენებლობაზე.

განსახილველად წარმოდგენილია შემდეგი მოხსენებები:

- „ქრისტიანობა და ეკონომიკა: უნივერსიტეტისა და ეკლესიის თანამშრომლობა";
- „სამეურნეო საქმიანობის განვითარება მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში";
- „ხუდონჰესის მშენებლობის პერიპეტიები საქართველოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური ისტორიის ფონზე";
- „ქრისტიანობის მნიშვნელობა სვანეთის ეკონომიკისათვის";
- „ალტერნატიული ღირებულების პრინციპი ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება";
- „განათლება საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის სფეროში და „ქრისტიანობა და ეკონომიკა" კონფერენციების მნიშვნელობა";
- „სვანეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები";
- „ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია ეპარქიებში";
- „კერვა-მოდელირებისა და ხელსაქმის სწავლების ორგანიზაცია სამრევლო სკოლებში";
- „იურიდიული პირების შექმნისა და მართვის წესები";
- „პროფესიული და სახელობო განათლება და ეკლესია";
- „ბიზნესის განვითარების პერსპექტივები მაღალმთიან რეგიონებში";
- „საეკლესიო თემის (კიბუცის) როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში";
- ქრისტიანობა და ეკონომიკა: სვანეთის პერსპექტივები"

„მცირე საოჯახო ბიზნესი – ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაპირობა";
„სვანეთის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები: სოფლის მეურნეობა და ტურიზმი";
მართლმადიდებელი მრევლის ოჯახის ეკონომიკური გაძლიერების გზები და საშუალებები".

კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები ნათლად მიუთითებს განსახილველი პრობლემების დიდ აქტუალობაზე თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის.

განზრახულია კონფერენციის მოხსენებების კრებულის გამოცემა. მიზნად გვაქვს დასახული მომავალ წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს საპატრიარქოს ძალებით კვლავ ჩავატაროთ ანალოგიური კონფერენციები ქვეყნისსავე რეგიონებსა და ეპარქიებში, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდება მეცნიერებისა და რელიგიის, უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშვილიშვილო საქმეში.

სარწმუნოებისა და მეცნიერების დაახლოების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა თსუ მაღლივ კორპუსში სამლოცველოს გახსნამ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თსუ ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციის ინიციატივით, ქველმოქმედი ადამიანებისა და ორგანიზაციების დახმარებით თსუ მაღლივი კორპუსის I სართულზე 2008 წლის 2 თებერვალს გაიხსნა წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო, რომლის მოძღვრად დადგენილია თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის დეკანი, დეკანოზი მიქაელ გალდავა. ეს არის ტაძარი ტაძარში, რომელშიც ანთებული კანდელისა და საკმეველის ნელსურნელება მართლაც მადლად მოეფინა უნივერსიტეტს და იქ მოღვაწე ადამიანებს.

სამლოცველოს დაფუძნებაში დიდი წვლილი მიუძღვით თსუ რექტორს გ. ხუბუას, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორებს გ. შიხაშვილს და ა. გაბრიჭიძეს. „უნივერსიტეტში წმ. გიორგის სახელობის სამლოცველოს გახსნამ კიდევ ერთხელ ცხადყო საეკლესიო და საუნივერსიტეტო ხედვის მთლიანობა. უნივერსიტეტი ყოველთვის იწოდებოდა ცოდნის ტაძრად და ამგვარი სახელდების მიზეზი იყო მისი, არა მხოლოს წმინდა მეცნიერული პროფილი, არამედ, ერთგულება იმ სულიერი ღირებულებებისა, რასაც საუკუნეების განმავლობაში ამკეიდრებდა ქრისტიანული კულტურა"[1] – ამბობს მამა მიქაელი. ანალოგიური მოსაზრებები გამოთქვა გ. ხუბუამ. ამასთან, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნება ახლო მომავალში მაღლივ კორპუსთან ეკლესიის აშენება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რაც უნივერსიტეტში სამლოცველო გაიხსნა, სტუდენტებს შორის სერიოზული უთანხმოება არ მინახავს. ახალგაზრდები სამლოცველო ოთახში შედიან, ლოცულობენ, ესწრებიან მამა მიქაელის ქადაგებებს.

საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გაეიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შეხამებული ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-განვითარება.

სწორედ ასეთ საძირკველს ეფუძნებოდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ყოფა, რამაც ისტორიულ ქარტეხილებში ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად,

---

[1] დეკანოზი მიქაელ გალდავა. სიტყვა სამლოცველოს კურთხევისას. სტატიაში: მაღლივ კორპუსში წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო ამოქმედდა. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 2008, №3. მარტი.

თავის დროზე, მსოფლიოში მოწინავე და თვითმყოფადი ეკონომიკური კულტურის ერადაც წარმოგვაჩინა.

საქართველოს კათოლიკოს-პატიარქი ილია II ბრძანებს: „საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, მატერიალური აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს", ...„საჭიროა, რომ ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით გადაწყვეტოთ. ეკონომიკა განვითარდება თუ ერი შეინახავს ფასეულობებს".[1]

თეოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული გზების დასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო-ღვთისმეტყველურ და საუნივერსიტეტო-მეცნიერულ ხედვათა სინერგიულ ჰარმონიზაციას. უნივერსიტეტი ყოველთვის იწოდებოდა ცოდნის ტაძრად და ამგვარი სახელდების მიზეზი იყო მისი, არა მხოლოს წმინდა მეცნიერული პროფილი, არამედ, ასევე ერთგულება იმ სულიერი ღირებულებებისა, რასაც საუკუნეების განმავლობაში ამკვიდრებდა ქრისტიანული კულტურა. ასევე ეკლესიაც, საუკუნეების მანძილზე უზრუნველყოფდა ერის სულიერი და მატერიალური (მათ შორის, ეკონომიკური) პოტენციალის სიმტკიცეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსებისთანავე იყო კერა არა მხოლოდ კულტურულ-ინტელექტუალური სინათლისა, არამედ სულიერ-ზნეობითი სიმაღლისა. უნივერსიტეტი ყოველთვის ერთგული გახლდათ იმ საუკუნოვანი ქრისტიანული პრინციპებისა და ტრადიციებისა, რომ რწმენა და ცოდნა განურღვეველი მთლიანობაა.

იღუმენი ეგნატე (კურტანიძე)

მეურნეობის განვითარება მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში

დღეს, როდესაც საქართველოს ეკონომიკური განვითარება შეფერხებულია, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც მესტიის რაიონია. მე არ ვისაუბრებ არსებული პრობლემების შესახებ, მაგრამ შეეცდები დავსახო გზები, სვანეთში მეურნეობის გასაავითარებლად.

როგორც ცნობილია, ზემო სვანეთში ძირითად საარსებო წყაროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, რაც პირობების არ ქონის გამო დღეისათვის ფაქტობრივად შეწყვეტილია. სათანადო დაფინანსების შემთხვევაში შესაძლებელია მეურნეობის დარგების (მეცხოველეობის, მემცენარეობის, მეფუტკრეობის და სხვ.) აღდგენა, რაც ხელს შეუწყობს რაიონში მიგრაციული პროცესების შეჩერებას.

ზემო სვანეთის მოსახლეობა, ნიადაგს დღესაც პრიმიტიული მეთოდებით ამუშავებს, რის გამოც ვერ ხერხდება მიწის ეფექტიანი გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ სოფლებში იქნება თუნდაც თითო ტრაქტორი, რომელიც შეძლებს სახნავ-სათესი მიწების დროულ დამუშავებას, ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსაველის წყარო ერთიორად გაიზრდება, მეორე მხრივ კი მყიდველი გარანტირებული იქნება ნატურალური პროდუქტით.

სვანეთში მესაქონლეობის განვითარება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ალპური საძოვრებსაკენ აღდგება გზები და მოსახლეობას ექნება მსხვილფეხა საქონლის მთებში აყვანის საშუალება. ეს გაზრდის რძის პროდუქტების წარმოებას, დროულად

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბილისი, „გეოკერია", 2004, გვ. 294.

მოხდება თიკის მომარაგება, რაც აუცილებელი პირობაა მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად.

სოფლებში შესაქმნელია ეეტ-ობიექტები, სადაც საქონელს შეამოწმებენ ეეტ-ექიმები და დროულად მოხდება დაავადებათა თავიდან აცილება. ეეტ-ექიმების არყოლის გამო, ხშირია მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის მასიური გაწყვეტა, რაც დიდ ზარალს იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში.

სვანეთში, სადაც ძირითადი რელიეფი ალპურია და უამრავი სხვადასხვა ჯიშის ყვავილი ხარობს, აუცილებელია განვითარდეს მეფუტკრეობა, რომელიც მცირემიწიანობის ფონზე ერთ-ერთ შემოსავლიან და პესპექტიული დარგად შეიძლება იქცეს.

ზემო სვანეთის თითქმის ყველა სოფელში არის სხვადასხვა სახის სამკურნალო მინერალური წყალი. შესაძლებელია, გაიხსნას მინერალური წყლის ჩამოსასხმელი მცირე საწარმოები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება.

ყურადსაღებია სვანეთის ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინება, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაუსაქმებელია. იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე მოხდება რძის პროდუქტების გადამუშაება, მცენარეული კულტურის (კარტოფილის) ჩაბარება, მინერალური წყლების ჩამოსასხმელი მცირე საწარმოების ამუშავება, ფერმერთა სახლების შექმნა, ძვირფასი სამკურნალო ბალახების შეგროვება და სამკურნალო საშუალებების დამზადება, ამ დარგების განვითარება სვანეთს იხსნის გარდაუვალი დაცლისაგან.

მინდა მოგილოცოთ ხვალინდელი დღესასწაული, ხსენება კვირიკესი და ილიტასი. წმ. კვირიკე არის ასაკით ყველაზე პატარა მოწამე, რომელიც საკუთარმა დედამ ღვთის სიყვარულით აღზარდა, რამაც განაპირობა მისი მოწამეობრივი აღსასრული. ყველა ჩვენგანის ვალია, მომავალი თაობის სულიერ აღზრდა-ჩამოყალიბებაში შევიტანოთ ჩვენი წვლილი, რათა ქართველებმა ისევ შეეძლოთ თამარ მეფის, ოქროს ხანად არის წოდებული ეპოქის დაბრუნება, სადაც სულიერებამ ზენიტს მიაღწია და ქართველთათვის სანატრელ დროებად იქცა.

გიორგი შიხაშვილი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
პროფესორი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო
ეკონომიკის“ სპეცკურსების ხელმძღვანელი

ხუდონჰესის მშენებლობის პერიპეტიები საქართველოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური ისტორიის ფონზე

ბოლო პერიოდი ჩვენი ქვეყნისათვის ეპოქალურ მიჯნას წარმოადგენს. ჩვენ ედგავართ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალური რეფორმირების გზაზე. სხვა მნიშვნელოვან სფეროებთან ერთად, აუცილებელია ბუნებათსარგებლობის მთელი სისტემის ძირეული სრულყოფა. საქმის წარმატებისათვის აუცილებელია ეროვნულ საფუძველზე ორიენტირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის შემუშავება და სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება.

დღევანდელ და სამომავლო ეკონომიკურ-ეკოლოგიურ საქმიანობაში წარსული შეცდომებისა და თუ მიღწევების გათვალისწინების მიზნით გავიხსენოთ საბჭოური პერიოდის კონცეპტუალური და პრაქტიკული გარემოსდაცვითი გამოცდილება.

იმ პერიოდში დამკვიდრებული იყო კონცეფცია, რომლის თანახმად სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოების გეგმაზომიერი განვითარებისა და ბუნებრივ რესურსებზე

საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში გამორიცხულია ეკოლოგიური პრობლემის რამდენადმე სერიოზული გამწვავება. დაკნინებული, ან საერთოდ მიჩქმალული იყო ეკოლოგიური პრობლემების რეალური საშიშროება. ფართო მასებს „არ უჩვენებდნენ" ქვეყნის მაშტაბით საკმაოდ გავრცელებულ ეკოლოგიურ ანომალიებს. არ უჩვენებდნენ იმიტომ, რომ სენის დაფარვას ცდილობდნენ. ჭირს გულმოდგინედ კი მალავდნენ, მაგრამ იგი კელავ და კელავ ჯიუტად იჩენდა თავს. ამავე დროს საკუთარი თავისა და ხალხის „დასამშვიდებლად" აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს სწორ ეკონომიკურ-ეკოლოგიურ პოლიტიკაზე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების მართვა-განხორციელების საქმეში მოპოვებულ წარმატებებზე და სხვა.

საბჭოური პერიოდის საქართველოში ბოლშევიკური იდეოლოგიის შესაბამისი – ეკონომიკის „გიგანტო-ინდუსტრიული", არაეროენული ორიენტაცია იყო მიზეზი ეკოლოგიური, ენერგეტიკული, სოციალური, სამედიცინო და დემოგრაფიული პრობლემების გამწვავებისა. მაშინდელი უმსხვილესი საწარმოები: რუსთაველი მეტალურგიული, „აზოტის" და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნები კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ენერგეტიკული თვალსაზრისით მძიმე ტვირთს წარმოადგენდნენ საქართველოსთვის.

სამივე საწარმო ერთობლივად მოიხმარდა რესპუბლიკაში გამოყენებული ელექტროენერგიის 20%-ს, გაზის 26%-ს და წყლის 9%-ს, ხოლო ჰაერის და წყალსატევების დაბინძურების შედეგად სახალხო მეურნეობას ყოველწლიურად 40 მლნ. მანეთამდე ზარალს მიაყენებდა (რაც გაცილებით აღემატებოდა მათსავე მოგებას). ამ ქარხნებს რესპუბლიკის გარედან შემოჰქონდათ ნედლეულის უდიდესი ნაწილი და გარეთვე მიემართებოდა თითქმის მთელი მათი წარმოებული პროდუქცია. ასევე იყო ფინანსურ სფეროშიც: „დაფინანსება გარედან, შემოსავალიც – გარეთ".

საბოლოო ჯამში კი შიგნით, საქართველოში მხოლოდ გაძარცულ-გაპარტახებული ბუნება, დაბინძურებული გარემო და დაავადებული, ეკოციდის საფრთხის წინაშე მდგარი მოსახლეობა რჩებოდა. შიგნითვე, ანუ აღნიშნულ და სხვა მსგავს საწარმოებში რჩებოდა ასევე დაავადებული, მაგრამ ხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური „სასუსნავით" (საგზურები, პრემიები, კომპიუტერები, „დუბლიონკები" და სხვ.) წახალისებულ-მოტყუებული პერსონალი.

საბჭოთა საქართველოში სამრეწველო წარმოების მაშინდელი და სამომავლოდ დაგეგმილი სწრაფი ზრდა, „ინდუსტრიული მაქსიმალიზმის" პრინციპის გარდა, ემყარებოდა იმ მოსაზრებასაც, რომ აუცილებელი იყო მიგვეღწია საერთო-საკავშირო დონისათვის ერთ სულ მოსახლეზე უმთავრესი სახალხო-სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით. ასეთი მიდგომა ტრადიციული, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით მართებულია მაშინდელ და დღევანდელ პირობებშიც, მაგრამ მცდარია – თუ ერთდროულად არ მოხდება ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებაც. აქედან გამომდინარე, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოება, ეკოლოგიური დეგრადაციის პირობებში, არ შეიძლება იყოს საზოგადოების სრული კეთილდღეობის მაჩვენებელი. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ გამოვიანგარიშეთ და გავაანალიზეთ სათანადო მაჩვენებლები საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებსა და საქართველოში იმ პერიოდისათვის.[1]

გამოკვლევამ ცხადყო, რომ 1988 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს მიღწეული ჰქონდა მოწინავე ქვეყნების დონე და ზოგჯერ აჭარბებდა კიდეც.

---

[1] იხ.: გ. შიხაშვილი. მდგრადი განვითარების თეორია – ჰარმონიული ეკონომიკურ-ეკოლოგიური მართვის საფუძველი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი. 2001, №51, გვ. 17-23.

მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოების მიხედვით ჩვენ ეაჭარბებდით ჩინეთს, თითქმის ეუტოლდებოდით უნგრეთს და ეუახლოედებოდით იუგოსლავიას და იტალიას.

ფოლადის წარმოებაში საქართველოზე მცირე მაჩვენებელი ჰქონდა ჩინეთს და იუგოსლავიას, ხოლო დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი გეისწრებდნენ შესაბამისად მხოლოდ 19 და 36 კგ-ით.

მინერალური სასუქების მაჩვენებლით საქართველო უსწრებდა ჩინეთს, იუგოსლავიას, იაპონიას, თითქმის უტოლდებოდა დიდ ბრიტანეთს და იტალიას.

ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფების წარმოებით საქართველოს ჩამორჩებოდნენ უნგრეთი, პოლონეთი, ჩინეთი, საფრანგეთი. ტოლი მაჩვენებლები გვქონდა იუგოსლავიასთან და დიდ ბრიტანეთთან.

ცემენტის წარმოებაში საქართველოზე მცირე მაჩვენებლები ჰქონდათ ჩინეთს და დიდ ბრიტანეთს. მხოლოდ 52 კგ-ით გვისწრებდა აშშ.

ასეთი ანალიზი გვიქმნის ობიექტურ სურათს იმის შესახებ, რომ საქართველო არც ისე ჩამორჩენილი ყოფილა მრეწველობის (ფაქტობრივად – ბუნებათმეტყველი და ეკოლოგიურად საშიში დარგების) განვითარების სფეროში, როგორც წარმოსახავდნენ მაშინდელი ჩვენი სწაველულები, ეკონომისტები და „ქრონიკული ტექნოკრატები".

ასეთ ეკონომიკურ მიღწევებს ეკოლოგიური თვალსაზრისით აქარწყლებენ ტერიტორიის ერთეულზე ზოგიერთი ეკოლოგიურად საშიში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მონაცემები (ე.წ. გარემოს დატვირთვა) ცალკეული ქვეყნების მიხედვით. იმავე 1988 წლისათვის რიგ მოწინავე ქვეყნებში ასეთი დატვირთვა ჩვენსაზე ნაკლები იყო. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საქართველოს ტერიტორიის ეკონომიკურ-ეკოლოგიური დატვირთვა 5 მაჩვენებლიდან 4 შემთხვევაში აღემატებოდა აშშ-ს ანალოგიურ მაჩვენებელს. სახელდობრ, საქართველოში ერთ კვადრატულ კილომეტრზე იწარმოებოდა 2,5-ჯერ მეტი ფოლადი, 2,4-ჯერ მეტი ცემენტი, 10 პროცენტით მეტი მინერალური სასუქი და 20 პროცენტით მეტი ქიმიური ბოჭკოები და ძაფები ვიდრე აშშ-ში. სადაც ეკოლოგიური სიტუაცია საკმაოდ დაძაბული იყო. ეს კი იმისი მაჩვენებელია, რომ საქართველოს გარემო გაცილებით გადატვირთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც მძიმე ეკოლოგიური კრიზისის ზღურბლს წარმოადგენდა.

სწორედ ასეთი საგანგაშო სიტუაციის აღსაკვეთად იღწვოდნენ მაშინ ჩვენი გარემოს დამცველები და ობიექტური ეკონომისტები, როდესაც გამოდიოდნენ საქართველოში გიგანტური სამრეწველო და ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის წინააღმდეგ.

აქ ხუდონესის მშენებლობის პერიპეტიების გახსენებაც მიგვაჩნია მიზანშეწონილად. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მისი მშენებლობით პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაინტერესებული იყვნენ:

- საქართველოს ეკოციდის და დემოგრაფიული აღრევის მოსურნე საკავშირო ხელისუფლება;

  საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროები და მათი კელევითი, საპროექტო, სამშენებლო და საექსპლოატაციო ქვედანაყოფები;

  „სამრეწველო-ენერგეტიკული გიგანტიზმის" იდეებით გამსჭვალული და მედროვე მეცნიერები;

  ენგურის გიგანტური (5-ჰესიანი, თავისი წყალსაცავებით) ჰიდროენერგეტიკული კასკადის მშენებლობის დამპროექტებლები და პოტენციური მშენებლები;[1]

---

[1] საზოგადოებას ეურჩევთ გაეცნოს წიგნს: Г.Чоговадзе, И. Мгебришвили, И. Ломов. Ингурская ГЭС. М. Энергоатомиздат, 1987, სადაც აღწერილია 5-ჰესიანი კასკადის პროექტი, რომლის განხორციელების შედეგად სხვა სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ დანაკარგებთან ერთად საქართველო სვანეთსაც დაკარგავდა სამუდამოდ.

საქართველოში მყოფი ის ორგანიზაციები და პიროვნებები, რომლებიც იმედოვნებდნენ გამდიდრებას მშენებლობის დროს ტრადიციულად (ეს მაშინ ყოველ მცირე და დიდ მშენებლობაზე ხდებოდა) წარმოშობილ „ლეევი" (ანუ მაცხენა, ჩრდილოეთანი) შემოსაველების ხარჯზე.[1]

საზოგადოებას იმასაც შეეახსენებთ, რომ ხუდონჰესის მშენებლობა გაუმართებელი იყო არა მხოლოდ ჩამოთვლილი პოლიტიკური და სუბიექტური, არამედ შემდეგი ობიექტური სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური მიზეზების გამოც:

- ხუდონჰესის მშენებლობის პროექტი პრაქტიკულად ანტიეკოლოგიური იყო, ვინაიდან მას არ ჰქონდა გაელილი სათანადო ეკოლოგიური ექსპერტიზა;
- ენგურჰესის მოქმედი კომპლექსის (პესი, კაშხალი, წყალსაცავი) მავნე ეკოლოგიური ზეგავლენა რეგიონის გარემოზე მთელი რიგი პარემეტრების (გეოგრაფიულ-გეოლოგიური, ბიოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო-სანიტარული და სხვ.) მიხედვით აშკარად იყო გამოკვეთილი, რაც უფრო მეტად გამწვავედებოდა ხუდონჰესის კომპლექსის ფუნქციონირების მომატებით;
- ხუდონჰესის მშენებლობამ 80-იანი წლების ბოლოსათვის უკვე დიდი ზიანი მიაყენა მიმდებარე ეკოსისტემას, აგრეთვე, რაც მთავარია, გამოიწვია სოფ. ხაიშის და მთელი მესტიის რაიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის დეგრადაცია;
- საერთოდ, კომპლექსური სოციალურ-დემოგრაფიულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური თვალსაზრისით, საქართველოში, განსაკუთრებით კი – მის მთიან რეგიონებში დაუშვებელი იყო (და არის), ნებისმიერი სამრეწველო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო თუ სხვა დანიშნულების მსხვილი ობიექტის მშენებლობა;
- შეგნებულად თუ შეუგნებლად არ ითვალისწინებდნენ საქართველოში დაძაბული ეკოლოგიური და ენერგეტიკული სიტუაციის წარმოშობის ობიექტურ მიზეზს – ჩვენი ეკონომიკის „გიგანტო-ინდუსტრიულ" ორიენტაციას. ენერგოდეფიციტის აღმოფხვრისათვის ებრძოდნენ შედეგს და არა მის გამომწვევ მიზეზებს, ამიტომაც ხუდონჰესის, ტობარჰესის, ფარიჰესის, ნამახვანჰესის, მინაძეჰესის, ქუთაისის თეს-ის, ატომური ელექტროსადგურის და სხვა ობიექტების მშენებლობას პანაცეად სთავაზობდნენ ისედაც ეკოციდის პირას მისულ საქართველოს;
- მკვლევარები, დამპროექტებლები, ენერგეტიკის მესვეურები არც საქართველოში და არც „ცენტრში" არ იწუხებდნენ თავს ალტერნატიული ენერგეტიკულ წყაროების გამოძებნა-განვითარებისათვის.

როგორც ჩანს, ჩამოთვლილმა და სხვა ობიექტურმა ფაქტორებმა შეაშფოთა საზოგადოება, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, რის საფუძველზეც მთავრობამ 1989 წლის აგვისტოში მიიღო გადაწყვეტილება ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერების შესახებ.

დღეისათვის კვლავ წამოიწია იდეამ ხუდონჰესის მშენებლობის განახლება-დამთავრების შესახებ, რასაც აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს მთავრობა. ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სათანადო მასალების გაცნობამ[2] დაგვარწმუნა იმაში, რომ ჩვენი ენერგეტიკული კრედო ძირითადად ისევ „გიგანტო-ინდუსტრულ" ორიენტაციას ეფუძნება. ამასთან, უცხოური ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ხუდონჰესის წინასწარი ეკოლოგიურ-სოციალური შეფასების ერცელ დოკუმენტში ბევრი საჭირბოროტო საკითხი სათანადოდ არ არის გამოკვლეული, რაც სრულიად სამართლიან შეშფოთებას იწვევს საზოგადოების ფართო ფენებში.

---

[1] ასეთი შემოსაველები ნებისმიერი ობიექტის მთელი საპროექტო-სამშენებლო ხარჯთაღრიცხვის 20-40%-ს შეადგენდა. ხუდონჰესის შემთხვევაში ეს გიგანტურ თანხას აღწევდა.

[2] იხ. საიტზე: WWW. minenergy.gov.ge

უმთავრესი პრობლემა კი არის ის, რომ დღემდე არ გაგვაჩნია მაღალეფექტიანი პრაქტიკული სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი – საქართველოს მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ეროვნული კონცეფცია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ქვეყნის რაიმე საგრძნობ პროგრესზე ლაპარაკი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, სათანადო კონცეფციის შექმნა, შესაბამისი ინდუსტრიულ-ენერგეტიკულ-ეკოლოგიური პროგრამების შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება.

ინეზა ბაბნიძე,
თსუ ასოცირებული პროფესორი

ალტერნატიული ღირებულების პრინციპი ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება

საბჭოთა საქართველოში საუფლო სწავლების გარეშე აღზრდილი თაობებისთვის მართლმადიდებლური სწავლება გაიგივდა მხოლოდ ფილოლოგთა და ისტორიკოსთა შესასწავლ ასპარეზთან. ეს განწყობა ახალგაზრდებში მემკვიდრეობით გადმოვიდა. ამის გამო მართლმადიდებლური სწავლება და ეკონომიკის თეორია დღესაც ერთმანეთისგან თითქმის აბსოლუტურად გამიჯნულ სფეროებად აღიქმება. სწორედ ამ „ჩატეხილი ხიდის" გამთლიანების ერთ-ერთი მცდელობაა კონფერენციების ციკლი სათაურით „ქრისტიანობა და ეკონომიკა", რომელსაც ბოლნისის ეპარქიაში ჩაეყარა საფუძველი, შემდგომ უნივერსიტეტმა ისტუმრა, დღეს კი, ამ ჩარჩოთი იმართება სილამაზითა და გაუტეხელი სულით ცნობილ სვანეთში.

დღევანდელი მოხსენების თემაა სახარებისეული სიბრძნისა და პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ გრეგორი მენქიუს ნაშრომში „ეკონომიკის პრინციპები" გამოთქმული მოსაზრებების შედარება. აღნიშნული სახელმძღვანელო მსოფლიოშია ცნობილი, თარგმნილია ოც ენაზე და გაყიდულია მილიონზე მეტი ტირაჟით. იგი ეკონომიკის საფუძვლების შესწავლის ახალი სტანდარტი და აუცილებელი სასწავლო ლიტერატურაა ეკონომისტი სტუდენტებისთვის მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. ქართულ ენაზე ის ახლახანს მეორედ გამოიცა.

წიგნის ავტორი გამოყოფს ეკონომიკაში მოქმედ ათ ძირითად პრინციპს და წერს, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა მრავალწახნაგოვანია, მას რამდენიმე ცენტრალური იდეა აერთიანებს[1] და ისინი შეიძლება გამოვიყენოთ მრავალ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში. თვით ყველაზე რთული ანალიზიც კი ამ ათ პრინციპზეა აგებული.[2] მათ შორის პირველი ოთხი მათაგანი ეხება იმას, თუ როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს, სამი მათგანი ახასიათებს ადამიანების ურთიერთქმედებას, ხოლო დანარჩენი სამი კი, იმას, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკა, როგორც მთლიანი სისტემა. აღნიშნულ პრინციპებს შორის მე-2 მდგომარეობს შემდეგში: „ნიეთის დანახარჯი არის ის, რასაც ვიმობთ ამ ნივთის ფლობისათვის".

გ. მენქიუ წერს: „იმის გამო, რომ ადამიანები ალტერნატივების წინაშე დგებიან, გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს კონკრეტული ქცევის დანახარჯებისა და სარგებლობების შედარებას. თუმცა, ხშირად ქცევის დანახარჯები ისეთი აშკარა როდია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს."[3]

---

[1] გ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., „დიოგენე", 2008, გვ. 4.
[2] იქვე, გვ. 20.
[3] იქვე, გვ. 5.

„ნიეთის ალტერნატიული დანახარჯი ისაა, რასაც ვთმობთ ამ ნიეთის ფლობის სანაცვლოდ. როდესაც ვიღებთ რაიმე გადაწყეტილებას, მაგალითად, კოლეჯში შესელის შესახებ, უნდა ვიცოდეთ იმ ალტერნატიული დანახარჯის სიდიდე, რომელიც თან ახლავს თითოეულ შესაძლო მოქმედებას. რეალურად, ასეთი ინფორმაცია ყოველთეის გვაქვს. კოლეჯის ასაკის სპორტსმენებმა, რომელთაც მილიონების მიღება შეუძლიათ, თუ სწავლას შეწყეტენ და პროფესიონალი სპორტსმენები გახდებიან, კარგად იციან, რომ მათთვის კოლეჯში სწავლის ალტერნატიული დანახარჯი ძალიან დიდია. ამიტომ არც გვიკვირს, როდესაც ისინი გადაწყეტენ, რომ სარგებლობა დანახარჯებად არ ღირს."[1]

დღეს აღიარებულია, რომ გადაწყეტილების მიღების დროს ანალიზის ამ მეთოდის გამოყენება ყველაზე უფრო ეფექტიანი და თანმიმდეერულია, ამასთან უმრაველესობისთეის მარტივად გასაგები და თვალსაჩინო. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სახარებაში მკითხველისთეის ნებისმიერი არჩეანის სისწორე თუ საუფლო სათნო ქმედება სწორედ ალტერნატიული ღირებულების პრინციპის გათვალისწინებითაა ახსნილი და განმარტებული. თითოეულ შემთხეევაში არჩეანის გაკეთების დროს უფალი არ ბრძანებლობს. იგი გადაწყვეტილების მისაღებად ქცეეიდან გამომდინარე შესაძლო შედეგების ჩვენებით გეიხსნის ამა თუ იმ არჩეანის აეკარგიანობას. ე.ი. გამოიყენება დანახარჯი-სარგებლობა შედარების, ანუ არჩეანის ალტერნატიული ღირებულების დღეისათვის პოპულარული პრინციპი.

ამის დასადასტურებლად სახარებიდან უამრაეი მაგალითის მოყეანა შეიძლება. დასაწყისისთვის შევჩერდეთ მათეს სახარებაში მოცემულ (თავი 5;1-13) ცხრა ნეტარების მაგალითზე: „და ეითარცა იხილა იესო ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ, და მოუხდეს მას მოწაფენი მისნი.

- და აღაღო პირი თეისი, ასწავებდა მათ და ეტყოდა:
- ნეტარ იყენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი (ასეეე: ლუკა 6;20).
- ნეტარ იყენენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.
- ნეტარ იყენენ მშეიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაი (ასეეე: ფს. 36;11).

ნეტარ იყენენ რომელთა პშიოდის და სწყურიოდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღნენ.

- ნეტარ იყენენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.
- ნეტარ იყენენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ (ასეეე: ფს. 23;4).

ნეტარ იყენენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ (ასეეე: ებრ. 12;14).

ნეტარ იყენენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი (ასეეე: I პეტ. 3;14).

ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჯამს გუუედრიდენ და გდეენიდენ და თქუან ყოველი სიტყუა ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთვის (ასეეე: I პეტ. 4;14).

- გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა, რამეთუ ეგრეთვე დეენნეს წინასწარმეტყველნი უწინარეს თქუენსა.

თქუენ ხართ მარილი ქუეყანისაი; უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითამე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არნ მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ" (ასეეე: მარ. 9;50, ლუკ. 14;34). როგორც ეხედავთ, უფლისთვის სათნო თითოეული გადაწყვეტილება იმავე წინადადების მეორე ნაწილში თავისი ალტერნატიული ღირებულებითა და მოსალოდნელი შედეგით აიხსნება, რაც მსმენელისთვის შედარების საფუძველზე, ადეკვატური აღქმის თვალსაზრისით ძალზე ეფექტიანია.

---

[1] იქვე, გვ. 6.

სახარების მიხედვით, მორწმუნე ადამიანთა კარგი და სამაგალითო საქციელის შედეგად უფალი იდიდების: „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაითა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა" (მათ. 5;16). სწორედ ამიტომ გვაჟალებს უფალი, მათ ვინც თავს მორწმუნეებად მიეიჩნევთ, რომ ჩვენს საქციელს ორმაგად დავუკვირდეთ, ეინაიდან არ აღმოჩნდეს დამაბრკოლებელი მათთვის, ვინც ჯერ კიდეე არ შესდგომია საუფლო გზას.

მორწმუნისთვის სულის ძლიერი გამოცდის დროს ალტერნატიული ღირებულების საშუალებით არჩევანის გაკეთება ყველაზე უფრო მეტადაა საჭირო. ეს სახარებაში თავად უფლის ორმოცდღიანი უდაბნოში ყოფნის გამოცდითაა ნაჩვენები. იესო ქრისტე მარხულობდა და 3-ჯერ გამოიცადა ბოროტისგან, მაგრამ იმის გამო, რომ ამ გამოცდას მტკიცე რწმენით, ღრმა და კარგად გაარებული სწავლებით აღჭურვილი შეხედა, დაძლია იგი. ამას მათეს სახარება მოგვითხრობს (მათ. 4;1-11): „მაშინ იესო აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან.

- და იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე და მერმე შეემშია.

მოუხდა მას გამომცდელი და ჰრქუა: უკუეთუ შენ ხარ ძე ღმრთისაი, თქუ, რაითა ქვანი ესე პურ იქმნენ.

ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა: წერილ არს, რამეთუ არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოელითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა (ასევე: ლუკ. 4;4).

- მაშინ წარიყვანა იგი ეშმაკმან მან წმიდასა ქალაქსა და დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა.

და ჰრქუა მას: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაი, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთვის, და ხელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერხი შენი (ასევე: ფს. 90,11-12; ლუკ. 4;10).

- ჰრქუა მას იესო, ვითარმედ წერილ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი (ასევე; ლუკ. 4;12).

კუალად წარიყვანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა და უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდებაი მათი.

- და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე.

მაშინ ჰრქუა მას იესო: წარეედ ჩემგან მართლუკუნ სატანა, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა მსახურებდე (ასევე; ლუკ. 4;8).

- მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან მან, და ანგელოზნი მოვიდეს და ჰმსახურებდეს მას".

დღეს ფასეულობათა აღრევის ურთულეს პირობებში განსაკუთრებით ძნელია დარჩე წესიერი და სიბრძნისმოყვარე. თუმცა ასეთი არჩევანისთვის ჯილდოდ და ალტერნატიულ ღირებულებად უფალი ასეთ ადამიანებს ურთულეს პირობებში გადარჩენასა და გასაჭირში თანადგომას ჰპირდება, როცა ამბობს (მათ. 10;16-20,28-31): „აჰა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა. იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი და უმანკო, ვითარცა ტრედნი (ასევე: ლუკ. 10;3; რომ.16;19).

და რაჟამს მიგცნენ თქუენ, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგვეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი იტყოდით (ასევე: მარ. 13;11. ლუკ.12;11).

- რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყველნი, არამედ სული მამისა თქუენისაი, რომელი იტყოდის თქუენ შორის.
- და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყვდნენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკვლად. არამედ გეშინოდენ მისა უფროის, რომელი შემძლებელ არს სულისა და ხორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა (ასევე: ლუკ. 12;5).

- ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა? და ერთიცა მათგანი არა დაეარდების ქუეყანასა ზედა თეინიერ მამისა თქუენისა (ასეევ: ლუკ. 12.6).
ხოლო თქუენნი თავეისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან.
- ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ.

განსაკუთრებით დიდი ალტერნატიული ღირებულებითაა შეფასებული მართლმადიდებლურ სწავლებაში საკუთარი ჯვარის აღება. აქაც უფალი უდიდეს ტვირთს თავის თაეზე იღებს, თუმცა ჩვენგან გულგრილ დამოკიდებულებაზე მკაცრ ალტერნატიეას გეთავაზობს:

- რომელმან მოიპოეოს სული თეისი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თეისი ჩემთეის, მან პოეოს იგი" (მათ. 10; 38-41. ასეევ: მარ. 8:35. ლუკ. 9:24. იოან. 12;25).
- „მოეედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტეირთ-მძიმენი. და მე განგისუენო თქუენ.
- აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწაეეთ ჩემგან, რამეოუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა. და პპოოთ განსუენებაი სულთა თქუენთაი.
- რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს" (მათ. 11:28-30).
- „და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თეისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს" (მათ. 10;38. მარ. 8;34).
- „რამეთუ აწეე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედეას" (მაოე 3:10).

უდიდესი ალტერნატიული ღირებულებით ხასიათდება სახარებაში მტკიცე სარწმუნოება, სინანული, ცათა სასუფეველისკენ სელის მცდელობა. ეს სათნოებანი მართლმადიდებლურ სწავლებაში განსაკუთრებული შედეგების მომცემია ადამიანის სულის გაფაქიზების, სწორი არჩეანისა და ცხონების გზაზე.

უფალმა საუკეთესოდ იცის ადამიანის სუსტი ბუნების შესახებ და ისევ დანახარჯი-სარგებლობის პრინციპიდან გამომდინარე არჩეანით გეასტიმულირებს კეთილი საქმეების კეთებაში დაეიხარჯოთ, კერძოდ:

- „რომელმან იცოდის კეთილისა საქმე და არა ქმნეს, ცოდვა არს მისა" (იაკ. 4:17).
„უწყოდენ, რამეთუ რომელმან მოაქციოს ცოდეილი გზისაგან საცთურისა მისისა, იხსნეს სული თეისი სიკუდილისაგან და მოფაროს სიმრავლე ცოდვათაი" (იაკ. 5:20).
„და ყოველსაეე რასაცა იქმოდით, გულითად იქმოდეო, ეითარცა უფლისასა და ნუ ეითარცა კაცთასა" (კოლ. 3;23).

დასასრულს თქეენი ყურადღება მინდა შეეაჩერო თავად უფლის მიერ მოცემულ ძირითად ლოცვაზე „მამაო ჩუენო", სადაც უფლისადმი თხოვნით: „მოპიტეეენ ჩეენ თანანადებნი ჩეენნი, ეითარცა ჩეენ მივუტეეებთ თანამდებთა მათ ჩეენთა", ზემოაღნიშნული ალტერნატიული ღირებულების მეთოდის თანახმად. ჩეენი საქციელით ოაკადეე გამოგეყავს საკუთარი განაჩენი იმის თაობაზე – ეიმსახურებთ თუ არა უფლისგან დალოცვას „ორთავ სოფელსა შინა."

ყოველიეე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ მართლმადიდებლურ სწავლებაში ხშირად გამოიყენება ფილოსოფიური აზროვნების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ტრანზიტულობა, ანალოგია, შედარება, მსგავსება და სხვა. მათი საშუალებით შესაძლებელია ამა თუ იმ გადაწყეეტილების აეკარგიანობის უფრო დეტალურად და გასაგებად ახსნა და შეფასება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეისათვის პოპულარული, სწორი არჩეანის მისაღებად ეკონომიკის ალტერნატიული ღირებულების პრინციპი გამოიყენებოდა ჯერ კიდეე XX საუკუნის წინ წმიდა წერილში და, კერძოდ, ახალ აღთქმაში. ეფიქროთ, ამიტომაცაა მითითებული წმ. პაელე მოციქულის წერილში კოლასელთა მიმართ „საიდუმლოსა მას ღმრთისასა და მამისასა და ქრისტესსა, რომელსა შინა არიან ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი და მეცნიერებისანი დაფარულნი" (2; 2-3).

ეთერ ხარაიშვილი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის პროფესორი

სვანეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

სვანეთი თვითმყოფადი და უნიკალური რეგიონია. ამ მახასიათებლებს განსაზღვრავს არა მარტო გეოგრაფიული მდებებარეობა და ისტორიული წარსული, არამედ მდიდარი, მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა. რეგიონის რელიეფის ნაწილი თანამედროვე გამყინვარებით, პალეოგლაციალური და ეროზიულ-დენდაციური ფორმებით არის წარმოდგენილი. სვანეთის გეორგაფიულ-ისტორიული თავისებურებები, რესურსული პოტენციალის უნიკალური მახასიათებლები, ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების ტრადიციები და წეს-ჩვეულებები უნდა დაედოს საფუძვლად რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს და პერსპექტივებს.

სვანეთი, როგორც ეკონომიკური სუბიექტი, პირველ რიგში, მაღალმთიანი რეგიონების რანგში უნდა განვიხილოთ. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური განვითარების ნებისმიერი საკითხი პრიორიტეტულად არის მინნეული, რადგან ამ ტიპის რეგიონებს მსოფლიო ეკოსისტემაში უნიკალური ადგილი უჭირავთ.

გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისიის მასალების მიხედვით მსოფლიოს მოსახლეობის 10% უშუალოდ არის დამოკიდებული მთის რესურსებზე.[1] ბოლო 50 წლის ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად გაზარდა ბარსა და მთაში ცხოვრების პირობებს შორის განსხვავება. მთის მოსახლეობის შემოსავლები მკვეთრად ჩამორჩება ბარის მოსახლეობის ანალოგიურ მაჩვენებელს. აღნიშნულის გამო შეინიშნება ბარისაკენ მიმართული მიგრაციული პროცესების მკვეთრად გაძლიერება.[2]

2007 წლის მონაცემებით საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე ფულადმა შემოსავლებმა და ტრანსფერებმა სოფლად საშუალოდ 51,7 ლარი შეადგინა.[3] აღნიშნული მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით დიფერენციერებულია, ხოლო სვანეთის რეგიონში მკვეთრად დაბალი. სამწუხაროდ, ოფიციალური სტატისტიკური მასალების მიხედვით მაჩვენებლები აღრიცხება სამეგრელო-ზემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ჭრილის მიხედვით. ამგვარი აღრიცხვის პირობებშიც კი დაბალია მოსახლეობის ერთ სულზე როგორც ფულადი, ისე არაფულადი შემოსავლები. საშუალო შემოსავალი სანახევროდაც ვერ უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმით გათვალისწინებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სამომხმარებლო ფულადი შემოსავლების მაჩვენებლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სვანეთის რეგიონში სურსათზე, სასმელზე, თამბაქოზე იხარჯება შემოსავლების 52,9%, ტანსაცმელზე 5,5%. აღნიშნული მაჩვენებლები ქვეყნის მასშტაბით საშუალოდ შეადგენს შესაბამისად 49,3% და 8,7%–ს.[4] მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტის გაანგარიშებამ კი გვიჩვენა, რომ ამ რეგიონში ბუნებრივი მატების შემცირება შეინიშნება. ცხადია ეს ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე, რადგან ადგილი აქვს მოსახლეობის შეფერხებულ კვლავწარმოებას და გართულებულია შრომითი რესურსების სტრუქტურის ფორმირება.

---

[1] მაღალმთიანი რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პირობები, ევროპული გამოცდილება, საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის მასალები, თბილისი, 2006.

[2] Federal Law relating to improvements of living condicions in the mountain regions (WS) www.admin.ch/ch/f/rs/c844.html

[3] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2007. თბილისი, 2008, გვ. 65.

[4] იქვე, გვ. 161.

სვანეთის მთიანი რეგიონის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორთა შორის ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან ერთად უნდა განვიხილოთ მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი სხვა სირთულეებიც. მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური გარემოს არამდგრადობა და მკაცრი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, რასაც ემატება სასაზღვრო მთიანი მასივების პრობლემაც. აქედან გამომდინარე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში მოქმედ ეკონომიკურ პოლიტიკას, კერძოდ მთიანი რეგიონების განვითარების ხელშემწყობი კანონების პაკეტს.

სვანეთის რეგიონების მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის გატარება დაფუძნებული უნდა იყოს გარემოსა და ლანდშაფტების შენარჩუნებაზე. ხელშეწყობა ასევე უნდა გამოიხატებოდეს მიზნობრივ ფინანსურ დახმარებაში, მიწისა და სხვა სახის გადასახადებისაგან განთავისუფლებაში, სესხების პროცენტის შემცირებაში, ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი მაღალხარისხოვანი პროდუქტებისა და მომსახურების გაყიდვების ხელშეწყობაში (სვანური ქუდების კერვა, დაზგურ-სამხატვრო და ჭედური ნაწარმის დამზადება, ტურისტული მომსახურება).

სვანეთის ადგილობრივი უნიკალური ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსების მაქსიმალური უკუგებით გამოსაყენებლად და სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად პერსპექტიულია ტურიზმის განვითარება. აგროტურიზმის განვითარებისათვის ფასდაუდებელია სვანეთის კონტრასტული ბუნება, მდიდარი ფლორა და ფაუნა, სამონადირეო სივრცე, მდიდარი ისტორიული საეკლესიო-ხუროთმოძღვრული ანსამბლები. სვანეთში აგროტურიზმის განვითარებას იმდენად დიდი პერსპექტივები გააჩნია, რომ იგი უეჭველად მოითხოვს მართვისა და რეგულირების თანამედროვე, მომავალზე ორიენტირებული სისტემების შექმნას, შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიებითა და მონაცემთა ბაზებით.

სვანეთში ტურიზმის განვითარებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას ამ რეგიონში კულტურულ მემკვიდრეობას, ადგილობრივ მოსახლეობაში ტრადიციული ხალხური რეწვის დარგების განვითარებას. კონფლიქტი მთების დაცვის აუცილებლობასა და სამთო ტურიზმს შორის გარემოს დაცვის ნორმების ფარგლებში უნდა გადაწყდეს. უცილებელია ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება მცირე მასშტაბის ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სამთო ტურიზმს მოემსახურებიან.

ტურიზმის განვითარებასთან ერთად ლოგიკურად უნდა განვიხილოთ ფერმერული მეურნეობების განვითარების საკითხიც. აუცილებელია სოციალურად თანასწორი და ეკოლოგიურად უსაფრთხო პოლიტიკის გატარება მცირე ფერმერული მეურნეობების შენარჩუნების გზით.[1] ზოგადად ევროპის მთიან რეგიონებშიც სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული. სვანეთის რეგიონში ფერმერებზე ფულადი სახსრების პირდაპირი გაცემის პოლიტიკაა გასატარებელი. დახმარების ოდენობის დასადგენად გასათვალისწინებელია რეგიონის რთული ბუნებრივი პირობები, ტოპოგრაფია, კლიმატი, მანძილი პროდუქტის გასაღების მიზნობრივ ბაზრებამდე. მწარმოებელსა და მომხმარებლამდე მანძილის სიშორე მნიშვნელოვნად ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პოტენციალს და დახმარება ამ სფეროში გადამწყვეტია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრადიციული დარგების შენარჩუნებას, კერძოდ მეცხოველეობას, მაგრამ ამ რეგიონში მაღალხარისხიანი და კონკურენტული პროდუქტების წარმოებისათვის, მარკეტინგული იმიჯის შესაქმნელად კვლავ სახელმწიფოებრივი დახმარებაა საჭირო. ხელშეწყობა საჭიროა ისეთ ინიციატივებზე და პროექტებზე, რომლებიც გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. ასეთ კრიტერიუმებად უნდა განვიხილოთ:

---

[1] საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №24(31), 1999, გვ. 31.

არსებული რესურსების დაბალანსებული მობილიზება ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, ენერგეტიკული, ხალხური რეწვის გათვალისწინებით;

ეკონომიკური საქმიანობის განვითარება რეკრეაციული საშუალებების მრავალფეროვნების გათვალისწინებით;

ბიოლოგიური წონასწორობის დაცვა, რელიეფისა და ლანდშაფტების შენარჩუნება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და რეაბილიტაცია;

მოსახლეობის დასაქმების საკითხის მოგვარება გამოცდილებისა და ტრადიციული მეურნეობრიობის გამოყენებით, ადგილზე წარმოებული პროდუქტის მარკეტინული მომსახურებით;

ხანგრძლივი განვითარების ისეთი პროექტების ხელშეწყობა, რომლებიც მცირე ადმინისტრაციული ერთეულების ერთობლივ მუშაობას ითვალისწინებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობა. ეკოსისტემის შენარჩუნების მიზნით ახალი სატრასპორტო კომუნიკაციების გაყვანა და შემდგომი განვითარება უნდა დაექვემდებაროს ევროპის ერთიან გეოგრაფიულ სივრცეში არსებულ გამოცდილებას, რომლის თანახმადაც სატრანსპორტო კომუნიკაციები განიხილება სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების კომპლექსში.

რეგიონის მთავარი პრობლემა არის საინვესტიციო გარემოს განვითარების დაბალი დონე და ინფრასტრუქტურის უქონლობა. ეს განპირობებულია როგორც სახელმწიფოს მიერ გატარებული რეგიონული პოლიტიკის, ასევე კერძო სექტორის განვითარების სისუსტით. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ სვანეთის რეგიონში კერძო სექტორში ძალზე დაბალია სამეწარმეო საქმიანობის აქტივობის მაჩვენებელი. 2007 წლის მონაცემებით სამეწარმეო სფეროში რეგიონის საქონელბრუნვის წილმა მხოლოდ 0,15% შეადგინა, რაც ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ინვესტიციური აქტიურობის დონის შესწავლამაც გამოაელინა, რომ სვანეთის რეგიონი ინვესტიციური აქტიურობის ძალიან დაბალი დონის რეგიონთა ჯგუფშია რეგისტრირებული.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ინვესტიციური აქტიურობის მაღალი დონის ჯგუფის (თბილისი, იმერეთი, ქვემო ქართლი) წილად მოდის ინვესტიციების 82,1%; ინვესტიციების მოცულობა ერთ სულზე თბილისში შეადგენს საშუალოდ 457 ლარს, ქვემო ქართლში – 430 ლარს, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 84,6 ლარს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 51,6 ლარს.[1] ეს მაჩვენებელი მკვეთრად უფრო დაბალია კონკრეტულად სვანეთის რეგიონში. საინვესტიციო თვალსაზრისით სვანეთის რეგიონის დეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანის საშუალება უნდა გახდეს როგორც ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მთავარი წყაროს – საწარმოთა ფონდების სახსრების გამოყენება, ასევე უცხოური ინვესტიციების მოზიდვაც. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის საჭიროა ღონისძიებათა გატარება: პოტენციური ინვესტორების ინფორმაციული უზრუნველყოფა, საინვესტიციო პროექტების მომზადება, შესაბამისი მეთოდური და ინფორმაციული დახმარება, საინვესტიციო საქმიანობის ინფრასტრუქტურის განვითარება, საინვესტიციო პროექტების მუდმივი მონიტორინგი და სხვა.

ამრიგად, სვანეთის რეგიონის ბუნებრივი პირობების, ფლორის, ფაუნის, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების, მთისა და ტყის მასივების გათვალისწინებით, ეკონომიკური რესურსების გონივრული ჩართვით ტურიზმის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სატრანსპორტო და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების განვითარებაში, შესაძლებელია რეგიონის მდგრადი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება.

---

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2007. თბილისი, 2008, გვ. 179.

ნაზი რეხვიაშვილი,
სიონის ტაძრის სამრევლო სკოლის
კერეა-მოდელირების ცენტრის ხელმძღვანელი,
თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“
სპეციკურსების ლექტორი

კერვა-მოდელირებისა და ხელსაქმის სწავლების ორგანიზაცია სამრევლო სკოლებში

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით სიონის ტაძრის სამრევლო სკოლაში 2005 წლის იანვარში შეიქმნა კერვა-მოდელირების შემსწავლელთა ჯგუფი, სადაც სწავლება უფასოა. მომავალი დიასახლისები აქ სწავლობენ ბავშვებისა და მოზრდილების, ძირითადად ეროვნული ტანსაცმლის, რბილი სათამაშოებისა და საბნების კერვას, აგრეთვე ქსოვასა და ქარგვას. მსურველთა რიცხვმა მოლოდინს გადააჭარბა და 90 ადამიანს მიაღწია. გაჩნდა იდეა – ჯგუფის ბაზაზე განვითარდეს წარმოება, სადაც დასაქმდებიან ახალგაზრდები.

იდეის გაღრმავების, საქმიანობის მასშტაბებისა და მიმართულებების ზრდის გამო 2006 წლის დასაწყისში ჯგუფი ჩამოყალიბდა როგორც **სიონის ტაძრის სამრევლო სკოლის საოჯახო სასწავლო-საწარმოო ცენტრი.** ცენტრს უსასყიდლოდ გამოეყო ერთი ოთახი სახელოსნოსათვის ანჩიხატის ეკლესიის ტერიტორიაზე, სადაც საკუთარი ძალებით და შემოწირულობებით ჩატარდა მოკრძალებული რემონტი. ცენტრი თანამშრომლობს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარესთან“, რის საფუძველზეც მან ცენტრს გადასცა საკერაე მანქანები, რომლებიც, სამწუხაროდ სრულად ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს.

სასწავლო-საწარმოო ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების პროფესიული მომზადების, პროდუქციის წარმოების, ადამიანების დასაქმებისა და ქველმოქმედების მნიშვნელოვანი კომპლექსური საქმის მოგვარებას. განზრახულია ისეთი **პროდუქციის გამოშვება, როგორიცაა:** სასულიერო პირთა შესამოსელი; ეროვნული (ჩოხები) და თანამედროვე ტანსაცმელი (მათ შორის, საზეიმო ღონისძიებებისათვის და ქართული ელემენტებით); ფეხსაცმელი (ზაფხულის მსუბუქი და ზამთრის ჩექმები; ტყავის „აზიატსკები“ ჩოხებისათვის); ლოგინის თეთრეული; საბნები აპლიკაციებით; ნაქარგი თეთრეული ბავშვებისათვის; თექა; გობელენი და სხვ.

აღნიშნული მიზნებისათვის, აუცილებელია დამატებითი სასწავლო-საწარმოო და სამაღაზიო ფართობების არსებობა. პერსპექტივაში განზრახულია სპეციალიზებული პროფესიული სასწავლო-საწარმოო დაწესებულების შექმნა.

განზრახულია, აგრეთვე, უახლოეს მომავალში ცენტრმა დაიწყოს სისტემატური გამოცემა საოჯახო-სამეურნეო საკონსულტაციო ჟურნალისა სახელწოდებით – „კერია“, რომელშიც აისახება ისეთი მნიშვნელოვანი თემატიკა, როგორიცაა: ოჯახური ცხოვრების საფუძვლები და კონკრეტული მაგალითები ცნობილი და არაცნობილი ოჯახების ცხოვრებიდან; ემიგრანტი და ლტოლეილი ოჯახები; ინფორმაცია-მილოცვები ახლადდაქორწინებულ ადამიანებს; მოგზაურობა ბავშვთა სამყაროში (ფოტოების დართვით); რჩევები ახალგაზრდა ოჯახებს; ოჯახური მეურნეობის მიმართულებები; ფერმერული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა; საკუთარი ბიზნესის დაწყება და წარმართვა; იურიდიული რჩევები; კერეა-მოდელირება (თარგების დართვით); ხელსაქმე; კულინარია; მედიცინა; აღზრდა-განათლება; ეკოლოგია და სხვ.

სხვა მიზნებიდან აღსანიშნავია:

- პედაგოგების მომზადება ინვალიდებთან სახლში სამუშაოდ;
  სტუდია-სახელოსნოს მოწყობა სატელევიზიო გადაცემისათვის „საკვირაო სკოლა";
- დისტანციური სწავლების მოგვარება.

აღნიშნული მიზნებისათვის, გარკვეულ ეტაპზე საჭირო იქნება დამატებითი სასწავლო-საწარმოო და სამაღაზიო ფართობის არსებობაც (ინტერნეტ-მაღაზიის ჩათვლით).

ახლო მომავალში განზრახულია სპეციალიზებული პროფესიული საოჯახო-სამეურნეო სასწავლო-საწარმოო დაწესებულების შექმნა, რომელშიც მოხდება მოსწავლეთა როგორც უფასო, ასევე ფასიანი მომზადება, კონკრეტული ხელობისა და საოჯახო ბიზნესის საფუძვლების შესწავლა (სათანადო სერტიფიკატის გაცემით), სახელოსნოში და საოჯახო წარმოებაში დასაქმება და მათი შრომის ანაზღაურების მოგვარება.

ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის, **მიახლოებითი** გათვლებით, **სხვადასხვა ვარიანტების** მიხედვით, **ცენტრს სჭირდება 15-20 ათასი ლარი, რაც გარე დამფინანსებლის გარეშე ცენტრისთვის მიუწვდომელია.**

აუცილებელია სპეციალური პროექტის შექმნა და დაფინანსების წყაროების მოძიება.

პროექტში უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი მომენტები:

- პროექტის აღწერა (პრობლემის განსაზღვრა, პროექტის მიზანი, ამოცანები, განხორციელების გზები);
- პროექტის შესრულების განრიგი;
- ბიუჯეტი;
- მოსალოდნელი შედეგები.

საპროექტო იდეის მოწონების შემთხვევაში პოტენციურ სპონსორს (ინვესტორს) წარედგინება შემოთავაზებული სასწავლო-საწარმოო დაწესებულების შექმნა-ფუნქციონირების გაშლილი გეგმა სათანადო ბიუჯეტის ჩვენებით.

გიორგი ამუზაშვილი,
„საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის"
სპეცკურსების მსმენელი

საეკლესიო თემის (კიბუცის) როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში

მოგესალმებით ყოველადუსამღვდელოესო მეუფეო, მამანო, დედანო, ძმანო და დანო პატივცემულო სტუმრებო!

დღეს უფლის შეწევნით და თქვენი მხურვალე ლოცვის შედეგად მოხდა მეტად საინტერესო და აუცილებელი შეხვედრა, რომლის ინიციატორები არიან თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტთან არსებული სპეცკურსები „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა" მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიასთან შეთანხმებით.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს აღორძინდეს ძირძველი საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობები და საეკლესიო სოფლები (კიბუცები). ყველას მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი მონასტერი არამარტო სულიერი, არამედ სამეურნეო საქმიანობის მაგალითის მიმცემი იყო და არის მთელი ერისათვის. თუ გადავხედავთ ჩვენი ერის წარსულს, ნათლად წარმოგვიდგება ყოველივე ეს.

ჩვენს შემთხვევაში განეიხილავთ ერთ-ერთ უძველეს საეკლესიო სოფელ აკურას, იმდროინდელი მძლავრი საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობით.

ფეოდალურ საქართველოში მრავალი მონასტერი თუ ეკლესია დამოუკიდებელ სენიორიად იყო ჩამოყალიბებული და თავისებურ ავტონომიას ქმნიდა. ასეთად მიიჩნევა აკურის მამა დავითის (დავით გარეჯა) დედათა მონასტერი, რომელიც დაუარსებია თავის მამულთან ახლოს წმინდა სასწაულთმოქმედ მამას, ილარიონ ქართველს, თავისი დედისა და დისთვის 855 წელს, შეუწირავს დიდძალი ქონება, მათ შორის, რამდენიმე სოფელი მიწებით და ყმებით. ის წარმოადგენდა დავით-გარეჯის ლავრის მეტოქს, ფილიალს, დიდი მამულებით და მძლავრი სამეურნეო-ეკონომიკური ბაზით (საერო ფეოდალებსა და ეპისკოპოსებს ასეთ შემთხვევაში სასახლეები ექნებოდათ, ჩვენ შემთხვევაში შემორჩენილია IX საუკუნის სასახლის ნანგრევები ვანთის ხევის მარცხენა მხარეს).

რაიმე წერილობითი მითითება გარეჯის მრავალმთის მონასტრების მდებარეობის შესახებ IX დან XIII საუკუნემდე არ მოგვეპოვება, მატერიალურ ძეგლთა შესწავლა კი ადასტურებს ამ პერიოდისათვის მონასტრების მაღალგანვითარებულობას.

აკურის მონასტერი დავით გარეჯისათვის თანატოლი ადგილობრივი ეკონომიკური სამეურნეო ბაზა იყო, საბატონო მეურნეობიდან თუ ყმათა ბეგარებიდან შემოსაელის დასაბინაევებლად და სხვა. გვიან პერიოდში აკურაში ცალკე წინამძღვარი იჯდა. XVIII საუკუნის დამდეგიდან სოფელ აკურაში საწინამძღვრო აღარ უნდა მოქმედებდეს, იგი პირდაპირ შედიოდა გარეჯის სენიორიაში.

სამამულო ურთიერთობა გარეჯასა და მის საყმო მამულს შორის ჩვეულებრივი „ბატონყმობის რიგით“ იყო მოწესრიგებული, მასალების სიმცირე საშუალებს არ იძლევა წარმოვადგინოთ მთლიანი პერიოდის სურათი. ჩვენ არ გვაქვს ყმათა ერთიანი დავთრები, ხოლო ცალკეული საბუთები მხოლოდ XVIII საუკუნიდანაა და ისიც არასისტემური ხასიათის. მაინც შეიძლებოდა ზოგიერთი ცნობის მოტანა. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ცნობა ეხება გარეჯის სათავისთაო მამულს.

გარეჯის განკარგულებაში მყოფი ადგილ-მამულები, ჩვეულებრივ საბეგრო მამულებს წარმოადგენდნენ, რომლებზეც ყმა გლეხები ისხდნენ და გარეჯის სასარგებლოდ გარკვეულ ნატურალურ გადასახადს და სამსახურს იხდიდნენ. მის განკარგულებაში იყო, აგრეთვე, ვენახები და სახნავ-სათესი მიწები, რომლებზეც ყმები ისხდნენ. ასეთი მიწები, ჩვეულებრივ, ბეგრის მუშით, ან საღალოდ მუშავდებოდა.

საერთოდ, საბატონო მეურნეობა გარეჯის სენიორიაში ფეხს იკიდებს ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში. მაგალითად, მე-18 საუკუნის პირველ ათეულში დავით გარეჯას ასეთი მეურნეობა გაუჩაღებია სოფლებში: თვალზე, პატარძეულში და აკურაში. აქ ერთ-ერთ მთავარ დარგს მეღვინეობა-მეეენახეობა წარმოადგენდა, გაშენებული იყო დიდი ზვრები უამრავი საწნახელებით და მომსახურე პერსონალით. მეურნეობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია მეაბრეშუმეობა, რომლითაც კახეთი განთქმული იყო. განვითარებული იყო მემინდვრეობა, მესაქონლეობა. ამას მოწმობს XIX საუკუნის ფაქტიც – აკურის მონასტერს გარკვეულ ადგილებში საკუთარი ჯოგიც ყოლია.

შემონახულია დავით გარეჯის საყმო სოფლის, აკურის მოურავის განწესება (1713 წ.), რომლის მიხედვით კონკრეტული ვითარება ასე წარმოგვიდგება:

1. თითოეული კომლი მოვალე იყო წელიწადში ერთი დღე მოეხნა, ერთი დღე მოემკა და ერთი დღე ემუშავა მოურავის ბაღში;
2. მოურავს უნდა დაემუშავებინა მონასტრის ბაღი, საიდანაც ღვინის გარკვეული ნაწილი უნდა გაენაწილებინა მუშებისათვის, ხოლო დანარჩენთაგან თვითონ აეღო ერთი მეათედი ნაწილი;
3. საქვრივო გადასახადიდან ორი წილი წინამძღვარს ეკუთვნოდა, ერთი წილი – მოურავს;
4. საბალახე გადასახადიდან სამი წილი წინამძღვარს ერგებოდა, ერთი – მოურავს;

5. ქურდობისათვის შეიდეულიდან ორი წილი პატრონს, ოთხი წილი წინამძღვარს, ერთი წილი მოურავს ეკუთვნოდა;
6. ომიანობის შემთხვევაში მოურავის მოთხოვნისთანაევ, ყველა ვალდებული იყო მიეღო მონაწილეობა, გარდა ქემხისა, მუჯირის, მემარნისა და გზირისა;
7. საჭიროების შემთხვევაში მოურავს უნდა ხლებოდა ერთი ან ორი კაცი;
8. მეუღლეთა გაყრის გადასახადიდან ორი ნაწილი წინამძღვარს ეკუთვნოდა, ერთი წილი – მოურავს;
9. მოურავს არ ქონდა უფლება მოეთხოვა წილი საწინამძღვრო შეწირულობათაგან;
10. მსუბუქი დანაშაულის შემთხვევაში მოურავს უფლება ქონდა გადაეწყვიტა საქმე, სერიოზული დანაშაულისას კი – წინამძღვარს.

დასახელებულ პერიოდში მონასტერს, გარდა მოურავებისა, ყავდა აგრეთვე სხვა მოხელეებიც, რომელთა მოვალეობას შეადგენდა მონასტრის მამულების პატრონობა, აგრეთვე თვალყური დევნება იმაზე, რომ მონასტერს არ დაკლებოდა „მორიგე ყარაული" სამონასტრო სოფლებიდან.

ქართულ ფეოდალურ წყობაში დავით-გარეჯა არა მხოლოდ ცალკე სამეურნეო-ეკონომიკური ერთეული იყო, არამედ მას ჰქონდა მამულების მართვა და სასამართლოს წარმოება დამოუკიდებელი.

მიუხედავად იმისა, რომ მიწის დამუშავება წარმოებდა ხის კაკით, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს რუსული გუთნის ხმარება დაიწყეს, აკურის სამონასტრო მეურნეობაში მოყვანილი სურსათით, მარაგდებოდა როგორც დავით გარეჯის მონასტერი, ასევე სვეტიცხოველისა და სიონის საკათედრო ტაძრები. რევოლუციამდე საქართველოს ჭარბი პროდუქტი გაქონდა საზღვარგარეთ: პური, ღვინო, აბრეშუმი და წარმოიდგინეთ, – საპონიც კი.

აქ მოყვანილი მცირე მასალის განხილვისას, ნათელია, რომ, მიუხედავად უმძიმესი პირობებისა (გამუდმებული შემოსევები, ძარცვა, აოხრება), ქართველი გლეხი არასოდეს დაცემულა სულიერად, არამედ მუხლჩაუხრელი შრომით აღორძინებდა სოფლის მეურნეობას და სახელმწიფო ეკონომიკას.

მაგრამ დადგა უღმერთობის წლები, დაინგრა ეკლესია-მონასტრები, ეკლესიას ჩამოერთვა ძირითადი სიმდიდრე – მიწები (მარტო სოფელ აკურას – 3000 ჰექტარი მიწა), რამაც გამოიწვია ქრისტიანული ეკონომიკის მოშლა და სახელმწიფოს გაღატაკება.

დღეს-დღეობით ხალხი მძიმე ეკონომიკურ გასაჭირშია, რაც გამოიწვია მიწების ნაჩქარევმა და არასწორმა პრივატიზაციამ. უამრავი მიწები ჩალის ფასად შეიძინეს ცალკეულმა ადგილობრივმა და უცხოელმა შეძლებულმა პირებმა, რომელმაც უგულებელყვეს წინაპართა გამოცდილება და მიიღეს მცირე მოსავალი. ამჟამად დაუმუშავებელია ასობით ჰექტარი მიწა, ასეთი სვლა კი დამღუპველია როგორც ეკონომიკის, ისე სახელმწიფო სიძლიერისათვის.

მაშ რაში ეხედავთ გამოსავალს? ისევ და ისევ გაეიხსენოთ წმ. ილია მართლის სიტყვები: „ერთადერთი ღონე ჩვენის ქონების გაძლიერებისა ჯერ ხანად მარტო მიწათმოქმედებაა ჩვენში,[1] ...ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ეინაობის ბურჯი, ჩვენი მკეიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, – მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმომწონებით თქვას: მე ერი ვარ და მკეიდრი ბინა მაქვს სადღისოდაც და სამერმისოდაც".[2]

თუ გვინდა, რომ ერი გადარჩეს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მიწათმოქმედების განვითარება ქრისტიანული ეკონომიკის საფუძვლების გათვალისწინებით, რაც მდგომარეობს შემდეგში: ეკლესია-მონასტრებს ეტაპობრივად დაუბრუნდეს ჩამორთმეული

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებები, ტომი VII, 1956 წელი. გვ. 40.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებები, ტომი V, 1955 წელი. გვ. 173-174.

მიწები (სახნავი, საძოვარი, ბაღი, ტყე), საპატრიარქოსთან შეიქმნას „საადგილმამულო ბანკი", რომელშიც, ჩემი აზრით, ყველა მამულიშვილი შეიტანს შესაწირს მამულის გადასარჩენად. აუცილებელია მივიღოთ მონაწილეობა გრანტების მოძიებაში, შეიქმნას ბიზნეს-გეგმები და პროექტები, ამ საშურ საქმეში ჩართული უნდა იყვნენ გამოცდილი სპეციალისტები, უნდა გაეითვალისწინოთ მათი რჩევები და ჩვენი წინაპრების გამოცდილება, არ უნდა დაეიეიწყოთ, აგრეთვე, უცხოელების ზოგიერთი სასარგებლო რჩევაც.

კონკრეტულად გაგაცნობთ თუ როგორ მესახება სოფლის მეურნეობის აღორძინება სოფელ აკურაში, სადაც დღემდე დანგრეული პრამდეა მიყვანილი უძველესი დედათა მონასტერი. შეექმენით მონასტრის აღორძინების ფონდი, ეცდილობთ მოვიძიოთ თანხები როგორც მთავრობიდან, ისე ბიზნეს სექტორიდან. ეაწარმოებთ მოლაპარაკებას მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მიწების დაბრუნების თაობაზე.

ჩვენს წამოწყებას ბევრი გამოეხმაურა, ბევრმა აღგვითქვა დახმარება როგორც ფიზიკურად, ისე მატერიალურად. მიწების გამოყოფის შემდეგ შეეადგენთ ბიზნეს-გეგმას და აეიღებთ კრედიტს. განზრახული გვაქვს ეაწარმოოთ ჩვენი წინაპრების გამოცდილებით უძველესი ქართული ჯიშის ეკოლოგიურად სუფთა ხორბალი თავთუხი, ქერი, შერია, სიმინდი, მზესუმზირა და სხვა. შეძლებისდაგვარად შეეიძენთ მსხვილფეხა საქონელს, ფუტკრის რამდენიმე ოჯახს და, რაც მთავარია, ვეცდებით აღვადგინოთ ისეთი უძველესი დარგი, როგორიცაა მეაბრეშუმეობა. მარტო მისი აღდგენით დასაქმდება მთელი რაიონის მოსახლეობა. ამისათვის აქ კარგი ბუნებრივი პირობებია, უნდა განახლდეს თუთის პლანტაციები და აღდგეს გაძარცული აბრეშუმის პარკის საგრენაჟო და ძაფსართავი ფაბრიკები, ამის გაკეთება არ არის ძნელი, თუ რა თქმა უნდა ამაში მთავრობა შეგეიწყობს ხელს.

გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს ძირითადი პირობა, რომ ლოცვების გარეშე ეს ყველაფერი შეუძლებელია, ამიტომ, მადლობა ღმერთს ჩვენი მცდელობით და კულტურის სამინისტროს დახმარებით მომავალ წელს დაიწყება აღნიშნული მონასტრის, ბაზილიკური ეკლესიის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები. განზრახულია ამოქმედდეს წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია, ყველა პირობა იარსებებს მხურვალე ლოცვით და დაუღალავი შრომით მიზნები განვახორციელოთ.

საწყის ეტაპზე, ადგილობრივი მრევლის დახმარებით შეექმნით მცირე საეკლესიო დასახლებას, ანუ კიბუცს, რომლის მოვალეობაც იქნება აღორძინოს და მოუაროს საეკლესიო მეურნეობას, როგორც წინაპართა გამოცდილებით, ისე თანამედროვე პროგრესული მეთოდებით, რადგან სწორედ ასეთი მიდგომით ჩვენ შეეძლებთ ქრისტიანული ეკონომიკის აღმაალობას და ქვეყნის გაძლიერებას.

მოგეხსენებათ, სვანმა ხალხმა მრავალი ქარტეხილის მიუხედავად, სათუთად შემოინახა სარწმუნოება და ტრადიციული მეურნეობა, ამიტომაც მოეწყო აქ ასეთი მნიშვნელოვანი კონფერენცია, რომელიც სტიმულის მიმცემი იქნება ყველასათვის და გეჯერა სვანი ხალხის, რომ ისინი ერთ-ერთი პირველი შექმნიან საეკლესიო-სამონასტრო სოფელს, რადგანაც მასზე დაფუძნებული მეურნეობა იქნება სულიერად მაკურთხეველი და მადლის მიმცემი ყოველგვარი მიწიერი საქმიანობისა.

ღმერთმა ინებოს აღორძინდეს საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობები! დასასრულს უღრმესი მადლობა მინდა გამოვუცხადო მესტიისა და ზემოსვანეთის ეპარქიას და მთელ სვან მოსახლეობას ასეთი გულთბილი მასპინძლობისათვის! დაე ეს შეხვედრა მაგალითის მიმცემი იყოს სრულიად საქართველოს დანარჩენი ეპარქიებისათვის.

ნინო ტარყაშვილი,
„საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“
სპეციკურსების მსმენელი

მცირე საოჯახო ბიზნესი – ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინა პირობა

მცირე ბიზნესს ბევრი ქვეყნის ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამას ციფრებიც მეტყველებს. ამერიკაში მოქმედი ფირმების 95 პროცენტი მცირე საწარმოა. მათზე მოდის ქვეყნის საერთო ეროვნული პროდუქციის 40 და დასაქმებული მოსახლეობის 50 პროცენტი. იაპონიაში მცირე საწარმოებში დასაქმებულია მომუშავეთა 75 პროცენტი.

მცირე ბიზნესი საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეს. ძველ ეგვიპტეში, ფინიკიაში, ნინევიასა და წინა აზიის უძველეს სახელმწიფოებში მცირე ბიზნესის არსებობას დოკუმენტურად ასაბუთებს ყიდვა-გაყიდვის აქტები, საწარმოთა ბუღალტერია, თამასუქები, შრომითი და სავაჭრო ხელშეკრულებები და სხვა.

ქართველური ტომები უძველესი დროიდანვე ითვისებდნენ და განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავდათ მცირე ბიზნესის სხვადასხვა დარგები. ამაზე ნათლად მეტყველებს როგორც ეროვნული, ასევე უცხოენობრივი დოკუმენტური წყაროები.

მცირე ბიზნესის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ იგი არის ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა და მისმა განვითარებამ არსებითი როლი უნდა შეასრულოს კრიზისიდან ეროვნული ეკონომიკის გამოყვანაში.

საქართველოში მცირე ბიზნესის საქმიანობას გარკვეული საფუძველი ნამდვილად აქვს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დღესაც სოფლად მოხუცები ცდილობენ თავი მცირე ბიზნესით ირჩინონ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ყოველთვის არსებობდა საოჯახო ბიზნესი. ამასთან ყოველი რეგიონი სპეციალიზებული იყო გარკვეული სახის პროდუქციის წარმოებაში. ამისი მშვენიერი მაგალითია სოფელი შროშა, სადაც დღესაც საუკეთესო თიხის დოქებს, თეფშებს, ფიალებსა და კეცებს აწარმოებენ. კახეთის ზოგიერთი სოფელი სპეციალიზებულია ქვევრებისა და პურის გამოსაცხობი თონეების დამზადებაში, ფშავ–ხევსურეთი გამოირჩევა სახელგანთქმული მქსოველებით.

სპეციალიზებას ბევრი დადებითი მომენტი ახლდა თან:

1. ყოველი ოჯახის წარმომადგენელი ცდილობდა, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია არ ყოფილიყო სხვათა მიერ წარმოებულ პროდუქციაზე ნაკლები ხარისხის, ნაკლებ ფასში რომ არ გაყიდულიყო;
2. თუ რომელიმე ოჯახი პროდუქციის გასაღების უკეთეს საშუალებას მიაგნებდა, ამას ადვილად გებულობდნენ თანასოფლელებიც;
3. ახლო-მახლო და ზოგჯერ მოშორებით მდებარე გარკვეულ რეგიონებშიც იცოდნენ, თუ რა საქმიანობას მისდევდნენ ამ სოფელში და აქეთკენ მოისწრაფოდნენ, რათა პირველი ხელისაგან, რაც შეიძლება იაფად შეეძინათ წარმოებული საქონელი;
4. ამასთან მყიდველებისათვის ისიც ცნობილი იყო, თუ რომელი პროდუქციის ნაკლებობას განიცდიდა სოფელი. ამიტომ, შესაძლოა, ეს რეგიონი მათთვის საკუთარი ჭარბი პროდუქციის გასაღების ცენტრიც გამხდარიყო. ნაწილობრივ ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

მაგალითები მრავლად შეგვიძლია მოვიყვანოთ. გურჯაანის რაიონიდან ზაფხულში ქიზიყში ამოაქვთ ბადრიჯანი, კიტრი და პომიდორი. ხილეულობიდან ნესვი და საზამთრო. სამაგრეოდ, აქაურებისგან ყიდულობენ პურის ფქვილს, ზეთს, თაფლს. ქიზიყელებს

ფშავ–ხევსურეთ'ში ააქეთ პურის ფქვილი, ზეთი, თაფლი, ყურძენი, ჩურჩხელები, რასაც ყიდიან ან ცელიან ხორცსა და ყველზე, ხევსურულ წინდებსა და ჩითებზე.

ერთი სოფლის მკვიდრნი პროდუქციას მხოლოდ სხვა სოფლიდან მოსულებზე კი არა, თავიანთ თანასოფლელებზეც ასაღებენ, მაგალითად გამოდგება იგივე სიღნაღის რაიონის სოფლები (ნუკრიანი, მაღარო, ბოდბე); აქ ყოველი 5 კომლიდან საშუალოდ ერთსა ჰყავს ძროხა, დანარჩენები მაწონს თანასოფლელებისაგან ყიდულობენ. ცხადია, ვისი მაწონიც უკეთესი იქნება, მისას იყიდიან. ამიტომ გარკვეული კონკურენციაა იმ ოჯახებს შორის, რომლებსაც ძროხები ჰყავთ.

არის კიდეე ერთი დამახასიათებელი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას. უმეტეს სოფლებში ერთი გვარის ან დანათესავებული გვარების წარმომადგენლები ცხოვრობენ, რომელთაც გული შესტკივათ ერთმანეთზე.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ოჯახის მიერ წარმოებული პროდუქცია მათივე იმიჯს განაპირობებს. ვისაც კარგი მაწონი აქვს და იაფად ყიდის, დალოცავენ და იტყვიან: კარგი და პატიოსანი ხალხიაო, ვისაც წყალშერეული მაწონი აქვს და იმავე ფასში ჰყიდის, სახელი გაუტყდება და მყიდველი შეეცდება, მისგან აღარ იყიდოს. ასეთ ოჯახთან თანასოფლელები სხვა საქმიანობაშიაც შორს დაიჭერენ თავს. საბოლოოდ ზნეობრივი ფაქტორი დადებით ზემოქმედებას ახდენს პროდუქციის ხარისხზე, რაც აისახება შემოსავალზეც.

ეკონომიკური ურთიერთობების დროს საქონლის გაცვლის ან გაყიდვისას სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები საქართველოს მოსახლეობა ერთმანეთს ეცნობა და უახლოვდება.

არის შემთხვევები, როდესაც ასეთნაირად გაცნობილი ოჯახები დამოყვრდებიან ხოლმე, ან სხვებს მაჭანკლობენ. მაჭანკლობას აადვილებს ისიც, რომ უტყუარად გებულობენ ოჯახის ზნეს, ხასიათს, ეცნობიან საოჯახო ტრადიციებს, იგებენ მატერიალური შემოსავლის საშუალო რაოდენობას, რაც ხშირად ოჯახის შექმნის უმნიშვნელოვანეს წინა პირობად გვეელინება.

მყიდველი ხშირად ცდილობს ნაცნობ-მეგობრები გაიჩინოს იმ მხარეში, სადაც სურს პროდუქციის შეძენა, რომ მათი საშუალებით რაც შეიძლება ხარისხიანი პროდუქცია იაფად იყიდოს და პირიქით, გამსაღებელი ცდილობს ნაცნობ-მეგობრების შეძენას გასაღების რეგიონში გასასაღებელი ბაზრის მოსაპოვებლად.

ასე, რომ ეკონომიკური ურთიერთობები მეგობრულ ურთიერთობებშიც გადაიზრდება ხოლმე, ანუ საოჯახო ბიზნესი არა მხოლოდ მატერიალური შემოსავლის წყაროა, არამედ სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ადამიანების დაახლოების საუკეთესო საშუალებაც.

საოჯახო ბიზნესის ბევრი დადებითი მომენტიდან აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ოჯახის წევრებსაც უფრო მეტად აახლოებს ერთმანეთთან. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, იზრდება ურთიერთდათმობა და ურთიერთპატივისცემა.

უწინდელ ოჯახებში მშობლები ქალიშვილს რომ ათხოვებდნენ, არკვევდნენ, მას მომავალი ქმრის ოჯახის თითოეულ წევრთან რა სახის დამოკიდებულება შეეძლო ჰქონოდა, ანუ ოჯახის სხვა წევრებთან ერთად რა საქმიანობის წარმართვა მოუწევდა. მიღებული იყო, რომ ქალი შინ უნდა მჯდარიყო და ბავშვები აღეზარდა. ამასთან, ქალისათვის ოჯახი საზოგადოებაც იყო, სადაც ამყარებდა საქმიან ურთიერთობებს დედამთილთან, მაზლის ცოლებთან, უფროს მულებთან. იქნებოდა ეს მატყლის გაჩეჩვა, ძაფის დართვა, სხვადასხვა სახის ტანსაცმლის მოქსოვა თუ სხვა. შესაძლოა, ამიტომაც არსებობდა საქართველოში ფუძე ოჯახებად ცხოვრების წესი, რაც თანამედროვე ევროპულ და ამერიკულ საზოგადოებას დიდად ანცვიფრებს.

საოჯახო ბიზნესი არა მხოლოდ საოჯახო ურთიერთობებს განამტკიცებს, არამედ საუბნოსაც. ქალებს შინ მარტო ჯდომას, ურჩევნიათ სახლს გარეთ საფიხვნოში მოიყარონ თავი, სადაც ხელსაქმესთან ერთად, საუბრითაც შეიქცევენ თავს. არის

შემოხვევები, როდესაც რამდენიმე მეზობელი ერთიანდება გარკვეულ საქმიანობაში, სადაც თითოეულს თავისი წილი აქვს.

საოჯახო ბიზნესის ერთ-ერთი უპირატესობა ისიც არის, რომ ოჯახის თითოეულ წევრს საკუთარი შემოსავალი აქვს და მეორეზე ნაკლებად არის დამოკიდებული. სასაჯ-ეედურო არავისგან აქვს. განსაკუთრებით მომგებიანია საოჯახო ბიზნესი ქალისათვის, რომელიც არ წუდება ოჯახის მოვლას და აქვს შემოსავლის მუდმივი წყარო. მომგე-ბიანია ბავშვებისთვისაც, რომლებიც სწავლობენ, როგორ უნდა მოიპოვონ ფინანსური შემოსავლის წყარო და ხშირად მონაწილეობენ კიდეც საოჯახო ბიზნესში. ამასთანავე მუდმივად იმყოფებიან მშობლებისა და პაპა-ბებიის მზრუნველობისა და ზედამხედვე-ლობის ქვეშ. ეს ყველაფერი კი მათი პიროვნებებად ჩამოყალიბების გარკვეული წინა პირობაა.

სამწუხაროდ, თანამედროვე ქალი იძულებულია, თუკი სადმე იშოვა სამსახური, მოშორდეს ოჯახს და მთელი დღე ლუკმა-პურის ძიებას გადააყოლოს. ბიზნესმენ ქა-ლებს, ოჯახში გარკვეული სიძნელეები ექმნებათ, რადგან, მას ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევენ დროის უქონლობის გამო. ეს კი არც თუ იშვიათად ოჯახურ კონფლიქტებს წარმოშობს. ისე არ გამიგოს ვინმემ, თითქოს სამსახურეებრივი ბიზნესისადმი უარ-ყოფითად ვიყო განწყობილი, მაგრამ დაოჯახებულლი ქალებისთვის, ოჯახური ბიზნესი, ნამდვილად უპირატესია.

უნდა აღინიშნოს შემდეგიც: უწინ დიდ ყურადღებას აქცევდნენ საოჯახო ხელსაქ-მის ცოდნას და ცდილობდნენ ქალიშვილისათვის ის საქმიანობა შეესწავლებინათ, რომელიც შეაძლებინებდა ოჯახის მოვლასთან ერთად ეწარმოებინა ოჯახისათვის საჭი-რო და გასაყიდი პროდუქცია, ჰქონოდა ფინანსური შემოსავლის წყარო. მაშინ, როცა, დღეს, გათხოვილი ქალი, ისევ დედამთილ-მამამთილის სარჩენია.

ვფიქრობთ, სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს და ხელი შეუწყოს მის კვ-ლავ განვითარებას. ეს კი ეკონომიკური განვითარების და ზნეობრივი სიწმინდის საწინდარია. დღეს მოსახლეობა იმდენად გაღარიბებულია, რომ ბევრ ოჯახს მცირე ბიზნესის წარმოების საშუალება არა აქვს. უჭირს პროდუქციის გასაღებაც, რადგან გაღარიბებული ქალაქის მოსახლეობას ურჩევნია უფრო მდარე ხარისხის იაფასიანი საზღვარგარეთული პროდუქცია შეიძინოს.

საქართველოს მცირე ბიზნესის ტრადიციული დარგების განვითარებას სხვა დატვირთვაც აქვს – ხალხური რეწვისა და ეკონომიკის სხვა ტრადიციული დარგების აღორძინებით შეიცვლება საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულება საკუთარი ერის წარსულის, აწყმოსა და მომავლისადმი.

თუმცა, ეს ყველაფერი როდი ნიშნავს, რომ გამოსავალი არ არსებობს. როგორც მთავრობა, ისე ბიზნესმენები დაინტერესებული უნდა იყვნენ მოსახლეობის საერთო მატერიალური დონის ამაღლებით, რათა მას შეეძლოს ძვირადღირებული თუ არა, საშუალო ფასის პროდუქციის შეძენა მაინც.

საბოლოოდ კიდევ ერთხელ მინდა ავღნიშნო, ერი რომ ძლიერი იყოს, უნდა მოძლიერდეს საშუალო ფენა, სადაც მნიშვნელოვანი როლი მცირე ბიზნესმა უნდა შეასრულოს.

გიორგი თოდუა, ზურაბ კახნიაშვილი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის მენეჯერები

სვანეთის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები: სოფლის მეურნეობა და ტურიზმი

მკითხველისათვის, ეფიქრობთ, უცხო ნამდვილად არ უნდა იყოს ინფორმაცია საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რამაც, სამწუხაროდ, ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რომ სვანეთშიც მოიკიდა ფეხი და ლამის უშბა და თეთნულდიც კი მოიცვა. პოდა, სანამ პრობლემა მწვერვალებს დაიპყრობს და შხარიდან გადმოგეხვევა, სწორედ მანამდეა საჭირო სათანადო ღონისძიებათა განხორციელება მისი შეჩერებისა საბოლოო აღმოფხვრისათვის.

სანამ სამმაელო გეგმებს დავსახავდეთ, მოდით გადავინაცვლოთ ჩვენს ისტორიულ წარსულში, სადაც აუცილებლად შევნიშნავთ იმას რომ, ჩვენი სამშობლო მხოლოდ მაშინ იყო ძლიერი და გაბრწყინებული, როდესაც ხალხს თანამემამულეთა ნდობა, წინაპართა ხსოვნის პატივისცემა გააჩნდა და ღირსეულად იცავდა ეროვნულ ტრადიციებს, რის ძირითად საფუძველსაც, ბუნებრივია, ჩვენი ურყევი რელიგიური მრწამსი წარმოადგენდა, რომლისთვისაც ჩვენი მამა-პაპა ხშირად სიცოცხლესაც კი სწირავდა.

აქეე აღვნიშნავთ იმას, რომ მართლაც აღფრთოვანებას იწვევს სვანი მოსახლეობის თუნდაც ყოველდღიური ცხოვრების წესი, რომ არაფერი ეთქვათ პირველადი სახით შემორჩენილ ზოგიერთ უძველეს ტრადიციულ ადათ-წესებზე. და ეს იმ დროს, როცა სადღეისოდ, ჩვენში ადამიანთა დიდი ნაწილი პირად კეთილდღეობაზე ზრუნვისას ხშირად უგულებელყოფს ეროვნულ ფასეულობებს, ქრისტიანულ რჯულსა და ზნეობას, რაც დიდ საფრთხეს უქმნის საუკუნეების განმავლობაში გმირულად შენარჩუნებულ ეროვნულ თვითმყოფადობას.

საბედნიეროდ, გარდა იმ ხალხისა, ვინც წუთისოფელში ქართველად მოელენისათვის ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა საკუთარ მისიაში, არსებობენ კეთილგონიერი ადამიანები, რომელთაც კარგად ესმით ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოების გაძლიერების აუცილებლობა, ასევე მატერიალური დოლათის მოპოვების საჭიროება, რის გამოც ისინი შესანიშნავად ახერხებენ ორივეზე ერთდროულ სინერგიულ-ჰარმონიულ ზრუნვას. მეტიც — ზოგიერთი გამორჩეული ღვთისმოსავი არ კმაყოფილდება მხოლოდ საკუთარი თავით და მასშტაბებსაც მნიშვნელოვნად ზრდის, რის ნათელ პრაქტიკულ მაგალითსაც წარმოადგენს თბილისის აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეციკურსების არსებობა, რომლის ხელმძღვანელობაც თსუ-ს პროფესორ გიორგი შიხაშვილის თაეკაცობით ეხმარება სასულიერო და საერო პირებს, მიიღონ მიიღონ საჭირო ეკონომიკური განათლება და პრაქტიკული რჩევები მათი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისათვის. ეკლესია-მონასტრების კუთვნილი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის საჭიროა აუთვისებელ მიწებზე მოხდეს ახალი ქრისტიანული სოფლების გაშენება, სადაც დასახლდება და დასაქმდება შეჭირვებული მრეველი.

ცხადია ამგვარი ინიციატივები ძალზე სასიამოვნო, მისაბაძი და იმედისმომცემია, რაც სასურველია ეაქციოთ ერთგვარ სტიმულად, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევისათვის, რადგან ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რისი მიღწევაც ჩვენ ყველას ერთად შეგვიძლია.

რადგან უკვე შევთანმხმდით, რომ ძალა ერთობაშია, პირველი ნაბიჯი რომელიც, უნდა გადავდგათ, — ემიგრაციის შემცირება და რაიონში მოსახლეობის დაბრუნებაა, თუმცა ეს უტოპიაა იმ პირობებში როცა, სვანეთში მცხოვრებთაგან ყველაზე „მდიდ-

რები" ხანდაზმული პენსიონერები არიან, ხოლო ბევრ ოჯახში საშუალო დღიური ფულადი შემოსავალი ჩვენი ეროვნული ვალუტის ერთ ერთეულს არ აღემატება.

მოცემულ ფონზე მდგომარეობის გამოსასწორებლად სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება რაიონის საერთო შემოსავლების გაზრდა, რაც თავის მხრივ სვანეთში ყველა არსებული რესურსის მაქსიმალურ სარგებლიანობას გულისხმობს: სასოფლო სამეურნეო სავარგულებიდან (სახნავი მიწა – 10 ათ. ჰა, მრავალწლიანი ნარგავები – 11 ათ. ჰა, ნასვენი მიწა – 90 ათ. ჰა, სათიბი – 21 ათ. ჰა, საპრივატიზაციო მიწების რაოდენობა კი შეადგენს 12.6 ათას ჰექტარს) დაწყებული, მინერალური რესურსების (მოსაპირკეთებელი ქვების, მარმარილოს საბადოები შეადგენს 2992ათ. $მ^3$, ეკონომიკური პოტენციალი – 440 მლნ. დოლარს, მაგმური ქანების საბადოები კი – 2000 ათ.$მ^3$, მისი ღირებულება ფულადი ფორმით კი 100 მლნ. დოლარს შეადგენს. რაც შეეხება ფერად ლითონებს, მათი რესურსი დაახლოებით 50 მლნ-ს უტოლდება, ხოლო კირქვის კი 20 მილიონ აშშ დოლარს) ჩათელით, რისი საერთო ჯამიც როგორც ხედავთ ამ პატარა (სვანეთის ფართობი ხომ სულ რაღაც 4,38 ათ.$კმ^2$-ია) და მცირე რიცხოვანი (მოსახლება – 23 400 კაცი, 2004 წლის მონაცემებით) რეგიონისთვის ძალიან შთამბეჭდავია.[1]

თუმცა ამ პოტენციალის გამოყენება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რასაც ადგილობრივი მწირი ბიუჯეტი ძნელი წარმოსადგენია ეყოს. ამის გამო აუცილებელია გამოიძებნოს საშუალებები, რისი მეშვეობითაც შევძლებთ მივიღოთ „პირველი მილიონი". ამჯერად მეტს აღარ შეგაწყენთ პრობლემებზე საუბრით და ეეცდებით წარმოვაჩინოთ საჭირო იდეები, მეთოდები და დავსახოთ გზები, რომელთა საშუალებითაც შევძლებთ არსებული მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ადამიანთა უმრავლესობას ძალინ უყვარს მოგზაურობა და მოსწონს ბუნების სილამაზე, ხოლო ნაწილს კი მძაფრი თავგადასავლები ხიბლავს. თუ თქვენც ამ კატეგორიებს მიეკუთვნებით, გირჩევთ გაემგზავროთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე.

სვანეთში ჩასვლის წუთებიდანვე ბლოკნოტითა და ფოტოაპარატით შეიარაღებული სტუდენტები ვცდილობდით სანახაობის არცერთი ეპიზოდი არ დაგვეტოვებინა უყურადღებოდ, თუმცა უშედეგოდ, რადგან იქ იმდენად მრავალ, ცნობილ, ეგზოტიკურ თუ საერთოდ უცნობ ღირსშესანიშნაობას წაეაწყდით რომ... არა, ამაზე საუბარს აზრი არ აქვს, ეს თავად უნდა ნახოთ და გამოსცადოთ.

სვანეთის გეოგრაფიული მდებარება, მისი კლიმატური პირობები, ბუნების მრავალფეროვნება, ისტორიული და კულტურული ძეგლები მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ტურიზმის განვითარებისათვის:

- ტურიზმს სწორი ორგანიზაციის პირობებში მოაქვს სწრაფი და დიდი მოგება;
  ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს მომსახურე დარგების (სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, ვაჭრობა და ა.შ.) განვითარებას;
  მოცემულ სფეროში დასაქმებული სამუშაო ძალის უდიდესი ნაწილის საქმიანობა არ მოითხოვს მრავალწლიან სპეციალურ განათლებას.

რეკრეაციული სექტორის ამ უპირატესობების და სვანეთის რეგიონში არსებული რეალური პოტენციალის მიუხედავად, სვანეთის ისედაც მცირე ეკონომიკაში ტურიზმს ძალიან მოკრძალებული ადგილი უკავია და წამყვან დარგად სოფლის მეურნეობა გვეელინება. ეს ალბათ ასევე უნდა იყოს, მაგრამ სოფლის მეურნეობის განვითარება დიდ ფულად სახსრებს მოითხოვს, რაც აქაურ მოსახლეობას არ გააჩნია.

---

[1] სტატიაში ციფრობრივი მასალა წარმოდგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სტატისტიკის დეპარტამენტის და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის 2007 წლის სათანადო მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

ასეთი სახსრების მოძიების რამდენიმე ხერხი არსებობს: ბანკები, ინვესტორები, სახელმწიფო. მაგრამ ეს საკმაოდ ძვირი რესურსია და მათი გასტუმრება გლეხისათვის შეუძლებელი ხდება.

ტურიზმი წარმოადგენს უხილავ ექსპორტს და მისი განვითარება დადებითად აისახება ქვეყნის საეჭრო ბალანსზე, იგი, აგრეთვე, ამყარებს ეროვნულ ვალუტას.

სვანეთის უნიკალური გეოგრაფიული თუ კლიმატური მახასიათებლები, პრაქტიკულად, ყველა სახის ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. მით უფრო, რომ აქ შესაბამისი ტრადიციაც არსებობს და მოთხოვნილებაც.

საქართველოში საზღვაო-საკურორტო ტურიზმი ცივილური თუ „ველური" ფორმებით, მეტ-ნაკლები ტემპით ვითარდება. თუმცა, სვანეთს აქვს შესაძლებლობა, რომ განავითაროს ტურიზმის უფრო მაღალრენტაბელური მიმართულება — სამთო ტურიზმი. ეს სწორედ ის სფეროა, რომლის განვითარებას ერთდროულად რამდენიმე გარემოება უწყობს ხელს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საგარეო ბაზრებზეც.

შესაბამისი გათვლები ცხადყოფს, რომ სამთო კურორტებზე დამსვენებლები, საშუალოდ, ოთხჯერ მეტ თანხას ხარჯავენ, ვიდრე საზღვაო კურორტზე. თუ ზღვაზე დამსვენებელი კვირაში, საშუალოდ, 300-400 დოლარს ხარჯავს, სამთო კურორტებზე იგივე მაჩვენებელი 1400 დოლარამდე შეადგენს. გავითვალისწინოთ ისიც, რომ სამთო ტურიზმით დაინტერესება მთელ მსოფლიოში წლიდან წლამდე იზრდება. არსებული კურორტები კი, უბრალოდ, ვეღარ უძლებენ ტურისტების ასეთ მოზღვავებას — მათი უმეტესობა უკვე შესაძლებლის ზღვარზე მუშაობს.

შესაბამისად, ყოველწლიურად მატულობს მოთხოვნა ახალ კომპლექსებზე. წარმოიდგინეთ, ყოველწლიურად 85 მილიონი ტურისტისგან შემდგარი ნაკადი, უბრალოდ, ვერ ახერხებს მთაში დასვენებას იმის გამო, რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. ევროპის კურორტები მსურველებს ვეღარ იტევს. ამ ათეულობით მილიონი ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ყველაფერს აკეთებენ.

მოსკოვში, მაგალითად, ხელოვნურ მთას აკოწიწებენ, რათა ამ ხალხისგან მისაღები შემოსავალი ხელიდან არ გაუშვან. თურქეთში, ერზერუმში მოსკოვიდან კვირაში ოთხი რეისი მიფრინავს, რათა სამთო ტურისტები გადაიყვანოს. და ეს ნაკადი ყოველწლიურად იზრდება იმის მუხედავად, რომ თურქეთში არც თოლი ვარგა და არც სათხილამურო ტრასები.

ეს რესურსი მთლიანად შეიძლება ჩვენი კურორტებისკენ მოვაბრუნოთ. მთავარი, რა თქმა უნდა, სვანეთის ღირსშესანიშნაობების გამოყენებაა ტურისტების მოსაზიდად, მაგრამ არსებობს ტურიზმის ახალი სახეობები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ მთელ მსოფლიოში.

ეკოტურიზმი ალტერნატიული ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა და ნიშნავს შედარებით წყნარი ბუნებრივი გარემოს, ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული მრავალფეროვნების და დაცული ტერიტორიების დასათვალიერებლად განხორციელებულ მოგზაურობას, მათთვის ზიანის მიუყენებლად.

ეკოტურიზმი ასოცირდება შემდეგ ცნებებთან: არქეოლოგია, მიწის გამოყენების დაგეგმარება, ნადირობა, არქიტექტურა, ბუნებრივი რესურსები, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა, კულტურული მემკვიდრეობა, ცოცხალი ბუნება და სანაპიროები. ტურისტებს, რომლებიც ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს სტუმრობენ, ხშირად მზად უნდა იყვნენ კომფორტთან დაკავშირებული ჩვეული სტანდარტების დასაკიწყებლად. ამ თვალსაზრისით ეკოტურიზმი ტურიზმის მეტად განსხვავებული და მიმზიდველი სახეობაა. საერთაშორისო ტურიზმის დაახლოებით 15-20% ეკოტურიზმს განეკუთვნება.

რაფტინგი მდინარეზე ნავით დაშვებას გულისხმობს. სახელწოდება წარმოიშვა ინგლისური სიტყვიდან „raft" (ტივი). ძველქართულად მას „წყალჯომარდობა" ჰქვია.

რაფტინგი პოპულარული გახდა ევროპაში XX საუკუნის 80-იანი წლებიდან. იგი გარკვეულ ფიზიკურ მომზადებასა და ცურვის ელემენტარულ ცოდნას მოითხოვს. მასში, როგორც წესი, 4-დან 12-მდე ადამიანი მონაწილეობს. ნავები რეზინის ქსოვილისგანაა, რომელთა სიგრძე 3,5 მ-დან 6 მ-მდეა, სიგანე კი 1,8 მ-დან 2,5 მ-მდე. ნავები სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. რაფტინგით ინტერესდებიან ნებისმიერი ასაკის ადამიანები. მდინარეები, რომლებზეც ხდება დაშვება, ერთმანეთისგან სიძნელის შკალით განსხვავდება. საქართველოში მდინარეების ნორმალური სირთულე 2-2,5 ბალია, ხოლო მაქსიმალური — 6.

მდინარეზე დაშვებისას ადამიანს განსაკუთრებული და საოცარი გრძნობა ეუფლება — შეიგრძნოს ბუნების სილამაზე და მისი ენერგია. აქ ადამიანები ერთმანეთზე არიან დამოკიდებული და ერთად აღწევენ მიზანს. მოკლედ შევეხოთ ტურიზმის სპეციფიკურ სახეს, **რელიგიურ ტურიზმს**. ეკლესიების მოლოცვის გარდა, შესაძლებელია უცხოელ ტურისტებს შევთავაზოთ ისეთ რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობა როგორიცაა, მაგალითად, კვირიკობა.

აგროტურიზმი და სოფლის ტურიზმი შინაარსობრივად ახლოს დგანან ეკოტურიზმთან. ზოგიერთი ქვეყნის ტურისტულ ინდუსტრიაში აგროტურიზმის და ეკოტურიზმის ცნებები პრაქტიკულად იდენტურიც კია.

აგროტურიზმის განვითარებისათვის საქართველოს მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია: მეურნეობრიობისა და სტუმართმოყვარეობის მდიდარი ტრადიციები, საინტერესო ტურისტული მარშრუტები, ადრეული და შუასაუკუნეების ისტორიული ძეგლები, თვალწარმტაცი ბუნება.

სოფლად ტურიზმის განვითარების პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი სასტუმრო სახლების ბაზის შექმნას და ამ ბაზაზე სამეურნეო ტურების შემუშავებასა და სპეციფიკური პროდუქტის მიწოდებას ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტებისათვის.

აგროტურიზმში ვიზიტორთა ინტერესს ფერმერთა საქმიანობა და ცხოვრების წესის მიმზიდველობა წარმოადგენს, აგრეთვე — ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტები, რისი დეფიციტიც მთელ მსოფლიოში შეინიშნება. ტურიზმში ჩაბმა ფერმერს დამატებით შემოსავალს მოუტანს. იგი არ ითხოვს დიდ კაპიტალ-დაბანდებებს, მაგრამ საჭიროებს სრულფასოვან დაგეგმვას, სტუმრის მიღებისას საჭიროა შეიქმნას ელემენტარული საცხოვრებელი პირობები ამ საქმიანობაში არსებული სტანდარტების გათვალისწინებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე კარგი რეკლამა სტუმრის შთაბეჭდილებაა, რომელიც მას მიჰყვება სახლში დაბრუნებისას. ყოველ კმაყოფილ სტუმარს მოჰყვება 10 სტუმარი, ხოლო უკმაყოფილო გვაკარგვინებს 10-ჯერ მეტს.

აგროტურისტული მომსახურების მრავალფეროვნება მხოლოდ მცირე და ოჯახური ტიპის სასტუმროებით არის შესაძლებელი, რადგან მათ ახასიათებს მიმზიდველობა და სათანადო სპეციფიკა.

მთავარი ისაა, რომ აგროტურიზმი შედარებით მცირე დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამისათვის საჭირო პირობების მოწყობა ყოველი ოჯახისთვისაა შესაძლებელი. მთავარია ეფექტური რეკლამის გაკეთება, მაგალითად ინტერნეტ საიტების შექმნა ან შესაბამის ტურისტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც თავის თავზე აიღებენ რეკლამის ხარჯებს და ტურისტებს გაუგზავნიან ოჯახურ სასტუმროებს.

და ბოლოს, სვანეთს აქვს საკმაო პოტენციალი იმისათვის, რომ განავითაროს თავისი ეკონომიკა. ეკონომიკის ძირითადი დარგის სოფლის მეურნეობის აღორძინების ერთ-ერთ, თუ არა ერთადერთ სწრაფ საშუალებად კი ტურიზმის განვითარება გვესახება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. 2007.
2. ა. სოხაძე, მ. ლომთაძე. ტურიზმის ეკონომიკა. ქუთაისი, 2004.
3. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი: http://maf.ge
4. ტურიზმის დეპარტამენტის ოფიციალური ვებ–გვერდი: http://tourism.gov.ge

ლია ჩილინდრიშვილი,
„საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“
სპეციალობის მსმენელი

მართლმადიდებელი მრევლის ოჯახის ეკონომიკური გაძლიერების გზები

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „ქართველი ერის მოქცევა – ეს არ არის არც პირადად ჩემი და არც ჩვენი სამღვდელოების დამსახურება – ეს არის ღვთის დიდი წყალობა!“.

მართლაც ღვთის დიდი წყალობაა საქართველოსათვის მისი უწმინდესობა. დიდი წყალობაა მართლმადიდებელი ოჯახის წევრობა, მითუმეტეს თუკი ოჯახი ეკონომიურად წარმატებულია და თავის შემოსავალს სწორად ანაწილებს.

უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, ეკლესია სათუთად უფრთხილდება ოჯახის სიმტკიცესა და ერთიანობას, ამიტომ ასე გვასწავლის: „აწ უკვე რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“ (მთ. 19,6).

უკეთუ არ გვეძლევა ღვთის წყალობა – ჩვენს ცოდვებზე უნდა დაეფიქრდეთ. აღსარებითა და ზიარებით იწყება ადამიანის განთავისუფლება ცოდვებისაგან და შესაბამისად არც წარმატება აყოვნებს. ეს არის ნომერი პირველი სელა ოჯახის კეთილდღეობისთვის. სულიერებით დაწყებული და ეკონომიკური გაძლიერებით დამთავრებული. გამდიდრებულ მრევლს არ უნდა დაავიწყდეს ეისგან მიეცა და ღვთისაგან ბოძებული სიკეთეში უნდა გამოიყენოს. მოწყალების საქმე კარგია, მაგრამ საარსებო საშუალების მიცემა-დასაქმება უმჯობესია.

სწორედ მართლმადიდებელი მრევლის დასაქმებისა და მათი ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებას ჩაუყარა საფუძველი თსუ-ს პროფესორმა გ.შიხაშვილმა, როდესაც მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხეეთ შეიქმნა თბილისის სასულიერო სემინარიის და აკადემიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეციალობა.

მართლმადიდებელი მრევლის ოჯახის ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლოცვას. ეკლესია გვასწავლის:

„ქმარნი ეგრეთვე თანა-მკვიდრ იყვენით შენდობით, ვითარცა უუძლურესსა ჭურჭელსა, დედათა მისცემდით პატივსა, ვითარცა თანა-მკვიდრთა მადლისა ცხორებისათა, რაითა არა დაჰბრკოლდებოდინ ლოცვასა თქვენსა“ (1 პეტრ. 3,7). ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ორსული ქალი მუცლად ყოფნიდანვე ზრუნავს შვილის სიმშვიდეზე, როდესაც კითხულობს ფსალმუნებს. ასეთი ბავშვი იბადება მშვიდი და მშვიდ გარემოში ყველანაირი სიკეთე მიიღწევა.

რარიგ მნიშვნელოვანია მორწმუნე, ზნეობრივად მაღალ დონეზე მდგარი განათლებული ოჯახის პატრონი ადამიანი, სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის საქმეში. სწორედ ასეთი ადამიანები და წარმატებული ბიზნესმენები წარმოად-

ვუნენ დასაყრდენს მართლმადიდებელი მრეველის და მათი ოჯახების ეკონომიკურად გაძლიერებისთვის.

ეკლესია გვასწავლის: ოჯახი მაშინ ხდება ბედნიერი და სრულყოფილი, როდესაც მისი ყოველი წევრი არ არღვევს ღვთის მცნებებს, იცავს ქრისტეს ეკლესიის ყველა წესს და მისდევს მას. ასეთი ოჯახი შეიძლება შევადაროთ სახარებისეულ „კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი კლდესა ზედა. და გარდამოხდა წვიმაი, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს სახლსა მას და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა" (მათ. 7,24-25).

იმისათვის, რომ ასეთი ქრისტესმიერი ოჯახები შეიქმნას, საჭიროა ახალგაზრდებმა იარონ ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბებულ სამრეველო სკოლებში, სადაც წაეკითხებათ ლექცია-საუბრები ოჯახში სხვადასხვა პრობლემების წარმოქმნის მიზეზების აღმოფხვრისა და ბედნიერი ოჯახის შექმნა-განვითარების შესახებ.

ბევრმა არც კი იცის რა კარგი ლოცვები არსებობს ამ კუთხით. საჭიროა ახალგაზრდა წყვილებს განემარტოთ, თუ რა მძიმე ცოდვაა აბორტის გაკეთება, სხვა ცოდვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ძალზე მნიშვნელოვანია მოძღვართან მამა-შვილური დამოკიდებულება. ღვთის მადლით, დღევანდელ დღეს ყველა მოძღვარი ღვთის წყალობაა თითოეული ჩვენთაგანისთვის. ამასთან, თუკი მოძღვარს მხარში ამოუდგება განსწავლული, სამეურნეო გამოცდილების მქონე მრეველი, რომელიც საკმაოდ მრავალად მოგვეპოვება, კარგ შედეგებს მივაღწევთ ოჯახის წევრების დასაქმებისა და შემდგომი ეკონომიკური გაძლიერების მხრივაც.

მოძღვარი შეგვაგონებს, რომ ოჯახი სიწმინდესთან უნდა ასოცირდებოდეს. ცოლსა და ქმარს შორის მოკრძალებული დამოკიდებულება უნდა არსებობდეს. მათი საქციელი სამაგალითო უნდა იყოს შვილებისათვის. უმჯობესია ქმარმა მართოს მთელი ოჯახი, თუკი ხელეწიფება, მამამ უზრუნველყოს შვილები მატერიალურად, ხოლო დედამ არ მოაკლოს სულიერი საზრდო და მოელა-პატრონობა. მაგრამ დღევანდელობაში არსებობენ ისეთი ქალები, რომლებსაც შეუძლიათ ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში, ქართველი კაცის მენტალიტეტიდან გამომდინარე, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა ქალმა თავისი საქციელით არ დაამციროს ქმრის ღირსება.

მამაკაცის ლოცვას, მის კეთილმოწესეობას დიდი და განსაკუთრებული ძალა აქვს. იმ ოჯახში, სადაც კეთილმოწესე მამა ცხოვრობს ყველაფერი მოწესრიგდება, ოჯახის წევრები შეცდომებს არ დაუშვებენ და შესაბამისად ღვთის წყალობაც არ დააყოვნებს. ასეთ ოჯახში რთული პრობლემები არ იარსებებს.

უკეთუ დღევანდელობაში ბევრი პრობლემები გვაქვს, ეს თითოეული ჩვენთაგანის ულოცველობის ბრალია. მაგრამ ყველაფერს ეშველება მოთმინებით, თავმდაბლობითა და მღვიძარეობით. ოჯახის ტვირთი უფლისგან ბოძებული მსუბუქი ტვირთია, მთავარია ჩვენ თვითონ არ დავამძიმოთ!

პრობლემის დაძლევის გზები მოძღვრის დახმარებით, მისგან გამოთხოვილი ლოცვა-კურთხევით უნდა მოიძებნოს. უმჯობესია ოჯახს ჰყავდეს ერთი მოძღვარი, თუმცა არსებობს თავისუფალი ნება. თანამედროვე ცხოვრებაში საცდუნებელი მახეები ბევრია დაგებული ოჯახში არეულობის შემოტანის მიზნით, ტელევიზიისა და სხვადასხვა გასართობი სანახაობების სახით.

ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით მუშაობა დაიწყო ახალგაზრდული ორგანიზაციების კოალიციამ „მოძრაობა ზნეობრივი საქართველოსათვის" – „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" შესახებ, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენი მომავალი თაობისათვის. მე, როგორც დედა, მადლობას ვწირავ ამ ღირსეულ მამულიშვილებს ჩვენი შვილებისთვის ზრუნვისათვის.

მართლმადიდებელი მრევლის მიზანია ჰქონდეს სანაქებო ოჯახი. მაგრამ სულიერად განწმენდილს მატერიალური უზრუნველყოფაც სჭირდება, რამეთუ სიღარიბეც ხშირად უბიძგებს საცდურებისაკენ.

ჩვენში უფულობის გამო ბევრმა საცხოვრებელი სახლებიც კი გაყიდა და საზღვარგარეთ წავიდა საშოვარზე. მატერიალურ სიდუხჭირის გამო ზოგს ოჯახი დაეღუპა, ზოგი – სახელმწიფოსაც კი ეხმარება, მაგრამ ასეთები ძალიან ცოტაა.

აი რას სწერს წმ. ილია მართალი თავის მეუღლეს პეტერბურგიდან: „როგორ ეტყობათ ჭაეჭავაძიანთ უწინაც თავისი ქვეყანა ჰყვარებიათ, რომ თავი არ დაუნებებიათ“.

დღეანდელობაში რარიგ დასაფასებელია ქვეყნისთვის თავდადებული ის ადამიანები, რომლებმაც „თავი არ დაანებეს“ თავის ქვეყანას, არ უარყვეს „მამული, ენა და სარწმუნოება“, გაჭირვების მიუხედავად ერის გამრავლებაზე იზრუნეს და ზოგიერთი წარმატებული ბიზნესმენიც გახდა.

ასეთი ადამიანების მისამართით მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია II-მ ერთ-ერთ საადგომო ეპისტოლეში ბრძანა, რომ ეკლესიისაგან განსაკუთრებით დაილოცება და ერისათვის თავდადებულის წოდება მიენიჭება იმ ოჯახებს, რომელთაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ.

ხშირად, ნაკლები შესაძლებლობის ადამიანი უფრო ზრუნავს მრეველისათვის, ვიდრე – გამდიდრებული. ესეც დიდი სენია, რომლისაგან განკურნების მეთოდიც აუცილებლად სასწრაფოდ არის შესამუშავებელი, რაზეც თითოეული ჩვენთაგანი სერიოზულად უნდა დაფიქრდეთ.

ვფიქრობ, მრევლის ოჯახებისთვის სასარგებლო იქნება სამრეველო ბანკის შექმნა სადაც გაწევრიანდებიან წარმატებული ბიზნესმენები, რომლებსაც მართლმადიდებლად მიაჩნიათ თავი. მოვიშველიებ წმ. ილია მართლის სიტყვებს: „ბანკში შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაუკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იმათ, ვინც გულაღმა წეანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან მასვით და მაჭამეთო“.

მცირედ მორწმუნეებს სახარება გვასწავლის: „ნუ ჰზრუნავთ და იტყვით: რაი ეჭამოთ, ანუ რაი ვსვათ, ანუ რაი შეეიმოსოთ? რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ, რამეთუ იცის მამამ თქვენმან, რაი გიხმს ამათ ყოველთაგანი. ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათ. 6,31-32).

ეკლესიური წესების პატიოსნად დაცვის შემდეგ ადამიანს თავად უფლისგან ეძლევა ეკონომიკური გაძლიერების საშუალება.

ჩვენს სახელმწიფოში წარმატებული, აღმატებული, გამდიდრებული მრეველი რომ თავის დონეზე იდგეს რწმენაში, მართლმადიდებელი მრევლის ოჯახებს მაინც ეკონომიკურად არ გაუჭირდებოდათ. ამოქმედებული წარმოება-დაწესებულებების, ქარხანა-ფაბრიკების და სხვადასხვა მეურნეობების შემოსავლის ბაზაზე მივიღებდით ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოს. პირველადი მოხმარების საგნებიდან დაწყებული, მაღალი დონის ტექნოლოგიებით დამთავრებული, თითქმის ყველაფრის წარმოებაა შესაძლებელი ჩვენს ქვეყანაში. თუკი რომელიმე ქვეყანა ამაყობს განვითარებით – ჩვენც ვიამაყოთ, ქართველებს ხომ ღმერთისაგან ყველაფერი გვაქვს მომადლებული, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა არ შეიძლება შეჰყურებდეს სხვა სახელმწიფოებს ყველაფერში დასახმარებლად.

დაბოლოს, მადლობას ეუხდი მის უწმინდესობას ილია II-ს „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეკურსების დაარსებისა და მრეველზე ზრუნვისათვის.

ემზარ (გიორგი) კუპრაძე,
„საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“
სპეცკურსების პროექტების ჯგუფის ხელმძღვანელი

ქრისტიანობა და სოციალური საკითხები

სოციალურ საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოების ცხოვრებაში. თანამედროვე პირობებმა დღის წესრიგში დააყენა მთელი რიგი საკითხებისა და პრობლემებისა, რომლებიც ობიექტური მიზეზების გამო დღემდე არ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი, საეკლესიო კრებისა თუ ხელისუფლების დონეზე. ვინაიდან ეს პრობლემა ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი როგორც სასულიერო დასისათვის ასევე მორწმუნე ერის კაცთათვის, საჭიროა ერთიანი კონცეფციის შემუშავება, კერძოდ ხელისუფლებასთან, სამოქალაქო სტრუქტურებთან თუ სხვადასხვა საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას. მითუმეტეს როდესაც გაბატონებულია აზრი, რომ სოციალური სფერო მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა.

ყოველი მოქალაქე და, განსაკუთრებით, მართლმადიდებელი ქრისტიანი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის აღმშენებლობაში. ეკლესიაც ხომ სულიერი ზრდის შესაბამისად მოუწოდებს თავის სამწყსოს აქტიურობისაკენ ისეთი ფორმით რომელიც დაფუძნებული იქნება უცვალებელ და მტკიცე საფუძველზე, როგორიცაა ქრისტიანული სულიერება და ზნეობა.

ამ მხრივ ძალზედ საყურადღებოდ მიმაჩნია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის 2000 წლის 13-16 აგვისტოს საიუბილეო კრების დადგენილება „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლები“, რომელშიც ასახულია ეკლესიის შეხედულება თანამედროვე ცხოვრების ისეთ პრობლემებზე, რომლებზეც მანამდე ეკლესიას კრების დონეზე არ უმსჯელია. ნაშრომი არის სახელმძღვანელო როგორც სასულიერო, ასევე მორწმუნე ერის კაცთათვის იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებსაც აწყდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე გამოვლინებებთან დაკავშირებით.

ნაშრომში ბიბლიური სწავლების საფუძველზე გადმოცემულია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე პრობლემების შესახებ, როგორებიცაა: ძირითადი საღვთისმეტყველო დებულებები; ეკლესია და ერი; ეკლესია და სახელმწიფო; ქრისტიანული ეთიკა და საერო სამართალი; ეკლესია და პოლიტიკა; საკუთრება; შრომა და მისი ნაყოფი; ომი და მშვიდობა; ჯანმრთელობა; პიროვნული და ოჯახური საკითხები; ბიოეთიკის და ეკოლოგიის პრობლემები; მეცნიერება; კულტურა; განათლება; მას-მედია; საერთაშორისო ურთიერთობები; გლობალიზაცია და სეკულარიზაცია.

სასურველია მსგავსი გამოცდილება გამოყენებულ იქნას „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური დოქტრინის“ შესამუშავებლად“

აღნიშნულ პრობლემებზე თავის ეპისტოლეებში, ქადაგებებში სისტემატიურად შეგვაგონებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – „საერთოდ, ღვთისმსახურების შემდეგ სოციალურ საკითხებზე ზრუნვა ეკლესიისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია“.[1]

---

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008 წლის საადგომო ეპისტოლე. გვ.10.

ამ თემის პრაქტიკული გამოვლენაა 2008 წლის 27 ივნისის წმინდა სინოდის განჩინება სოციალურ სფეროში საქართველოს ეკლესიის გააქტიურების შესახებ:

1. საქართველოს საპატრიარქოში და ეპარქიებში შეიქმნას დასაქმების ხელშემწყობი საბჭოები, რომლის მუშაობაში აქტიურად უნდა ჩაებან სასულიერო პირები;
2. დასაქმების საბჭოებს დაევალოს სოციალური პროექტების შედგენა და საჭირო ფინანსურ-მატერიალური საშუალებების მოძიება სათანადო პროექტების განსახორციელებლად.

თქვენს ყურადღებას სწორედ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროზე, მის სულიერ-ქრისტიანულ საფუძველზე შევაჩერებდი.

ჩვენთვის უაღრესად სასიხარულო და დიდი სტიმულის მომცემი იყო ჯერ კიდევ 1996 წელს პროფესორ გიორგი შიხაშვილის ბროშურის შეძენა „ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი". მასში ასახული აზრების პრაქტიკული გამოვლენის ერთ-ერთ ნაყოფად შეიძლება ჩაითვალოს უწმინდესის და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტთან „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეციკურსების დაარსება, რომლის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი თავად ბატონი გიორგი გახდა. აქვე უღრმესი მადლობა უნდა გადაეუხადოთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც სრულიად უანგაროდ ქრისტიანული სიყვარულით წაგვიკითხეს ლექციები, ამასთან აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო კონფერენციებში და წმინდა ადგილების მოლოცვაში.

აღსანიშნავია, რომ სპეციკურსების გახსნამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც საკითხის სიმწიფის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. მსმენელებს შეადგენს ქვეყნის სხვადასხვა კუთხის, ასაკის, საზოგადოებრივი ფენის სპეციალობისა და გამოცდილების მქონე ერისკაცნი, ასევე სასულიერო პირნი, რომელთაც ერთიანი სულიერ-ზნეობრივი ღირებულებები და შეხედულებები აერთიანებთ, რაც ნათლად აისახა მათ მიერ წარმოდგენილ წინადადება-იდეებში, რომლებიც ატარებენ: ა) იდეოლოგიურ (სულიერ-ზნეობრივ), ბ) კონკრეტულ (პრაქტიკულ) გ) თეორიულ-მეთოდოლოგიურ (პერსპექტიულ) დატვირთვას.

როგორც კურსების პროექტების ჯგუფის ხელმძღვანელი, სანამუშოდ მოვიყვან კურსების მსმენელთა იდეა-წინადადებებს:

ა) იდეოლოგიური მოსაზრებები

– გამოიცეს სპეც-კურსების საქმიანობის ამსახველი ჟურნალი, სადაც გადმოცემული იქნება მსმენელთა კონკრეტული წინადადებები, იდეები. მასალები გადაეცეს საპატრიარქოს შესაბამის სამსახურებს, რადიოსა და ტელევიზიას, მას-მედიის საშუალებებს და სხვა;

– ჩამოყალიბდეს საბავშვო გამომცემლობა, სკოლებისათვის დამხმარე რელიგიური ლიტერატურის გამოსაცემად, პირობითი სახელწოდებით „მატიანე", ან „ძველი-ახალი";

– შეიქმნას ღრმა აზროვნების სწავლებისათვის სპეციალური სასკოლო თანახმად უწმინდესისა და უნეტარესის ილია II 1990 წლის ეპისტოლეში ასხული დამოძღვრისა;

– შემუშავდეს კომპიუტერული პროგრამა-თამაშობები ბავშვებისათვის: „წმინდა დავით აღმაშენებელი ამთლიანებს საქართველოს"; „დიდგორი, ბასიანი, და ვეფხისტყაოსანი ეროვნულ-ქრისტიანულ და პატრიოტულ თემატიკაზე";

– ტელევიზიის, რადიოსა და პრესისათვის მომზადდეს სამეცნიერო პრაქტიკული გადაცემები საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობებზე, ქრისტიანულ დასახლებებზე (ე.წ. „კიბუცები"), რომლებიც მორწმუნე ფერმერებს დაეხმარება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გამოცდილების გაზიარებაში;

ბ) კონკრეტული, პრაქტიკული იდეა წინადადებები.

ნიშანდობლივია რომ, წარმოდგენილი პროგრამები ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ეხება, როგორიცაა: ხალხური რეწვა, ხელსაქმე (ქარგვა, ქსოვა). მცირე საოჯახო ბიზნესი (კერეა-მოდელირება), ფიტოთერაპია და აპითოთერაპია (ფუტკრის სამედიცინო და სადიაგნოსტიკო ცენტრის შექმნა და სხვა).

ძირითადი აქცენტი კი მიწათმოქმედებაზე, მეცხოველეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზეა გაკეთებული, მის ორგანიზაციულ ფორმებზე, როგორიცაა, მაგალითად, „კიბუცები"-ს ტიპის ქრისტიანული მეურნეობების, დასახლებების აღორძინება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრიორიტეტად შერჩეულია ისტორიული ადგილები, მათი აღდგენა, ტრადიციული, მივიწყებული კულტურების მოშენება, რაც დიდი სულიერი დატვირთის მატარებელია და ძალზედ სანუგეშოდ მიმაჩნია.

ამ თვალსაზრისით პირველი მოკრძალებული პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგა კერძოდ, კურსების ყველაზე უხუცესი წევრის, ბ-ნ. გიორგი ამუზაშვილის მიერ დაფუძნდა თელავის რაიონში სოფ. აკურას „დავით გარეჯას" დედათა-მონასტრის აღორძინების ფონდი.

აღნიშნულ იდეა-წინადადებებს განსაკუთრებული სტიმული მისცა ლექციების კურსმა, რომელიც წაიკითხა ეკონომიკის აკადემიურმა დოქტორმა, „აგრო-ეკოლოგიური განვითარების კავშირის – ეკოსანდოს" აღმასრულებელმა დირექტორმა, ბატონმა ლერი ჯალაბაძემ, რომლის შესანიშნავი ნაშრომი „ეკოლოგიური აგროწარმოების საფუძვლები" შეიძლება სამაგიდო წიგნად ჩაითვალოს (აღსანიშნავია, რომ კურსების მსმენელთა დიდი რაოდენობა გაერთიანდა ამ კავშირში). ავტორი ნაშრომში აღნიშნავს, რომ „ეკონომიკური თვალსაზრისით ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ეკოლოგიური წარმოება ბევრად უფრო რენტაბელურია, ვიდრე ქიმიური, მით უფრო, რომ ქიმია დღეს სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის განვითარების დამამუხრუჭებელ საშუალებად ჩამოყალიბდა და რაც ყველაზე ცუდია, ადამიანის ჯანმრთელობის გამანადგურებელ ძალად იქცა... ასევე ეკლესია მოსურნეა ეკოლოგიური წარმოების განვითარებისა, ამისათვის აუცილებელია გაერთიანდეს ეკლესია-საზოგადოება-მთავრობა... რომლის მოგვარების სახელმწიფო ცენტრი უნდა იყოს საპატრიარქოსთან".[1]

ყოველივე ზემოთ აღნიშნული სრულ თანხმობაშია ღვთივგანბრძნობილი მამების გამონათქვამებთან:

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვმოძღვრავს, რომ უნდა მიეხედოთ მიწას, ვინაიდან მიწა დაგვაპურებს და გაგვათბობს ჩვენ, ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს – „გენების მანიპულირებით და გენ-მოდიფიცირებული პროდუქტების შექმნით, მეტად საშიში ნაბიჯი გადაიდგა... ეს კი გამოუსწორებელ შედეგს მოუტანს გარემოს და ჩვენს სულიერ სამყაროსაც დააზიანებს. გამოსავალი ერთია, მიუხედავად ასეთი პროდუქტების სიიაფისა და ჩვენი გაჭირვებისა, უარი უნდა ეთქვათ მათ გამოყენებაზე. ამასთან, ვიმედოვნებთ, ხელისუფლება ამ საკითხს მეტ ყურადღებას მიაქცევს და გაატარებს ქმედით ღონისძიებებს, რათა ჩვენი სოფლის მეურნეობა ნატურალური პროდუქტების წარმოების გზით განვითარდეს, რაც შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მძლავრ ბერკეტად იქცეს, რადგან მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება".[2]

ხოლო მამა პაისი მთაწმინდელი აღნიშნავს, რომ მონასტრების მოწყობა იმიტომ ხდებოდა, რომ ხალხს დახმარებოდნენ არა მარტო სულიერად, არამედ მატერიალურადაც. ამიტომაც აძლევდნენ მათ ძღვენს იმპერატორები.

წმინდა ილია მართალი:

---

[1] ლ. ჯალაბაძე. ეკოლოგიური აგროწარმოების საფუძვლები. თბ., 2007, გვ. 220.
[2] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008 წლის საადღგომო ეპისტოლე. გვ.11-12.

„ქეეენის ეკონომიკური სიმტკიცე და ძლიერება გლეხკაცობის მიწათმფლობელობაზეა დამოკიდებული, რამდენადაც ეს მიწათმფლობელობა ფართოა, სხვაზე დამოუკიდებელი და თავისუფალი მიწათმოქმედებისათვის, იმდენად ქონებრივი ძალ-ღონე ქეეჟნისა და სახელმწიფოსი მტკიცეა, ძლიერი და მუდმივი".[1]

ლევ ტიხომიროვი, საზოგადო მოღვაწე:

„მხოლოდ მიწათმოქმედება, მეტყეეობა, მესაქონლეობა და თევზის მეურნეობაა შესაძლებელი ისე მოვაწყოთ, რომ არაფერი დაიხარჯოს, არამედ მუდმივად გავამრავლოთ საერთო სახალხო კაპიტალი და ცხოერების საშუალება".[2]

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის, ამ მართლაც უმნიშვნელოვანესი დარგის განეითარების პოტენციალს უდიდესი, ულეი რეზერვი გააჩნია, რომელიც სამწუხაროდ არა მხოლოდ ამ სფეროში, სრულებით მიეიწყებულია. ეს არის სულიერი ლოცვა-კურთხევის განუსაზღვრელი პოტენციალი, ვედრება სხვადასხვა წმინდანებისადმი, ანუ „სულიერი სასუქები", რაც რა თქმა უნდა არ გამორიცხავს ბიოლოგიური სასუქების გამოყენებას, არამედ მხოლოდ ტოქსიკურ პესტიციდებს და გენ-მოდიფიცირებული პროდუქციის წარმოებას, ანუ ნებისმიერი გზით მოგების მიღებას, რაც არაქრისტიანულია.

სანიმუშოდ მოეიყვანდი ფაქტებს, როგორც წარსულის, ასეე დღეანდელი რეალობიდან:

– კუნძულ ვალაამზე საყოველთაოდ ცნობილ მონასტერში, რომელიც რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარეობს, მკაცრი კლიმატური პირობებით და კლდოვანი ნაპირებით, აღდგენილ იქნა ხეხილის ბაღები, სადაც ჯერ კიდეე XIV საუკუნეში მონაზენებმა სცადეს ხეხილის მოყვანა. ასეული წლების მანძილზე ნაეებით ეზიდებოდნენ მიწას, რომლის სისქე 10 სმ-ს აღწეედა, ანაყოფიერებდნენ მიწას. შედეგად ბერმა პაისიმ გამოიყვანა 20 ჯიშის ვაშლი, მსხალი, ქლიავი და საზამთროც კი.

1945 წელს ბერები კუნძულიდან განდეენეს, ამჟამად კლდოვან გრუნტზე კვლავ აღადგინეს ბაღები ვაშლის, მსხლის, ხილ-კენკროვანი ნერგები, თვით ვაზის ძირიც, რომელიც ადრე ამ კუნძულზე არ ყოფილა.

– ბელგოროდში სოფლის მღვდელი, რომელიც ძირითადი საქმიანობის გარდა, თავის მრეველთან ერთად მიწათმოქმედებასაც ეწეოდა, რაიონის ხელმძღვანელობამ მასში კარგი ადმინისტრატორი და საქმიანი ადამიანი დაინახა და კოლმეურნეობა „Зори коммунизма"ს თავმჯდომარეობა შესთავაზა.

ბელგოროდისა და სტაროოსკოლის მთავარეპისკოპოსმა იონამ კურთხეეა მისცა ამ უჩვეულო მორჩილებაზე. მამაომ კოლმეურნეობის პირველსავე კრებაზე მოითხოვა კოლმეურნეობის სახელის შეცვლა – „Богословский" და განაცხადა რომ ლოთებს, ზარმაცებს და ქურდებს შეუძლიათ დღესვე დაწერონ განცხადება განთავისუფლებაზე.

ამ უჩვეულო საქმიანობას მამაო დილის ოთხ საათზე ლოცვით იწყებს, შემდეგ მიდის კანტორაში, სადაც მიიტანა „ბარაქის ხატი". ორ წელიწადში მეურნეობა რაიონში პირველი გახდა, მუშებს ხელფასები გაეზარდათ, მოხდა სასწაული – პირველსავე წელს აყვაეილდა კოლმეურნეობის ხეხილის ბაღი, რომელიც ყინვისაგან განადგურებულად იყო მიჩნეული.

რაღა შორს წავიდეთ, ამ მხრივ საქართველოს მთელ რიგ ეპარქიებში ასეე დაგროვდა გარკეული გამოცდილება (საბარძიმე ღვინის წარმოება, საკალმახე მეურნეობები, მეცხოველეობა, ძვირფასბეწვიანი შინშილას მოშენება და სხვა).

გ) თეორიულ-მეთოდოლოგიური (პერსპექტიული) იდეა-წინადადებები

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა მრავალი პრობლემის მოსაგეარებლად სასურველია მძლავრი ცენტრალიზებული მაკოორდინებელი მექანიზმის შექმნა.

---

[1]. იხ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 2007 წელი. გვ. 193-194.

[2] Л.Тихомиров. Апология веры и монархии. Москва, 1999, с. 274

იდეის დონეზე გამაჩნია წინადადება, ქართული (ეროვნულ-ქრისტიანული) ბანკის დაფუძნების შესახებ, პირობითი სახელწოდებით „მამული", არა მეკახეობის პრინციპზე აგებული, როგორც ეს თანამედროვე ბანკებს ვერ წარმოუდგენიათ, არამედ მოგების განაწილებით მის მეპაიეებზე, ქრისტიანული მეურნეობების მოსაწყობად, მეცნიერების, კულტურის, განათლების და სხვა სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ფილოსოფოსი სოლოვიოვი ამბობდა, რომ „თანამედროვე ბანკების" სისტემას შეიძლება „ორგანიზებული ექსპროპრიაცია" დაერქვას, ვინაიდან ისინი ტრანსნაციონალურ კორპორაციებს (ოლიგარქიებს – ე.კ.) ემსახურებიან. ...ქრისტიანობის განსხვავება მარქსიზმისაგან ანუ „განათლებული ეგოიზმისაგან" შემდეგშია: ქრისტიანები საერთო კეთილდღეობისათვის მზად არიან გასცენ საკუთარი, მატერიალისტები (კოსმოპოლიტები, რაციონალისტები – ე.კ.) კი სხვას ართმევენ.

თუმცა ჯობია არა სხვაგან, არამედ ჩვენს ისტორიულ წარსულში ვეძებოთ. კერძოდ გავიხსენოთ ქართული საადგილმამულო (სათავადაზნაურო) ბანკი, რომლის იდეაც დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნოდა, ხოლო მისი სულისჩამდგმელი და მმართველი იყო ილია ჭავჭავაძე. მისი ისტორია ასეთია: ქართული საადგილმამულო ბანკის დასაფუძნებლად რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას თითო ყმაზე 25 მანეთი, ჯამში ორი მილიონი მანეთი მისცა, მათ შორის 1840 ათასი ყმის გასათავისუფლებლად, დანარჩენი – სათავადაზნაურო ბანკის დასაარსებლად. დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც ბანკის დაარსების ინიციატორი იყო და აღმოსავლეთ საქართველოს მარშალი, მის წარმომადგენლებს შესთავაზა თითოეულ გლეხზე მიღებული 25 მანეთიდან 5 მანეთი დაედოთ იმ თანხის შესავსებად, რომელიც მთავრობამ გამოყო ბანკის დასაარსებლად, შესაბამისად საკმაოდ დიდი თანხა დაგროვდებოდა. წესდების თანახმად „...ბანკის მოგება ხმარდება არა მარტო თავადაზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა (გლეხთა) საერთო საჭიროებას", ანუ მთელ ქართველ ხალხს.

ასევე ილია წერდა: „ ...სათავადაზნაურო ბანკი ერთადერთია რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულად უარყოფილია კერძო ინტერესები მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და სარგებლობისათვის. ეს ბანკი ქართველი ხალხის ეროვნულ ბანკად იქცა, ეს იდეა აიტაცა თავადაზნაურობამაც".[1]

ამჯერად ჯერი ჩვენზეა, ჩვენს ინტელიგენციაზე. ვფიქრობ ამ წინადადებას თუნდაც საწყის ეტაპზე, თუნდაც იდეის დონეზე აქვს არსებობის უფლება. ფაქტია რომ საკითხი ურთულესია დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, თუნდაც გამოინდნენ თანამოაზრენიც, დაინტერესებული პირები, ბუნებრივია ის ტიტანურ შრომას მოითხოვს, დასახვეწია ყოველი დეტალი, შესადგენია ეტაპობრივი სამოქმედო პროგრამა, შესარჩევია ორგანიზატორები, სულისჩამდგმელები, რაც დიდ დროს მოითხოვს. ბუნებრივია ყოველივეს წინ სათანადო ლოცვა-კურთხევა უნდა უძღოდეს.

ამ იდეის მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ალბათ უფრო უპრიანი იქნებოდა საწყის ეტაპზე, ამაევ მიზნებისა და პრინციპებზე დაფუძნებული, უფრო მარტივი ორგანიზაციული სტრუქტურის – ქართული (ეროვნულ-ქრისტიანული) ფონდის „მამული" დაფუძნება. სასურველი იქნებოდა მისი შექმნა საპატრიარქოსთან ახლადშექმნილ დასაქმების საბჭოსთან, თაეისი ფილიალებით ეპარქიებში.

ამისთვის უპირველესად უნდა ეიხელმძღვანელოთ უწმინდესისა და უნეტარესის ილია II დამოძღვრით იმის შესახებ, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება უნდა იქცეს ქეეყნისთვის სასარგებლო ერთობლივი მუშაობის საფუძვლად. უნდა დროულად მოხდეს ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის რეალიზება ცხოვრებაში, თუკი გვსურს ავაშენოთ განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო ზნეობრივი საფუძვლებით. ამასთან, ...მივმართავთ ბიზნესმე-

[1] იხ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 2007 წელი. გვ. 141.

ნებსაც, მოსახლეობის შეძლებულ ფენას, საერთოდ ყველას, ვისაც ეროვნული ინტერესები ამოძრავებს, რათა ისინიც ამოგვიდგნენ მხარში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ...სოციალური პროექტების დაფინანსება. ...ღვთისმსახურების შემდეგ სოციალურ საკითხებზე ზრუნვა ეკლესიისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია".[1]

ნებისმიერი მორწმუნისათვის ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ რაც არ უნდა ღვთივსათნო იდეები გაგვაჩნდეს, უფლის შეწევნის გარეშე მისი განხორციელება შეუძლებელია, ან შეიძლება სულაც მახინჯი სახე მიიღოს. არ უნდა შეგვეშინდეს და დაგვაბრკოლოს პრობლემებმა, უსახსრობამ, მატერიალურმა სიდუხჭირემ. ჩვენი სულიერი ზრდისა და მზადყოფნის შესაბამისად უფალი თავის დროზე მოგვცემს შესაბამის ნაყოფს, ჩვენი მხრიდან კი საჭიროა მივენდოთ უფალს, ვევედროთ ჩვენს მფარველ წმინდანებს და შეძლებისდაგვარად ვიღვაწოთ, ვატაროთ ჩვენი ჯვარი. როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, ყოველ კეთილ საქმეს წინ წინააღმდეგობა და განსაცდელი უძღვის, რომლის გადალახვაც ისევ უფლის შეწევნითაა დასაშვები – „კაცთათვის შეუძლებელი, ღვთისათვის შესაძლებელია".

აი, რას ბრძანებს პაველ მოციქული: „სიკეთის ქმნისას ნუ მოვდუნდებით, ვინაიდან თავის დროზე მოვიმკით, თუკი არ მოვიქანცეთ" (გალატ. 6,9).

2002 წლის 14 ოქტომბრის კონსტიტუციურ შეთანხმებაში ნათქვამია (მუხლი 11, პ.1): „ ...სახელმწიფო ადასტურებს ...ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტიური მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე".

მოკლედ, ყველა რეზერვი მოსაძიებელი და ასამოქმედებელია.

დაბოლოს ჩვენი წინადადებები:

1. საჭიროა შემუშავდეს „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლები";
2. „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეციკურსებთან შეიქმნას იდეა-პროექტების მუდმივმოქმედი საკოორდინაციო ცენტრი – (საინფორმაციო ბანკი, იურიდიული და კომპიუტერული მომსახურება);
3. 2008 წლის 27 ივნისის წმინდა სინოდის განჩინების საფუძველზე შექმნილ დასაქმების ხელშემწყობ საბჭოებში:

   – შეყვანილ იქნას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის" სპეციკურსების ხელმძღვანელი პროფესორი გიორგი შიხაშვილი და ამავე კურსების რამდენიმე მსმენელი მისიეე რეკომენდაციით;

   – განხილულ იქნას ზემოაღნიშნულ საბჭოებთან – ქართული (ეროვნულ-ქრისტიანული) ფონდის – „მამულის" დაფუძნების საკითხი, ფილიალებით ეპარქიებში.

---

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008 წლის საადგომო ეპისტოლე. გვ. 9-10.

ლიტერატურა და წყაროები
მთელი კრებულისათვის

1. ახალი აღთქუმაი. დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხეეით. შემდგენელ-გამომცემელი მღვდელი გიორგი სამსონიძე. თბ., 2003.
2. ახალი აღთქმა. დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხეეით. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ. მთ. რედ. ლ. ნადარეიშვილი. თბ., 2004.
3. ბიბლია. მცხეთური ხელნაწერი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. დოჩანაშვილმა. რედ. ზ. სარჯველაძე. ტ. 1-5, თბ., „მეცნიერება", 1981, 1982, 1983, 1985, 1986.
4. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბ., 1989.
5. ბიბლიის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები: ე. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე. რედაქტორი: ზ. სარჯველაძე. წიგნ.: 1 და 2. ჰოლანდია, 2000.
6. აეტორთა პირადი საუბრები და ჩანაწერები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან.
7. არქიმანდრიტი იაკობი (იაკობიშვილი). მეცხვარეობის განვითარება სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
8. ბაკაშვილი ნ. საბაზრო ინფრასტრუქტურა. თბ., თსუ, 2004.
9. ბაკაშვილი ნ. სულიერი მამა, მოძღვარი და ხიდი მარადიული ყოფისა. საიუბილეო ჟურნალი „დეკანოზი ღვთისო (შალიკაშვილი) 70 წლისაა." რედაქტორი გ. შიხაშვილი. თბ., 2007.
10. ბაკაშვილი ნ., მესხიშვილი დ. საქართველოს ეკონომიკური გაძლიერება მთიანეთიდან უნდა დაიწყოს. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
11. ბუაჩიძე კ. წმ. ილია მართალი (ჭაეჭავაძე) მცენარეთა დაცვის შესახებ. თბ., 2004.
12. ბუმისი ჰ. ი. კანონიკური სამართალი. თარგმნა ბერძნულიდან ი. გარაყანიძისა. ათენი, თბილისი, „მთაწმინდელი", 2007.
13. გაგნიძე ი. სულიერისა და მატერიალურის მიმართება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასა და ცალკეულ ინდივიდთა აზროვნებაში. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა". 2000, №4.
14. გაგნიძე ი. სარწმუნოება და შრომითი ურთიერთობები. საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალი „ლოგოსი". 2004, №3.
15. გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა. თბ., „უნივერსალი", 2007.
16. გაგნიძე ი. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა, მეცნიერება და რელიგია. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კულტურის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი". IV, 2007.
17. გაგნიძე ი. ზღვრული არჩევანის პრინციპი ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
18. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი", 2004 წლის № 21; 2007 წლის №№16,17,18,26,35,-36.
19. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი", 2008, №6.
20. გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი". სპეციალური გამოცემა, 12.10.08.
21. გოგორიშვილი ი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ნაციონალური ეკონომიკური ინტერესების ფორმირებაში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
22. გულუა ე. ქრისტიანული მორალი და ბიზნესი. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.

23. დეკანოზი მიქაელ გალდაია. სიტყვა სამლოცველოს კურთხევისას. სტატიაში: მაღლივ კორპუსში წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო ამოქმედდა. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 2008, №3, მარტი.
24. დიდი სჯულის კანონი. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987.
25. ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). შემაჯამებელი სიტყვა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე: „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008". გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი", 2008, №14.
26. ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). მისალმების სიტყვა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
27. ეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე). მისალმების სიტყვა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
28. ერქომაიშვილი გ. ქრისტიანობა და ქველმოქმედება. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
29. ვეშაპიძე შ. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კელეეის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები. თბილისი, 1999.
30. ვოლობაევი ა. „როგორ იარსებოს მართლმადიდებელმა მეწარმემ თანამედროვე რუსეთის ბიზნესში". თარგმანი რუსულიდან. მთარგმნელები: დეკანოზი ალექსანდრე ჩახვაშვილი, შიხაშვილი გ. თბ.„ „ცოტნე", 1998.
31. თაკალანძე ლ. ქველმოქმედება: სიკეთე თუ უკეთურება. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
32. თოდუა ნ., ურუტაძე ე., ურუტაძე ე. საეკლესიო ქართული აბრეშუმის ქსოვილების წარმოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
33. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი", №42, , 18-24 ოქტომბერი, 2002 წ.
34. კოღუაშვილი პ. სამკეიდროს გულიდამ ამოღება ძნელია (ილია ჭავჭავაძე სოფლის მეურნეობის შესახებ). თბ., „უნივერსალი", 2007.
35. კოღუაშვილი პ. საქართველო ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ორი ილია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. თბ., „ინოვაცია", 2009.
36. კრწანისის ტყე-პარკის მენჯმენტის გეგმა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო. მომზადებულია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) საქართველოს წარმომადგენლობის ხელშეწყობით. თბილისი, 2000.
37. ლომინაძე ბ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიწათმფლობელობა ძველი დროიდან XX საუკუნემდე (1917 წ.). ქუთაისი, 1997.
38. ლორთქიფანიძე რ. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. თბ., 2005.
39. ლოსკი ვ. დოგმატური ღვთისმეტყველება. მთარგმნელი – ზ. ეკალაძე. თბ., 2007.
40. ლოცვანი ყოველდღიური საჭიროებისათვის. იბეჭდება რუის-ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით. თბ., 2005.
41. მართმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით. თარგმნა ე. ჩხიკვაძემ. რედაქტორი და რეცენზენტი იღუმენი დოსითეოსი (ბოგვერაძე). თბ., „ალილო", 2007.
42. მართლმადიდებლური ვებ-გვერდი http://www.orthodoxy.ge/.
43. მდიდრები და ღარიბები. შემდგენელი გ. ხარებაშვილი. თბ., „ხარება", 2006.
44. მესხია ი. ეკონომიკური და რელიგიური უსაფრთხოება თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კელეეის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი". IV, 2007.

45. მეტრეველი მ. რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
46. მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა). სიტყვა ეპარქიის პირველი სასწავლებლის გახსნაზე. ჟურნალი „ჭყონდიდელი". 2008, №10-11, ნოემბერ-დეკემბერი.
47. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე). საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბ., „მერანი", 1999, ტ. 3.
48. მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი). ქრისტიანობა და სახელმწიფო. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი". IV, 2007.
49. მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე). ეკლესიისა და სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ. საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი"-ის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.
50. მიტროპოლიტი ინოკენტი. გზა ცათა სასუფეველისა. წილკნის ეპარქიის გამოცემა, თბილისი, 1994.
51. მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი). ზნეობა და ქრისტიანობა. საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი"-ის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.
52. მიქიაშვილი ნ. მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის ადგილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
53. მღებრიშვილი ბ. ქრისტიანობა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება საქართველოში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
54. მღვდელი ბასილ ახელედიანი. ბიბლიის სოფლისმეურნეობრივი თემატიკა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", №4, 2006.
55. მღვდელი ბასილ ახელედიანი. სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა დიდი სჯულის კანონის მიხედვით. ჟურნ. „ეკონომიკა", №7, 2006.
56. მღვდელი ბასილ ახელედიანი. საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება საქართველოში. ეკონომიკის დოქტორის დისერტაცია. ხელმძღვანელები: გ. შიხაშვილი, ე. ხარაიშვილი. თბ., 2008.
57. მღვდელი ბასილ ახელედიანი, გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. მთ. რედაქტორი ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). თბ., „მერიდიანი", 2009.
58. მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია). სოციალურ-ეკონომიკური საკითხები წმ. ილია მართლის შემოქმედებაში. სადიპლომო ნაშრომი. ხელმძღვანელი გ. შიხაშვილი. თბილისის სასულიერო სემინარია, 2000.
59. ოთარაშვილი ნ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის სამლოცველოს ერთი წელი შეუსრულდა. ჟურნალი „ჭყონდიდელი", №3, მარტი, 2009.
60. პეტრიწონის წესდება. წიგნში: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 5. ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. საქართ. მეცნ. აკად. გამომცემლობა. თბ. 1963.
61. პროტოპრესვიტერი მიხეილ პომაზანსკი. დოგმატური ღვთისმეტყველება. რედაქტორ-რეცენზეტი იღუმენი დოსითეოსი (ბოგვერაძე). თბ., 2006.
62. ჟურნალი „დედაეკლესია". 2007, №8.
63. ჟურნალი „ჭყონდიდელი". 2008, №10-11, ნოემბერ-დეკემბერი.
64. საიუბილეო ჟურნალი „დეკანოზი ღვთისო (შალიკაშვილი) 70 წლისაა." რედაქტორი გ. შიხაშვილი. თბ., 2007.
65. სამხარაძე ნ. ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.

66. საქართველოს აეტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება. მცხეთა, სვეტიცხოველი, 1995.
67. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლე. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1994.
68. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლე. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1995.
69. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მიმართვა ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისადმი. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი". 2002, №44.
70. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი. თბილისი. „გეოკერია", 2004.
71. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბილისი, „გეოკერია", 2004.
72. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2008, 30 აპრილი, სპეციალური გამოშვება.
73. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008/2009 წლის საშობაო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2009, №1.
74. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2009 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2009, №14.
75. საქართველოს საპატრიარქოს ვებ-გვერდი: წმინდა სინოდის განჩინებები. http://www.patriarchate.ge/?action=sinodi.
76. სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1989.
77. სილოგაეა ვ. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი. თბილისი, 2003.
78. სულიერი მდელო. ტექსტი მოამზადეს ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა. რედ. თ. გოგოჩაშვილი. საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის გამოცემა. 2005.
79. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I, ქუთაისი, 1913.
80. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. II, ქუთაისი, 1913.
81. ქართველ წმიდანთა ცხოვრება. თბ., 2002.
82. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). თბ., "მეცნიერება", 1970.
83. ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
84. ღვთივ-შეენიერი სწავლანი, რომელსა ეწოდება ოქროს წყარო, თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირის მიერ. თბილისი, 1905.
85. ღვთისმშობლის „ბარაქის" ხატის დაუჯდომელი. თბ., 2002.
86. შიხაშვილი გ. ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის მართლმადიდებლური საფუძვლების გააზრებისათვის. ჟურნ. „ეკონომიკა", 1994, №9-12.
87. შიხაშვილი. გ. ქრისტიანული ეკონომიკის გაგებისათვის. ჟურნ. „ეკონომიკა", 1995, №4-6.
88. შიხაშვილი გ. ეკონომისტების მომზადება ქრისტიანულ საფუძველზე. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბ., 1996.
89. შიხაშვილი გ. ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი. თბ., „ზედაშე", 1996.
90. შიხაშვილი გ. თანამედროვე ეკონომიკა და სამონასტრო მეურნეობრიობა. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თსუ, 1998.
91. შიხაშვილი გ. სახარებისეული სწავლების სამეურნეო-ეთიკური საფუძვლები. თსუ ნაშრომთა კრებული, თბ., 1999.
92. შიხაშვილი გ., დეკანოზი ალექსანდრე (ჩახვაშვილი). საქართველოს მართლმა-დიდებელი ეკლესიისათვის ტრადიციული, საჭირო ნივთების წარმოების ორგანიზაცია. გაზ. „საქართველოს ქრისტეანული კულტურა". თბ., 2000, №3.
93. შიხაშვილი გ. საეკლესიო სამართალი და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა. სამეცნიერო-თეორიული კონფერენციის მასალები. თსუ, 2000.

94. შიხაშვილი გ. ქრისტიანული ეკონომიკა – ჰარმონიული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი. კონფერენციის მასალები. თსუ, 2000.
95. შიხაშვილი გ. ბიბლიური მოძღვრება მეურნეობის შესახებ და თანამედროვეობა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2001, №4.
96. შიხაშვილი გ. თეოლოგიური ეკონომიკა. პროგრამა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრატურისათვის. თსუ-ს გამომცემლობა. თბ., 2003.
97. შიხაშვილი გ. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის ბიბლიური გააზრება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ეკონომიკის სერია. ტ. 11, 2003, №3.
98. შიხაშვილი გ. ახალი აღთქმის სამეურნეო მოძღვრება და თანამედროვეობა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2003, №6.
99. შიხაშვილი გ. მართლმადიდებლური მოძღვრება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მოღვაწეობის მიხედვით). ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2004, №5.
100. შიხაშვილი გ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის რელიგიური გააზრება. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", 2004, №10.
101. შიხაშვილი გ., შიხაშვილი მ. ისრაელის მიწათსარგებლობის ბიბლიურ-საკანონმდებლო საფუძვლები. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", №13-14, 2005.
102. შიხაშვილი გ., მღვდელი ბასილ ახელედიანი. მიწათსარგებლობის ბიბლიური საფუძვლები და თანამედროვე საქართველო. ჟურნ. „ეკონომიკა". 2006, №8.
103. შიხაშვილი გ. მამა ღვთისო – მკურნალი მოძღვარი. საიუბილეო ჟურნალი „დეკანოზი ღვთისო შალიკაშვილი 70 წლისაა." რედაქტორი გ. შიხაშვილი. თბ., 2007.
104. შიხაშვილი გ. საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. ჟურნ. „დედაეკლესია". 2007, №8.
105. შიხაშვილი გ. სარწმუნოება და ეკონომიკა: მოქმედებას იწყებს სპეც-კურსები. „საეკლესიო-სამონასტრო და საერო ეკონომიკა". გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი", 2007, №26.
106. შიხაშვილი გ. ეკონომიკისა და მართვის ბიბლიური გააზრება. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი". IV, 2007.
107. შიხაშვილი გ. მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ეროვნული კონცეფციის ბიბლიური საფუძვლები. ჟურნ. „ახალი ეკონომისტი". 2007, №5 და №6.
108. შიხაშვილი გ. შიხაშვილი მ. წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) ეკონომიკური მოძღვრება – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის საფუძველი. საერთაშორისო კონფერენცია „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა". თეზისების კრებული. საიუბილეო ღონისძიებათა სამთავრობო კომისია. თბ., 2007.
109. შიხაშვილი გ. მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია), შიხაშვილი მ. თეოლოგიური ეკონომიკის საფუძვლები: ჰარადიგმები და კონცეფციები წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) შემოქმედებიდან. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი", 2008, №2.
110. შიხაშვილი გ. მაღლივ კორპუსში წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო ამოქმედდა. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 2008, №3, მარტი.
111. შიხაშვილი გ. უნივერსიტეტისა და ეკლესიის სამეცნიერო-პრაქტიკული თანამშრომლობა ტრადიციად მკვიდრდება. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 2008, №6.
112. შიხაშვილი გ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერებისა და აღზრდა-განათლების შესახებ. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი". №5/2008.
113. შიხაშვილი გ. ბოლნისის ეპარქია აღრმავებს ურთიერთობებს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2008, №43.
114. შიხაშვილი გ. განათლების ორგანიზაცია საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის სფეროში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.

115. შიხაშვილი გ. საეკლესიო მეურნეობის მენეჯმენტი. სილაბუსი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურისათვის. თსუ, თბ., 2009.
116. ჩიკვაიძე დ. საეკლესიო სამართალი. თბ., 2008.
117. ჩიკვაიძე დ. საეკლესიო სამართლის სამეურნეო-მმართველობითი ასპექტები. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2008.
118. ცოდო-მადლის წიგნი. თბილისი, 1993.
119. ცხონდება თუ არა მდიდარი? (წმ. მამების სწავლების მიხედვით). რუსულიდან თარგმნა ი. ლომოურმა. თბ., 2002.
120. წმ. ანტონი დიდი. შეგონებანი ადამიანთა ზნეობისა და სასიკეთო მოღვაწეობის შესახებ. წიგნში: წმინდა მღვიძარეთა სათოებათმოყვარეობა. გამოცემის რეცენზენტ-კონსულტანტი დეკანოზი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მაქსიმე ჭანტურია. ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბ., „ახალი ივირონი", 2006.
121. წმ. ბასილი დიდი. ჰომილიები ექვსი დღისათვის. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2000. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1999.
122. წმიდანთა ცხოერება. ტ. I-IV. თბ., 1998.
123. წმიდა მამათა სწავლანი. მოსკოვის წმ. გიორგის ქართული ეკლესია. 2002.
124. წმინდა მღვიძარეთა სათოებათმოყვარეობა. გამოცემის რეცენზენტ-კონსულტანტი დეკანოზი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მაქსიმე ჭანტურია. ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბ., „ახალი ივირონი", 2006.
125. წმ. იოანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ძეგლი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბ., თსას, 2000.
126. წმ. იოანე ოქროპირი. თარგმანებანი მათეს სახარებისაი. თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისა. წიგნი III, თბ., 1998.
127. წმ. მღედელმთავარი ლუკა (ვოინო-იასენეცკი). მეცნიერება და რელიგია. სული, სამშვინველი და სხეული. გამოცემის ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ილია ნასიძე. მთარგმნელი-რედაქტორი აკაკი მინდიაშვილი. თბ., 2003.
128. ჭაეჭავაძე ი. ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955. გვ. 192-194.
129. ჭაეჭავაძე ი. ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955.
130. ჭაეჭავაძე ი. ერი და ისტორია. თხზ., ტ. 4, თბ., 1955.
131. ჭაეჭავაძე ი. შინაური მიმოხილეა 1895 წლისა. თხზ., ტ. 5, თბ., 1955.
132. ჭაეჭავაძე ი. შინაური მიმოხილეა 1892 წლისა. თხზ., ტ. 5, თბ., 1955.
133. ჭაეჭავაძე ი. ცხოერება და კანონი. თხზ., ტ. 6, თბ., 1956.
134. ჭაეჭავაძე ი. კაეკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ. თხზ., ტ. 7, თბ., 1956.
135. ჭაეჭავაძე ი. კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი. თხზ., ტ. 7, თბ., 1956.
136. ჭაეჭავაძე ი. კაეკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ. თხზ., ტ. 7, თბ., 1956.
137. ჭაეჭავაძე ი. ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოერებისა. თხზ., ტ. 7, თბ., 1956.
138. ჭელიძე ე. ქრისტიანობა და საზოგადოება. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კელეეის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი". IV, 2007.
139. ჭილაძე ი. ეკონომიკის კონცეპტუალური საფუძვლები და ქრისტიანობა წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
140. ხარაიშვილი ე. საეკლესიო წარმოების განვითარების შესაძლებლობები საქართველოში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
141. ხორავა ა., ჩეჩელაშვილი ა. სასულიერო პირები ბუღალტრული აღრიცხვის სათაეებთან. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.

142. ხუბუა მ. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე ფილოსოფია და მართლმადიდებლობა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონ-ფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
143. ხუციშვილი ნ. იერუსალიმის ჯერის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში. თბ., „არტანუჯი", 2006.
144. ჯალაბაძე ლ. ეკოლოგიური აგროწარმოების საფუძვლები. თბ., „მწიგნობარი", 2007.
145. ჯავახიშვილი. ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წ. I. თხზ. ტ. 4, თბ., 1996.
146. ჯავახიშვილი. ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წ. II. თხზ. ტ. 5, თბ., 1986.
147. ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია (წიგნი პირველი). ზოგადი ცნობები. თხზ. ტ. 6, თბ., 1982.
148. ჯანჯღავა ჯ. რელიგია, უნივერსიტეტი, მეცნიერება. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2009.
149. Archimandrite Deniol (Wales). The Church as Agent of Change in a Post-Industrial Community – the Wales Orthodox Mission, a Case Study. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი". IV, 2007.
150. Hay D. A. Economics today. A Christian critique.Grand Rapids, Michigan, 1991.
151. Rae S., Wong. K. Beyond Integrity. A Judeo-Christian Approach to Business Ethics. Michigan, 1996.
152. Rev. Dr. Dan Sandu. Eastern Orthodox Theology and Practices Related to Ecological Issuees. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი". IV, 2007.
153. Stackhouse M. , McCann D., S. Roels, P. Williams. On Moral Business. Classikal and Contemporary Resources for Ethics in Economic Life. Michigan, 1995.
154. www. avtonom.org./lib/theory/israelkibbutz.html. p.2.
155. Архиепископ Макарий. Введение в православное богословие. Минск, Москва, 2000.
156. Афанасьев Э. О некоторых православных принципах формирования рыночной экономики. Журн. «Вопросы экономики», №8, 1993.
157. Библия и наука. Ред. П. Харчлаа. Ашфорд. США.
158. Библия опережает науку на тысячи лет. Ред. В. Губанов. М., 1996.
159. Булгаков С. Н. Философия хозяйства. В книге: Булгаков С. Н. Сочинения в двух томах. Т. 1, М., «Наука», 1993.
160. Вебер М. Протестантская этика и дух капитализма. В кн.: Вебер М. Избр. произведения. Пер. с немецкого. Общая редакция Давыдова Ю. Н. М., «Прогресс», 1990.
161. Глаголев А. Христианская экономия в свете насущных задач экономической реформы в России. Журн. «Вопросы экономики», №8, 1993.
162. Зейпель И. Хозяйственно-этические взгляды Отцов Церкви. Пер. с немецкого с предисловием С. Н. Булгакова. М., 1913.
163. Кандалинцев В. Политическая экономия Библии. М.,«Инком Полиграф», 1999.
164. Климент Александрийский. Кто из богатых спасется. Ясенево, 2000.
165. Лопухин. А. П. Библейская история Ветхого Завета. Т.1, СПб, 1889, М., 1998.
166. Мы верим. Говорят современные учёные о вере в Бога. 1988.
167. Нейхауз Р. Бизнес и евангелие. Пер. с англ. Кротова Я. М., 1994.
168. Основы социальной концепции Русской православной Церкви. М., 2001.
169. Программа действий. Повестка дня на XXI век. Сост. М. Китинг. Женева, 1993.
170. Протопресвитер Александр Шмеман. Введение в богословие. Париж, 1993.
171. Рих А. Хозяйственная этика. Пер. с нем. Е.Довгань. Франкфурт на майне. Москва, Посев, 1996.
172. Фальцман В. Российское предпринимательство с позиций христианской морали. Журн. «Вопросы экономики», №8, 2000.
173. Флеров И. О православных церковных братствах. С-пб, 1857.
174. Цыпин В. Курс церковного права. Клин, 2002.
175. Шведов О. Энциклопедия церковного хозяйства. М., 2003.

176. Шихашвили Г.О паломнических турах, организуемых Союзом «Христианская культура Грузии». Газ. «Авианзвестия». Тбилиси, Москва. #6(11), 1998.
177. Шихашвили Г. Теологическое осмысление эколого-экономической деятельности - основа устойчивого развития. Известия АН Грузии, серия экономическая, т. 9, 2001, №1-2.
178. Шихашвили Г. О Библейском осмыслении национальной концепции управления хозяйством. В книге: Экономическая теория в XXI веке -- 2 (9): Национальное и глобальное в экономике. Под ред. Ю. М. Осипова. Москва, 2004.
179. Шихашвили Г Библейское осмысление хозяйственно-управленческой деятельности. Журнал «Кавказоведение», Москва, 2004, №5.
180. Шихашвили Г. Теологическое осмысление эколого-экономической деятельности – основа устойчивого развития. В книге от Сциллы к Харибде: Актуальный опыт России. Москва - Волгоград. 2002.
181. Шихашвили Г О Библейском осмыслении национальной концепции управления хозяйством. В книге: Экономическая теория в XXI веке – 2 (9): Национальное и глобальное в экономике. Под ред. Ю. М. Осипова. Москва, 2004.
182. Шихашвили Г., Священник Василий Ахвледиани. Церковь и проблемы устойчивого эколого-экономического развития общества. В книге: Экономическая эффективность развития России /Под ред. проф. К. В. Папенова. _ М.: Экономический ф-т МГУ, ТЕИС, 2007.
183. Экземплярский В. Евангелие и общественная жизнь. Киев, 1913.

სპეცკურსების საქმიანობის ფოტომატიანე

სპეცკურსების ხელმძღვანელი პატრიარქთან

საქართველოს საპატრიარქოს სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი

მადლობის სიგელი

გადაეცემა .....გიორგი...ძაბაშვილი.....

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური
განვითარების ცენტრისათვის გაწეული ღვაწლისა და თანადგომისათვის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
უწმიდესი და უნეტარესი ილია II

სპეციურსების ლექტორები პატრიარქთან

სპეციურსების ხელმძღვანელი პატრიარქთან

ჩეკინი 2007

სამლოცველოს გახსნა თსუ-ს მაღლიან კორპუსში

ბოლნისი 2008

თსუ. 30.05.2008

სტეფანწმინდა. 2008



სამება. სპეცკურსები. 2007-2008

მესტია. 2008



07/07/2008

ენგურჰესი

ეკ. გიორგის ხატი (XIII ს.)
ბაგრატ ნანსეულის ოჯახში

ტრაპეზი მესტიაში

კვირიკობა

კვირიკობა

კვირიკობა

26/07/2008

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის
საპატრიარქო ტაძარი. 01.08.2008